

სახელმწიფო სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2021, №7

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2021, №7

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2021, №7

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2021, №7

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქატიკვან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეხელი

| | |
|---|-----|
| 1. ნასყიდობა | |
| ნასყიდობის საფასურის გადახდა | 4 |
| 2. ჩუქება | |
| გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა | 14 |
| 3. ქირავნობა | |
| მიმდინარე რემონტის ხარჯები | 25 |
| 4. იჯარა | |
| ზიანის ანაზღაურება საიჯარო ქონების დაბრუნებისას | 65 |
| 5. ნარდობა | |
| მენარდის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება | 73 |
| დამატებითი შესრულების მოთხოვნა | 89 |
| 6. მიბარება | |
| ზიანის ანაზღაურების ვალდებულება | 97 |
| 7. დაზღვევა | |
| სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შეტყობინების ვალდებულება | 109 |
| დამზღვევის ბრალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას | 119 |
| 8. საბანკო მომსახურება | |
| საბანკო კრედიტი | 128 |
| 9. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა) | |
| ამხანაგობის ვალდებულებებზე პასუხისმგებელი სუბიექტები | 139 |
| საქმეების ერთად გაძღოლის ვალდებულება | 156 |
| შემოსავლების განაწილების წესი და მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა | 172 |

1. ნასყიდობა

ნასყიდობის საფასურის გადახდა

განჩინება საქართველოს სასჯელით

№ას-815-815-2018

24 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. შპს „ქ.კ.ნ-მა“ (შემდეგში: მოსარჩელე ან გამყიდველი), 2016 წლის 5 დეკემბერს აღძრული სარჩელით, ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, მოითხოვს მისი, როგორც გამყიდველის სასარგებლოდ, შპს „ო.ჯ.-ასათვის“ (შემდეგში: მოპასუხე, მყიდველი, აპელანტი ან კასატორი), მიწოდებული 41 830 ლარის ღირებულების საქონლის საფასურიდან გადაუხდელი ნაწილის – 6 830 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

1.2. გამყიდველმა საწარმომ საკუთარი სასარჩელო მოთხოვნის დადასტურების მიზნით სასამართლოს წარუდგინა სასაქონლო ზედნადებები და ამონაწერი საბუღალტრო პროგრამიდან.

2. მოპასუხის შესაგებელი

2.1. მყიდველმა მის წინააღმდეგ აღძრული მოთხოვნა წერილობით წარდგენილი შესაგებლით გამორიცხა და განმარტა, რომ გამყიდველის მიერ საქმეში წარმოდგენილი ზედნადებებით არ დასტურდებოდა მყიდველისათვის 41 830 ლარის საქონლის მიწოდების ფაქტი, ამასთან, ზედნადებები არ არის ხელმოწერილი მხარეთა მიერ, არ არის წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, რაც დაადასტურებდა საქონლის მიწოდებისა და მიღების ფაქტს.

3. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით გამყიდველის სარჩელი დაკმაყოფილდა და მყიდველს მოსარჩელის სასარგებლოდ, 6 830 (ექვსი ათას რვაას ოცდაათი) ლარის გადახდა დაე-

კისრა.

4. მყიდველის სააპელაციო საჩივარი

4.1. მყიდველმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

4.2. აპელანტის განმარტებით სასაქონლო ზედნადები, როგორც გარიგება, არის ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე შექმნილი დოკუმენტი. მასში ციფრები და სხვა მახასიათებელი ინფორმაციის შეტანა ხდება ზედნადების გამომწერის მიერ და ამ პროცესზე წვდომა არ გააჩნია ზედნადების მიმღებს. ზედნადების მიმღები უფლებამოსილია, მხოლოდ უარყოს ან მიიღოს ზედნადები. წარმოდგენილი ზედნადებებიდან არ ირკვევა, რომ ისინი დადასტურებული არის. შესაბამისად, აპელანტი სადავოდ ხდის მოსარჩელის მიერ საქონლის მიწოდების ფაქტს.

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მყიდველი საწარმოს სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება (იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ, 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

5.2. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა კერძო სამართლის სუბიექტებს – კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობაა, შესაბამისად, მოთხოვნაზე უფლებამოსილი და შესრულებაზე ვალდებული სწორედ ეს პირები არიან. იგივე დანაწესია ნასყიდობის ხელშეკრულების მარეგულირებელ ნორმებშიც (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში: სსკ, 477-ე-504-ე მუხლები), რომლითაც ამ ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი სწორედ ამ მხარეებს – მყიდველსა და გამყიდველს აქვთ.

5.3. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობისა და შეფასების საგანს წარმოადგენდა მიაწოდა თუ არა გამყიდველმა საწარმომ მყიდველს 6 830 ლარის ღირებულების საქონელი.

5.4. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ საკუთარი მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველად მიუთითა იმაზე, რომ მოპასუხეს ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე მიაწოდა საქონელი, ხოლო გადაცემული საქონლის დასტურად სასამართლოს წარუდგინა სასაქონლო ელ-ზედნადებები.

5.5. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლითაც, საჯარო-სამართლებრივი მონესრიგების ფარგლებში, დადგენილია

შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპები, კერძოდ: სამენარმეო საქმიანობისათვის ქვეყნის შიგნით საქონლის ტრანსპორტირებისას, ხოლო საქონლის მიწოდებისას - მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში (გარდა სპეციალური დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით განხორციელებული მიწოდებისა, რომლებიც მოიცავს სასაქონლო ზედნადებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს) სასაქონლო ზედნადები უნდა გამოიწეროს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმითა და წესით. ამასთანავე, საქონლის მიწოდებისას მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში აკრძალულია საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე შენახვა (12.06.2012. №6446). ამავე კოდექსის 286-ე მუხლით დადგენილია საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და აღურიცხველობის შედეგი, კერძოდ პირველი ნაწილით: „სამენარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შექენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული არ მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის საბაზრო ღირებულება ან აღემატება 10 000 ლარს – ინვესტ პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით“ (28.12.2012. №189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან). მითითებული საჯარო-სამართლებრივი სფეროს მომწესრიგებელი ნორმების მიზანია ქვეყნის შიგნით განხორციელებული სამენარმეო საქმიანობისათვის სასაქონლო ზედნადების დანიშნულების ხაზგასმა.

5.6. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებებით დასტურდება მყიდველის მიერ საქონლის მიღების თარიღი და დრო, რაც ადასტურებს, რომ მხარეთა შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვა. ნასყიდობის ხელშეკრულება ორმხრივი, კონსესუალური და ნასყიდობიანი ხელშეკრულებაა. იგი დადებულიად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან კანონით გათვალისწინებული ფორმით. ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველის ძირითადი ვალდებულებაა, მიიღოს ნაყიდი საქონელი და გამყიდველს გადაუხადოს შეთანხმებული ფასი. ამდენად, ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი, კანონით გათვალისწინებული პირობა ფასზე შეთანხმებაა (სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილი, 477-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები).

5.7. მხარეებმა შესაძლოა ხელშეკრულებით არ განსაზღვრონ ნასყიდობის საგნის საფასურის გადახდის წესი და საშუალება, მაგ-

რამ ნასყიდობის ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე, ადგილი უნდა ჰქონდეს მყიდველისა და გამყიდველის ქმედებების თანხვედრას, გამყიდველმა გადასცეს, ხოლო მყიდველმა მიიღოს ნივთი და გადაიხადოს შესაბამისი საფასური. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს დათქმა: ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება (სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები).

5.8. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ფულადი ვალდებულების შესრულებას გარკვეული თავისებურება ახასიათებს, რაც ვალდებულების შესრულების ფაქტის დადგენაში ვლინდება. მართალია, ნასყიდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები არ უთითებს გადახდის სავალდებულო ფორმაზე, თუმცა იგი განმარტებულ უნდა იქნეს სსკ-ის 429-ე მუხლით განსაზღვრულ კონტექსტში. დასახელებული ნორმა, რომელიც სისტემურად მოთავსებულია სსკ-ის მეექვსე კარში (ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით) არეგულირებს ფულადი ვალდებულების შესრულების წესს. აღნიშნული მუხლის სამართლებრივი ანალიზით ირკვევა, რომ იგი მოვალისათვის დისპოზიციურ, ხოლო კრედიტორისათვის იმპერატიულ ხასიათს ატარებს, კერძოდ: დისპოზიციურობა გამოიხატება იმ ფაქტში, რომ მოვალე სამოქალაქო-სამართლებრივ ბრუნვაში უნდა მონაწილეობდეს, როგორც გონივრულად და წინდახედულად მოაზროვნე სუბიექტი, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ მხარეები გადახდის წესზე არ შეთანხმებულან ფულადი ვალდებულების შესრულების ფორმად ნაღდ ანგარიშსწორებას აირჩიეს, მას შეუძლია კრედიტორს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი მოსთხოვოს, რა დროსაც კრედიტორი ვალდებულია გასცეს დასახელებული დოკუმენტი.

5.9. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხემ ვერ წარადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მან გადაიხადა ნასყიდობის საფასური, რის გამოც, პირველი ინსტანციის სასამართლომ მყიდველს, გამყიდველის სასარგებლოდ, მართებულად დააკისრა გადაუხდელი ნასყიდობის საფასურის – 6 830 ლარის გადახდა.

6. მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძვლები

6.1. მყიდველმა საწარმომ საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა სააპელაციო სა-

ჩივარში მითითებული არგუმენტების იდენტურ გარემოებებზე დაყრდნობით.

6.2. კასატორის მტკიცებით, ის არ არის ვალდებული დაადასტუროს, რომ საქონელი მიიღო, რადგან შეუძლებელია იმ ფაქტის დადასტურება, რომელიც არ მომხდარა, საქონლის მყიდველისათვის გადაცემის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკუთვნის, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, რამაც საქმის საბოლოო შედეგზე იქონია ზეგავლენა.

6.3. კასატორი მსჯელობს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996-ე ბრძანებაზე, რომელიც გადასახადების ადმინისტრირებას ეხება და განმარტავს, რომ წინააღმდეგობრივია გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა იმის თაობაზე, რომ, ერთი მხრივ, სასაქონლო ზედნადების არსებობა ადასტურებს საქონლის მიწოდებას, ხოლო, მეორე მხრივ, უთითებს, რომ ზედნადები შეიძლება ტრანსპორტირების დაწყებისას გამოიწეროს, რაც თავისთავად ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ საქონელი ჯერ კიდევ არ არის მიწოდებული, თუმცა ზედნადები უკვე გამოწერილია. ეს ნიშნავს, რომ გადაზიდვა დაწყებულია, თუმცა, არ ადასტურებს, რომ საქონლის მიწოდება ჯეროვნად შესრულდა. ამგვარი ვარაუდის დაშვების შემთხვევაში მოხდება ისე, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც ზედნადებს გამოწერს, გადაზიდვის დაწყებისას, იმთავითვე დაადასტურებს საქონლის მიწოდებას, რაც სამოქალაქო ბრუნვისათვის სახიფათოა. ზედნადები რომ კონკრეტულ მყიდველთან იგზავნება და მის დადასტურებაზე არ მიუწვდება ხელი მესამე პირს, გასაჩივრებულ განჩინებაშივეა მითითებული, თუმცა, დაუსაბუთებელია, რის საფუძველზე მიიჩნია სასამართლომ ზედნადები დადასტურებულად. ელ-სასაქონლო ზედნადების გამოწერას კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს, ის შეიძლება უარყოფს მეორე მხარემ და დაუდასტურებელი სახით მაინც იარსებებს ზედნადები.

6.4. საგულისხმოა ისიც, რომ საქმეში არსადაა წარმოდგენილი მყიდველის მიერ გამყიდველი საწარმოსათვის თუნდაც 35 000 ლარის გადარიცხვის დამადასტურებელი მტკიცებულება, რასაც საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე უთითებდა მოპასუხე, თუმცა, სასამართლომ იმგვარად წარმოაჩინა ეს გარემოება, თითქოს მყიდველი საწარმოს წარმომადგენელი არ უარყოფდა ამ თანხის გადარიცხვის ფაქტს და გადარიცხვის საფუძველის მითითებისაგან იკავებდა თავს. ამ კონტექსტში მოსარჩელეს შეეძლო თვითონ წარედგინა სასამართლოსათვის მოპასუხისაგან გადარიცხული 35 000 ლარის მტკიცებულება, რაც მას არ გაუკეთებია (იხ. შესაგებელი, საა-

პელაციო საჩივარი).

7. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

7.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მოპასუხე სანარმოს საკასაციო საჩივარი დასაშვებად ცნო სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიიღო არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ კასატორის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

8. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

9. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედეგება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

10. საკასაციო სასამართლო უპირველესად აღნიშნავს, თუ რა სამართლებრივი შედეგის მიღწევა სურს მოსარჩელეს და რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს იგი მას.

11. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, ნასყიდობის საფასურის გადახდის მოთხოვნა, სსკ-ის 477.2 (მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება) მუხლიდან გამომდინარეობს.

12. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორის (მყიდველის) ძირითადი საკასაციო პრეტენზია შეეხება იმას, რომ მოსარჩელეს (გამყიდველს) მოპასუხისათვის ნასყიდობის საგნის მი-

წოდების ფაქტი არ დაუდასტურებია. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა გაუმართლებლად დააკისრეს მოპასუხეს მტკიცების ტვირთი, დაესტურებინა ნასყიდობის საგნის მიუღებლობის ფაქტი. კასატორი მიიჩნევს, რომ ვინაიდან ის უარყოფს ფაქტს, მტკიცების ტვირთი ეკისრება არა მას, არამედ – მის მოწინააღმდეგე მხარეს, ვინც ადასტურებს ფაქტს. კასატორის პრეტენზია შეეხება იმას, რომ სასამართლოს გამყიდველის მიერ მისთვის გაგზავნილი ზედნადები დადასტურებულად არ უნდა ჩაეთვალა. მოპასუხე მიუთითებს, რომ მას შეეძლო ზედნადები არ დაედასტურებინა, მიუხედავად ამისა, იგი მაინც იარსებებდა დაუდასტურებელი სახით. კასატორი სადავოდ ხდის 35 000 ლარის გადახდის ფაქტსაც და აცხადებს, რომ აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარუდგენია.

13. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მთავარი საკვანძო საკითხია შეფასდეს მიწოდებულად ითვლება თუ არა მყიდველისათვის 6 830 ლარის ღირებულების საქონელი, რაზეც გამყიდველმა გასცა ელექტრონული ზედნადები.

14. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სამენარმეო საქმიანობისათვის ქვეყნის შიგნით საქონლის ტრანსპორტირებისას, ხოლო საქონლის მიწოდებისას - მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში (გარდა სპეციალური დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით განხორციელებული მიწოდებისა, რომლებიც მოიცავს სასაქონლო ზედნადებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს) სასაქონლო ზედნადები უნდა გამოიწეროს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმითა და წესით. ამასთანავე, საქონლის მიწოდებისას მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში სასაქონლო ზედნადების გამოწერისას აკრძალულია საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე შენახვა. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის თანახმად, სამენარმეო საქმიანობისათვის ქვეყნის შიგნით საქონლის მიწოდებისას გამოყენებული უნდა იქნეს სასაქონლო ზედნადები, გარდა სპეციალური ანგარიშ-ფაქტურების (№III-06 დანართი) და ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (№III-09 დანართი) მიხედვით განხორციელებული მიწოდებისა. ამავე ინსტრუქციის 25¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, ზედნადები ივსება ელექტრონულად, საქონლის მიწოდებისთანავე ან საქონლის გადაზიდვის დაწყებისთანავე. დასახელებულ ნორმათა ანალიზით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სასაქონლო ზედნადები არის საქონლის ტრანსპორტირებისათვის აუცილებელი და მიწო-

დების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ასახავს მიწოდებული საქონლის ოდენობას და მის ფასს. ამასთან, სასაქონლო ზედნადების სავალდებულო რეკვიზიტს არ წარმოადგენს მყიდველი (მიმღები) ან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა. შესაბამისად, აპელანტის მიერ მითითებული არგუმენტით საქმეში არსებული სასაქონლო ზედნადებების მტკიცებულებითი ძალა ვერ ქარწყლდებოდა და ისინი საქმეში წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებთან და მხარის აღიარებასთან (ზეპირი გარეგების ფარგლებში საქონლის მიწოდებასთან მიმართებით) ერთობლიობაში წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის სადავო მიწოდების განხორციელების დამადასტურებელ მტკიცებულებებს. სსკ-ის 429-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ კრედიტორი ყოველთვის ვალდებულია, გასცეს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამას მოვალე მოითხოვს. კანონში კრედიტორის მიმართ არსებობს მეტად ცალსახა დამოკიდებულება – იგი ავალდებულებს, მოვალის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ასეთი დოკუმენტი, თუმცა კანონი ასეთივე მომთხოვნი არ არის მოვალის მიმართ. მას შეუძლია, არ გამოითხოვოს ასეთი საბუთი კრედიტორისაგან. ბუნებრივია, კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია ვალდებულებიდან გამომდინარე მხარეთა მდგომარეობით. ნორმაში მითითებული დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის, რადგან მან მხოლოდ ამ დოკუმენტით შეიძლება დაადასტუროს ვალდებულების შესრულება, რასაც ვერ ვიტყვით კრედიტორზე. მას არანაირი საჭიროება არ აქვს, ფლობდეს ამ დოკუმენტს არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი თვალსაზრისით (იხ. სუსგ №ას-794-743-2017, 31.07.2017 წ.).

15. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები მოსარჩელის მიერ წარდგენილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებთან მიმართებით, ვინაიდან ანგარიშ-ფაქტურის მყიდველის მიერ დადასტურებისას, უტყუარად ივარაუდება, რომ მან მიწოდებული საქონელი შეიძინა, ვინაიდან ანგარიშ-ფაქტურა ეგზავნება უშუალოდ მყიდველს და მის დადასტურებაზე ხელი არ მიუწვდება მესამე პირს. შესაბამისად, თუ საწინააღმდეგოს ჰქონდა ადგილი (როგორც ამას მოპასუხე მიუთითებს), მაშინ ასეთი ფაქტი შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს და მისი დადგენა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით შეუძლებელია (იხ. სუსგ №ას-389-373-2016, 28.06.2016წ.).

16. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნასყიდობა სინალაგმატურ ვალდებულებათა რიცხვს განეკუთვნება, რომლის ფარგლებშიც მხარეები გამოდიან, როგორც ურთიერთკრედიტორები,

ისე – ურთიერთმოვალეები. სინალაგმატური (ურთიერთშემხვედრი უფლება-მოვალეობები) ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნათა შესრულების წესს ადგენს სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო, თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა (იხ. სუსგ №ას-373-347-2017, 27.10.2017 წ.).

17. მოხმობილი ნორმების, სასამართლო პრაქტიკისა და კასატორის პრეტენზიების შეფასების საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მხარეთა შორის მართებულად გაანაწილეს მტკიცების ტვირთი. სსსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად მოსარჩელემ, რომელიც აცხადებდა, რომ მოპასუხეს ნასყიდობის საგანი სრულად მიაწოდა, სასამართლოს წარუდგინა ელ. სასაქონლო ზედნადებები, ე.ი. მან წარუდგინა მტკიცებულება, რომ საქონელი მიაწოდა მყიდველს. მყიდველი, რომელიც უარყოფს საქონლის მიღებას და არ ეთანხმება ზედნადებებში ასახულ ინფორმაციას, აცხადებს, რომ ელ. ზედნადების არსებობა თავისთავად არ ნიშნავს, რომ მყიდველმა საქონელი მიიღო, ასევე, განმარტავს, რომ შესაძლოა მიმღებმა მხარემ ის უარყო კიდევ. ვინაიდან მოპასუხემ სადავოდ გახადა მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულება, მტკიცების ტვირთი ისევ მოპასუხეს შეუბრუნდა, რომელსაც უნდა დაედასტურებინა ზედნადებებში მითითებული ინფორმაციის მცდარობა. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხემ მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი ვერ დაძლია, იგი საკასაციო საჩივარშიც კი არ აცხადებს, არათუ ადასტურებს, რომ ელ. ზედნადები უარყო და არ დაადასტურა. მყიდველმა, როგორც მენარმე სუბიექტმა, რომელიც სამენარმეო ურთიერთობებში გარკვეულია, იცნობს საგადასახადო კანონმდებლობას და მიღებისთანავე სადავოდ არ ხდის ელ. ზედნადებში მითითებულ ინფორმაციას, რომელზედაც მესამე პირებს ხელმისაწვდომობა არ აქვთ, მარტოოდენ ზეპირი ახსნა-განმარტებით ვერ დასძლია და გააბათილა მოსარჩელის წერილობითი მტკიცებულება, ნასყიდობის საგნის სრულად მიღების შესახებ.

18. იმის გათვალისწინებით, რომ მყიდველმა ნასყიდობის საგანი სრულად მიიღო, ხოლო მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ნასყიდობის საფასურის ნაწილის 6 830 ლარის გადახდა ვერ დაადასტურა, მოპასუხე ვალდებულია, სსკ-ის 477.2 მუხლის საფუძველზე, გამყიდველს მოთხოვნილი თანხა აუნაზღაუროს.

19. რაც შეეხება, ნასყიდობის საფასურის დარჩენილი ნაწილის გადახდას, რასაც გამყიდველი შიდა აღრიცხვის დოკუმენტით ადასტურებს და მყიდველი სადავოდ ხდის, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ ვითარებაში, როცა 35 000 ლარს მოსარჩელე არ ითხოვს და აცხადებს, რომ მან ეს თანხა მიიღო, ამ მიმართებით უსაგნო და უსაფუძვლოა კასატორის პრეტენზიაზე მსჯელობა, მით უფრო მაშინ, როცა ნასყიდობის საგნის სრულად მიღების ფაქტი მყიდველმა ვერ გააქარწყლა.

20. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

21. საკასაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის არსებითად განხილვის ეტაპზეც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე, კასატორს არ მიუთითებია ისეთ გარემოებაზე, რაც საკასაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, საკასაციო საჩივარი დასაბუთებულად მიეჩნია, რაც საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია იმ სამართლებრივი დასაბუთებით, რაც მითითებულია.

22. სსსკ-ის 55.2 მუხლის პირველი წინადადების თანახმად, ვინაიდან მოპასუხის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ო. ჯ-ა“-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ჩუქება

გარეუბნული ნივთის გამოთხოვა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-471-450-2015

20 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ბაქაძე

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, ქონების
გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

ნ. ნ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. ნ-ის (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ 2010 წლის 26 აგვისტოს მოსარჩელესა და მოპასუხის კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების, ასევე, გაჩუქებული უძრავი ქონების გამოთხოვის მოთხოვნით.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ მარტივი შედაგების ფარგლებში სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ასევე, წარადგინა მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი და აღნიშნა, რომ სარჩელი სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლით განსაზღვრული შედაგების 1-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ იყო აღძრული.

**3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების
სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ასევე მონმის დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მათი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 5 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

5.1. გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის 26 აგვისტოს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, აპელანტმა მოპასუხეს აჩუქა ქ. თბილისში, თ-ის დასახლების ... კვარტლის ... კორპუსში მდებარე №... ბინა. ვინაიდან, ჩუქების ხელშეკრულების დადების დროისათვის მოპასუხე იყო არასრულწლოვანი, დასაჩუქრებულს წარმოადგენდა ე. ე-ი (მეურვე).

5.1.2. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ხელშეკრულების საგანი საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მოპასუხის სახელზე. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება (დამონმების თარიღი: 26.08.2010წ).

5.1.3. დასაჩუქრებული დაბადებულია 1996 წელს და არის მოსარჩელის შვილიშვილი.

5.1.4. მოსარჩელე მხარე სააპელაციო საჩივარს აფუძნებდა იმ გარემოებებზე, რომ გაჩუქებული ქონება წარმოადგენდა გამჩუქებლის საარსებო წყაროს, იგი იყო სოციალურად დაუცველი და ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდგომ მისი მატერიალური მდგომარეობა არსებითად გაუარესდა.

5.1.5. პალატის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ საფუძვლებს: თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩინებს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ; თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა. თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ, რაც მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაშია დასაშვები, კერძოდ, თუკი ჩუქების გარიგების დადების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ასეთ შემთხვევაში, მითითებული გარემოების მტკიცების ტვირთი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 103-ე მუხლის თანახმად, აწევს მჩუქებელს. ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მიზნებისთვის კი მძიმე მდგომარეობად, სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მიიჩნევა ისეთი ვითარება, რო-

დესაც გამჩუქებელს არ გააჩნია სახსრები იმისთვის, რომ გამოკვეთოს და ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოს საკუთარი თავი. განსახილველ შემთხვევაში, აპელანტმა სასამართლოს ვერ წარმოუდგინა თავისი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები, იმის შესახებ, რომ გაჩუქებული ქონება წარმოადგენდა გამჩუქებლის საარსებო წყაროს და გაჩუქებული უძრავი ქონებიდან მოსარჩელე იღებდა რაიმე შემოსავალს.

5.1.6. პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლის თაობაზე და აღნიშნა, რომ ნორმის მიზნებისათვის, ქონების გაჩუქების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქონება არის გამჩუქებლის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების საარსებო წყარო, ანუ, ამ ქონების მეშვეობით გამჩუქებელი შემოსავალს უნდა იღებდეს და გაჩუქების შემდეგ აღარ უნდა რჩებოდეს შემოსავლის სხვა წყარო, რომელიც მისი აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. საცხოვრებელი სახლის გაჩუქება, თავისთავად, არ გულისხმობს საარსებო წყაროს მოსპობას. თუ ერთადერთი საცხოვრებელი სახლის გაჩუქების შემდეგ გამჩუქებელი, უხეშად რომ ითქვას, ქუჩაში რჩება თავშესაფრის გარეშე, მას ხელშეკრულების გაუქმება შეუძლია, მოითხოვოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე და არა 526-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან, ქონების გაჩუქების შემდეგ იგი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, 526-ე მუხლი კი, ეხება შემთხვევას, როდესაც, ქონების გაჩუქების შემდეგ გამჩუქებელი შემოსავლის გარეშე რჩება. 530-ე მუხლის საფუძველზე მოთხოვნის უფლება გააჩნია მხოლოდ გამჩუქებელს, 526-ე მუხლის საფუძველზე კი, გამჩუქებლის კმაყოფაზე მყოფ პირებსაც. პალატის შეფასებით, არ დასტურდებოდა გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე სადავო ბინიდან შემოსავალს იღებდა, ასევე უდავოდ დგინდებოდა, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგაც, მოსარჩელე ცხოვრობდა სადავო ბინაში და ამ ბინით სარგებლობის უფლების შეზღუდვას, ანდა შედავებას ამ უფლებაში მოპასუხის მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

5.1.7. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტი სარჩელის დაკმაყოფილებას სხვა საფუძველზე თან ერთად, სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლზე მითითებითაც მოითხოვდა და სადავოდ ხდიდა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ იმ გარემოებას, რომ მოპასუხეს მოსარჩელისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია და უმადურობა არ გამოუჩინია. აღნიშნულ პრეტენზიას მოსარჩელე შემდეგ გარემოებაზე ამყარებს: ჩუქება განხორციელდა იმ მიზეზით, რომ დასაჩუქრებული ყურადღებას გამოიჩინდა დამსაჩუქრებლის მიმართ, მაგრამ ავად გახდომის შემდეგ მოპასუხე მის სანახავა-

დაც კი არ მისულა. მითითებული არგუმენტი პალატამ არ გაიზიარა, რადგან აღნიშნული გარემოება არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო მძიმე შეურაცხყოფის მიყენებად ან დიდ უმადურობად.

5.1.8. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შეამონმა საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 თებერვლის საოქმო განჩინების (მონმეთა დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ) კანონიერება და აღნიშნა, რომ დაუსაბუთებელი იყო მხარის პრეტენზია დასახელებული განჩინების მიმართ. გაზიარებულ იქნა გასაჩივრებული განჩინების დასკვნა იმის თაობაზე, რომ გარემოებები, რის დასადასტურებლადაც მხარეს სურდა მის მიერ დასახელებულ მონმეთა დაკითხვა, მოცემული დავის გადანყვეტისათვის არ იყო არსებითი მნიშვნელობის მქონე.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

6.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

6.1.1. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია დავის ფაქტობრივი გარემოებები, სასამართლო სხდომაზე არ შეაფასა მხარის შუამდგომლობა საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე, და არღვია საპროცესო სამართლის ნორმები, რასაც შედეგად არასწორი გადანყვეტილების გამოტანა მოჰყვა.

6.1.2. პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლი, არასწორად აღნიშნა, რომ მხარემ ვერ წარადგინა ამ ნორმით გათვალისწინებული შემადგენლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. კასატორი არ ეთანხმება პალატის მსჯელობას, რომლის თანახმადაც მას უნდა წარედგინა მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ გაჩუქებული ქონება წარმოადგენდა საარსებო წყაროს და გამჩუქებელი ველარ იღებდა შემოსავალს. მითითებული მტკიცებულებებით დგინდება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლის შემადგენლობა, ხოლო მოთხოვნილი საფუძვლით სარჩელის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში წარმოდგენილია, რაც სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ის, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადების დროს გამჩუქებელი თავად გაჰყვა დასაჩუქრებულს ქონების გადასაფორმებლად და ხელშეკრულების დადებისას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არსებულთან შედარებით იმდენად უკეთესი იყო, რომ შეეძლო დამოუკიდებლად გადაადგილება. ამჟამინდელ ერთადერთ შემოსავალს წარმოადგენს პენსია, რომელიც მედიკამენტების შეძენის-

თვისაც კი არ არის საკმარისი და რომ არა დისა და მისი ოჯახის დახმარება, კასატორი ცოცხალი აღარ იქნებოდა. პალატამ ასევე არ გამოიკვლია საქმეში არსებული სამედიცინო ცნობები და ამ თვალსაზრისით უმადურობის ფაქტზე არ უმსჯელია, არ უმსჯელია ქვეყანაში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებზეც, როდესაც ხანდაზმული ადამიანი ჩუქნის ქონებას შვილიშვილს.

6.1.3. კასატორის მიერ ჩუქების ხელშეკრულების დადების მიზანს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ დასაჩუქრებული სათანადო თანადგომასა და მხარდაჭერას გამოიჩენდა ბებუის მიმართ, ვინაიდან კასატორის შვილი უკრაინაში ცხოვრობს, ხოლო შვილიშვილი – გერმანიაში და გამჩუქებლის ერთადერთი იმედი იყო მოპაუხე. სწორედ უმადურობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ მოსარჩელე სამჯერ აღმოჩნდა საავადმყოფოში და მასთან არც ერთხელ არ მისულა მოპასუხე, რაიმე თანადგომა ბებუის მიმართ არ გამოუხატავს.

6.1.4. სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, მოპასუხეზე შესაგებელში მითითებული გარემოებები შეცვალა სასამართლოსათვის ახსნა-განმარტების მიცემისას, შესაგებელში მოპასუხე აღნიშნავდა, რომ მოსარჩელეს მისთვის დახმარების თხოვნით არასოდეს მიუმართავს, ხოლო სხდომაზე განმარტა, რომ კასატორს შესთავაზეს დახმარება და მათთან საცხოვრებლად გადასვლა, რასაც იგი არ დაეთანხმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს უძრავ ქონებაზე დადებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება და ნივთის გამოთხოვა. ამ თვალსაზრისით მხარე საკუთარ მოთხოვნას ამყარებდა იმ გარემოებებზე, რომ: მეუღლისაგან მემკვიდრეობით მიღებული საცხოვრებელი სადგომი აჩუქა არასრულწლოვან შვილიშვილს; ჩუქების ხელშეკრულება იმ პირობით გააფორმა, რომ დასაჩუქრებული და მისი კანონიერი წარმომადგენელი სათანადო მზრუნველობას გამოიჩენდნენ მოსარჩელის მიმართ, მოუვლიდნენ და მატერიალურ დახმარებას გაუწევდნენ მას; მოსარჩელეს გაურთულდა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რის გამოც არაერთხელ მოხვდა საავადმყოფოში; დასაჩუქრებულს მის მიმართ

მზრუნველობა არ გამოუჩენია, არ მიუკითხავს, ამასთანავე, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, არ შეუძენიათ სამკურნალო საშუალებები, არ გაუნწევია ფინანსური დახმარება. მოსარჩელის მოსაზრებით, მის ვაჟსა და დასაჩუქრებული პირის კანონიერ წარმომადგენელს – დედას შორის ოჯახური მდგომარეობის გართულების გამო, ე. ე-მა (მოპასუხის კანონიერი წარმომადგენელი) შეწყვიტა ის მცირედი ყურადღებაც კი, რასაც ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ იჩენდა, მოსარჩელისვე განმარტებით, ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდგომ, იმდენად გაუარესდა მისი მდგომარეობა, რომ დამოუკიდებლად არ შეუძლია ირჩინოს თავი.

1.2. სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებლის მიხედვით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, თუმცა დასაბუთებული შედავება ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარუდგენია, აღნიშნა მხოლოდ ის, რომ მოსარჩელის შვილსა და მის მეუღლეს შორის ოჯახური ურთიერთობა ფაქტობრივად 2000 წლიდანაა შეწყვეტილი და იგი 2012 წელს ვერ გართულდებოდა. დავის დამატებით ფაქტობრივ გარეობად მოპასუხემ მიუთითა დასაჩუქრებულის არასრულწლოვანებაზე, რის გამოც დ. ნ-ი ვერ შეძლებდა ბებიის ფინანსურ დახმარებას, ამასთანავე, აღნიშნა, რომ გასული იყო შედავების ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა.

1.3. გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძვლით განაცხადა, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო მისი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურება, რაც საფუძვლად დაედებოდა ჩუქების გაუქმებასა და საჩუქრის გამოთხოვას, ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2010 წლის 26 აგვისტოს ჩუქების ხელშეკრულების საგანი, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, რეგისტრირებულია მოპასუხის საკუთრებად.

1.4. სააპელაციო პალატის შეფასებებსა და დასკვნებს არ ეთანხმება კასატორი, რომელმაც წარმოადგინა პრეტენზია, როგორც განჩინების ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი დასაბუთების თაობაზე.

1.5. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემო-

ებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.6. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის არგუმენტებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო ნორმების დარღვევის თაობაზე და ყურადღებას კვლავ გაამახვილებს სარჩელში მითითებულ იმ გარემოებებზე, რომელთა თანახმადაც, სადავო ჩუქების ხელშეკრულება იმ პირობით დაიდო, რომ დასაჩუქრებული გამოიჩინდა მატერიალურ მხარდაჭერას დამსაჩუქრებლის მიმართ, მოუვლიდა და იზრუნებდა მასზე. მითითებული გარემოება მოსარჩელემ არა მარტო სარჩელში, არამედ სააპელაციო და საკასაციო საჩივარშიც მიუთითა, საქმეში წარმოდგენილი შესაგებელი ამ კუთხით არა თუ დასაბუთებულ შედავებას, ამ გარემოების უარყოფასაც კი არ შეიცავს. საკასაციო პალატა მოიხმობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლს, რომლის პირველი ნაწილის თანახმადაც, მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და მოსარჩელისათვის პასუხის (შესაგებლის) და თანდართული დოკუმენტების ასლების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამავე ნორმის მე-4 ნაწილით კი, განსაზღვრულია, რომ პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. საპროცესო ნორმის მოხმობილი დანაწესები შეიძლება განიმარტოს ამავე კოდექსის 219-ე მუხლთან ერთობლიობაში, რომლის პირველი ნაწილის თანახმადაც, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული. მოცემულ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია მოსარჩელის მტკიცება გამჩუქებლის მიმართ ნაკისრი მზრუნველობა-მოვლის ვალდებულების თაობაზე, ხოლო სასამართლოს ამ გა-

რემოებისათვის შეფასება არ მიუცია, რის თაობაზეც მართებულად მიუთითა კასატორმა.

1.7. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით გათვალისწინებულია მხარის ვალდებულება, სასამართლოს მოახსენოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც თავის მოთხოვნას ამყარებს და მოთხოვნის შინაარსი, ასევე, მიზანშეწონილია, თუ მხარეები მოთხოვნის იმ სამართლებრივ საფუძველზეც – ნორმაზე მიუთითებენ, რომელსაც მათი მოთხოვნა ან, შესაბამისად, შესაგებელი ემყარება (პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტ: სამართლებრივი საფუძვლები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს), თუმცა ეს არ არის შემზღუდავი სასამართლოსათვის და არც გავლენას ახდენს დავის შედეგზე, ანუ მოსამართლისათვის სავალდებულო არ არის მხარეთა მოსაზრებები, თუ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად რა სამართლებრივი საფუძველი უნდა იქნეს გამოყენებული და არც კანონის იმპერატიული დათქმაა, რომ გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებულ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს. თუკი მხარეები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციებს ირჩევენ, საქმის მასალებზე დაყრდნობითა და სხვაგვარი დასაბუთებით სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სასამართლო საქმიანობას, რომელიც უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას (იხ. სუსგ №ას-877-825-2010, 28 დეკემბერი, 2010 წელი). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ ისე იმსჯელა მოსარჩელის მიერ მითითებულ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლებზე, რომ მას არ გამოუკვლევია მხარეთა ნამდვილი ნება იმის შესახებ, თუ ხელშეკრულებით რეალურად რაზე შეთანხმდნენ მხარეები და არ დაუდგენია, წერილობითი გარიგება ხომ არ წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 941-ე მუხლით განსაზღვრულ ნებას, რომლის თანახმადაც, პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას (მარჩენალი), მოვალეა გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით). ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ გარიგება დადებულია წერილობით და დამონმებულია საჯარო რეესტრის უფლებამოსილი პირის მიერ, გარიგების საგანი მოსარჩელის მფლობელობაშია და ხელშეკრულების გაუქმების ერთ-

ერთ საფუძვლად მოსარჩელე მონინალმდევე მხარის მიერ სწორედ სათანადო მზრუნველობის განუხორციელებლობას მიუთითებს.

1.8. მოცემულ შემთხვევაში, პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას, ჩუქების გაუქმებისას სამოქალაქო კოდექსის 526-ე, 529-ე და 530-ე მუხლების დისპოზიციით განსაზღვრული საფუძვლების გამიჯვნის თაობაზე. პალატა აღნიშნავს, რომ ქონების უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) დროს, დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა ხდება მისი მხრიდან საპასუხო შესრულების გარეშე. ზოგადად, ის ფაქტი, რომ მოპასუხე სათანადო მზრუნველობას არ იჩენს და ყურადღებას არ აქცევს მოსარჩელეს, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს დასკვნას იმის შესახებ, რომ დასაჩუქრებულმა გამჩუქებლის მიმართ დიდი უმადურობა გამოიჩინა ან ამით აყენებს მას მძიმე შეურაცხყოფას. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა „მსგავსი მოთხოვნის შემთხვევაში, მოსარჩელის განსასაზღვრია, რომელ ქმედებას მიიჩნევს უმადურობად ან შეურაცხყოფად, თუმცა კონკრეტული ფაქტი წარმოადგენს თუ არა ისეთი სახის შეურაცხყოფას ან უმადურობას, რაც ჩუქების გაუქმებას შეიძლება დაედოს საფუძვლად, სასამართლოს შეფასების საგანია და არა თავად მოსარჩელის. სასამართლომ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი შეხედულებების, თავად ქმედების შეფასების, ასევე, კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული ნებს-ჩვეულებებისა და დამკვიდრებული მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს, იჩენს თუ არა დასაჩუქრებული უმადურობას გამჩუქებლის მიმართ ან არის თუ არა მისი ქმედება შეურაცხმყოფელი. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია თავად მხარის სუბიექტური დამოკიდებულება კონკრეტული ქმედების მიმართ, მაგრამ გადამწყვეტი ამ ქმედების შეფასებაა, იმ თვალსაზრისით, რომ, სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლიდან გამომდინარე, დასაჩუქრებულის არა ყოველგვარი გასაკიცხი ქმედება იძლევა ჩუქების გაუქმების საფუძველს, არამედ მხოლოდ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა“ (იხ. სუსგ №ას-1235-1176-2014, 2015 წლის 24 თებერვალი). გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო პალატა მხარედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ ჩუქების ხელშეკრულების ფარგლებში წინამდებარე დავის შეფასების შემთხვევაშიც კი, სააპელაციო სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლით ჩუქების გაუქმების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა,

რომ ერთადერთი ბინის გაჩუქებით მოსარჩელისათვის არაფერი შეცვლილა მატერიალური მდგომარეობის გაუარესების კუთხით, რადგანაც ის ინარჩუნებდა გაჩუქებული ბინის მფლობელობას, ამდენად, არ არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის შემადგენლობა. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს ეს შეფასება და სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მითითებული ნორმით რეგულირებისათვის ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე: გაჩუქებული ქონება წარმოადგენდა გამჩუქებლის ერთადერთ საცხოვრისს; გამჩუქებელი იყო ხანდაზმული, საჭიროებდა მოვლას და სხვა აუცილებელ დახმარებას; დასაჩუქრებულს ობიექტურად არ ჰქონდა შესაძლებლობა, მატერიალური და სხვა სახის დახმარება გაეწია ბებიისათვის. საკასაციო სასამართლოს დასკვნით, „ქონების გასხვისებით კასატორი უდავოდ ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში, მას მოესპო იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი შეხედულებით განკარგოს ქონება, მაგალითად, გააქირაოს (სსკ-ის 531-ე მუხლი) და მიიღოს სარგებელი ან მთელი სიცოცხლის მანძილზე მისთვის მისაღებ პირს (მარჩენალს) სარჩოს გადახდის პირობით, გადასცეს უძრავ ნივთზე საკუთრება (სსკ-ის 941-ე-942-ე მუხლი) და ა.შ.“ (იხ. სუსგ №ას-710-676-2015, 22 სექტემბერი, 2015 წელი).

1.9. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები (საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა), საკასაციო პალატა მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას თავად მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, ვიდრე ობიექტურად არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

2. სასამართლო ხარჯები:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ივნისის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, კასატორს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის – 500 ლარის გადახდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას, სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის 53-ე და 55-ე მუხლების შესაბამისად, უნდა იმსჯელოს პროცესის ხარჯების თაობაზეც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ნ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 5 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის განჩინებით კასატორს სახელმწიფო ბაჟის – 500 ლარის გადახდა გადავადებული აქვს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. ქირავნობა

მიმდინარე რემონტის ხარჯები

ბანჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-810-777-2016

13 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: საიჯარო ქირის დავალიანების გადახდა, ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება, საიჯარო ქირის შემცირება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „ტ-ს“ (შემდეგში: მოსარჩელე, სს, მეიჯარე ან გამქირავე-ბელი) და შპს „ს-ს“ (შემდეგში: მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, შპს, მოიჯარე, დამქირავებელი, აპელანტი ან კასატორი) შორის 2011 წლის 1 აპრილს, ერთი წლით დაიდო არასაცხოვრებელი ფართით სარგებლობაზე იჯარის სამი ხელშეკრულება: ა) 26,6 კვ.მ ფართზე – თვეში – 500 ლარის; ბ) 38 კვ.მ ფართზე – თვეში 150 ლარის და გ) 26.6 კვ.მ ფართზე – თვეში 500 ლარის ქირის გადახდის პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 581-ე, 531-ე მუხლები; იხ. ხელშეკრულებები).

2. იმავე მხარეებს შორის 2011 წლის 1 ივნისს შორის დაიდო არასაცხოვრებელი ფართის იჯარის მეოთხე ხელშეკრულება, კერძოდ, 39 კვ.მ ფართზე, თვეში 200 ლარის გადახდის პირობით (იხ. ხელშეკრულება).

3. საქმის მასალებშია საბანკო ამონაწერები, რომელთა მიხედვით დასტურდება, რომ 2011 წლის აპრილიდან, ქირის სახით, მთლიანობაში დამქირავებელს გამქირავებლისათვის გადახდილი აქვს 4800 ლარი, კერძოდ: 1350 ლარი – 30.05.2011 წ.; 1350 ლარი – 29.06.2011 წ.; 200 ლარი და 150 ლარი – 08.09.2011 წ.; 200 ლარი და 150 ლარი – 06.10.2011 წ.; 200 ლარი და 150 ლარი – 09.11.2011 წ.; 200 ლარი და 150 ლარი – 08.12.2011 წ.; 200 ლარი და 150 ლარი – 13.02.2012 წ.; 200 ლარი და 150 ლარი – 12.03.2012 წ.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 ნოემბრის

გადაწყვეტილებით დადასტურებულია, რომ გამქირავებელი ხელს უშლიდა დამქირავებელს 39 კვ.მ ფართის ფუნქციონირებაში, ასევე – 38 კვ.მ ფართის გამოყენებაში, ხოლო იმავე სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით კი დასტურდება, რომ გამქირავებელმა ელექტროენერჯის მიწოდება შეუწყვიტა დამქირავებელს და არ აძლევდა საშუალებას სრულყოფილად ემუშავა (იხ. სასამართლოს გადაწყვეტილებები);

5. საგადასახადო სამართალდარღვევის №024813 ოქმის საფუძველზე, 2012 წლის 16 თებერვალს დამქირავებელი 500 ლარით დაჯარიმდა (იხ. სამართალდარღვევის ოქმი);

6. დამქირავებელსა და შპს „მ-ას“ შორის 2011 წლის 1 ნოემბერს დაიდო ხელშეკრულება ავტომანქანა „დაფის“ ძრავისა და სირქარის კოლოფის კაპიტალური რემონტის შესახებ, რის სანაცვლოდაც ამ უკანასკნელს 15 555 ლარი უნდა გადაეხადა. შპს „მ-ამ“, როგორც შემკვეთმა მენარდეს (დამქირავებელს) 5 000 ლარი გადაუხადა.

7. საქმის მასალებშია ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის 2012 წლის 19 მაისის დასკვნა (შემდეგში: ექსპერტის დასკვნა), რომლის მიხედვით დადგენილია, რომ იჯარით გაცემული ავტონაწილების მალაზიასა და სანყობში 3 657,37 ლარის სარემონტო სამუშაოებია ჩასატარებელი (იხ. ექსპერტიზის დასკვნა).

8. გამქირავებლის სასარჩელო მოთხოვნა

8.1. გამქირავებელმა 2012 წლის 26 აპრილს სარჩელი აღძრა დამქირავებლის წინააღმდეგ და მოითხოვა ამ უკანასკნელისათვის შემდეგი თანხის დაკისრება:

8.1.1. გადაუხდელი ქირის დავალიანება – 7 350 ლარი;

8.1.2. მოპასუხის სატვირთო ავტომობილის გამქირავებლის სადღელამისო სადგომით სარგებლობისათვის 2012 წლის 1 მაისამდე წარმოშობილი დავალიანება – 1 614 ლარი და აღნიშნული სატვირთო ავტომობილის სადღელამისო სადგომის ტერიტორიიდან გაყვანამდე, ყოველთვიურად, 150 ლარის დაკისრება;

8.1.3. გამქირავებელთან 2011 წლის 1 ივნისს 39 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის მქონე ავტომანქანების სარემონტო ფართზე გაფორმებული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის 2012 წლის 1 ივნისამდე – 400 ლარი;

8.2. გამქირავებელმა 2011 წლის 20 ივნისს სასამართლო სხდომაზე გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა, კერძოდ, წარადგინა ექსპერტიზის დასკვნა და მოითხოვა მოპასუხის ქმედებით მიყენებული ზიანის – 3 657, 37 ლარის ანაზღაურება.

9. დამქირავებლის შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა

9.1. დამქირავებელმა 2012 წლის 15 ივნისის შეგებებული სარჩელით მოითხოვა:

9.1.1. გამქირავებელთან 2011 წლის 1 აპრილს 26,6 კვ.მ. კომერციული საქმიანობისათვის განკუთვნილ ფართზე (სახელოსნოზე) გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება იმავე წლის 1 სექტემბრიდან;

9.1.2. მხარეთა შორის 2011 წლის 1 აპრილს 26,6 კვ.მ ფართის მქონე ავტონაწილების მალაზიაზე ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქირის – 500 ლარის შემცირება 100 ლარამდე;

9.1.3. მხარეთა შორის 2011 წლის 1 აპრილს 38 კვ.მ ფართზე (ავტომობილების სარემონტოზე) და იმავე წლის 1 ივნისს 39 კვ.მ ფართზე (სარემონტოზე) გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების შეწყვეტილად აღიარება 2012 წლის 1 იანვრიდან და დამქირავებლის მიერ გადახდილი ქირის (იანვრის, თებერვლისა და მარტის თვეები) – 1050 ლარის დაბრუნება;

9.1.4. მოპასუხის (გამქირავებლის) ქმედებით მიყენებული ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის – 11 055 ლარის ანაზღაურება.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

10.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის (გამქირავებლის) მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და, მის სასარგებლოდ, მოპასუხეს (დამქირავებელს) დაეკისრა:

10.1.1. საიჯარო ქირა – 5 400 ლარი;

10.1.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის გადასახდელი თანხა – 400 ლარი, 2012 წლის 1 ივნისამდე;

10.1.3. ზიანის ანაზღაურების სახით – 3 657, 37 ლარი;

10.1.4. დანარჩენ ნაწილში გამქირავებლის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა;

10.2. საქალაქო სასამართლოს იმავე გადაწყვეტილებით დამქირავებლის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ:

10.2.1. 2011 წლის 1 სექტემბრიდან შეწყვეტილად იქნა აღიარებული ამ უკანასკნელსა და გამქირავებელს შორის დადებული საიჯარო ხელშეკრულება 26,6 კვ. მ ფართზე (სახელოსნო);

10.2.2. დამქირავებელს შეუმცირდა ქირა 26,6 კვ.მ. საიჯარო ფართზე (ავტონაწილების მალაზიაზე) და იგი განისაზღვრა 200 ლარით, ნაცვლად 500 ლარისა, 2011 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 1 აპრილამდე;

10.2.3. დანარჩენ ნაწილში შეგებებული სარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

10.3. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში მითითებული გარემოებები და განმარტა:

10.3.1. 26,6 კვ.მ ფართის ავტოსახელოსნოზე დამქირავებელმა რეალურად შეწყვიტა ხელშეკრულება 2011 წლის 1 სექტემბრიდან. საქმეში დაცული მტკიცებულებები ადასტურებდა, რომ მხარეებს შორის არსებობდა დაძაბული ურთიერთობა. გამქირავებელი (მეიჯარე) აწესებდა ტერიტორიაზე ავტომანქანების დგომისათვის გარკვეულ საფასურს, რადგან მიაჩნდა, რომ დამქირავებლთან სარემონტოდ მისულ ავტომანქანებსაც უნდა გადაეხადათ აღნიშნული საფასური. ამ მიზეზით გამქირავებელი ზღუდავდა ავტომობილების შესვლას მის ტერიტორიაზე, რაც აუცილებელი იყო ავტოსახელოსნომდე მისასვლელად. დამქირავებელი საწარმოს დირექტორმა 2011 წლის 26 აგვისტოს წერილში გამქირავებლისადმი, გამოხატა პრეტენზია და ამ უკანასკნელს აცნობა, რომ 2011 წლის ხელშეკრულება ავტომანქანების სახელოსნოს იჯარის შესახებ შეწყვეტილი იყო, რის გამოც ითხოვდა, რომ საიჯარო ფართი ჩაებარებინა (მიეღო) გამქირავებელს. ამ უკანასკნელის 2011 წლის 29 აგვისტოს წერილი კი ადასტურებდა, რომ გამქირავებელი ავალდებულებდა დამქირავებელს, რომ მისი მომსახურების მოლოდინში მყოფ ავტომობილებს დგომის საფასური გადაეხადათ. ამავე წერილით ირკვევა, რომ გამქირავებელი დამქირავებელს სარეკლამო აბრის განთავსების უფლებას მისცემდა ქ. თბილისის მერიიდან შესაბამისი ნებართვის მიტანის შემთხვევაში. მეიჯარის 2011 წლის 27 სექტემბრის წერილით დასტურდებოდა, რომ დამქირავებელს შეწყვეტილი ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება ავტოსახელოსნოზე, თუმცა, არ ეთანხმებოდა ამას;

10.3.2. საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმის მასალებში წარდგენილ სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, რომლებითაც დასტურდებოდა, რომ გამქირავებელი ხელს უშლიდა დამქირავებელს ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებების განხორციელებაში, არ აწვდიდა ელექტროენერგიას, არ რთავდა ნებას დაეყენებინა სარეკლამო აბრა, არ უშვებდა ავტომანქანებს, ასევე – მომსახურე პერსონალს და სხვ. (იხ. ამ განჩინების მე-4 პუნქტი და ქვემოთ მე-15 პუნქტი).

11. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ავტოსახელოსნოს დამქირავების ხელშეკრულება დამქირავებელმა 2011 წლის 1 სექტემბერს შეწყვიტა გამქირავებლის ხელშემულის გამო, ამიტომ ამ ნაწილში შეგებებული მოსარჩელის მოთხოვნა დასაბუთებული იყო და ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა აღიარებულიყო.

12. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, დამქირავებელმა ვერ

დაადასტურა, რომ ამ განჩინების მე-6 პუნქტში მითითებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გამო, მან მიიღო 10 555 ლარის ზიანი. სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2011 წლის 2 ნოემბერს შპს „მ-ამ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ნაწილი – 5000 ლარი გადაიხადა. საქმეში არსებული ამონაწერებით საბანკო გადარიცხვებიდან არ დასტურდებოდა, რომ დამქირავებელმა, როგორც მენარდემ, აღნიშნული თანხა შემკვეთს დაუბრუნა, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში აუცილებლად მოხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 10 555 ლარის დამქირავებლისათვის ჩარიცხვა არ დასტურდებოდა, საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დამქირავებელს იჯარის ხელშეკრულება აქვს დადებული სხვა ორგანიზაციასთან, კერძოდ, შპს „ს. კ-თან“ (ამაზე საქმის განხილვისას მოსარჩელეც უთითებდა), შესაბამისად, რადგან მიღებული თანხა არ დაუბრუნებია მოპასუხეს, ამ უკანასკნელს უნდა დაემტკიცებინა, თუ რატომ არ დააბრუნა 5000 ლარი, თუკი ხელშეკრულება შეწყდა;

13. სასამართლომ იმაზეც იმსჯელა, რომ შპს „მ-ასთან“ დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად არ იყო აუცილებელი მოსარჩელის (დამქირავებლის) კუთვნილ საიჯარო ფართში ყოფნა, მისი შესრულება დამქირავებელს შეეძლო ნებისმიერ სათანადოდ მოწყობილ ადგილზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ შეგებულ მოსარჩელეს უნდა დაედასტურებინა მისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც მან ვერ შეძლო.

14. საქმის მასალებშია საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება, ამის შემდეგ კი – ამავე გადაწყვეტილებაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც დასტურდება, რომ დამქირავებლის სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების შედეგად, ამ უკანასკნელის მიერ 39 კვ.მ და 38 კვ.მ ფართების სარგებლობაში ხელშეშლა აეკრძალა დამქირავებელს, მასვე აეკრძალა ავტონაწილების მალაზიის შენობაზე სარეკლამო აბრის განთავსებაში დამქირავებლისათვის ხელშეშლა.

15. საქმეში ასევე წარდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, დამქირავებელს დაევალა დამქირავებლისათვის ელექტროენერჯის მიწოდების აღდგენა; დამქირავებელს აეკრძალა დამქირავებლის თანამშრომლებისათვის დაქირავებულ ფართებამდე მისვლაში ხელშეშლა, ასევე – სარემონტო სამუშაოებზე ავტომანქანებისათვის მისვლის ხელშეშლა. სასამართლოების მიერ აღრე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, განსახილველ საქ-

მეზე მსჯელობისას, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა: იმ დაშვებით, რომ 2012 წლის 1 იანვრიდან იჯარით აღებული ფართებით აღარ სარგებლობდა შპს (შეგებებული მოსარჩელე), დაუსაბუთებელი იყო, თუ რა ინტერესი ჰქონდა მას, ამ თარიღის შემდეგ მიეღო სასამართლოს გადაწყვეტილებები სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე. სასამართლოს დასკვნით, საქმის მასალებში დაცული 2012 წლის თებერვალსა და აპრილში მომზადებული წერილები და მიმოწერა ადასტურებდა, რომ საიჯარო ფართებს რეალურად ფლობდა დამქირავებელი. ამავე ფაქტს ადასტურებდა, ასევე, ამ უკანასკნელის მიერ ქირის ნებაყოფლობით გადახდა, კერძოდ, 2012 წლის 13 თებერვალსა და 12 მარტს. სსკ-ის 361-ე მუხლის თანახმად, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას.

16. ზემოხსენებული გარემოებების შეჯერების შედეგად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოიჯარე (მოპასუხე) 2011 წლის სექტემბრის შემდეგაც 2012 წლის აპრილამდე ფლობდა და სარგებლობდა სადავო ფართებით.

17. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია სსკ-ის 581-ე მუხლის დანაწესი: „იჯარის ხელშეკრულებით მიიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მიიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით...“.

18. ამ განჩინების პირველ და მეორე პუნქტებში დასახელებულ ხელშეკრულებებზე მითითებით, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულება ავალეობდა იჯარის გამცემს, რომ მას უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი გადაეცა იჯარის მიმღებისათვის (სსკ-ის 534-ე-535-ე მუხლები). იჯარის დადების დროისათვის არ არსებობდა რაიმე პრეტენზია მოიჯარის მხრიდან, რაც დაადასტურებდა ნივთების ნაკლს. ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების დადებისა და მოიჯარისათვის ნივთების გადაცემის მომენტში, ფართები აკმაყოფილებდა ნაყენებულ მოთხოვნებს და ვარგისი იყო სამენარმეო საქმიანობისათვის. სსკ-ის 581-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-ე-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული“. სსკ-ის 541-ე მუხლის თანახმად, „1. თუ დაქირავებული ნივთი მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცემა დამქირავებელს დაგვიანებით, ან, თუ შემ-

დგომში მას წაერთვა სარგებლობის უფლება, მაშინ დამქირავებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ ვადის დაცვის გარეშე, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მოშლისათვის. უარი ხელშეკრულებაზე დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ გამქირავებელი დამქირავებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ აღკვეთს სარგებლობისათვის ხელშემშლელ გარემოებებს. 2. ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ იმ გარემოებათა შედეგად, რომლებიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველს იძლევიან, დამქირავებელმა დაკარგა ინტერესი ამ ხელშეკრულებისადმი“.

19. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გამქირავებლის მიერ განხორციელებული ხელშეშლა, რაც სხვადასხვა საშუალებებით იქნა გამოხატული, საფუძველს ქმნიდა, რომ დამქირავებელს განეცხადებინა პრეტენზია ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად. საქმეში არსებული მიმოწერა, სასამართლოს გადაწყვეტილებები, სააღსრულებო წარმოების აქტები და საპატრულო პოლიციის აქტები ნათლად ადასტურებდა, რომ მოპასუხეს სამართლებრივად დასაბუთებული უფლება ჰქონდა, შეეწყვიტა იჯარის ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, ასევე, ეცნობა ფართის მესაკუთრეს (შეგებებული სარჩელის მოპასუხეს) 2011 წლის აგვისტოს თვეში. სასამართლომ დაასკვნა, რომ სარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

20. სსკ-ის 536.1 მუხლის თანახმად, „თუ გაქირავებულ ნივთს აღმოაჩნდება ნაკლი, მაშინ დამქირავებელს ქირა შეუმცირდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდა ნივთის ვარგისიანობა ნაკლის გამო. ნაკლის გამოსწორებისას ეს უფლება ძალას კარგავს. უმნიშვნელო ნაკლი მხედველობაში არ მიიღება“. დამქირავებელმა მოითხოვა 26,6 კვ.მ. ფართის საიჯარო ფართზე (ავტონაწილების მალაზია) ქირის 500-დან 100 ლარამდე შემცირება 2011 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 1 აპრილამდე. სასამართლოს შეფასებით, საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები ადასტურებდა, რომ დამქირავებელს არ ეძლეოდა საშუალება უნაკლოდ და სრულყოფილად ესარგებლა საიჯარო ფართით (იხ. ამ განჩინების 14-15 პუნქტები). სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო და 2011 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 1 აპრილამდე შემცირებულიყო ქირა 500 ლარიდან 200 ლარამდე.

21. სასამართლომ არ გაიზიარა შეგებებული სარჩელის მტკიცება, რომ საგადასახადო ორგანოს მიერ დაფიქსირებული ჯარიმა – 500 ლარი მოსარჩელეს უნდა დაკისრებოდა და განმარტა, რომ მენარმე სუბიექტს ევალება, იყოს გონივრულად ფრთხილი და წინდახედული, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ობიექტს ელექტროენერგია არ მიენოდებოდა, მენარმე ვალდებულია საკასო აპარატის

გამოყენების გარეშე, სხვა საშუალებით (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) ეწარმოებინა საქონლის რეალიზება. საგადასახადო კოდექსი არ უშვებს გამოწვევებს და მენარმეს ევალეზა ალტერნატიული გზებით აღრიცხოს რეალიზებული პროდუქტი და დაიცვას საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები. სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად ელ-ენერჯის მინოდების შეზღუდვისა, საგადასახადო სამართალდარღვევის თავიდან აცილების შესაძლებლობა ჰქონდა შპს-ას, რაც მან ვერ უზრუნველყო.

22. სსკ-ის 547-ე მუხლის თანახმად, გაქირავებული ნივთის ცვლილებების ან გაუარესებისათვის, რაც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობით, დამქირავებელი პასუხს არ აგებს. ამავე კოდექსის 548-ე მუხლის თანახმად კი – „1. მიმდინარე რემონტის ჩატარება, ჩვეულებრივ, ევალეზა დამქირავებელს. მას არა აქვს საცხოვრებელი სადგომის გადაკეთების ან რეკონსტრუქციის უფლება დამქირავებლის თანხმობის გარეშე. 2. დამქირავებელი მოვალეა ეს სამუშაოები შეასრულოს საკუთარი ხარჯებით. 3. დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია დამქირავებლის მიერ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობით“. სასამართლომ საქმის მასალებში წარდგინილი ექსპერტიზის დასკვნისა და ფოტომასალის საფუძველზე მიიჩნია, რომ დამქირავებელმა საიჯარო ფართში გარკვეული სამუშაოები ჩაატარა, რაც საჭიროებდა რემონტს. ექსპერტიზის დასკვნით, სადავო ობიექტებზე დაზიანების გამოსასწორებლად ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულებამ 3 657,37 ლარი შეადგინა. სსკ-ის 408-ე მუხლის თანახმად, „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო თანხა მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა მის მიერ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანგარიშში.

23. სსკ-ის 532-ე მუხლის თანახმად, „დამქირავებელი მოვალეა გადასცეს დამქირავებელს გაქირავებული ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა“. აღნიშნული ნორმა გულისხმობს, რომ დამქირავებელს ხელი უნდა შეეწყოს დამქირავებლისათვის, რომ მას დამქირავებული ფართი (მათ შორის ამ ფართამდე მისასვლელი გზა, მანქანის დასაყენებელი ადგილი, როდესაც იგი დამქირავებლის საკუთრებაში იყო და არ უშლიდა ხელს მის საქმიანობას) გამოეყენებინა დანიშნულებისამებრ. კონკრეტულ შემთხვევაში სასამარ-

თლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ავტოსადგომზე გასარემონტებელი ავტომანქანის დგომის ღირებულების გადახდის თაობაზე სრულიად დაუსაბუთებელი იყო, რადგან მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით და სამოქალაქო კოდექსის დებულებებით ცალსახად იგულისხმებოდა, რომ დამქირავებელს უფლება ჰქონდა, სადგომზე გაეჩერებინა ავტომანქანა და ჩაეტარებინა მისთვის სარემონტო სამუშაოები. მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, რომ აღნიშნული ავტომანქანა არ იდგა გასარემონტებლად.

24. საქალაქო სასამართლოს დასკვნით, გარდა ზემოაღნიშნულისა, საქმის მასალებში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებები ადასტურებდა, რომ გამქირავებელს მოეთხოვებოდა იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში გასარემონტებელი და ავტონაწილების ყიდვის მიზნით შესული ავტომანქანებისათვის არ შეექმნა დაბრკოლებები. სსკ-ის 408-ე მუხლი ადგენს ზიანის ანაზღაურებაზე პირის ვალდებულებას, ალადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება, ხოლო სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, „ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო“. სსკ-ის 414-ე მუხლი განსაზღვრავს ზიანის ოდენობის განსაზღვრის წესს, კერძოდ, „ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. ზიანის ოდენობის დასადგენად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების შესრულების დრო და ადგილი“. სასამართლომ მიიჩნია, რომ 2011 წლის 1 ივნისს დადებული ხელშეკრულების ვადა გადიოდა 2012 წლის 1 ივნისს. ხელშეკრულების შეწყვეტით და საიჯარო თანხის გადახდის შეწყვეტით გამქირავებელს არ მიუღია 2 თვის შემოსავალი – 400 ლარი. მართალია, 2011 წელსა და 2012 წლის დასაწყისში არსებობდა გარკვეული უთანხმოებები მხარეებს შორის, მაგრამ 2012 წლის თებერვლის შემდეგ, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებებით მოსარჩელეს (გამქირავებელს) დაევალა ხელშეშლის აღკვეთა, მხარეებს რაიმე პრეტენზიები ერთმანეთის მიმართ აღარ ჰქონიათ. ამიტომ დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული დამქირავებლის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტა.

25. საქალაქო სასამართლომ დამქირავებლის შეგებებული სარჩელის მოთხოვნებზე იმსჯელა და აღნიშნა, რომ ზოგიერთი მოთხოვნა ერთსა და იმავე საკითხს ეხებოდა და მოთხოვნები

ერთმანეთს აბათილებდნენ. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ აღნიშნა, რომ:

25.1. 26,6 კვ.მ ფართის საიჯარო ქონებაზე შეწყვეტილად იქნა აღიარებული საიჯარო ხელშეკრულება 2011 წლის 1 სექტემბრიდან, აღნიშნული ხელშეკრულებით შეგებებულ მოსარჩელეს (მოპასუხეს, დამქირავებელს) უნდა გადაეხადა მხოლოდ 5 თვის საიჯარო ქირა, რაც შეადგენდა 2500 ლარს (თვეში 500 ლარი);

25.2. სასამართლომ არ გაიზიარა შეგებებული მოსარჩელის მოთხოვნა 38 კვ.მ და 39 კვ.მ საიჯარო ფართებზე ხელშეკრულებების ვადაზე ადრე, 2012 წლის 1 იანვრიდან შეწყვეტის აღიარების თაობაზე, შესაბამისად, მიიჩნია, რომ ამ ფართების საიჯარო ქირა უნდა დაანგარიშებულიყო, 38 კვ.მ ფართის შემთხვევაში – 12 თვეზე, ხოლო 39 კვ.მ ფართზე – 10 თვე. ორივე ფართისათვის მოპასუხეს დაეკისრა 3800 (200X10+150X12) ლარის გადახდა;

25.3. 26,6 კვ.მ ფართის (ავტონაწილების მალაზია) საიჯარო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, შემცირდა საიჯარო ქირა 2011 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 1 აპრილამდე, აღნიშნული საიჯარო თანხა უნდა დაანგარიშებულიყო შემდეგნაირად: 5 თვეზე უნდა დაანგარიშებულიყო 500 ლარი თვეში, ხოლო დარჩენილ 7 თვეზე – თვეში 200 ლარი, რაც საბოლოოდ 2500+1400=3900 ლარს შეადგენდა;

25.4. სასამართლომ ზემოთ უკვე იმსჯელა დამქირავებლის მიერ მთლიანად გადახდილი იჯარის თანხაზე, რაც 4800 ლარს შეადგენდა (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი);

25.5. სასამართლომ მიიჩნია, რომ დამქირავებელს უნდა დაჰკისრებოდა მის მიერ გადასახდელ და უკვე გადახდილ ქირის თანხას შორის არსებული სხვაობა, რაც შეადგენდა (2500+3800+3900) – 4800 = 5400 ლარს. რადგან სასარჩელო მოთხოვნა აღნიშნულს აღემატებოდა, სასამართლო ვალდებული იყო სარჩელის ფარგლებში ემსჯელა მის დაკმაყოფილებაზე.

26. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ შპს „მ-ას“ (შემდეგში: შემკვეთი) და დამქირავებელს შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება (სსკ-ის 629-ე მუხლი). შემკვეთმა 2011 წლის 2 ნომბერს გადაიხადა თანხის ნაწილი – 5000 ლარი. დამქირავებელი ითხოვდა დანარჩენი გადაუხდელი თანხის დაკისრებას გამქირავებლისათვის, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ ხელშეკრულება ვერ შესრულდა და დანარჩენი თანხა არ მიუღია.

27. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში, როდესაც თანხის 2/3 ნაწილი გადახდილი იყო და ამ სოლიდური თანხის დაბრუნება არ ხდებოდა, ზიანის მომთხოვნ მხარეს ევალდებოდა, დაესაბუთებინა, რომ თუ სხვა გარემოებებში და სხვა ადგილ-

ზე არ შეუსრულებია ნარდობის ხელშეკრულება მოპასუხეს, რისი ეჭვებიც სასამართლო სხდომაზე გამოთქვა მოსარჩელემ (გამქირავებელმა), რატომ არ მოითხოვა შემკვეთმა და არ დააბრუნებინა მენარდეს (ამ შემთხვევაში დამქირავებელს) 5000 ლარი. გარდა საბანკო ამონაწერებისა, მოსარჩელეს ევალეზოდა, სარწმუნოდ დამტკიცებინა ზიანის მიყენების ფაქტი და წარედგინა დამატებითი მტკიცებულებები. ამ სარჩელთან მიმართებით გამქირავებელი შეზღუდული იყო რაიმე მტკიცებულებების წარდგენით. საქმის მასალებიდან ჩანდა, რომ დამქირავებელს იჯარით აქვს აღებული სხვა სუბიექტთა ქონებაც, რაც ბუნებრივად იწვევდა ეჭვს, რომ აღნიშნულ ადგილზე მოხდა ხელშეკრულების შესრულება შემკვეთის სასარგებლოდ. აღნიშნული ეჭვები არ გაქარწყლებულა. სასამართლომ მიიჩნია, რომ შეგებებული სარჩელის ავტორმა ვერ დაუსაბუთა სასამართლოს ხელშეკრულების შეუსრულებლობით ზიანის მიყენების ფაქტი.

28. მოპასუხის (დამქირავებლის) სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

28.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ (შეგებებულმა მოსარჩელემ, დამქირავებელმა), რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, დამქირავებლის დაკმაყოფილებული სარჩელისა და დამქირავებლის უარყოფილი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, მოითხოვა. აპელანტმა ახალი გადაწყვეტილების მიღებით, დამქირავებლის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და დამქირავებლის შეგებებული სარჩელის უარყოფილი ნაწილის დაკმაყოფილება შემდეგ სააპელაციო პრეტენზიებზე მითითებით მოითხოვა:

28.1.1. სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.1.3. პუნქტში ასახული ფაქტობრივი გარემოება, რომ დამქირავებელს, ქირის სახით, სულ გადახდილი აქვს 4800 ლარი, მათგან 1350 ლარი 2011 წლის მაისისა და ივნისის თვეებში, ხოლო 350 ლარი – 2011 წლის სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის, 2012 წლის თებერვლის, მარტის თვეებში. დამქირავებელი 2011 წლის მაისის თვეში არ გადაიხდიდა 1350 ლარს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 2011 წლის მაისისთვის მხარეთა შორის გაფორმებული იყო სამი 500, 500 და 150 ლარის ღირებულების იჯარის ხელშეკრულება, ანუ გადასახდელი იყო 1150 ლარი და არა 1350 ლარი. პირველ 5 თვეში დამქირავებელს ქირის სახით გადახდილი აქვს 6350 ლარი, შემდეგ კი, იგი ყოველთვიურად იხდიდა 350 ლარს – ორი საიჯარო ფართის გადასახადს. ერთად აღებული ყველა გადახდის გათვალისწინებით კი, მიღებული თანხა ბევრად უფრო მეტია სასამართლოს მიერ დადგენილ 4 800

ლარზე;

28.1.2. გამქირავებლის სარჩელის საფუძველია ხელშეკრულების გაფორმებიდან ბოლო 7 თვე და ამ 7 თვეში, მოსარჩელის მოსაზრებით, მოპასუხის მიერ გადაუხდელი საიჯარო თანხების უკანონობა, რის დაკისრებასაც ითხოვდა ამ უკანასკნელისათვის;

28.1.3. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში (3.2.2. პუნქტი) სასამართლო აღნიშნავს, რომ დამქირავებელმა ვერ დაადასტურა შემკვეთის წინაშე ნაკისრი ვალდებულების გამო ზიანის არსებობა, რაც 10 555 ლარს შეადგენს (იხ. ამ განჩინების 26-ე პუნქტი). მხარეთა შორის შეთანხმებული 15 555 ლარიდან ნაწილი – 5000 ლარი შემკვეთმა წინასწარ გადაიხადა. მენარდემ (მოცემულ შემთხვევაში დამქირავებელმა) ნოემბრის თვეში ხელშეკრულების ფარგლებში გარკვეული სარემონტო სამუშაოები ჩატარა შემკვეთის ავტომანქანას, ხოლო 23 დეკემბერს აღნიშნული ავტომანქანა უნდა გაჩერებულიყო დამქირავებლის (მენარდის) სარემონტო სახელოსნოსთან ძრავის გასარემონტებლად, თუმცა, მოსარჩელემ (გამქირავებელმა) არ შეუშვა სარემონტოდ მისული ავტომობილი თავის ტერიტორიაზე. სასამართლოს მსჯელობის საწინააღმდეგოდ, თურათომ არ დაუბრუნა დამქირავებელმა (მენარდემ) შემკვეთს გადარიცხული 5 000 ლარი, აპელანტი უთითებდა, რომ მან გარკვეული სამუშაოები ჩაატარა. იმ ფაქტს, რომ ზემოხსენებული პერიოდის განმავლობაში შემკვეთის ავტომობილი იდგა მოპასუხის სარემონტო საამქროსთან და ეს უკანასკნელი ატარებდა სარემონტო სამუშაოებს, ადასტურებდა მოსარჩელეც, სწორედ ამიტომ არ მოხდა თანხის უკან გადარიცხვა, ამასთან, არა მხოლოდ აღნიშნული თანხის, არამედ უფრო მეტი ღირებულების სამუშაოები ჰქონდა ჩატარებული მოპასუხეს;

28.1.4. დამქირავებელი ადასტურებდა, რომ მას ბოლო 7 თვის განმავლობაში არ გადაუხდია 500 ლარი, ყოველთვიური გადასახდელი 26,6 კვ.მ (სახელოსნო) ფართზე და 500 ლარი ყოველთვიური გადასახდელი 26,6 კვ.მ (მაღაზია) ფართზე, სწორედ ამიტომ შეგებებული სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა 26,6 კვ.მ (სახელოსნო) ფართზე საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება 2011 წლის 1 სექტემბრიდან და 26,6 კვ.მ. (მაღაზია) ფართზე საიჯარო ქირის შემცირება. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ შეწყვეტილად მიიჩნია 2011 წლის 1 აპრილის ხელშეკრულება 26,6 კვ.მ-ზე (სახელოსნოზე) 1 სექტემბრიდან, ხოლო 26,6 კვ.მ-ზე (მაღაზია) – შეამცირა საიჯარო ქირა 200 ლარამდე 2011 წლის 1 სექტემბრიდან. აღნიშნული იმას ნიშნავდა, რომ დამქირავებელს არ უნდა დაკისრებოდა 1400 ლარზე მეტი საიჯარო თანხა; აპელანტს მიაჩნია, რომ არც ამ თანხის დაკისრების წინაპირობა

არსებობდა იმის გამო, რომ დავა ხელმეორედ განიხილა სასამართლომ და ყველა ხელშეკრულებაზე, რომელიც საიჯარო ქირის შემცირებას ეხებოდა, სასამართლოს ადრე, 2012 წლის 5 დეკემბერს მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომელიც ამ თვალსაზრისით არ გასაჩივრებულა.

28.1.5. აპელანტს მიაჩნია, რომ სასამართლოს სრულად უნდა დაექმაცოფილებინა შეგებებული მოსარჩელის (დამქირავებლის) მოთხოვნა 26,6 კვ.მ ფართის მალაზიაზე ქირის 100 ლარამდე შემცირებაზე, 2011 წლის 1 სექტემბრიდან;

28.1.6. აპელანტი ასაჩივრებს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას მოპასუხისათვის (დამქირავებლისათვის) გამქირავებლის სასარგებლოდ ზიანის ასანაზღაურებლად 3 657, 37 ლარის დაკისრების ნაწილშიც და უთითებს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში დაეყრდნო ექსპერტიზის დასკვნას (იხ. ამ განჩინების მე-7 პუნქტი), რომელიც არ ასახავს საიჯარო ფართის ჩაბარების მომენტისათვის (2012 წლის 1 აპრილი) არსებულ მდგომარეობას; გარდა ამისა, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ვადის გასვლის შემდეგ, დამქირავებლის მიერ ფართში კაპიტალური რემონტის ჩატარების ვალდებულებას;

28.1.7. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დამქირავებელს უსაფუძვლოდ დაეკისრა ვადამდე შეწყვეტილი ხელშეკრულების ქირა – 400 ლარი;

28.1.8. სასამართლომ ზოგ შემთხვევაში არ გამოიყენა, ზოგ შემთხვევაში არასათანადოდ განმარტა სსკ-ის 352-ე, 405-ე და 411-ე მუხლები. სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მითითებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. აღნიშნული მუხლის სათანადო განმარტების შემთხვევაში, ის უნდა გამხდარიყო სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი 1050 ლარის მოპასუხისათვის დაბრუნების ნაწილში. სსკ-ის 535-ე მუხლის დანაწესით, თუ გაქირავებულ ნივთს აღმოაჩნდა ნაკლი, მაშინ დამქირავებელს ქირა შეუმცირდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდა ნივთის ვარგისიანობა ნაკლის გამო, ნაკლის გამოსწორებისას კი, უფლება კარგავს ძალას. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. განსახილველ შემთხვევაში, დამქირავებელს ჯეროვნად რომ შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, ხელი არ შეეშალა დამქირავებლისათვის დაქირავებული ნივთის სამენარმეო საქმიანობისთვის გა-

მოყენებაში, კერძოდ, შეეშვა სარემონტო საამქრომდე სარემონტოდ მისული ავტომანქანა, აპელანტი (მოპასუხე) მიიღებდა შემოსავალს – 10 555 ლარს, რომლის მიუღებლობის ერთ – ერთი მიზეზი იყო მოსარჩელის მიერ ხელის შეშლა, მის მიერ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება.

29. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და დასკვნები

29.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით დამქირავებლის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილების პირველი პუნქტი (დამქირავებლისათვის გამქირავებლის სასარგებლოდ 5 400 ლარის დაკისრების ნაწილში) გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება.

29.1.1. გამქირავებლის სარჩელი დამქირავებლისათვის ქირის დაკისრების თაობაზე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

29.1.2. დამქირავებელს გამქირავებლის სასარგებლოდ დაეკისრა 1400 (ათას ოთხასი) ლარის გადახდა.

29.1.3. დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

29.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-2 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და სააპელაციო საჩივრის განხილვისას ყურადღება გაამახვილა, ძირითადი მოსარჩელისა (გამქირავებლის) და შეგებებული მოსარჩელის (დამქირავებლის) სასარჩელო მოთხოვნებსა და საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა გამქირავებლის სარჩელი და დამქირავებლის შეგებებული სარჩელი (იხ. ამ განჩინების 8-10 პუნქტები).

29.3. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დამქირავებელსა და გამქირავებელს შორის 26,6 კვ.მ ფართზე (სახელოსნო), საიჯარო ხელშეკრულების 2011 წლის 1 სექტემბრიდან შეწყვეტილად აღიარების შესახებ გადაწყვეტილება გამქირავებელს (ძირითად მოსარჩელეს) არ გაუსაჩივრებია, შესაბამისად, ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმება არ წარმოადგენდა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს. ასევე, გამქირავებელს არ გაუსაჩივრებია გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დამქირავებელს შეუმცირდა ქირის ოდენობა 26,6 კვ.მ საიჯარო ფართზე (ავტონაწილების მალაზია) და იგი განისაზღვრა 200 ლარით ნაცვლად 500 ლარისა, 2011 წლის 1 სექტემბრიდან – 2012 წლის 1

აპრილამდე.

29.4. სააპელაციო საჩივარში აპელანტი (დამქირავებელი) უთითებდა, რომ გამქირავებლის სარჩელის მიხედვით, სადავო პერიოდი მხარეთა შორის დადებული ერთნლიანი ხელშეკრულებების (26,6 კვ.მ ავტონაწილების მალაზიაზე და 16,6 კვ.მ სახელოსნოზე) ბოლო შვიდი თვე და ამ შვიდი თვის განმავლობაში, გამქირავებლის შეფასებით, დამქირავებლის მიერ ქირის თანხების კანონდარღვევით გადაუხდელობა. სწორედ ამ პერიოდის გადაუხდელი თანხების დაკისრებას ითხოვდა გამქირავებელი (ძირითადი მოსარჩელე) დამქირავებლისათვის (მოპასუხისათვის). თავის მხრივ, დამქირავებელი ადასტურებდა, რომ მას ბოლო შვიდი თვის განმავლობაში არ გადაუხდია 500 ლარი ყოველთვიური ქირა 26,6 კვ.მ-ზე (სახელოსნოს ფართზე) და 500 ლარი ყოველთვიურად – 26,6 კვ.მ-ზე (ავტონაწილების მალაზიაზე). აპელანტი იმაზეც უთითებდა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დამქირავებლის შეგებებული სარჩელი და შეწყვეტილად იქნა აღიარებული 2011 წლის 1 აპრილის ხელშეკრულება იმავე წლის 1 სექტემბრიდან 26,6 კვ.მ სახელოსნოზე, ამასთან, 2011 წლის 1 სექტემბრიდან 500 ლარიდან ქირა 200 ლარამდე შემცირდა 26,6 კვ.მ მალაზიაზე. აპელანტის მოსაზრებით, ძირითადი მოსარჩელის მოთხოვნის (გადაუხდელი ქირის მოპასუხისათვის დაკისრების) დაკმაყოფილების პირობებში, დამქირავებელს, 2014 წლის 18 ივნისის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, ქირა 1400 ლარზე მეტი არ უნდა დაჰკისრებოდა.

30. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მთლიანობაში ქირის სახით დამქირავებელს გამქირავებლისათვის გადახდილი აქვს 4800 ლარი (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი). შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დამქირავებელს უნდა დაჰკისრებოდა მის მიერ გადასახდელი ქირისა და უკვე გადახდილ ქირას შორის სხვაობა, რაც სასამართლოს მითითებით შეადგენდა 5 400 ლარს.

31. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გამქირავებელი დამქირავებლისაგან სარჩელით მოითხოვდა მხარეთა შორის იჯარის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე გადაუხდელი ქირის დაკისრებას შემდეგი პერიოდულობითა და ოდენობით:

31.1. 2011 წლის სექტემბრის დავალიანება – 1000 ლარი (500-500 ლარი თითოეულ ხელშეკრულებაზე, რომლებიც დადებულია 26,6 კვ.მ ფართობის ორ ობიექტზე – სახელოსნოსა და ავტონაწილების მალაზიაზე);

31.2. 2011 წლის ოქტომბრის დავალიანება – 1000 ლარი, 2011 წლის ნოემბრის – 1000 ლარი, 2011 წლის დეკემბრის – 1000 ლარი,

2012 წლის იანვრის დავალიანება – 1350 ლარი, 2012 წლის თებერვლის – 1000 ლარი, 2012 წლის მარტის – 1000 ლარი; საერთო ჯამში მეიჯარე ითხოვდა 7 350 ლარს.

32. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ ძირითადი მოსარჩელის (გამქირავებლის) მოთხოვნას წარმოადგენდა მხარეთა შორის დადებული ერთნაირი ხელშეკრულებებიდან (26,6 კვ.მ ფართობის ორ ობიექტზე) გამომდინარე, შვიდი თვის გადაუხდელი ქირის მოპასუხისათვის დაკისრება. თავის მხრივ, სააპელაციო საჩივარში დამქირავებელიც ადასტურებდა, რომ მას ბოლო შვიდი თვის მანძილზე გამქირავებლისათვის არ გადაუხდია 500-500 ლარი 26,6 კვ.მ ფართობის მქონე ორ ობიექტზე. დამქირავებელმა შეგებებული სარჩელით მოითხოვა 26,6 კვ.მ ავტონაწილების სახელოსნოზე საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება 2011 წლის 1 სექტემბრიდან და ამავე პერიოდიდან მეორე ობიექტზე (ავტონაწილების მაღაზიაზე) – 26,6 კვ.მ ქირის შემცირება.

33. იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილებით 2011 წლის 1 სექტემბრიდან შეწყვეტილად იქნა აღიარებული გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის დადებული საიჯარო ხელშეკრულება 26,6 კვ.მ სახელოსნოზე, რაც ყოველთვიურად 500 ლარს შეადგენდა, ხოლო ამავე ფართობის მქონე მაღაზიაზე შემცირდა ქირა და 500 ლარის ნაცვლად 200 ლარით განისაზღვრა, ასევე, საქმეში წარდგენილი ანგარიშის ბარათებით დგინდებოდა, რომ დამქირავებელს გამქირავებლისათვის 38 კვ.მ ფართისათვის გადახდილი ჰქონდა ყოველთვიური ქირა – 150 ლარი, ხოლო 39 კვ.მ ფართზე – 200 ლარი, სასამართლომ დაასკვნა, რომ დამქირავებლის მიერ გამქირავებლისათვის გადასახდელმა ქირამ შეადგინა 1400 ლარი (ერთი თვის განმავლობაში შემცირებული გადასახდელი ქირის – 200 ლარის /ნაცვლად 500 ლარისა/ გათვალისწინებით, სადავო 7 თვის პერიოდში $7 \times 200 = 1400$). სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, აპელანტის პრეტენზია დამქირავებლისათვის დაკისრებული ქირის არასწორად განსაზღვრასთან დაკავშირებით დასაბუთებული იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო, შესაბამისად, გასაჩივრებული გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5400 ლარი გაუქმდა და, ახალი გადანყვეტილებით მოსარჩელის სასარგებლოდ მოიჯარეს 1400 ლარი დაეკისრა.

34. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის (დამქირავებლის) მტკიცება, რომ არ არსებობდა მისთვის 1400 ლარის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი. კერძოდ, დამქირავებელმა მიუთითა, რომ მოცემული დავის განხილვის პირ-

ველ ეტაპზე, სასამართლოს მიერ მიღებული 2012 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით გამქირავებელთან გაფორმებულ ოთხივე ხელშეკრულებაზე შემცირდა ქირა 100 ლარამდე. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება გამქირავებელს არ გაუსაჩივრებია 150 და 200 ლარამდე ქირის შემცირების ნაწილში; აქედან გამომდინარე, აპელანტი მიიჩნევდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში უკვე კანონიერ ძალაში იყო შესული, რის გამოც ამ ნაწილში არ არსებობდა გამქირავებლის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 ივნისის განჩინებაზე, რომლითაც გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმდა ამ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება და გაუქმებულ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასაბუთებაში მკაფიოდ იყო ასახული და შეფასებული საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ ქირის დაანგარიშებისას არსებული დარღვევები და ასევე ნათლად იყო მითითებული, თუ რა ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაედგინა სასამართლოს და რაში მდგომარეობდა მხარეთა მიერ წარდგენილი და სასამართლოს მიერ განსახილველი მოთხოვნები; შესაბამისად, საქმის ხელახლა განხილვისას საქალაქო სასამართლოს ამ საკითხებზე უნდა ემსჯელა (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

35. გამქირავებლის, როგორც შეგებებული მოსარჩელის მოთხოვნას ასევე წარმოადგენდა მხარეთა შორის 2011 წლის 1 ივნისს 39 კვ.მ ფართის მქონე სარემონტო ფართზე გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებისა და 2011 წლის 1 აპრილს 38 კვ.მ ფართის მქონე ავტომობილების სარემონტოზე დადებული საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება 2012 წლის 1 იანვრიდან და გადახდილი საიჯარო ქირის (იანვრის, თებერვლისა და მარტის თვის ქირის) – 1050 ლარის უკან დაბრუნება.

36. შეგებებული მოსარჩელის მტკიცებით, 2011 წლის ზაფხულიდან გამქირავებელი სპეციალურად, წინასწარ გამიზნულად ქმნიდა წინააღმდეგობებს, რის გამოც ვერ ხერხდებოდა დაქირავებული ფართების დანიშნულებისამებრ გამოყენება, რითაც გამქირავებელი არღვევდა მის მიერ მოწონებული იჯარის ხელშეკრულების პირობებს, რის გამოც გამქირავებელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ხელშეშლის აღკვეთა.

37. საქმეში მოთავსებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა გამქირავებ-

ლის სარჩელი და გამქირავებელს აეკრძალა მოსარჩელისათვის ხელის შეშლა იჯარით აღებული 39 კვ.მ ფართობი მოწყობილი სახელოსნოს ფუნქციონირებაში, ამისათვის, იმ დავაში მოპასუხეს (გამქირავებელს) დაევალა სახელოსნოს წინ არსებული წყლის ავზისა და დაყრილი სამშენებლო ნარჩენების აღება, ასევე, აეკრძალა იჯარით აღებული 38 კვ.მ ფართობის დანიშნულებისამებრ გამოყენებაში დამქირავებლისათვის ხელშეშლა; გამქირავებელს დაევალა, დაუყოვნებლივ შეენციცა ფართობი სარემონტო სამუშაოები, ასევე, ხელი არ შეეშალა მოსარჩელისათვის ავტომანქანით მისუდიყო სამუშაო ადგილამდე, სახელოსნომდე (იხ. გადაწყვეტილება); თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით, გამქირავებელს აეკრძალა დამქირავებლის (მოცემულ საქმეზე აპელანტის) ხელშეშლა არასაცხოვრებელი ფართის იჯარის შესახებ 01.04.2011 წლის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ფართის (ავტონანილების მალაზია) გარეთა ფასადზე (ცენტრალური შესასვლელის მარჯვნივ) აბრის განთავსებაზე, ხელშეკრულების მოქმედების ვადით;

38. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით, დამქირავებლის სარჩელი დაკმაყოფილდა; გამქირავებელს დაევალა ელექტროენერჯიის მიწოდების აღდგენა დამქირავებლისათვის, ასევე, გამქირავებელს აეკრძალა დამქირავებლის თანამშრომლებისათვის 2011 წლის 1 აპრილისა და იმავე წლის 1 ივნისის იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე დამქირავებლის მფლობელობაში არსებულ ფართებამდე მისვლაში ხელშეშლა; იმ დავაში მოპასუხეს დაევალა გამქირავებლის ცენტრალური შესასვლელიდან დამქირავებლის სარემონტო სამუშაოებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაუბრკოლებლად, გადასახადების გარეშე გატარება;

39. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოთხოვნის ამ ნაწილში ვერ გაიზიარებდა აპელანტის (დამქირავებლის) არგუმენტებს; მართალია, საქმეში წარდგენილი იყო სასამართლოს მიერ მიღებული არაერთი გადაწყვეტილება, რომლებითაც უდავოდ დასტურდებოდა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ გამქირავებელი ახორციელებდა გარკვეულ ხელშეშლას დამქირავებლისადმი, რაც ამ უკანასკნელს ხელს უშლიდა, სრულფასოვნად ესარგებლა ნაქირავები ფართებით, თუმცა, აღნიშნული მაინც ვერ აბათილებდა იმ უდავო ფაქტობრივ გარემოებას, რომ მიუხედავად ხელშეშლისა, დამქირავებელი მაინც აგრძელებდა სადავო ფართების ფლობას 2012 წლის 1 იანვრის შემდეგ და სწორედ მის მიერ ნაქირავები ფართების ფლობას ემსახურებოდა მოსარჩელის მიერ აღძრუ-

ლი სარჩელები ხელშეშლის აღკვეთის შესახებ (იხ. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება). თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა გადაწყვეტილებები, ასევე, მიიღეს 2012 წლის თებერვალში, ანუ იმ პერიოდის შემდეგ, რა პერიოდისთვისაც მოითხოვდა მოსარჩელე საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარებას (2012 წლის 1 იანვარი). საქმეში წარდგენილი ანგარიშის ბარათების მონაცემებით კი დადასტურებული იყო სადავო ფართებზე, 2012 წლის თებერვლისა და მარტის თვეების ქირის გადახდის ფაქტი. მიუხედავად მოსარჩელის პრეტენზიებისა, იმის შესახებ, რომ მოპასუხე ხელს უშლიდა ნაქირავები ფართით სარგებლობაში, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დამქირავებელს ნაქირავები ფართი არ გამოუთავისუფლებია და არ მოუთხოვია ხელშეკრულების შეწყვეტა. შესაბამისად, დამქირავებლის სარჩელი 2011 წლის 1 ივნისს 39 კვ.მ ფართის მქონე სარემონტოზე გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებისა და იმავე წლის 1 აპრილს 38 კვ.მ ფართის ავტომობილების სარემონტოზე დადებული საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარებისა და გადახდილი საიჯარო ქირის – 1050 ლარის უკან დაბრუნების შესახებ, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, უსაფუძვლოების გამო, არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

40. დამქირავებელმა შეგებებულ სარჩელში მიუთითა, რომ 2011 წლის 23 დეკემბერს მასთან სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად მივიდა შემკვეთის სატვირთო ავტომანქანა; ამ ორ საწარმოს შორის 2011 წლის 1 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება ავტომანქანის ძრავისა და სიჩქარეთა კოლოფის სარემონტო სამუშაოების ჩატარების შესახებ, ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 15 555 ლარს, საიდანაც დამკვეთმა შემსრულებელს (განსახილველ დავაში დამქირავებელს/აპელანტს) გადაურიცხა კიდევ 5 000 ლარი. ავტომანქანა უნდა გაჩერებულიყო სარემონტო სახელოსნოსთან, თუმცა, დამქირავებელმა, მის კუთვნილ ტერიტორიაზე, მიუხედავად საპატრულო სამსახურის ჩარევისა, არ შეუშვა სარემონტო ავტომობილი, რის გამოც დამქირავებელმა სრულად ვერ გაარემონტა ავტომობილი და მიიღო 10 555 ლარის ზარალი, რომლის დამქირავებლისათვის დაკისრებასაც შეგებებული სარჩელით მოითხოვდა დამქირავებელი (იხ. შეგებებული სარჩელი).

41. აღნიშნულის დასადასტურებლად, შეგებებული სარჩელის ავტორმა წარადგინა 2011 წლის 1 ნოემბერს შემკვეთთან მის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება და 23.12.2011წ. საპატრულო პოლიციის ოქმი, რომელშიც მითითებულია, რომ დამქირავებელმა მის ტერიტორიაზე შესვლისას, ზემოხსენებული საწარმოს ავტომან-

ქანას პრობლემა შეუქმნა, რაც გამოწვეული იყო დამქირავებლის ძველი დავალიანებით. მიუხედავად იმისა, რომ ავტომანქანის შესვლის ღირებულება გადაიხადა შემკვეთმა, დამქირავებელი საწარმოს დირექტორმა მაინც არ შეუშვა ავტომანქანა თავის ტერიტორიაზე.

42. სააპელაციო სასამართლომ ზიანის ანაზღაურების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება და აღნიშნა, რომ შეგებებულმა მოსარჩელემ (დამქირავებელმა) ვერ დაადასტურა ზიანის არსებობის ფაქტი, ვინაიდან, შემკვეთთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შესაბამისი სამუშაოები შესაძლოა შესრულებულიყო სხვა სათანადოდ მოწყობილ ადგილას, მით უმეტეს, რომ მოიჯარეს ამ პერიოდისათვის სხვა ორგანიზაციასთანაც (შპს „ს. კ. სთან“) ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული. პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ მართალია, შემკვეთმა 2011 წლის 2 ნოემბერს, გადაიხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ნაწილი – 5000 ლარი, თუმცა, არ დასტურდებოდა, რომ დამქირავებელმა აღნიშნული თანხა დაუბრუნა შემკვეთს, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში აუცილებლად მოხდებოდა.

43. აპელანტი (დამქირავებელი) მიუთითებდა, რომ 2011 წლის ნოემბერში მან გარკვეული სამუშაოები ჩაატარა შემკვეთის ავტომობილზე. იმ ფაქტს, რომ 2011 წლის ნოემბრის თვეში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შემკვეთის ავტომობილი იდგა დამქირავებლის სარემონტო საამქროსთან და ეს უკანასკნელი ატარებდა სარემონტო სამუშაოებს, ადასტურებდა ძირითადი მოსარჩელეც (დამქირავებელიც), სწორედ ამიტომ არ მოხდა თანხის დაბრუნება შემკვეთისათვის, რადგან ამ უკანასკნელის მიერ მენარდისათვის (ამ დავაში დამქირავებლისათვის) გადახდილი თანხის და უფრო მეტი ღირებულების სამუშაოები დამქირავებელს ჩატარებული ჰქონდა.

44. სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში: სსსკ) მე-4 და 102-ე მუხლებზე მიუთითა, რომელთა საფუძველზე მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ, განსაზღვრონ ფაქტები თავიანთი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის დასასაბუთებლად და თვითონვე მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები. სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული კატეგორიის დავის სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტის მიზნებისათვის უნდა გამოყენებულიყო მტკიცების ტვირთის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოქმედი სტანდარტი, რომლის მიხედ-

ვითაც, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო მოპასუხემ კი – ის გარემოებები, რომლებსაც შესაგებელი ეფუძნება. განსახილველ შემთხვევაში, შეგებებულმა მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით, ვერ დაადასტურა, რომ ის ნამდვილად მიიღებდა 2011 წლის 1 ნოემბერს მასსა და შემკვეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას – 15 555 ლარის ოდენობით, შესაბამისად, აპელანტის არგუმენტი დამდგარი ზიანის ანაზღაურების შესახებ დაუსაბუთებელი იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ასევე, უსაფუძვლო იყო დამქირავებლის მოთხოვნა, საგადასახადო ორგანოს მიერ დაფიქსირებული ჯარიმის – 500 ლარის გამქირავებლისათვის დაკისრების შესახებ, რის გამოც შეგებებულ მოსარჩელეს ამ ნაწილშიც მართებულად ეთქვა უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

45. სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას აპელანტი ასევე სადავოდ ხდიდა ვადამდე შეწყვეტილი ხელშეკრულების საიჯარო თანხის – 400 ლარის 2012 წლის 1 ივნისამდე დაკისრების ნაწილშიც და უთითებდა, რომ 2012 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით გამქირავებლის აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულა, თუმცა, ამ ნაწილში ამ უკანასკნელს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ ნაწილში გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში იყო შესული. აპელანტის ამ მტკიცების საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 12 ივნისის განჩინებაზე, რომლის მიხედვითაც დგინდებოდა, რომ დამქირავებლის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. განჩინებაში მითითებულია, რომ საქმის ხელახლა განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლომ თანმიმდევრულად უნდა დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები საიჯარო თანხის დავალიანების შესახებ გამქირავებლის სარჩელისა და დამქირავებლის შეგებებული სარჩელის შემდეგ მოთხოვნებზე: ა) მხარეთა შორის 2011 წლის 1 აპრილს 26,6 კვ.მ კომერციული საქმიანობისათვის განკუთვნილ ფართზე, კერძოდ, სახელოსნოზე გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება 2011 წლის 1 სექტემბრიდან; ბ) მხარეთა შორის 2011 წლის 1 აპრილს 26,6 კვ.მ ფართის მქონე ავტონაწილების მალაზიაზე ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქირის – 500 ლარის შემცნი-

რება 100 ლარამდე; აგრეთვე, უნდა იმსჯელოს მოიჯარის შეგებებული სარჩელის მოთხოვნაზე 39 კვ.მ და 38 კვ.მ ფართებზე დადებული საიჯარო ხელშეკრულებების 2012 წლის 1 იანვრიდან შეწყვეტილად აღიარებასა და 2012 წლის იანვარ-მარტის პერიოდზე გადახდილი ქირის – 1050 ლარის დაბრუნების თაობაზე.

46. შესაბამისად, ქვემდგომი სასამართლოს ხელახალი განხილვისა და შეფასების საგანს წარმოადგენდა 2011 წლის 1 ივნისს მხარეთა შორის გაფორმებული 39 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართზე (ავტომანქანების სარემონტოდ) დადებული საიჯარო ხელშეკრულებების შეწყვეტილად აღიარება.

47. განსახილველ შემთხვევაში, 2011 წლის 1 ივნისს დადებული ხელშეკრულების ვადა გადიოდა 2012 წლის 1 ივნისს. იქიდან გამომდინარე, რომ დამქირავებელმა ვადაზე ადრე (2012 წლის 1 აპრილს) შეწყვიტა ხელშეკრულება და შესაბამისად, გამქირავებელმა ვერ მიიღო 2 თვის შემოსავალი – 400 ლარი, მითითებული თანხა მართებულად დაეკისრა აპელანტს. ამასთან, სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ მართალია, 2011 წლისა და 2012 წლის დასაწყისში გარკვეული უთანხმოებები არსებობდა მხარეებს შორის, რის გამოც დამქირავებელმა არაერთხელ მიმართა სასამართლოს სარჩელით, მიუხედავად ამისა, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ 2012 წლის თებერვლის შემდეგ, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებებით გამქირავებელს დაევალა ხელშეშლის აღკვეთა, ამ უკანასკნელისადმი დამქირავებელს რაიმე პრეტენზია აღარ ჰქონია.

48. სასამართლომ მიუთითა საქმეში წარდგენილ ექსპერტიზის 2012 წლის 19 მაისის დასკვნაზე, რომლის თანახმად, ავტონაწილების მალაზიაში და სანყობში ჩასატარებელი სამუშაოების საორიენტაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება სამშენებლო ნორმებისა და წესების, სამშენებლო რესურსების ფასების 2012 წლის 1 კვარტლის დონეზე და შესაბამისი ნორმატიული დარიცხვების გათვალისწინებით შეადგენს 3657.37 ლარს (იხ. ექსპერტიზის დასკვნა; ასევე, ამ განჩინების მე-7 პუნქტი).

49. 2011 წლის 1 აპრილს მხარეთა შორის 26,6 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე (ავტონაწილების მალაზია) გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით ქირა განისაზღვრა ყოველთვიურად 500 ლარით, ხელშეკრულების მოქმედების ვადა კი – ერთი წლით. ხელშეკრულების 3.1. პუნქტის თანახმად, მეიჯარე იღებს ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან სამი დღის ვადაში მოიჯარეს დროებით სარგებლობაში გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქონება ვარგის მდგომარეობაში. ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგო-

მარეობა და გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი; 3.2. პუნქტით, მოიჯარე ვალდებულია მიიღოს ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული ქონება და მოიყვანოს იგი მისი საქმიანობისათვის სამუშაო მდგომარეობაში; 3.3. პუნქტის საფუძველზე მიიჯარე ვალდებულია, გაუფრთხილდეს ქონებას და იქონიოს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება მონესრიგებულ მეურნეობას (იხ. იჯარის ხელშეკრულება).

50. სსსკ-ის მე-4, 102-ე და 105-ე მუხლების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი იმის შესახებ, რომ დამქირავებელმა დაქირავებული ქონება გამქირავებელს დაუბრუნა ვარგის მდგომარეობაში ეკისრებოდა აპელანტს, თუმცა, დადგენილი იყო, რომ ამ უკანასკნელს იჯარით აღებული ქონების დაბრუნებისას მიღება-ჩაბარების აქტი არ გაუფორმებია.

51. გადაწყვეტილების სამართლებრივი მოტივაციისას სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 316-ე, 317.1 მუხლებზე და იმის გათვალისწინებით, რომ სადავო სამართალურთიერთობა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვა, გამოიყენა სსკ-ის 581-ე მუხლი (ნორმის დეფინიცია იხ. ამ განჩინების მე-17 პუნქტში). იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-ე-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

52. სააპელაციო სასამართლომ განსახილველი დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 536-ე და 541-ე მუხლები (დასახელებულ ნორმათა დეფინიციები იხ. წინამდებარე განჩინების მე-18 და მე-20 პუნქტებში), იმსჯელა სსკ-ის 547-ე მუხლზე, რომლის თანახმად, გაქირავებული ნივთის ცვლილებების ან გაუარესებისათვის, რაც გამონვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობით, დამქირავებელი პასუხს არ აგებს. ამავე კოდექსის 548-ე მუხლის თანახმად კი, 1. მიმდინარე რემონტის ჩატარება, ჩვეულებრივ, ევალეა დამქირავებელს. მას არა აქვს საცხოვრებელი სადგომის გადაკეთების ან რეკონსტრუქციის უფლება გამქირავებლის თანხმობის გარეშე. 2. დამქირავებელი მოვალეა ეს სამუშაოები შეასრულოს საკუთარი ხარჯებით. 3. გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამონვეულია დამქირავებლის მიერ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობით. სსკ-ის 532-ე მუხლის მიხედვით, გამქირავებელი მოვალეა გადასცეს დამქირავებელს გაქირავებული ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა.

53. სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე განჩინების 1-2 პუნქტებში დასახელებული, სულ ოთხი საიჯარო ხელშეკრულების პირობებზე და დადგენილ ფაქტებზე მიუთითა, კერძოდ: 2011 წლის 1 სექტემბრიდან შეწყვეტილად იქნა აღიარებული მხარეთა შორის საიჯარო ხელშეკრულება 26,6 კვ.მ ფართზე (სახელოსნო); ასევე, დამქირავებელს შეუმცირდა ქირა 26,6 კვ.მ საიჯარო ფართზე (ავტონაწილების მალაზია) და იგი განისაზღვრა 200 ლარით, ნაცვლად 500 ლარისა, 2011 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 1 აპრილამდე; საქმეში წარდგენილი ანგარიშის ბარათების მიხედვით დადასტურებული იყო, რომ დამქირავებელს სადავო პერიოდში არ გადაუხდია 26,6 კვ.მ (მალაზია) ფართის ქირა, რომელიც განსაზღვრული იყო 200 ლარით და ასევე – 38 კვ.მ ფართზე, რომელიც 150 ლარს შეადგენდა, ასევე, 39 კვ.მ ფართზე (ავტომანქანების სარემონტოდ) გადასახდელი ქირის – 200 ლარის გათვალისწინებით, საბოლოოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ გადასახდელი ქირა შეადგენდა 1400 ლარს.

54. დამქირავებლის შეგებებული სარჩელი 2011 წლის 1 ივნისს 39 კვ.მ ფართის მქონე სარემონტოზე გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებისა და 2011 წლის 1 აპრილს 38 კვ.მ. ფართის მქონე ავტომობილების სარემონტოზე დადებული საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარების და გადახდელი საიჯარო ქირის 1050 ლარის დაბრუნების შესახებ სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია და ამ ნაწილში სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

55. სასამართლოს შეფასებით, 2011 წლის 1 ივნისს, ერთი წლით დადებული ხელშეკრულების დამქირავებლის მიერ ვადამდე შეწყვეტის გამო, ამ უკანასკნელისათვის, დამქირავებლის სასარგებლოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მართებულად იყო დაკისრებული ორი თვის ქირა – 400 ლარი. სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი და ნაკლისისათვის, არამედ – მიუღებელი შემოსავლისათვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. სსკ-ის 412-ე მუხლით, ვალდებულების წარმოშობისა და ზიანის ანაზღაურების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ზიანის რეალურად არსებობა, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

56. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, მოიჯარემ (შეგებებულმა მოსარჩელემ) სათანადო მტკიცებულებების წარდგენით ვერ დაადასტურა, სადავო გარემოება, რომ ის ნამდვილად მიიღებდა 2011 წლის 1 ნოემბერს შემკვეთსა და მოიჯარეს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას – 15 555 ლარს, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის უარყოფა ამ ნაწილში დასაბუთებული იყო.

57. სააპელაციო სასამართლომ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 19 მაისის დასკვნა გაიზიარა, რა დროსაც ყურადღება გაამახვილა ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას მოწვეული ექსპერტის განმარტებაზე (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 მარტის სხდომის ოქმი, CD დისკი), შესაბამისად, დადასტურებულად მიიჩნია, რომ საიჯარო ფართში, რომელიც დამქირავებელს ჰქონდა დაქირავებული, ჩასატარებელი სამუშაოების საორიენტაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ, სამშენებლო ნორმებისა და წესების, სამშენებლო რესურსების ფასების 2012 წლის 1 კვარტლის დონეზე და შესაბამისი ნორმატიული დარიცხვების გათვალისწინებით, შეადგინა 3657.37 ლარი, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული თანხის ანაზღაურების ვალდებულება სწორად დაეკისრა მოპასუხეს (აპელანტს).

58. დამქირავებლის საკასაციო საჩივარი

58.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დამქირავებელმა, რომელმაც მისი ნაწილობრივ გაუქმება მოითხოვა, კერძოდ, ძირითადი მოსარჩელის – დამქირავებლის დაკმაყოფილებული სარჩელის ნაწილში და ამ ნაწილში, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, დამქირავებლის სარჩელის უარყოფა მოითხოვა შემდეგ საკასაციო პრეტენზიებზე მითითებით:

58.1.1. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა დამქირავებლის პრეტენზიაზე ამ უკანასკნელის მიერ დაქირავებული 26,6 კვ.მ ფართის (ავტონაწილების მალაზია) შესახებ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ქირის 500 ლარიდან 100 ლარამდე შემცირების თაობაზე, რასაც ითხოვდა მხარე, რადგან 200 ლარამდე შემცირებული ქირა არ გაუსაჩივრებია დამქირავებელს; სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 536-ე მუხლი, დამქირავებლის მიერ განხორციელებული ხელშეშლის გამო (რაც დასტურდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით, საპატრულო ოქმებით, საგადასახადო დეკლარაციებით) მოიჯარეს თითქმის 10-ჯერ შეუმცირდა შესრულებული მომსახურების ღირებულება,

დღგ-ის დეკლარაციის მიხედვით კი – 5-ჯერ შემცირდა დასაბეგრი ბრუნვა, სწორედ ამიტომ მოითხოვა დამქირავებელმა ქირის 5-ჯერ შემცირება, ანუ 500-დან 100 ლარამდე;

58.1.2. დაუსაბუთებელია ქირის – 400 ლარის დამქირავებლისათვის დაკისრება 2011 წლის 1 ივნისის იჯარის ხელშეკრულების (39 კვ.მ ფართზე) ვადამდე, 2012 წლის 1 აპრილს, შეწყვეტის გამო, რადგან: 1. 2012 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით დამქირავებლის აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულა, ამ ნაწილში არც ამ უკანასკნელს და არც მოიჯარეს არ გაუსაჩივრებია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა და მოსამართლეს უკან დაბრუნებულ საქმეზე არ ჰქონდა უფლება, ემსჯელა ამ საკითხზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა დაბრუნების დროს გამოსაკვლევი საკითხებს შორის არ იყო მითითება 400 ლარის დაკისრების შემონღმებაზე, მართალია, ქვემდგომ სასამართლოს დაევალა 38 კვ.მ და 39 კვ.მ ფართებზე დადებული საიჯარო ხელშეკრულებების 2012 წლის 1 იანვრიდან შეწყვეტილად აღიარების საკითხის განხილვა, მაგრამ ქვემდგომ სასამართლოს უნდა ემსჯელა მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებულ ნაწილზე. 2. სააპელაციო სასამართლომ არც ის შეაფასა, რომ 2011 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულება შეწყდა 2012 წლის 1 აპრილს დამქირავებლის (ძირითადი მოსარჩელის) მოთხოვნით, რასაც ადასტურებს საქმეში მოთავსებული არაერთი მტკიცებულება;

58.1.3. დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოიჯარისათვის ზიანის – 3657, 37 ლარის დაკისრება. სასამართლომ დაარღვია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების საპროცესო კოდექსით დადგენილი სტანდარტი, რადგან დამქირავებლისაგან (აპელანტისაგან/კასატორისაგან) მოითხოვა მტკიცებულების წარდგენა, რომელიც დაადასტურებდა საიჯარო ფართის დამქირავებლისათვის ვარგის მდგომარეობაში გადაცემას, ხოლო ამ უკანასკნელს არ მოსთხოვა მტკიცებულების წარდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მან მართლაც გასწია გაქირავებული ფართის გასარემონტებელი სამუშაოებისათვის 3657, 37 ლარი. სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე, სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე: 3657, 37 ლარის სამუშაოები უკვე ჩაატარა დამქირავებელმა თუ ჩასატარებელია, მხარის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სამუშაოები ჩატარებულია, თუმცა, აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი მას არ გააჩნია. სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო ექსპერტიზის დასკვნას, რომლის მიხედვით ჩასატარებელი სამუშაოების საორიენტაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 3657, 37 ლარს, საიდანაც ავტონაწილების მალაზიის სარემონტო სა-

მუშაოების ღირებულებაა 2039, 56 ლარი, სანყოფიში ჩასატარებელი სამუშაოების – 471, 71 ლარი, რაც ჯამში 2511, 28 ლარია. ამას ექსპერტმა დაუმატა სატრანსპორტო, ზედნადები ხარჯები, გეგმიური დაგროვება, გაუთვალისწინებელი ხარჯები, დღგ და საბოლოოდ მიიღო ის თანხა, რაც მოიჯარეს დაეკისრა მეიჯარის სასარგებლოდ გადასახდელად (იხ. ამ განჩინების მე-7 პუნქტი);

58.1.4. სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ გამქირავებლის წარმომადგენელმა ექსპერტიზა დანიშნა 2012 წლის 23 აპრილს, ექსპერტმა კვლევის ობიექტი დაათვალიერა იმავე წლის 18 მაისს, რაც იმას ნიშნავს, რომ ექსპერტმა ვერ აღწერა და, შესაბამისად, დასკვნა არ ასახავს დამქირავებლის მიერ დაქირავებული ფართის გამქირავებლისათვის ჩაბარების დროისათვის (2012 წლის 1 აპრილი) არსებულ მდგომარეობას;

58.1.5. ექსპერტიზა ჩატარდა ორ სხვადასხვა ფართში: ავტონანილების მაღაზიასა და სანყოფიში. ე.წ. სანყოფიში ექსპერტმა შეადგინა არა ფართის შიგნით ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულება, არამედ, მისი გარეთა ფასადის შეღებვის ღირებულება. ეს სწორედ იმ სახელოსნოს ფასადია, რომლის დაბინძურებასა და მის წინ დაყრილი ნარჩენების, მათ შორის – სამშენებლო, აღებაზე ადრე სარჩეული შეიტანა დამქირავებელმა, რაც დაკმაყოფილდა და გამქირავებელს იძულების წესით, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, დაევალა ტერიტორიის გასუფთავება ნარჩენებისაგან, ასევე – ნყლის ავზის გატანა. სააპელაციო სასამართლომ გამქირავებლის ზეპირი განმარტება გაიზიარა და შენობის წინა ფასადის ერთი კედლის შესაღებად დამქირავებელს 471, 71 ლარი დააკისრა. ავტონანილების მაღაზიის თაობაზე, სასამართლომ არ შეაფასა, რომ საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდა 2009 წელს, რასაც გამქირავებელი მალავდა და ცდილობდა სასამართლოს დარწმუნებას, შეცდომაში შეყვანის გზით, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება პირველად 2011 წლის 1 აპრილს დაიდო. ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა საიჯარო ვადის გასვლისა და დაქირავებული ფართის მეიჯარისათვის ჩაბარების შემდეგ, მისთვის კაპიტალური რემონტის ჩატარებას. დამქირავებელმა სამენარმეო საქმიანობისათვის ვარგის მდგომარეობაში ჩააბარა გამქირავებელს ფართი, ამ უკანასკნელმა ჯერ კიდევ 2012 წელს საქმის სასამართლოში განხილვისას დაადასტურა, რომ იგივე ფართი გაქირავებული ჰქონდა სხვა დამქირავებელზე, ისე, რომ არ გაურემონტებია (ფართი დღესაც გაქირავებულია). მხარემ ვერ წარუდგინა სასამართლოს სარემონტო სამუშაოების ჩატარების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ დამქირავებლის მიერ გამქირავებლისათვის დაბრუნებული ფართი სამენარმეო საქმიანობისათვის ვარგისი იყო და ასეთსავე

მდგომარეობაში გაქირავდა სხვა მოიჯარეზეც. ძირითადი მოსარჩელე (გამქირავებელი) ჯერ კიდევ სარჩელში უთითებდა, რომ დამქირავებლისათვის მიქირავებული ფართებიდან ორი (26,6 კვ. მ ავტონანილების მალაზია და 39 კვ. მ სახელოსნო) საჭიროებდა კაპიტალურ რემონტს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი შემდგომი გამოყენება და/ან გაქირავება შეუძლებელი იყო, თუმცა, საპირისპირო გარემოებები დადგინდა საქმის განხილვისას.

59. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

59.1. დამქირავებლის საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2016 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით, ხოლო ამავე სასამართლოს 2017 წლის 16 იანვრის განჩინებით საკასაციო განაცხადი დასაშვებად იქნა მიჩნეული სსსკ-ის 391-ე მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვისა და მტკიცებულებათა ერთობლიობით გაანალიზების შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

60. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორის პრეტენზიათა ნაწილი საფუძვლიანია, რის გამოც საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

61. განსახილველ დავაში, საკასაციო სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანია კასატორის პრეტენზიები, რომლებიც ასახულია წინამდებარე განჩინების 58.1.1-58.1.5 ქვეპუნქტებში.

62. დამქირავებლის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია მის მოთხოვნაზე საიჯარო ქირის 500-დან 100 ლარამდე შემცირების შესახებ, საკასაციო სა-

სამართლო მიუთითებს საქმის მასალებში მოთავსებულ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 ივნისის განჩინებაზე (საქმე №2ბ/345-13), რომლის საფუძველზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დამქირავებლის სააპელაციო საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სავალდებულო მითითებებით (სსსკ-ის 412-ე მუხლი), რომელთა შორისაა გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის 2011 წლის 1 აპრილს 26,6 კვ.მ ფართზე – ავტონაწილების მალაზიაზე საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრული ქირის 500 ლარიდან 100 ლარამდე შემცირების მოთხოვნის დამატებით შემონმება (იხ. სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება). ამის შემდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დამქირავებლის სასარჩელო მოთხოვნა და ავტონაწილების მალაზიისათვის (26,6 კვ.მ ფართი) საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრული 500 ლარი შემცირდა 200 ლარამდე (მოსარჩელო ითხოვდა 100 ლარამდე შემცირებას – იხ. საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება; იხ. წინამდებარე განჩინების 10.2.2 ქვეპუნქტი). დამქირავებელმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მათ შორის 26,6 კვ.მ ფართზე ქირის შემცირების ნაწილშიც (კიდევ 100 ლარით, ანუ 500-დან 100 ლარამდე), რაც არ დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლომ. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას მისთვის მიქირავებული 26,6 კვ.მ ფართობის (ავტონაწილების მალაზიისათვის) ქირის 500 ლარიდან 100 ლარამდე შემცირების თაობაზე ამ განჩინების 58.1.1. ქვეპუნქტში მითითებული დასაბუთებით, რადგან იმ მტკიცების ცალსახად გაზიარება, რომ დამქირავებლისათვის გამქირავებლის მიერ განხორციელებული ხელშეშლის გამო, ხელშეშლის პერიოდში თითქმის 10-ჯერ შემცირდა შესრულებული სამუშაოს ღირებულება და 5-ჯერ შემცირდა დასაბეგრი ბრუნვა, ცალსახად ვერ ადასტურებს, რომ გამქირავებლის მიერ განხორციელებული ხელშეშლა გახდა ამის მიზეზი, რადგან სამენარმეო საქმიანობა, როგორც მოგების მიღებაზე ორიენტირებული, თავისთავად მოიცავს გარკვეულ რისკებს და გამქირავებლის მხრიდან გარკვეულ პერიოდში განხორციელებულმა ხელშეშლამ რამდენად შეამცირა საწარმოს მიერ შესრულებული სამუშაოები და ა.შ., მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება. საკასაციო სასამართლო იმაზეც გაამახვილებს ყურადღებას, რომ დამქირავებლის საქმიანობისათვის გამქირავებლის მხრიდან ხელშეშლა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი აქვს 38 კვ.მ, 39 კვ.მ და 26,6 ფართებზე (იხ. თბილისის

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება). სააპელაციო სასამართლოს, ასევე, დადგენილი აქვს, რომ საქმეში წარდგენილი ანგარიშის ბართების საფუძველზე, სადავო პერიოდში დამქირავებელს გამქირავებლისათვის გადახდილი აქვს ამ უკანასკნელისაგან დაქირავებული 26,6 კვ.მ ავტონაწილების მალაზიისათვის ქირა 200 (ორასი) ლარი, რაც საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დამქირავებლის სასარგებლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული სარჩელის ფარგლებში – ქირის 500-დან 200 ლარამდე შემცირების თვალსაზრისით, დასაბუთებულია გამქირავებლის მხრიდან განხორციელებული იმ ხელშეშლისათვის, რაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/130-12) არის დადგენილი. ამასთან, განსახილველ საქმეზე სასამართლოს ისიც აქვს დადგენილი, რომ მიუხედავად ხელშეშლისა, დამქირავებელი განაგრძობდა დაქირავებული ფართებით სარგებლობას (იხ. 39-ე პუნქტი); ამდენად, საკასაციო პრეტენზია ქირის კიდევ 100 ლარით შემცირებაზე, როგორც დაუსაბუთებელი, უარყოფილია და ამ ნაწილში არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი;

63. დამქირავებლის მორიგი საკასაციო პრეტენზია უკავშირდება მისთვის ქირის – 400 ლარის დაკისრებას 2011 წლის 1 ივნისის იჯარის ხელშეკრულების (39 კვ. მ ფართზე) ვადამდე, 2012 წლის 1 აპრილს, შეწყვეტის გამო (იხ. ამ განჩინების 58.1.2 ქვეპუნტი, ასევე – 45-ე-47-ე პუნქტები), რასაც, ასევე, არ იზიარებს საკასაციო სასამართლო, მისი დაუსაბუთებლობის მოტივით და განმარტავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 ივნისის განჩინებაში (საქმე №2ბ/345-13), რომლის საფუძველზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დამქირავებლის სააპელაციო საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სავალდებულო მითითებებით (სსსკ-ის 412-ე მუხლი), სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ...თანმიმდევრულად უნდა დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები საიჯარო ქირის დავალიანების შესახებ... აგრეთვე, უნდა იმსჯელოს მოიჯარის შეგებებული სარჩელის მოთხოვნაზე 39 კვ.მ და 38 კვ. მ ფართებზე დადებული საიჯარო ხელშეკრულებების შეწყვეტისა და 2012 წლის იანვარ-მარტის პერიოდზე გადახდილი საიჯარო ქირის – 1050 ლარის უკან დაბრუნების

თაობაზე (იხ. სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება). სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საპროცესო სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ და „ე¹“ ქვეპუნქტებზე, ამასთან მიუთითა, რომ საიჯარო ქირად 2800 ლარის (400 ლარი x 8 თვეზე) დაანგარიშებისას, საქმის განმხილველ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ მიუთითებია, თუ კონკრეტულად რომელ ხელშეკრულებას გულისხმობდა, რადგან მოიჯარეს ოთხი ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული მეიჯარესთან, ერთ-ერთ მათგანზე არ ჰქონდა ქირა გადახდილი, თუმცა, რომელზე – დასადგენი იყო, რადგან თითოეული ხელშეკრულებით ქირა განსხვავებულად იყო დაწესებული... (იხ. სააპელაციო სასამართლოს 12.06.2013წ. განჩინება). ამდენად, კასატორის პრეტენზია, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების მხარის მიერ გაუსაჩივრებელ ნაწილზე იმსჯელა, დაუსაბუთებელია, რადგან სააპელაციო სასამართლო ცალსახად უთითებს, რომ ოთხივე ხელშეკრულება განსხვავებულად განსაზღვრავდა ქირის თანხას და უნდა შემოწმებულიყო, თუ რომელი ხელშეკრულებიდან იყო დაანგარიშებული სადავო თანხა. კასატორის პრეტენზიის უსაფუძვლობის გამო, არც ამ ნაწილშია გასაუქმებელი სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

64. კასატორის პრეტენზია ზიანის – 3657, 37 ლარის ანაზღაურების გამქირავებლის სასარგებლოდ დაკისრების თაობაზე (იხ. ამ განჩინების 58.1.3–58.1.5 ქვეპუნქტები) დასაბუთებულად მიაჩნია საკასაციო სასამართლოს და მხოლოდ ამ ნაწილში საკასაციო განაცხადის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით, საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს ზიანის წარმოშობასთან დაკავშირებით დამატებითი კვლევისა და შემოწმების, კონკრეტული ფაქტების დადგენის მიზნით.

უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით განსახილველი დავა საიჯარო ხელშეკრულებიდან /რომლის მიმართ ქირავნობის წესებიც გამოიყენება/ გამომდინარეობს. საკასაციო სასამართლომ იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებათა სამართლებრივ ბუნებასთან მიმართებით განმარტა: „მიუხედავად მათი მსგავსებისა (მათი საგანია ინდივიდუალურად განსაზღვრული, მოუხმარებადი ნივთი, ორივე შემთხვევაში ნივთი მხარეს გადაეცემა სარგებლობაში, ორივე სასყიდლიანია და ა.შ), მათ შორის არსებობს განსხვავება, რაც განაპირობებს საიჯარო ურთიერთობის ზოგიერთ ასპექტში განსხვავებულად, სსკ-ის 581-ე-606-ე მუხლებით მოწესრიგების აუცილებლობას. „ამ განსხვავების საილუსტრაციოდ სსკ-ის 531-ე და 581-ე მუხლების სამართლებრივი კონსტრუქციების შედარება

სრულიად საკმარისია: „ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებული მოვალეა, დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა“, [„იჯარის ხელშეკრულებით მიიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მიიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც. იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-ე-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული“]. ქირავნობის დროს კონკრეტული, ინდივიდუალურად განსაზღვრული, მოუხმარებადი ნივთი გადაეცემა დამქირავებელს სარგებლობაში, ხოლო იჯარის შემთხვევაში გადაეცემა ქონება, რომელიც, არა მარტო ნივთებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესაც აერთიანებს [სსკ-ის 147-ე მუხლი], ანუ იმ მოთხოვნებსა და უფლებებს, რომლებიც მოიჯარეს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ნაყოფი (მატერიალური სარგებელი). იჯარის შემთხვევაში ნაყოფია ის შემოსავლები, რაც მეურნეობის სწორი გაძღოლის გზით მიიღება სამართლებრივი ურთიერთობის (იჯარის) საფუძველზე („იურიდიული ნაყოფი“) – იხ. სუსგ №ას-738-700-2015, 18.12.2015წ. განსახილველ საქმეზე დამატებით არის გამოსაკვლევი და დასადგინი მოსარჩელის (გამქირავებლის) მოთხოვნის განმაპირობებელი ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა სსკ-ის 573.1 მუხლის პირველი წინადადების „გამქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება“ და 408.1 მუხლის „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“ საფუძველზე.

65. საკასაციო სასამართლო იმაზეც გაამახვილებს ყურადღებას, რომ, მართალია, მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში არსებითად არ განიხილება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების ან ვალდებულების შეწყვეტილად აღიარების მოთხოვნას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი. რეალურად სამოქალაქო მართლწესრიგისათვის მიუღებელია ხელშეკრულებიდან თვითნებურად გასვლა, ამასთან, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, დად-

გენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ხელშეკრულებაზე უარი (გასვლა) და ხელშეკრულების მოშლა (შენწყვეტა), ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია სამართლებრივად შეფასდეს, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა რაიმე ობიექტური გარემოებით არის განპირობებული თუ რომელიმე მხარის სუბიექტური ქცევით.

66. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს დადგენილი აქვს, რომ 26,6 კვ. მ არასაცხოვრებელ ფართზე (ავტონაწილების მალაზია) 2011 წლის 1 აპრილს გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების ვადა იყო ერთი წელი, ხოლო მისი 3.1 პუნქტი ადგენს: „მეიჯარე იღებს ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან სამი დღის ვადაში მოიჯარეს გადასცეს ქონება უფლებრივად და ნივთობრივად ვარგის მდგომარეობაში. ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეუნარჩუნოს ნივთს ეს მდგომარეობა და გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი“; ხელშეკრულების 3.2 პუნქტის საფუძველზე „მოიჯარე ვალდებულია მიიღოს საიჯარო ქონება და მოიყვანოს იგი მისი საქმიანობისათვის სამუშაო მდგომარეობაში, ხოლო 3.3. პუნქტით „მეიჯარე ვალდებულია გაუფრთხილდეს ქონებას და იქონიოს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება მოწესრიგებულ მეურნეობას (იხ. იჯარის ხელშეკრულება). საქმის მასალებით დადგენილია, რომ დამქირავებელს სარგებლობაში გადაეცა კონკრეტული უძრავი ნივთი ისეთ მდგომარეობაში, რომელიც არ იძლეოდა ნაყოფის მიღების შესაძლებლობას, შესაბამისად, 2011 წლის 1 აპრილის ხელშეკრულების 3.2. პუნქტით განისაზღვრა, რომ დამქირავებელს შეეძლო საკუთარი საქმიანობისათვის ვარგის მდგომარეობაში მოეყვანა დაქირავებული ფართი (იხ. ამ განჩინების 49-ე პუნქტი).

67. სააპელაციო სასამართლომ მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტზე მითითებით იმსჯელა და დაადგინა, რომ დამქირავებელმა ვერ დაამტკიცა, რომ მან დამქირავებელს ვარგის მდგომარეობაში დაუბრუნა დაქირავებული ფართი, კერძოდ, სასამართლოს შეფასებით, დამქირავებელმა ვერ დაადასტურა, რომ ექსპერტიზის დასკვნაში ასახული, საიჯარო ფართზე არსებული დაზიანებები არ შეესაბამებოდა ამ უკანასკნელის მიერ ფართის დატოვების პერიოდისათვის არსებულ მდგომარეობას. საქმის მასალებით დადგენილია, დამქირავებელმა დამქირავებლისაგან ქონება მიიღო ნივთობრივად ვარგის, სამეურნეო საქმიანობისათვის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, რაზედაც შედგა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი; იგივე მდგომარეობაში დაქირავებული ფართის დამქირავებლისათვის დაბრუნების თაობაზე კი არ იყო წარ-

დგენილი შესაბამისი მტკიცებულება მხარის მიერ.

68. განსახილველ შემთხვევაში დამქირავებელს ზიანი დაეკისრა ავტონანილების მალაზიისა და სანყობისათვის დაქირავებული ფართების დაზიანებისათვის, ხოლო ზიანის ოდენობა ეყრდნობა ექსპერტიზის დასკვნას. სააპელაციო სასამართლომ ამ კონტექსტში გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები (იხ. ამ განჩინების 22-ე პუნქტი);

69. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე გაამახვილებს ყურადღებას და იმსჯელებს, თუ რატომ არ არის საკმარისად დასაბუთებული და დამატებით კვლევასა და კონკრეტული ფაქტების დადგენას საჭიროებს გამქირავებლის სასარგებლოდ დამქირავებლისათვის დაკისრებული ზიანის – 3657, 37 ლარის წარმოშობის წინაპირობები.

70.1. საქმეშია გამქირავებლის (ძირითადი მოსარჩელის) დაკვეთით მომზადებული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით, ექსპერტის წინაშე დასმული საკითხი ეხება ექსპერტიზის ჩატარებას 25 კვ.მ ოთახზე, სადაც განმცხადებლის მითითებით, დამქირავებლის მიერ დაზიანებულია შიდა და გარე კედლები და შეკეთება უკავშირდება ზარალის ოდენობის დადგენას. დასკვნის მიხედვით, 2012 წლის 18 მაისს, ექსპერტმა განმცხადებლის მითითებით დაათვალიერა გამოსაკვლევი ობიექტები, რომლებიც არის ავტონანილების მალაზია და სანყობი. დასკვნის მიხედვით ირკვევა: „დაზიანებულია ავტონანილების მალაზიის შიდა კედლები, ჭერი, იატაკი და სანყობის გარე კედლები. დაზიანებების გამოსასწორებლად ჩასატარებელია რიგი სადემონტაჟო და სარემონტო სამუშაოები, კერძოდ, ლამინირებული იატაკის დემონტაჟი და მონყობა, პლასტიკატის შეკიდული ჭერის დემონტაჟი და მონყობა და შიგა და გარე კედლების დამუშავება და შეღებვა. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგინდა შემდეგი: ქ. თბილისში, ... ქ. №...-ში ავტონანილების მალაზიაში და სანყობიში ჩასატარებელი სამუშაოების საორიენტაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება სამშენებლო ნორმებისა და წესების, სამშენებლო რესურსების ფასების 2012 წლის პირველი კვარტლის დონეზე და შესაბამისი ნორმატიული დარიცხვების გათვალისწინებით, შეადგენს 3657, 37 ლარს“ (ფასების გაანაგარიშების ცხრილი თან ერთვის დასკვნას);

70.2. განსახილველ შემთხვევაში, დამქირავებლისათვის გადაცემული სადავო ფართი – 26,6 კვ.მ ავტონანილების მალაზიად გამოიყენებოდა და ამ ფართზე 2011 წლის 1 აპრილს გაფორმებული ერთნლიანი ხელშეკრულების პირობები ასახულია წინამდებარე განჩინების 67-ე პუნქტში, რომელთა შორის საყურადღებოა, ხელ-

შეკრულების 3.2 პუნქტი და აქედან გამომდინარე ის უდავოდ დადგენილი ფაქტი, რომ მოიჯარის საქმიანობისათვის ვარგის მდგომარეობაში იყო ამ უკანასკნელისათვის გადაცემული ფართი. ამ შემთხვევაში სადავოა დამქირავებლის მიერ გამქირავებლისათვის დაბრუნებული ფართის მდგომარეობა, კერძოდ, რამდენად ვარგის მდგომარეობაშია იგი დაბრუნებული და რამდენად შესრულდა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 3.4 და 3.7 პუნქტებით გათვალისწინებული პირობა: „მოიჯარე ვალდებულია იჯარით მიღებული ფართი დაუყოვნებლივ დააბრუნოს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ... ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული ქონების ცვლილებების ან გაუარესებისათვის, რაც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობით (ქონების ნორმალური ცვეთა) მოიჯარე პასუხს არ აგებს“... ასევე, ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობების 6.1 პუნქტი ადგენს: „მოიჯარე იჯარით მიღებულ ფართში არ დაინყებს კაპიტალურ რემონტს ან ობიექტის გადაკეთებას წერილობითი თანხმობის გარეშე“;

70.3. მხარეთა შორის ორმხრივად შეთანხმებულ ზემოხსენებულ პირობებზე ყურადღების გამახვილება საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით უდავოა, რომ დამქირავებელმა მისი საქმიანობისათვის ვარგის (უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო) მდგომარეობაში ჩაიბარა დაქირავებული ფართი და შეუდგა საქმიანობას (იხ. მიღება-ჩაბარების აქტი). სასამართლოს არ დაუდგენია, რომ დამქირავებელმა ჩაატარა კაპიტალური რემონტი ან ობიექტი გადააკეთა იმდაგვარად, რაზედაც გამქირავებლის წერილობითი თანხმობა იქნებოდა საჭირო. წინამდებარე განჩინების 22-ე პუნქტში ასახულია პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც გაზიარებულია გასაჩივრებული გადანყვეტილებით, თუმცა, „საიჯარო ფართში გარკვეული სამუშაოების ჩატარება“ არ არის სათანადოდ გამოკვლეული, რადგან კაპიტალური რემონტის ჩატარებაზე ან ობიექტის გადაკეთებაზე ძირითად მოსარჩელეს (გამქირავებლს) არ მიუთითებია სარჩელში, მან ის აღნიშნა, რომ დამქირავებელმა „საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ (2012 წლის 1 აპრილიდან იმავე წლის 15 აპრილამდე) დაცალა ყველა საიჯარო ფართი და მიატოვა მიღება-ჩაბარების აქტის გარეშე, თუმცა, ამ ფართებიდან ორი – 26,6, კვ.მ ავტონაწილების მალაზია და 39 კვ.მ სახელოსნო მიატოვა ისეთ მდგომარეობაში, რომ საჭიროებდა საფუძვლიან კაპიტალურ რემონტს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი შემდგომი გამოყენება ან/და გაქირავება შეუძ-

ლებელია. 2012 წლის 21 აპრილს მოვიწვიეთ მოიჯარე და მოვთხოვეთ ფართის დაბრუნების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და იმ დაზიანებების დაფიქსირება, რომელიც გამოწვეული იყო მოპასუხის არამართლობიერი ზემოქმედებით (კედლები დათხრილი და ჩამონგრეული, იატაკი დასვრილი და მოყრილი). მოპასუხემ უარი განაცხადა ასეთი ფაქტების დაფიქსირებაზე, რის გამოც მიღება-ჩაბარების (ფართის დაბრუნების) აქტები ვერ შედგა“ (იხ. სარჩელი). საქმეში მოთავსებული მიმონერის მიხედვით მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებენ, კერძოდ, გამქირავებელი უთითებს, რომ დამქირავებელს იჯარით აქვს გადაცემული არასაცხოვრებელი ფართები და მან საიჯარო ფართში გამქირავებლის თანხმობის გარეშე ჩაატარა სამშენებლო და ობიექტის გადაკეთების სამუშაოები; გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, საიჯარო ობიექტი არ იქნა მოყვანილი პირვანდელ მდგომარეობაში, რაც არღვევს მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების 6.1 პუნქტს; საიჯარო ფართი მეიჯარემ კაპიტალურად გაარემონტა და მოაწყო ანტრესოლი; მეიჯარემ მოითხოვა საიჯარო ფართების მონესრიგება/მინის ჩასმა, დასუფთავება, საიჯარო ფართის მიმდებარე ტერიტორიის გასუფთავება ნარჩენებისაგან და სარეცხ-საპოხი მასალებისაგან; გამქირავებლის ნერილობითი მიმართების პასუხად დამქირავებელი მოითხოვს, რომ ავტონაწილების მალაზიაში აღუდგეს ელექტროენერჯის მიწოდება; იგი უთითებს, რომ ხელშეკრულების 3.2. პუნქტის შესაბამისად, მას არათუ შეეძლო, არამედ, ვალდებულიც იყო, საიჯარო ფართი მოეყვანა თავისი საქმიანობისათვის სამუშაო მდგომარეობაში, რაც გააკეთა კიდევ, სხვა რაიმე სარემონტო სამუშაოები არც ერთ საიჯარო ფართში არ ჩაუტარებია.

70.4. საქმის საქალაქო სასამართლოში განხილვისას, 2014 წლის 14 მარტის სხდომაზე (იხ. სხდომის ოქმი-11:25:48-დან 11:33:48-მდე) მოიჯარის წარმომადგენელმა გააკრიტიკა საქმეში წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, კერძოდ, იმ თვალსაზრისით, რომ არ ირკვეოდა, რომელ ფართზე ჩატარდა ექსპერტიზა; გამქირავებელმა ექსპერტიზის ბიუროს მიმართა განცხადებით და მოითხოვა მოიჯარის მიერ მიყენებული ზიანის გამო ექსპერტიზის ჩატარება 25 კვ.მ ფართში... დასკვნის მიხედვით, ექსპერტიზა ჩატარდა 26,6 კვ.მ ფართში და 38 კვ.მ სახელოსნოში, ისიც გაუგებარია, თუ რატომ არის ასეთი სხვაობა მაშინ, როცა მოთხოვნილია ექსპერტიზის ჩატარება ერთ ფართზე და ჩატარებულია სხვაზე; დამქირავებელმა 2012 წლის 1 აპრილს ჩააბარა საიჯარო ფართი, ამის შემდეგ, ამ უკანასკნელის წარმომადგენელმა გამქირავებელს შესთავაზა შეხვედრა და ფართის ჩაბარება აქტით, რაც გამქირავებლის წარმომადგენელმა ვერ მოახერხა; გამქირავებლის წარმომადგენელი 16-

დან 20 აპრილამდე შეხვდა მოიჯარის წარმომადგენელს, თუმცა, უკვე ვეღარ მოხერხდა მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა, რადგან ისეთ პირობებს აყენებდა გამქირავებელი, რაც დამქირავებლისათვის მიუღებელი იყო. 11 აპრილს მხარეები სასამართლოში შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც გამქირავებელმა გაიხმო სარჩელი, თუმცა, ამ უკანასკნელს ერთი სიტყვაც არ უთქვამს მისთვის დამქირავებლის მიერ მიყენებულ ზიანზე; გამქირავებელმა ექსპერტიზა და-ნიშნა მას შემდეგ, რაც უკვე ფართი დაცლილი ჰქონდა დამქირავებელს და იქ დაზიანებები არ იყო, შესაძლებელია კედელს ჰქონოდა რაიმე ხარვეზები. ჯერ კიდევ 2009 წელს იყო ამ ფართზე მხარეთა შორის ხელშეკრულება გაფორმებული და გათვალისწინებული იყო ფართის სუფთა მდგომარეობაში, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით, დაბრუნება. სასამართლო სხდომაზე გამქირავებელმა დამქირავებლის კითხვას უპასუხა, რომ მან გააქირავა ფართი, რა-ღაცეები გაარემონტა, თუმცა, როგორც სანარმოს (სს-ას) არ წარუდგენია სასამართლოსათვის მტკიცებულება, რა დაუჯდა ის რემონტი, მხარეს არ წარუდგენია ის ხარჯთაღრიცხვა, რომლის საფუძველზეც მან გაარემონტა სადავო ფართი; წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა არ ასახავს რეალობას;

70.5. სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე საქმის განხილვისას, 2016 წლის 17 მაისის სხდომაზე დამქირავებლის წარმომადგენელმა იმავე გარემოებებზე და პრეტენზიებზე მიუთითა (იხ. სხდომის ოქმი 11:19:00-დან – 11:22:00), რაც პირველი ინსტანციის სასამართლოში აღნიშნა. გამქირავებელს არ წარუდგენია სადავო ფართის გასარემონტებლად განეული სამუშაოების შესახებ მტკიცებულება; დამქირავებელმა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას განაცხადა, რომ მას დღესაც გაქირავებული აქვს ფართი, ამასთან, მან მაშინვე გააქირავა ფართი, როგორც კი ის დაცალა დამქირავებელმა, რაც ადასტურებს, რომ გამქირავებელს არც ერთი თეთრი არ დაუხარჯავს მის გასარემონტებლად; დამქირავებელს არ ევალებოდა საიჯარო ფართის გარემონტება მისი გამოთავისუფლების შემდეგ.

71. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არც საქალაქო სასამართლოს და არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები არ შეიცავს დასაბუთებულ ფაქტობრივ-სამართლებრივ მოტივაციას, თუ რატომ დაეკისრა მოიჯარეს მეიჯარის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით 3 657, 37 ლარი და რამდენად დასაბუთებულია ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომელმაც გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს დასკვნა, რომელიც თავის მხრივ, მხოლოდ იმას უთითებს, რომ „დამქირავებელმა გარკვეული სამუშაოები ჩაატარა“ დაქირავებულ ფართში, თუმცა, რა მო-

ცულობისაა ე.წ. „გარკვეული სამუშაოები“, თავსდება მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების 3.2 პუნქტით დადგენილ შეთანხმებაში თუ სცილდება მას, დაუდგენელია (იხ. 6.4 ქვეპუნქტი).

72. სასამართლო არ მსჯელობს იმაზე, რომ თვითონ გამქირავებელი უთითებს საკუთარ სარჩელში, რომ საიჯარო ფართები 2012 წლის 15 აპრილისათვის გამოთავისუფლებული ჰქონდა გამქირავებელს, თუმცა, არ აწერდა ხელს მიღება-ჩაბარების აქტს (იხ. ზემოთ 71-ე პუნქტი). დაუდგენელია ექსპერტიზა რომელ ფართზე ჩატარდა, აღნიშნულ დასკვნაზე დამქირავებელი პირველი ინსტანციის სასამართლოდან მოყოლებული დავობს და საკასაციო საჩივარშიც წარმოადგენს დასაბუთებულ შედავებას (იხ. საკასაციო საჩივარი), საკუთარ პრეტენზიებს, რომლებიც ასახულია ამ განჩინების 58.1. 5 ქვეპუნქტში.

73. სსკ-ის 547-ე მუხლი განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ნივთის ნორმალური ცვეთისათვის, კერძოდ: „გამქირავებული ნივთის ცვლილებების ან გაუარესებისათვის, რაც გამონეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობით, დამქირავებელი პასუხს არ აგებს“. ამავე კოდექსის 548-ე მუხლი კი მიმდინარე რემონტის ხარჯებს აწესრიგებს: „1. მიმდინარე რემონტის ჩატარება, ჩვეულებრივ, ევალება დამქირავებელს. მას არა აქვს საცხოვრებელი სადგომის გადაკეთების ან რეკონსტრუქციის უფლება გამქირავებლის თანხმობის გარეშე. 2. დამქირავებელი მოვალეა ეს სამუშაოები შეასრულოს საკუთარი ხარჯებით. 3. გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამონეულია დამქირავებლის მიერ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობით“.

74. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ რაში გამოიხატა დაქირავებული ფართის დამქირავებლის საქმიანობისათვის ვარგის მდგომარეობაში მოყვანა, რაც გათვალისწინებულია მხარეთა შორის ხელმოწერილი 2011 წლის 1 აპრილის ხელშეკრულებით; საამისოდ დამქირავებელმა რა სამუშაოები ჩაატარა და რომელ ფართზე (ფართებზე). აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევა მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ რა სახით უნდა დაბრუნებოდა დამქირავებელს დაქირავებული ფართი, რაც საიჯარო ხელშეკრულების 3.4 და 3.7 პუნქტებით განსაზღვრულ ნორმალურ ცვეთასაც ითვალისწინებს (იხ. ამ განჩინების 70-ე პუნქტი). გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები, რომლებიც ორმხრივად წარმოშობს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, არ არის გამოკვლეული;

75. საქმეში წარდგენილია ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც

მოთხოვნილია 25 კვ.მ ფართობის ოთახის დაზიანების შეფასება (ზარალის დაანგარიშება), ხოლო დასკვნის მიხედვით, ფაქტობრივად ორ ობიექტს ავტონაწილების მალაზიასა (რომელიც სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებების მიხედვით 26,6 კვ.მ-ია) და საწყობში (რომელიც სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებების მიხედვით 38 კვ.მ-ია) ჩასატარებელი სამუშაოების საორიენტაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა დადგენილი კონკრეტულ ნორმატივებზე დაყრდნობით (იხ. ექსპერტიზის დასკვნა). ამ მიმართებით კასატორი დასაბუთებულ შედავებას წარმოადგენს, შესაბამისად, წინამდებარე განჩინების 74-ე პუნქტში მითითებული დამატებით გამოსაკვლევი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემდეგ, უნდა გაირკვეს, რას ასახავს საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნა, მიმდინარე რემონტის თუ კაპიტალური რემონტის გასაწევად საჭირო ხარჯებს, რადგან მეიჯარეს (გამქირავებელს) არ წარუდგენია სასამართლოსათვის იმ ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებიც მისი მტკიცებით გასწავლია მოიჯარის (დამქირავებლის) მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გარეშე მიტოვებული ფართების მოსანესრიგებლად. აღნიშნული საკითხების გამოკვლევა და დადგენა, მნიშვნელოვანია, რათა სამართლებრივად შეფასდეს დამქირავებლის (მოიჯარის) ვალდებულება სსკ-ის 564-ე მუხლის საფუძველზე: „ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას დამქირავებელი მოვალეა დაუბრუნოს დამქირავებელს ნივთი იმ მდგომარეობაში, რომელშიც მისგან მიიღო, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით, ან იმ მდგომარეობაში, რაც ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული“. სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს წინამდებარე განჩინების 65-ე პუნქტში მითითებული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის განმაპირობებელი გარემოებები სსკ-ის 573.1 მუხლის პირველი წინადადებისა და 408.1 მუხლის შესაბამისად.

76. საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების დამატებითი გამოკვლევისა და შემოწმების გარეშე, შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება ძირითადი მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ზიანის თაობაზე, რის გამოც ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდება სააპელაციო სასამართლოს (სსსკ-ის 412-ე მუხლი).

77. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე „თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის

ამ მუხლის მიხედვით“.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება გაუქმდეს ზიანის – 3657.37 ლარის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
3. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
4. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს;
5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. იჯარა

ზიანის ანაზღაურება საიჯარო ქონების დაზარუნებისას

ბანკინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1057-1012-2014

17 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: საიჯარო ქირის გადახდა, საიჯარო ქონების დაზარუნება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 23.01.2012 წელს შპს „ჯ-ო+-სა“ (შემდეგში მოსარჩელეს ან მეიჯარეს) და შპს „ბ. ჯ-ას“ (შემდეგში მოპასუხეს ან მოიჯარეს) შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მეიჯარემ მოიჯარეს დროებით სარგებლობაში გადასცა მის საკუთრებაში არსებული ბლოკების საამქრო (მდებარე მ-ის რაიონის სოფელ ქ-ში) და ორი ერთეული თვითმტვირთავი. საიჯარო ქირა განისაზღვრა ყოველთვიურად 3000 ლარით (დღგ-ს ჩათვლით), ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის – შემდეგში სსკ-ის – 581-ე მუხლის პირველი ნაწილი).

2. მოიჯარეს არცერთი თვის საიჯარო ქირა არ გადაუხდია, რის გამოც მეიჯარემ 2012 წლის 20 სექტემბრის წერილით აცნობა მას, რომ წყვეტდა საიჯარო ხელშეკრულებას და მოითხოვა საიჯარო ქირის გადახდა და საიჯარო ქონების დაზარუნება (სსკ-ის 558-ე მუხლი).

3. საიჯარო ქონებას დღემდე ფლობს მოიჯარე და უარს აცხადებს მის დაზარუნებაზე, ამასთან, მას დღემდე არ გადაუხდია საიჯარო ქირა.

4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა მოსარჩელემ და მოითხოვა:

– იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობა და მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 9 თვის საიჯარო ქირის – 27 000 ლარის დაკისრება (ამ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად სარჩელში მითითებულია სსკ-ის 581-ე და 558-ე მუხლები);

– საიჯარო ქონების დაბრუნება (ამ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად სარჩელში მითითებულია სსკ-ის 172-ე მუხლი);

– საიჯარო ქონების დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება – ყოველთვიურად 3000 ლარის გადახდა საიჯარო ქონების დაბრუნებამდე (ამ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად სარჩელში მითითებულია სსკ-ის 581-ე მუხლის მეორე ნაწილი და 567-ე მუხლი).

5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით:

– სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

– შეწყვეტილად იქნა ცნობილი საიჯარო ხელშეკრულება და საიჯარო ქონება დაუბრუნდა მოსარჩელეს;

– მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საიჯარო ქირის – 27000 ლარის გადახდა;

– მოსარჩელეს უარი ეთქვა ზიანის ანაზღაურებაზე.

6. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ მეიჯარემ მოიჯარეს სარგებლობაში გადასცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქონება. მოიჯარემ 9 თვის განმავლობაში არ გადაიხდა საიჯარო ქირა, რის გამოც მეიჯარემ შეწყვიტა ხელშეკრულება მოიჯარესთან. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ, სსკ-ის 581-ე მუხლის მეორე ნაწილისა და ამავე კოდექსის 558-ე მუხლის საფუძველზე, მეიჯარემ მართლზომიერად მოშალა ხელშეკრულება მოიჯარესთან, შესაბამისად, სსკ-ის 581-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, მეიჯარეს შეეძლო, მოიჯარისათვის მოეთხოვა საიჯარო ხელშეკრულების მოშლამდე გადაუხდელი ქირის გადახდა, ხოლო სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი – საიჯარო ქონების დაბრუნება.

7. საქალაქო სასამართლომ მოსარჩელეს უარი უთხრა ზიანის ანაზღაურებაზე იმ საფუძველით, რომ: ა. საიჯარო ქონება განთავსებულია მოიჯარის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე; ბ. საიჯარო ქონება დაყადაღებულია სახელმწიფოს სასარგებლოდ მეიჯარის საგადასახადო დავალიანების გამო; გ. მეიჯარე აღარ უზრუნველყოფს საიჯარო ქონებიდან ნაყოფის მიღების შესაძლებლობას.

8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ორივე მხარემ, კერძოდ, მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო, მოპასუხემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით:

- მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;
- მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
- შეიცვალა გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;
- სარჩელი დაკმაყოფილდა;
- მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად 3000 ლარის გადახდა 23.01.2012 წლის იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქონების მოსარჩელისათვის გადაცემამდე;
- დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

10. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საიჯარო ქონება, რომელიც განთავსებული იყო მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, 18.05.2012 წლიდან წარმოადგენდა ამ უძრავი ქონების არსებით შემადგენელ ნაწილს და, შესაბამისად, მის საკუთრებას, ამიტომ მას საიჯარო ქირის გადახდა აღარ ევალებოდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 150-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ მოპასუხემ ვერ დაამტკიცა მის მიერ მითითებული გარემოება, კერძოდ ის, რომ საიჯარო ქონება მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი იყო. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ბლოკების საამქრო წარმოადგენდა მოძრავ ქონებას – მონყობილობა-დანადგარების ერთობლიობას, რომელიც ადგილზე მიიტანა და დაამონტაჟა მოსარჩელემ.

11. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დაუსაბუთებელი იყო მოპასუხის პრეტენზია იმის თაობაზეც, რომ დათქმული საიჯარო ქირა მიწის ნაკვეთით სარგებლობის საფასურსაც გულისხმობდა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 23.01.2012 წლის იჯარის ხელშეკრულება მიწით სარგებლობის პირობებს არ ადგენდა და საიჯარო საგანში მხოლოდ ხელშეკრულებაში მითითებულ მეიჯარის კუთვნილ მოძრავ ქონებას გულისხმობდა.

12. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 591-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ამ ნორმის საფუძველზე მეიჯარეს შეეძლო, მოპასუხისათვის მოეთხოვა საიჯარო ქონების დაუბრუნებლობით გამონეული ზიანის ანაზღაურება მისი დაყოვნების მთელი პერიოდისათვის. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას ხელს არ უშლიდა ის გარემოება, რომ 02.12.2012 წელს მეიჯარემ ბლოკების საამქროდან ამოიღო მეხსი-

ერების ბარათი, რადგან ეს ქმედება განხორციელდა საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, ამასთან, ამის მიუხედავად, მოიჯარემ თავად აღადგინა საამქროს მუშაობა.

13. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილება, საიჯარო ქონების დაბრუნების დაყოვნების გამო ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, იურიდიულად დაუსაბუთებელი იყო, რის გამოც იგი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და 385-ე, 386-ე მუხლების შესაბამისად, უნდა შეცვლილიყო ახალი გადანყვეტილებით.

14. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა საიჯარო ქონების დაბრუნების დაყოვნების გამო ზიანის ანაზღაურების თაობაზე. კასატორი მოითხოვს ამ ნაწილში გადანყვეტილების გაუქმებას და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

15. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

– მოსარჩელემ საიჯარო ქონება შეიძინა მოპასუხის დამფუძნებლისგან ნასესხები 224 000 აშშ დოლარით, რომელიც მოსარჩელეს დღემდე არ დაუბრუნებია. სწორედ ამ ვალდებულების შეუსრულებლობამ განაპირობა საიჯარო ქირის გადაუხდელობა;

– სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მეიჯარის მიერ ბლოკების საამქროდან მეხსიერების ბარათის ამოღება ვერ დააბრკოლებდა საიჯარო ქონების დაუბრუნებლობით გამონვეული ზიანის ანაზღაურებას, რადგან ეს ქმედება განხორციელდა საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ მსჯელობას და მიიჩნევს, რომ მეიჯარის მიერ მეხსიერების ბარათის ამოღების დროს იჯარის ხელშეკრულება შეწყვეტილი არ ყოფილა, ვინაიდან ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი სასამართლოში იხილებოდა;

– სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 591-ე მუხლი, ვინაიდან ამ ნორმის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ მოიჯარე ბრალეულად არ აბრუნებს საიჯარო ქონებას. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ საიჯარო ქონება დაყადაღებულია სახელმწიფოს სასარგებლოდ მეიჯარის საგადასახადო დავალიანების გამო, შესაბამისად, მოიჯარე მოკლებულია საიჯარო ქონების დაბრუნების შესაძლებლობას;

– სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილებით არ ირკვევა, თუ რა დროიდან დაეკისრა მოპასუხეს ყოველთვიურად 3000 ლარის გადახდა.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 სექტემბრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

17. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ზეპირი განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

18. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედადება).

19. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად დაადგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივად სწორად შეაფასა ეს ფაქტები (იხ. ამ განჩინების 1-3, 10-12 პუნქტები).

20. განსახილველ საქმეში მოსარჩელის მოთხოვნებს წარმოადგენდა: ა. იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის გამო საიჯარო ქონების დაბრუნება; ბ. საიჯარო ქირის დავალიანების გადახდა და გ. საიჯარო ქონების დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

21. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებით მოსარჩელის სამივე მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ამასთან, საკასაციო საჩივრით გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ ის ნაწილი, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელის მესამე მოთხოვნა. აქედან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის განხილვის საგანია საიჯარო ქონების დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების კანონიერება.

22. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მესამე მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა სსკ-ის 591-ე მუხლი. ამ ნორმის თანახმად, თუ მოიჯარე, საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ არ დააბრუნებს იჯარით აღებულ ქონებას, მაშინ მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის; მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც.

23. ზემოხსენებული ნორმის გამოყენებისათვის აუცილებელია,

რომ შემდეგი სამართლებრივი წანამძღვრები არსებობდეს: (ა) მხარეთა შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება; (ბ) საიჯარო ურთიერთობის დამთავრება; (გ) მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების დაბრუნების დაყოვნება.

24. მოცემულ შემთხვევაში, ყველა სამართლებრივი წინაპირობა განხორციელებულია, კერძოდ: (ა) მხარეთა შორის დადებულია იჯარის ხელშეკრულება; (ბ) საიჯარო ურთიერთობა დამთავრებულია მეიჯარის მიერ საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე მოშლით; (გ) მოიჯარის მიერ დაყოვნებულია საიჯარო ქონების დაბრუნება.

25. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 23.01.2012 წლის იჯარის ხელშეკრულებით დათქმული საიჯარო ქირის გადახდა საიჯარო ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის იმ დრომდე, ვიდრე მოპასუხე ამ ქონებას მოსარჩელეს არ დაუბრუნებს.

26. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ მეიჯარის მიერ 25.09.2008 წლის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობა გამორიცხავს მოიჯარის დავალდებულებას, გადაიხადოს საიჯარო ქირა, მათ შორის, საიჯარო ქონების დაბრუნების დაყოვნების მთელი პერიოდისათვის. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ კასატორი ვერ უთითებს, თუ რა სამართლებრივი კავშირი არსებობს ამ ორ ხელშეკრულებას შორის. 23.01.2012 წლის იჯარის ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე მითითებას 25.09.2008 წლის სესხის ხელშეკრულებაზე და – პირიქით, სესხის ხელშეკრულებაშიც არაფერია ნათქვამი იჯარის ხელშეკრულებაზე. აქედან გამომდინარე, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა, შესაძლებელია იყოს ცალკე დავის საგანი და იგი გავლენას ვერ მოახდენს იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობებზე.

27. კასატორი მიიჩნევს, რომ მეიჯარის მიერ საიჯარო ქონების დაზიანებისას (ბლოკების საამქროდან მესხიერების ბარათის ამოღებისას), საიჯარო ხელშეკრულება შეწყვეტილი არ ყოფილა, შესაბამისად, მეიჯარემ თავისი უკანონო მოქმედებით მოიჯარეს წაართვა საიჯარო ქონებიდან ნაყოფის მიღების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მეიჯარის ზემოხსენებული ქმედება გავლენას ვერ მოახდენს საიჯარო ქონების დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე.

28. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და მიუთითებს გასაჩივრებული გადანყვეტილებით

დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ, რამდენიმე თვის საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, მეიჯარემ 20.09.2012 წლის წერილით ცალმხრივად მოშალა იჯარის ხელშეკრულება მოიჯარესთან. კასატორს, საქმისწარმოების არცერთ ეტაპზე, სადავოდ არ გაუხდია ამ წერილის მიღების ფაქტი. ამდენად, უდავოა, რომ მოიჯარეს წერილობით ეცნობა მეიჯარის ნება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შესახებ. აქედან გამომდინარე, სსკ-ის 51.1 მუხლის საფუძველზე, მეიჯარის ნების გამოვლენა ნამდვილად, ხოლო ხელშეკრულება მოშლილად ითვლება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოიჯარის მიერ საიჯარო ქონებით სარგებლობა მართლზომიერია საიჯარო ურთიერთობის დამთავრებამდე. ამ ურთიერთობის დამთავრების შემდეგ კი, საიჯარო ქონება მეიჯარეს უნდა დაუბრუნდეს. თუ მოიჯარე აყოვნებს საიჯარო ქონების დაბრუნებას, მისი მოქმედება არამართლზომიერად უნდა მივიჩნიოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მოიჯარეს ამ ქონებით სარგებლობისა და ნაყოფის მიღების უფლება აღარ გააჩნია. აქედან გამომდინარე, საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ, მეიჯარე აღარაა ვალდებული, უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა საიჯარო ქონებიდან, ხოლო მისი მცდელობა, დაიბრუნოს ეს ქონება მოიჯარისაგან, შესაძლებელია, განვიხილოთ, როგორც თვითდახმარება (სსკ-ის 118-ე მუხლი). მართალია, თვითდახმარების ფარგლების გაცდენა, შესაძლებელია, გახდეს თვითდახმარების მიზნით მოქმედი პირისათვის ზიანის დაკისრების საფუძველი (სსკ-ის 120-ე მუხლი), მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, მოიჯარეს ასეთი მოთხოვნა არ წამოუყენებია.

29. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ, ვინაიდან საიჯარო ქონება დაყადაღებულია სახელმწიფოს სასარგებლოდ მეიჯარის საგადასახადო დავალიანების გამო, ამიტომ მოიჯარე მოკლებულია შესაძლებლობას, დააბრუნოს აღნიშნული ქონება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, მეიჯარის ქონების დაყადაღება ვერ დააბრკოლებს ამ უკანასკნელისათვის მისივე დაყადაღებული ქონების დაბრუნებას. მართალია, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებით, მეიჯარეს აეკრძალა საიჯარო ქონების დაზიანება და გადაადგილება, მაგრამ არც ეს აკრძალვა არ ზღუდავს მოიჯარეს, საიჯარო ქონება დაუბრუნოს მეიჯარეს. გარდა ამისა, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საიჯარო ქონების მეიჯარისათვის დაბრუნების თაობაზე შესულია კანონიერ ძალაში, შესაბამისად, ამ ქონების მეიჯარისათვის დაბრუნების კანონიერებას კასატორი სადავოდ ველარ გახდის.

30. კასატორი უთითებს იმ გარემოებაზეც, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ ირკვევა, თუ რადროიდან დაეკისრა მოპასუხეს ყოველთვიურად 3000 ლარის გადახდა. საკასაციო პალატა კასატორის ყურადღებას მიაქცევს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც შესულია კანონიერ ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილებით, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 9 თვის საიჯარო ქირის – 27 000 ლარის გადახდა, შესაბამისად, ნათელია, რომ საიჯარო ქონების დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანის – ყოველთვიურად 300 ლარის ანაზღაურება მოპასუხეს დაეკისრა მეთავე თვიდან საიჯარო ქონების მოსარჩელისათვის გადაცემამდე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხი გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე რაიმე დაბრკოლებას შექმნის, საკასაციო პალატის მოსაზრებით, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია, განმარტოს თავისი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 262-ე მუხლი).

31. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმის, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

32. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

33. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე მუხლებით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 408-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ბ. ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. გასაჩივრებულ ნაწილში უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. ნარდობა

მიწარღის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ას-737-689-2017

11 აპრილი 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „მ-1“-ის (შემდეგში: მოსარჩელე, გამქირავებელი, მე-
ნარდე აპელანტი ან კასატორი) და შპს „ზ-ს“ (შემდეგში: მოპა-
სუხე, დამქირავებელი ან შემკვეთი) შორის რამდენიმე ხელშეკ-
რულება დაიდო, კერძოდ:

1.1. 2012 წლის 3 იანვარს 100 – ტონიანი შესაძლებლობების მქო-
ნე ტელესკოპური ამწის ქირავნობის შესახებ, 1 თვით. ქირავნობის
დრო განსაზღვრული იქნებოდა დღეში 10 სამუშაო საათით, კვირა-
ში 6 სამუშაო დღით, თვეში – 26 დღით (260 საათი) და ღირებულება
16 000 ევროს შეადგენდა, დამატებითი საათების მუშაობის შემ-
თხვევაში – 61, 5 ევროს;

1.2. 2012 წლის 2 ივლისს გამქირავებელმა დამქირავებელს მია-
ქირავა 550-ტონიანი შესაძლებლობების მქონე ტელესკოპური ამ-
წე, 3 თვით. ქირავნობის დრო განსაზღვრული იქნებოდა დღეში მი-
ნიმუმ 10 სამუშაო საათით, კვირაში 6 სამუშაო დღით, თვეში – 26
დღით და ღირებულება 140 000 ევროს შეადგენდა, დამატებითი
საათების მუშაობის შემთხვევაში – 536, 46 ევროს;

1.3. 2012 წლის 2 ივლისს გამქირავებელმა დამქირავებელს მია-
ქირავა 100-ტონიანი შესაძლებლობების მქონე ტელესკოპური ამ-
წე, 5 თვით. ქირავნობის დრო განსაზღვრული იქნებოდა დღეში მი-
ნიმუმ 10 სამუშაო საათით, კვირაში 6 სამუშაო დღით, თვეში – 26
დღით და ღირებულება 16 000 ევროს შეადგენდა, დამატებითი სა-
ათების მუშაობის შემთხვევაში – 61,5 ევროს;

1.4. 2012 წლის 2 ივლისს დამქირავებელმა იქირავა 100-ტონია-
ნი შესაძლებლობების მქონე ტელესკოპური ამწე, 2 თვით. ქირავ-

ნობის დრო განსაზღვრული იქნებოდა დღეში მინიმუმ 10 სამუშაო საათით, კვირაში 6 სამუშაო დღით, თვეში – 26 დღით (260 საათით) და ღირებულება 16 000 ევროს შეადგენდა, დამატებითი საათების მუშაობის შემთხვევაში – 61,5 ევროს;

2. მხარეთა შორის უდავო გარემოებაა, რომ დაქირავებული ამნეებისათვის ოპერატორებს უზრუნველყოფდა თვითონ გამქირავებელი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 531-ე 629-ე მუხლები).

3. სარჩელის საფუძვლები

3.1. გამქირავებელმა 2014 წლის 20 ივნისს სარჩელი აღძრა დამქირავებლის წინააღმდეგ და მოითხოვა ამ უკანასკნელისათვის 244 749.16 ევროსა და 3000 აშშ დოლარის დაკისრება მოსარჩელის სასარგებლოდ;

3.2. გამქირავებელმა სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მიუთითა, რომ მასთან ქირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა დამქირავებელი, ხელშეკრულების საგანი იყო მაღალი შესაძლებლობების მქონე ტელესკოპური მობილური ამნეკრანების დაქირავება. ხელშეკრულების საერთო ღირებულებამ შეადგინა 1 067 477.15 ევრო, საიდანაც დამქირავებელმა გადაიხადა 822 727.99 ევრო და გადასახდელი დარჩა სწორედ ის თანხა, რაც მხარემ სარჩელით მოითხოვა (იხ. 3.1 ქვეპუნქტი).

4. მოპასუხის შესაგებელი

4.1. მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო, კერძოდ, გამქირავებლისადმი 3000 აშშ დოლარისა და 77 062, 08 ევროს დავალიანების არსებობის ნაწილში, დანარჩენ მოთხოვნას დამქირავებელი არ დაეთანხმა;

4.2. მოპასუხემ შესაგებელში აღნიშნა, რომ ზენორმატიული საათების რაოდენობა საჭიროებდა დადასტურებას, დამქირავებელს არ გააჩნდა ორივე მხარის მიერ დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტები, რომლის საფუძველზედაც გამქირავებელი მოითხოვდა ანაზღაურებას (იხ. შესაგებელი, მე-5 ფაქტობრივი გარემოება)

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

5.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით გამქირავებლის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მის სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა:

5.1.1. 3000 აშშ დოლარისა და 77 062, 08 ევროს გადახდა;

5.1.2. მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა წარმომადგენლის მომსახურებისათვის განუხლები ხარჯის – 7593 ლარის გადახდა;

5.1.3. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

5.2. საქალაქო სასამართლომ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოიკვლია და დადგინდად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-2 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებანი, დავის მოსანესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 531-ე და 629-ე მუხლები და განმარტა:

5.2.1. სსკ-ის 531-ე მუხლის თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა, დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა, გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა. ამავე კოდექსის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს ვალდებულებას, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. სასამართლოს შეფასებით, მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულებები შერეული ტიპის გარიგებებია, რომლითაც გამქირავებელი დამქირავებელს გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნივთს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა სამუშაო ტექნიკა, რომლის ოპერირებას (მართვას) თავად მოსარჩელე სანარმოს თანამშრომლები უზრუნველყოფდნენ მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით.

5.2.2. მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების პირობებისა და განუხილელი მომსახურების შესაბამისად, მოსარჩელის მიერ გამოწერილია შემდეგი ინვოისები : №047406 – 16 000 ევრო, №047475 – 19 177,5 ევრო, №047299 – 16 000 ევრო, №047300 – 16 000 ევრო, №047341 – 16 000 ევრო, №047345 – 16 000 ევრო, №047383- 16000 ევრო, №047387 – 16 000 ევრო, №047426 – 16 000 ევრო, №047442 – 32 727.99 ევრო, №047457 – 26 885,5 ევრო, №047441 – 140 000 ევრო, №047424 – 140 000 ევრო, №047403 – 140 000 ევრო, №047477 – 112 538 ევრო, №047435 – 160 461,08 ევრო, №047456 – 160 461,08 ევრო, №047405 – 7226 ევრო. ამ ინვოისებში სულ 1 067477,15 ევროს გადახდის ვალდებულებაა მითითებული და იგი მოიცავს როგორც ქირას, ისე – ზედმეტად ნაშუშევარი საათების ღირებულებასაც. მოპასუხემ სულ 822 727,99 ევრო გადაიხადა, რაც დასტურდება შემდეგი დოკუმენტაციით:

1. საგადახდო დავალება №0 – 30 000 ევრო, დანიშნულება – ინვოისი №047477;

2. საგადახდო დავალება №1 – 30 000 ევრო, დანიშნულება – ინვოისი №047424;

3. საგადახდო დავალება №0 – 30 000 ევრო, დანიშნულება – ინვოისი №047424;

4. გადარიცხვის დოკუმენტი – 16 000 ევრო, დანიშნულება –

ინვოისი №047341;

5. გადარიცხვის დოკუმენტი – 16 000 ევრო, დანიშნულება – ინვოისი №047387;

6. გადარიცხვის დოკუმენტი – 32 727,99 ევრო – დანიშნულება – ინვოისი №047442;

7. გადარიცხვის დოკუმენტი – 16 000 ევრო, დანიშნულება – ანგარიშფაქტურის ნომერი 1007-2011 (თარიღი 05.01.2012);

8. გადარიცხვის დოკუმენტი – 16 000 ევრო, დანიშნულება – ანგარიშფაქტურის ნომერი 1005-2011 (თარიღი 27.02.2012), იჯარის გადასახადი

9. გადარიცხვის დოკუმენტი – 16 000 ევრო, დანიშნულება – 1007-2011 (თარიღი 21.04. 2012, იჯარის გადასახადი;

10. გადარიცხვის დოკუმენტი – 100 000 ევრო, დანიშნულება – ანგარიშფაქტურები №047299, 047300, 047345, 047406; 047435;

11. გადარიცხვის დოკუმენტი – 140 000 ევრო, დანიშნულება – მძიმე ტვირთის ამწე დანადგარის იჯარის ხელშეკრულება (თარიღი 08.06.2012).

12. გადარიცხვის დოკუმენტი – 140 000 ევრო, დანიშნულება – ანგარიშფაქტურა №047441;

13. გადარიცხვის დოკუმენტი – 140 000 ევრო, დანიშნულება – ანგარიშფაქტურა №047424;

14. გადარიცხვის დოკუმენტი – 100 000 ევრო, დანიშნულება – ანგარიშფაქტურა №047435;

5.3. იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხემ სარჩელი 3000 აშშ დოლარისა და 77 062,08 ევროს ნაწილში ცნო, საქალაქო სასამართლომ იმსჯელა დანარჩენი თანხის – 167 687,08 ევროს მოთხოვნის საფუძვლიანობაზე და განმარტა: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს;

5.3.1. სადავო ინვოისებში მოთხოვნილია 7 226 ევრო (2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდში ამწე დანადგარის მიერ დამატებით შესრულებული სამუშაოების საფასური) და 160 461,08 ევრო (2012 წლის სექტემბერში დამატებით შესრულებული სამუშაოების ღირებულება). შესრულებული სამუშაოების დასადასტურებლად მოსარჩელეს წარმოდგენილი აქვს მუშაობის აღრიცხვის უწყისები, რომლებიც ხელმოწერილია მოსარჩელე მხარის თანამშრომლების (ოპერატორების) მიერ და არ არის დადასტურებული მოპასუხის მხრიდან, შესაბამისად, ეს დოკუმენტები სადავოობის შემთხვევაში საჭიროებს დამატებითი მტკიცე-

ბულებებით დადასტურებას. სასამართლო სხდომაზე დაკითხულ-
მა მოწმეებმა – ა. ი-მა და მ. ს-მა დაადასტურეს აღრიცხვის უწყის-
ში მითითებული მონაცემების სისწორე, მაგრამ, ვინაიდან აღნიშ-
ნული მოწმეები არიან ის პირები, რომლებიც ამ დოკუმენტებს ისე-
დაც აწერენ ხელს, მათ ჩვენებებზე დაყრდნობით სასამართლომ
დადასტურებულად არ მიიჩნია სადავო გარემოება.

5.3.2. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია
იმასთან დაკავშირებით, რომ თანხის გადახდის დოკუმენტებით
სწორედ სადავო მოთხოვნის ნაწილია გადახდილი. სასამართლომ
აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტების გადახდის დანიშნულების გრაფა-
ში მითითებულია არა სადავო ინვოისები, არამედ – სხვები, ხოლო
გადახდის იმ დოკუმენტებში, რომლებზე მითითებულია მოსარჩე-
ლე განმარტავდა, რომ ამ კონკრეტული გადახდებით სადავო და-
ვალიანების ნაწილი დაფარა მოპასუხემ, მითითებულია დანიშნუ-
ლებად არა ინვოისები, არამედ – „იჯარის გადასახადი“ და გადახ-
დილია შემდეგი თანმიმდევრობით: 2012 წლის 25 იანვარს – 16 000
ევრო, 2012 წლის 29 მარტს – 16 000 ევრო და 2012 წლის 14 ივნისს
– ასევე 16 000 ევრო, ხოლო N047405 ინვოისი გამოწერილია 2012
წლის 23 ივლისს, N047456 ინვოისი – 2012 წლის 12 ოქტომბერს.
აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით არ შეიძლება დადასტურ-
დეს მოპასუხის მიერ ზედმეტად ნამუშევარი საათების ღირებუ-
ლების გადახდის ფაქტი, ვინაიდან ჯერ გადახდებია შესრულებუ-
ლი, შემდეგ კი სადავო ინვოისებია გამოწერილი, ზეგანაკვეთური
სამუშაოს ღირებულების წინსწრებით გადახდა კი აზრს მოკლებუ-
ლი იქნებოდა მოპასუხის მხრიდან;

5.3.3. ვინაიდან მოპასუხე არ აღიარებს მოსარჩელის მიერ ცალ-
მხრივად შედგენილ დოკუმენტებს, ხოლო დამატებითი სამუშაოე-
ბის შესრულების ფაქტი სარწმუნო მტკიცებულებებით ვერ დადას-
ტურდა, საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზი-
ცია 167 687,08 ევროს ღირებულების ზეგანაკვეთური სამუშაოე-
ბის შესრულებასთან დაკავშირებით. ვინაიდან მოპასუხეს ხელშეკ-
რულების მთლიანი ღირებულებიდან გადახდილი აქვს 822 727,99
ევრო და მოპასუხემ სარჩელი მხოლოდ 3000 აშშ დოლარისა და 77
062,08 ევროს ნაწილში ცნო, ხოლო ზეგანაკვეთური სამუშაოების
არსებობა მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, შესაბამისად, საქალა-
ქო სასამართლომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 77 062,08
ევროსა და 3000 აშშ დოლარის გადახდა დააკისრა (იხ. გადანყვე-
ტილება).

6. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი

6.1. გამქირავებელმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო
სასამართლოს გადანყვეტილება მისი სარჩელის დაუკმაყოფილე-

ბელ ნაწილში და, ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მოითხოვა სარჩელის სრულად დაკმაყოფილება (იხ. სააპელაციო საჩივარი).

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

7.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 აპრილის განჩინებით გამქირავებლის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

7.2. სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრით გამქირავებელს სადავოდ არ გაუხდია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მითითებული უდავო და დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.1.1.-3.2.1 პუნქტები), შესაბამისად, ისინი, როგორც უდავო ფაქტობრივი გარემოებები, სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარა;

7.3. სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტის არსებითი პრეტენზია (შედავება) ემყარებოდა იმ გარემოებას, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გაზიარებული არ იქნა მისი პოზიცია ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულებისა და ამ სამუშაოებიდან წარმოშობილი დავალიანების გადაუხდელობის შესახებ, რაც აპელანტის მოსაზრებით, საქმეში წარდგენილი №047405 და №047456 ინვოისებით, მონმეთა ჩვენებებითა და თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტებით დასტურდებოდა;

7.4. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა გამქირავებლის სააპელაციო პრეტენზია და დაასკვნა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დამატებით საათებში სამუშაოების შესრულებისა და მისგან წარმოშობილი ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტობრივი გარემოება საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა;

7.5. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებაანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მონმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მა-

სალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

7.6. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზემოხსენებულ ნორმათა შესაბამისად, ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცების ვალდებულება აკისრიათ მხარეებს, რომლებიც თავის სამართლებრივ მოთხოვნას აფუძნებენ აღნიშნულ გარემოებებს და შესაბამისად, ისინი უთითებენ მათ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს. მხარეს, რომელიც თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს აფუძნებს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას, ეკისრება მითითებული გარემოების მტკიცების ტვირთი. ამასთან, არა მარტო მოსარჩელეა ვალდებული ამტკიცოს საჩივრში მოყვანილი გარემოებები, არამედ – მოპასუხეცაა ვალდებული დაამტკიცოს, მის მიერ შესაგებელში მითითებული გარემოებები;

7.7. განსახილველ შემთხვევაში, გამქირავებლის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებიდან გამომდინარე (რაც მოიცავს, როგორც კონკრეტულად განერილ ვალდებულებებს, ასევე – დამატებით საათებში შესრულებულ სამუშაოებს) მოპასუხისათვის 244 749,16 ევროს და 3000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრებას. 3000 აშშ დოლარისა და 77 262,08 ევროს ნაწილში მოპასუხემ ცნო საჩივრი, ხოლო მოთხოვნის დარჩენილ ნაწილთან დაკავშირებით, რაც გამომწერილია №247405 [7226 ევროზე] და №047456 [160 461,08 ევროზე] ინვოისებით, დამქირავებელმა განმარტა, რომ მას დამატებით სამუშაო საათებში ინვოისებში მითითებული ღირებულების სამუშაოები არ მიუღია. შესაბამისად, სასამართლოს შეფასებით, დამქირავებლის მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას წარმოადგენდა ფაქტების დამტკიცება, რომ მან მოპასუხის სასარგებლოდ დამატებით სამუშაო საათებში 176 687,08 ევროს ღირებულების სამუშაოები შეასრულა;

7.7.1. დამატებით სამუშაო საათებში სამუშაოს შესრულების ფაქტის დადასტურების მიზნით მოსარჩელემ (გამქირავებელმა) წარადგინა სამუშაოს აღრიცხვის უწყისები, თუმცა, ამ მტკიცებულებების შეფასებისას, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გამახვილა იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული დოკუმენტები ხელ-

მონერილია თავად მოსარჩელის მიერ და ისინი არ შეიცავს მოპასუხის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასტურს, რომ ამ უკანასკნელმა დოკუმენტში მითითებული სამუშაო მიიღო;

7.7.2. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტების გარდა მოსარჩელე სადავო გარემოების დადასტურებას მონშეთა ჩვენებებითაც შეეცადა. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებისაგან განსხვავებით, რომლებიც თავისი შინაარსით, ფორმით ან თვისებებით წარმოადგენენ მტკიცებულებას და ამ მხრივ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მიღების ობიექტურ წყაროდ მიიჩნევიან, მონშის განმარტება უფრო კრიტიკულად უნდა შეფასებულიყო. თითოეული მონშე ინდივიდია განსხვავებული პიროვნული თვისებებით, მეხსიერებით, აღქმისა და გადმოცემის უნარით, ემოციურობით თუ ინტერესებით, რაც გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ იმახსოვრებს პირი ამა თუ იმ მოვლენას და როგორ გადმოსცემს მას. გასათვალისწინებელია ასევე გარემო ფაქტორები და მონშის პირადი ინტერესი განვითარებული მოვლენებისადმი. მართალია, მონშე, როგორც წესი, არ არის სამართლებრივი თვალსაზრისით დაინტერესებული პირი, მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ მას ჰქონდეს საქმის გადანყვევტის შედეგით სხვაგვარი დაინტერესება, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ერთ-ერთ მხარესთან მეგობრული, მტრული ურთიერთობით, სიმპათიითა და ანტიპათიით, სამსახურებრივი ურთიერთკავშირებით. ყოველივე აღნიშნული, ცხადია, თავისთავად არ განაპირობებს მონშის ჩვენების მტკიცებულებითი მნიშვნელობის დაკარგვას, მაგრამ იძლევა მისი კრიტიკული შეფასების საფუძველს;

7.7.3. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის მიერ წარდგენილი, ზემოხსენებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე სასამართლომ არ გაიზიარა მტკიცება, რომ მოპასუხის სასარგებლოდ დამატებით სამუშაო საათებში 176 687,08 ევროს ღირებულების სამუშაოები შესრულა გამჭირავებელმა, ამ გარემოების დადასტურებულად მიჩნევის მიზნებისთვის სასამართლო ვერ დაეყრდნობოდა მხოლოდ მოსარჩელესთან დასაქმებული პირების განმარტებას.

7.8. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ სწორედ მოპასუხის მიერ წარდგენილი თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტებით დასტურდებოდა სადავო სამუშაოების ღირებულების ნაწილობრივ გადახდის ფაქტი და ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის მიერ გამოწერილ ინვოისებზე (იხ. ამ განჩინების 5.2.2 ქვეპუნქტი).

7.8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივ

შესრულების დასადასტურებლად მოპასუხემ წარადგინა შემდეგი დოკუმენტები: საგადასახადო დავალება №0 – 30 000 ევრო, დანიშნულება – ინვოისი №047477; საგადასახადო დავალება №1 – 30 000 ევრო, დანიშნულება – ინვოისი №047424; საგადასახადო დავალება №0 – 30 000 ევრო, დანიშნულება – ინვოისი №047424; გადარიცხვის დოკუმენტი – 16 000 ევრო, დანიშნულება – ინვოისი №047341; გადარიცხვის დოკუმენტი – 16 000 ევრო, დანიშნულება – ინვოისი №047387; გადარიცხვის დოკუმენტი – 32 727,99 ევრო, დანიშნულება – ინვოისი №047442; გადარიცხვის დოკუმენტი – 16 000 ევრო, დანიშნულება – ანგარიშფაქტურის ნომერი 1007-2011 (თარიღი 05.01.2012); გადარიცხვის დოკუმენტი – 16 000 ევრო, დანიშნულება – ანგარიშფაქტურის ნომერი 1005-2011 (თარიღი 07.02.2012), იჯარის გადასახადი; გადარიცხვის დოკუმენტი – 16 000 ევრო, დანიშნულება – 1007-2011 (თარიღი 21.04.2012), იჯარის გადასახადი; გადარიცხვის დოკუმენტი – 100 000 ევრო, დანიშნულება – ანგარიშფაქტურები №047299; 047300; 047345; 047406; 047435; გადარიცხვის დოკუმენტი – 140 000 ევრო, დანიშნულება – მძიმე ტვირთის ამწეკრანის იჯარის ხელშეკრულება (თარიღი 08.06.2012); გადარიცხვის დოკუმენტი №047441; – 140 000 ევრო, დანიშნულება – ანგარიშფაქტურა; გადარიცხვის დოკუმენტი №047424 – 140 000 ევრო, დანიშნულება – ანგარიშფაქტურა; გადარიცხვის დოკუმენტი № 047435 – 100 000 ევრო, დანიშნულება – ანგარიშფაქტურა;

7.8.2. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტით, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი სამისა: 1. გადარიცხვის დოკუმენტი – 16 000 ევრო, დანიშნულება – ანგარიშფაქტურის ნომერი 1007-2011 (თარიღი 05.01.2012); 2. გადარიცხვის დოკუმენტი – 16 000 ევრო, დანიშნულება – ანგარიშფაქტურის ნომერი 1005-2011 (თარიღი 07.02.2012), იჯარის გადასახადი; 3. გადარიცხვის დოკუმენტი – 16 000 ევრო, დანიშნულება – 1007-2011 (თარიღი 21.04.2012), იჯარის გადასახადი; თანხის გადახდები შესრულებული იყო შესაბამისი დანიშნულებით, კერძოდ, კონკრეტული ინვოისების ნომრების მითითებით, რაც იძლეოდა დასკვნის საფუძველს, რომ გადახდისას შემსრულებელს სწორედ გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული ინვოისებით გათვალისწინებული თანხის გადახდა სურდა. რაც შეეხება გადახდის იმ დოკუმენტებს, რომლებშიც არ არის მითითება მოსარჩელის მიერ გამოწერილ ინვოისებთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ არც ერთი მათგანი არ შეიცავდა მითითებას, რომ გადახდელს სადავო ინვოისებით გათვალისწინებული

ვალდებულების დაფარვა სურდა, ამასთან, საყურადღებოა, რომ ამ დოკუმენტების მიხედვით, გადახდები შესრულებულია რამდენიმე თვით ადრე, ვიდრე მოსარჩელე სადავო სამუშაოებთან დაკავშირებით შესაბამის ინვოისებს გამონერდა.

7.9. ზემოხსენებული მოტივაციით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი.

8. მოსარჩელის საკასაციო საჩივარი

8.1. გამქირავებელმა საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება (საკასაციო საჩივრის ფასი განსაზღვრულია 435 986 ლარით; იხ. საკასაციო საჩივარი).

9. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

9.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ნოემბრის განჩინებით გამქირავებლის საკასაციო განაცხადი დასაშვებად იქნა ცნობილი არსებითად განსახილველად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხოლო ამავე სასამართლოს 2018 წლის 9 თებერვლის განჩინებით დადგინდა საქმის ზეპირი მოსმენა მხარეთა მონაწილეობით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის, მხარეთა პოზიციების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს შემდეგი არგუმენტაციით:

10. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის პრეტენზიები დაუსაბუთებელია.

11. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებელი თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

12. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკვლეულია ყველა ის მტკიცებულება და ფაქტობრივი გარემოება, რომელიც საჭიროა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

12.1. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე საქმის განხილვისას მხარეთა პოზიციების შემოწმების მიზნით, უწინარესად, ის უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა შორის არსებული ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნა (სსკ-ის 629-ე მუხლი). ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების შეფასება, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებები შერეული ტიპისაა, გასაზიარებელია, თუმცა, სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის მოძიება და შესაბამისი წინაპირობების განხორციელების დადგენა მნიშვნელოვანია სამართლებრივი შეფასებისათვის, აღნიშნული კი სასამართლოს პრეროგატივაა და საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს: „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური შედეგების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის

(სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსგები: №ას-1529-1443-2012, №ას-973-1208-04; №ას-664-635-2016),

13. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის სადავოა მენარდის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოების შესრულებისათვის ამ უკანასკნელისათვის შემკვეთის მხრიდან გადასახდელი თანხის დასაბუთებულობა, რადგან მხარეთა შორის გაფორმებული ოთხი ხელშეკრულება, კონკრეტული მაღალი შესაძლებლობების მქონე ამწეს (მისი ტონაჟის) დაქირავებისათვის ითვალისწინებდა სტანდარტულ სამუშაო განრიგსა და საათობრივ ანაზღაურებას, რაც ნებისმიერ შემთხვევაში, იმუშავებდა თუ არა მენარდის ოპერატორი შემკვეთთან, ამ უკანასკნელს უნდა აენაზღაურებინა სტანდარტული სამუშაოს შესაბამისად.

13.1. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორმა აღნიშნა, რომ მოპასუხემ მარტივი შესაგებელი წარადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი კვალიფიციურად არ შეედავა მოსარჩელეს. თავის მხრივ, მოპასუხის (შემკვეთის) წარმომადგენელმა განმარტა, რომ, გარდა მხარის მიერ წარდგენილი შესაგებლისა, რომელშიც შედავებულია ზეგანაკვეთური სამუშაოების შესრულება და აქედან გამომდინარე შემკვეთის მიერ შესასრულებელი ვალდებულება, ამ უკანასკნელმა პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე სადავო გახადა ყველა ის ინფორმაცია თუ მტკიცებულება, რომელზედაც საკუთარ მოთხოვნას ამყარებდა მოსარჩელე.

13.1.1. საკასაციო სასამართლო არაერთ განჩინებაში უთითებს სსსკ-ის 201-ე მუხლით დადგენილ მოწესრიგებაზე, რომელიც მოპასუხის მიერ წარდგენილი შესაგებლის შინაარსს განსაზღვრავს. დასახელებული ნორმა ადგენს „მოპასუხის საპროცესო თავდაცვის ძირითადი ინსტრუმენტის – შესაგებლის ინსტიტუტს და ნორმის მე-4 და მე-5 ნაწილებით განსაზღვრულია, რომ პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წა-

რადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა“ (იხ. სუსგ №ას-1067-1026-2016, 23.06.2017წ; შდრ. სუსგ-ებს: №ას-845-789-2017, 22.12.2017წ; №ას-679-633-2017, 05.12.2017წ; №ას-842-786-2017, 20.10.2017წ; №ას-979-911-2017წ).

14. საკასაციო სასამართლო კასატორის პრეტენზიის პასუხად მიუთითებს საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 მარტის მოსამზადებელი სხდომის ოქმზე, იმავე წლის 29 აპრილის მოსამზადებელი სხდომის ოქმზე, იმავე წლის 30 სექტემბრის მოსამზადებელი სხდომის ოქმზე, რომლებითაც დასტურდება, რომ მოპასუხემ საქმის არსებითად განხილვამდე ისარგებლა საკუთარი საპროცესო უფლებით და სადავო გახადა ინვოისი №047456, რომლის საფუძველზეც მენარდემ შემკვეთისაგან მოითხოვა 160 461, 08 ევროს ანაზღაურება და № 047405 ინვოისი, რომლის თანახმად მოსარჩელემ მოითხოვა მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 7226 ევროს ანაზღაურება;

14.1. მოპასუხემ იმაზეც გაამახვილა ყურადღება პირველი ინსტანციის სასამართლოში (რაც საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზეც გაიმეორა), რომ საქმის მასალებში ორი ინვოისი იყო მენარდის მიერ გამოწერილი იდენტური თანხის 160 461, 08 ევროს მითითებით, რომელთა სარწმუნოობა საეჭვო იყო, რადგან თეორიულადაც კი გამორიცხული იყო, რომ მენარდის მითითებით ოპერატორებს ზეგანაკვეთურად ემუშავათ იმგვარად, რომ ზუსტად ერთი და იგივე /სათებში, წუთებსა და წამებში/ დამატებითი დრო დასჭირვებოდათ;

15. საკასაციო სასამართლო, ასევე, ყურადღებას გაამახვილებს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის სხდომის ოქმზე /15:25:46-დან/, სადაც მოსამართლის შეკითხვის პასუხად შემკვეთმა (მოპასუხემ) განმარტა, რომ იგი არ აღრიცხავდა ზეგანაკვეთურ სამუშაოებს, რადგან მას არ ევალებოდა აღნიშნული, სტანდარტული სამუშაოებისათვის გათვალისწინებული თანხა დადგენილი იყო ხელშეკრულებებით, ხოლო ზეგანაკვეთური სამუშაოების შესრულება მოსარჩელეს (მენარდეს) უნდა აღერიცხა.

16. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნიდან და დავის საგნიდან (იხ. წინამდებარე განჩინების მე-13 პუნქტი) გამომდინარე, ცხადია, რომ ზეგანაკვეთური სამუშაოების შესრულების გამო სპეციალური ტექნიკის დამატებით საათებში მუშაობის დამტკიცების ვალდებულება მოსარჩელეს (კასატორს) ეკუთვნოდა, რაც მან ვერ შეძლო სამართლებრივად ვარგისი და წონადი მტკიცებულებებით. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა მსჯელობა და დასკვნები მხარეთა მტკიცების ტვირ-

თის საპროცესო ვალდებულების შესრულების, მოსარჩელის მიერ მოწვეულ მოწმეთა (სპეციალურ ტექნიკაზე მომუშავე ოპერატორთა – მ. ს-ისა და ა. ი-ის ჩვენებები საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის მთავარ სხდომაზე /16:28:12-დან/, რომელიც საკასაციო სასამართლომაც მოისმინა) განმარტებები არ ქმნის იმ დასაბუთებული ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას, რომ მენარდემ ზეგანაკვეთური სამუშაოები შეასრულა და შემკვეთს მისთვის გადასახდელი დარჩა თანხის გარკვეული ნაწილი;

16.1. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების (სსსკ-ის 407-ე მუხლი) სამართლებრივი შეფასებისას, საკასაციო სასამართლომ, საქმეში მოთავსებული მტკიცებულებების შემომწმებისას, იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ მენარდის (მოსარჩელის) მიერ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოების დამტკიცების მიზნით წარდგენილი უწყისებები, რომელთა შესახებ უთითებს და სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად შეფასებას მოითხოვს კასატორი, არადაამაჯერებელი და არასარწმუნოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას ცალმხრივად აწერენ ხელს მენარდის ოპერატორები, არამედ იმიტომაც, რომ 2012 წლის სექტემბერში ზეგანაკვეთური მუშაობის ცხრილში დამატებით ნამუშევარი საათები მითითებულია 298 (1 საათი ანაზღაურდება 538, 46 ევროთი), სტანდარტული 260 საათისათვის 140 000 ევროა გათვალისწინებული, ჯამში – მითითებულია 160 461,08 ევრო, ხოლო 2012 წლის აგვისტოში ზეგანაკვეთური მუშაობის ცხრილში დამატებით ნამუშევარი საათები მითითებულია 285 (1 საათი ანაზღაურდება 538, 46 ევროთი), სტანდარტული 260 საათისათვის 140 000 ევროა გათვალისწინებული, ჯამში – მითითებულია 160 461,08 ევრო, რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ 2012 წლის სექტემბერში თუკი ზეგანაკვეთური სამუშაოები 298 საათს შეადგენდა, ხოლო იმავე წლის აგვისტოში იგივე სახის სამუშაოები 285 საათით განისაზღვრა (13 საათით ნაკლები იყო), მაშინ ჯამურად, ორივე თვეში 160 461,08 ევროს მენარდისათვის გადახდის ვალდებულება არ წარმოეშობოდა შემკვეთს. შესაბამისად, მოწმეთა განმარტებებით, ასევე, ცალმხრივად შედგენილი უწყისების მეშვეობით, როგორც არასაკმარისი და არასარწმუნო მტკიცებულებებით, მოსარჩელემ ვერ შეძლო საკუთარი მოთხოვნის საფუძვლიანობის დასაბუთება.

16.2. კასატორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ სასამართლომ არ გამოიკვლია ინვოისების გამოწერისა და მათზე მითითებით, მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის შემკვეთის მიერ განხორციელებული გადახდების ქრონოლოგია და ამ გადახდების რეალური დანიშნულება /რიგ შემთხვევაში მხარეებს ემუქვებათ ინვოისის ნომრები და ამას მოპასუხე მხარეც ადასტურებ-

და ქვემდგომ ინსტანციაში სასამართლო სხდომებზე. კასატორის მტკიცებით, იმ გადახდებით, რომლებშიც დანიშნულება დაზუსტებული არაა, მოპასუხემ ნაწილობრივ დაფარა სადავო ზეგანაკვეთური სამუშაოების ღირებულება/, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხეს არ უღიარებია, რომ მან №047456 და №047405 ინვოისების საფუძველზე რაიმე თანხა (თუნდაც ნაწილობრივ) გადაიხადა, მეტიც, ის არ ადასტურებს ამ ინვოისებში მითითებული სამუშაოების მიღებას;

16.2.1. იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე სადავო ინვოისებში ასახული ზეგანაკვეთური სამუშაოების შესრულების ნამდვილობას ობიექტურად ვერ ადასტურებს, სამართლებრივ მნიშვნელობას არის მოკლებული იმის გამოკვლევა, სხვა გადახდები როდის, რა ქრონოლოგიით და რომელი ვადამოსული ვალდებულების სასარგებლოდ შესრულდა. საქმეში წარმოდგენილი ყველა გადახდის შესწავლა უსაფუძვლოა რადგან მოსარჩელე 14 გადახდიდან მხოლოდ 3 მათგანზე დავობს, როგორც მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების განმაპირობებელ მტკიცებულებასზე;

16.2.2. დასკვნის სახით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ პირობებში, როდესაც არ დასტურდება თავად ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების ფაქტი, მატერიალური და მტკიცებითი მნიშვნელობა არ გააჩნია შედავებას იმაზე, რომ სასამართლომ არ გამოიკვლია მოპასუხის მიერ განხორციელებული თითოეული გადახდის ქრონოლოგია და მიზნობრიობა. „...მოცემულ შემთხვევაში სადავოა მოსარჩელის მიერ წარმოებული სამუშაოების ღირებულება და მისი დადასტურების წესი. შესაბამისად, დავის მონაწილე მხარეთა მიზანს წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოქმედი მტკიცების სტანდარტის საფუძველზე იმ გარემოებების სარწმუნოდ და სათანადო მტკიცებულებებით დადასტურების ვალდებულება, რომლებზეც ისინი თავის პოზიციას აფუძნებდნენ, ვინაიდან სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. მითითებული ნორმების ანალიზის შესაბამისად, სადავოდ მიჩნეული უფლების კანონიერება უნდა დამტკიცდეს. დარღვეული უფლების დაცვა მხარეს კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით შეუძლია და ამ ფაქტების მითითება მხარის მოვალეობაა. საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომელიც სადავოა, დამტკიცებას საჭიროებს, ხოლო ფაქტების დამტკიცების ტვირთი ფაქტების მიმითებელ მხარეებს ეკისრებათ. მტკიცების ტვირთის

მხარეთა შორის სწორად გადანაწილებას არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ არსებითი მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან მხარის მიერ ამ მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად განხორციელებას, შედეგად მოჰყვება ამავე მხარისათვის უარყოფითი, არახელსაყრელი შედეგი“ (იხ. სუსგ № ას-386-359-2017, 28.04.2017წ; შდრ. სუსგ-ებს: №ას-939-879-2017, 29.09.2017წ; №ას-719-672-2017, 19.07.2017წ; №ას-625-593-2017, 07.07.2017წ; №ას-746-714-2016, 08.05.2016წ.).

17. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 85.3 მუხლით გარანტირებულია სამართალწარმოების განხორციელება მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის საწყისებზე, რაც, ასევე, ასახულია სსსკ-ის მე-4 და მე-5 მუხლებში, ამასთან, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მხარეები თავად წარუდგენენ სასამართლოს მტკიცებულებებს, რომლებსაც ეფუძნება მათი მოთხოვნა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ (სსსკ-ის 105-ე მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ მხარისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას განაპირობებს შეჯიბრებითობა, რომელიც მხარის არა მარტო დისპოციზიციური უფლებაა, არამედ – საპროცესო ვალდებულებაც. განსახილველ შემთხვევაში კასატორმა სამართლებრივად წონადი მტკიცებულებებით ვერ დაძლია გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა და დასკვნები, რაც საკასაციო განაცხადის დაკმაყოფილების უარყოფისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ შ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-

- მოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 აპრილის განჩინება;
3. კასატორის მიერ გადახდილი ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად;
 4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამატებითი შესრულების მოთხოვნა

განჩინება საქართველოს სახელის

№ას-203-203-2018

27 თებერვალი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ჯ.დ.გ-სა“ და (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც შემკვეთი, მოპასუხე, აპელანტი, კასატორი) და შპს „D-ს“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მენარდე, მოსარჩელე, მონინა-ალმდეგე მხარე) შორის 2014 წლის 16 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებით, მენარდემ სააგანსო თანხის გადარიცხვის დღიდან 25 სამუშაო დღეში, მოპასუხის კუთვნილი ავეჯის მაღაზიის კონდიციონერების, ჰაერით გათბობისა და ვენტილაციის სისტემების შექმნა-მონტაჟისა და სველი წერტილის მოწყობის ვალდებულება იკისრა. ხელშეკრულების ღირებულება 47 000 ლარით განისაზღვრა, საიდანაც 80% მოპასუხეს წინასწარ უნდა გადაეხადა, ხოლო დარჩენილი 20% – სისტემის გაშვებიდან არაუგვიანეს 3 დღისა.

2. 2014 წლის 17 ივნისს მოპასუხემ მოსარჩელეს 37 000 ლარი გადაუხადა.

3. საგადასახადო ანგარიშფაქტურებისა (23.03.2015 წლისა და 29.12.2015 წლის) და სასაქონლო ზედნადებების (26.12.2014 წლისა და 06.05.2015 წლის) მიხედვით, მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულებაა 49 475.50 ლარი (42 030 და 7 445.50).

4. 2016 წლის 21 აპრილს შემკვეთმა მენარდეს წერილობით აც-

ნობა, რომ დამონტაჟებული მოწყობილობები მუშაობდა ხარვეზით, რის გამოც გამოყენება შეუძლებელი იყო და მოითხოვა შეკეთება ან შეცვლა.

5. 2016 წლის 27 ოქტომბერს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ დავალიანების 12 475.50 ლარის, დაკისრების მოთხოვნით.

6. მოპასუხემ წარდგინილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა შემდეგი: ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების შესახებ უნდა გაფორმებულიყო მიღება-ჩაბარების აქტი. მოსარჩელეს კონდიციონების, ჰაერით გათბობისა და ვენტილაციის სისტემის გაშვების აქტი არ წარმოუდგენია. შესაბამისი მოწყობილობების გამართულად მუშაობა ასეთი აქტით უნდა დადასტურებულიყო. უფრო მეტიც, მოსარჩელემ მოწყობილობები დაამონტაჟა უხარისხოდ, რომელიც საექსპლუატაციოდ უვარგისი იყო. სამუშაოები შესრულდა ტექნიკური მოთხოვნების დარღვევით. მოპასუხემ არაერთხელ, მათ შორის, 2016 წლის 21 აპრილს მიმართა მოსარჩელეს და ნაკლის გამოსწორება მოითხოვა, თუმცა დღემდე უშედეგოდ. ზემოაღნიშნულის გამო, მოპასუხემ სამუშაოები არ ჩაბარა, ამიტომ თანხის გადახდაც არ უნდა დაეკისროს.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს 12 475.50 ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ.

9. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 316-ე, 317-ე, 340-ე, 477-ე, 487-ე, 629-ე, 642-ე და მე-400 მუხლები გამოიყენა და მიუთითა შემდეგი:

9.1. ხელშეკრულების 7.1 მუხლის მიხედვით, დეფექტებზე პასუხისმგებლობის ვადები შეადგენს 36 თვეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა ცალკეული ეტაპისა და მთლიანი სამუშაოს შესრულების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან. 7.3. მუხლის თანახმად, აღმოჩენილი დეფექტების აქტის შედგენაზე ან ხელმოწერაზე მენარდის მიერ უარის თქმისას, შემკვეთი საკუთარი ხარჯებით მოწვეული კვალიფიცირებული ექსპერტიზის საფუძველზე ადგენს ცალმხრივ აქტს. 7.4. მუხლის თანახმად კი, ნაკლოვანების აღმოჩენის შემთხვევაში, პირველი ერთი წლის განმავლობაში მენარდე ვალდებულია, გაასწოროს საკუთარი ხარჯებით, მომდევნო ორი წლის განმავლობაში მასალებს შეიძენს შემკვეთი, ხოლო სამუშაოებს შეასრულებს მენარდე.

9.2. დამონტაჟებული ტექნიკის უხარისხობისა და სისტემის გამართაობის მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრებოდა, რაც მან

ვერ განახორციელა. საქმეში არ არის წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ შემკვეთმა მოსარჩელეს აცნობა შესრულების ნაკლის თაობაზე და იმოქმედა ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მოსარჩელესთან ერთად შეადგინა აქტი ან მოიწვია ექსპერტი და შეადგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული „ცალმხრივი აქტი“, რაც დაადასტურებდა შესრულებულ სამუშაოთა ხარვეზებს.

9.3. შესრულებული და მიწოდებული სამუშაოებისა და მოწყობილობების ხარვეზის დასდასტურებლად მხოლოდ 2016 წლის წერილი სასამართლომ საკმარის მტკიცებულებად არ მიიჩნია, მაშინ, როდესაც ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხეს ცალმხრივი აქტის შედგენისა და ნაკლის გამოსწორების მოთხოვნის უფლება ჰქონდა. მით უფრო, მასში არ არის კონკრეტულ ხარვეზებზე მითითებული და შეუძლებელია დადგენა, მართლაც არსებობს თუ არა ხარვეზი, ვისი ბრალით, როდის გამოვლინდა ის და ა.შ.

9.4. სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკისა და სისტემის მონტაჟთან დაკავშირებული ხარვეზების დადასტურება შესაძლებელი იყო მხოლოდ შესაბამისი სპეციალისტის დასკვნით, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც შესრულების ხარვეზები იმდენად თვალსაჩინოა, რომ ნათელია ყველასთვის.

სასამართლოს დასკვნით, საქმეში არ იყო წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულებები, რაც მოსარჩელის მიერ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებას დაადასტურებდა. შესაბამისად, მოპასუხეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა სრულად უნდა გადაეხადა.

10. გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით, მოპასუხემ სააპელაციო საჩივარი წარადგინა და შემდეგ გარემოებებზე მიუთითა:

10.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება უნდა შესრულებულიყო მოსარჩელის მიერ მიწოდებული მასალებითა და მუშახელით, სამუშაოების შესრულების შესახებ უნდა გაფორმებულიყო მიღება-ჩაბარების აქტი. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია სამუშაოების შესრულების შესახებ მიღება-ჩაბარების, კონდიციონერების, ჰაერით გათბობისა და ვენტილაციის სისტემების გაშვების აქტები, ანუ დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდება, რომ მენარდემ დაასრულა სამუშაოები და ეს მოწყობილობები მუშაობს გამართულად.

10.2. აპელანტის მტკიცებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები მოსარჩელეს დღემდე არ შეუსრულებია სრულად. ამის გამო, სამუშაოები მოპასუხეს არ მიუღია. ვინაიდან მი-

ღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა, ხელშეკრულების მე-7 პუნქტზე მითითება არასწორია. ხელშეკრულების მიხედვით, ღირებულების 20% მენარდეს ვალდებულების შესრულებიდან 3 დღეში უნდა აუნაზღაურდეს. შესაბამისად, სანამ მოსარჩელე ვალდებულებას სრულად არ შეასრულებს, მოპასუხე არ არის ვალდებული, გადაიხადოს სადავო თანხა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 20 დეკემბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

11.1. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მიწოდებული საქონლის/მომსახურების ნაკლის მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრებოდა, რომელმაც სასამართლოს ვერ წარუდგინა ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები. სასამართლომ სწორად შეაფასა მოპასუხის 2016 წლის 21 აპრილის წერილი და დასაბუთებულად დაასკვნა, რომ მომსახურების ხარვეზების დადასტურება შესაძლებელი იყო მხოლოდ სპეციალისტის დასკვნით. ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ ქცევის შემდეგ წესზე: „აღმოჩენილი დეფექტების აქტის შედგენაზე ან ხელმოწერაზე მენარდის მიერ უარის თქმისას, შემკვეთი საკუთარი ხარჯებით მონვეული კვალიფიცირებული ექსპერტიზის საფუძველზე ადგენს ერთმხრივ აქტს“ (ხელშეკრულების 7.3 მუხლი). მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს არც ასეთი „ერთმხრივი აქტი“ არ შეუდგენია კვალიფიციური ექსპერტიზის საფუძველზე.

12.2. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, 2014 წლის 16 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელემ მოპასუხეს ჯამში გაუწია 49 475.5 ლარის მომსახურება, საიდანაც ასანაზღაურებელი დარჩა 12 75.5 ლარი. შესაბამისად, სარჩელი საფუძვლიანი იყო და მართებულად დაკმაყოფილდა.

13. აღნიშნული განჩინება მოპასუხემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის უარყოფის მოთხოვნით.

13.1. კასატორის მტკიცებით, საქმეში წარმოდგენილი ანგარიშფაქტურები ადასტურებს მასალის შექენას და არა – ვალდებულების შესრულებას. ვალდებულების შესრულება უნდა დადასტურებულიყო მიღება-ჩაბარების აქტით, რაც არ გაფორმებულა. შესაბამისად, შემკვეთს სამუშაოები არ მიუღია. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა ხელშეკრულების 7.1 პუნქტზე მითითებაც, რომლის თანახმადაც, დეფექტზე პასუხისმგებლობის ვადა – 36 თვე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან აითვლება.

13.1. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს, სსკ-ის 369-ე მუხლის საფუძველზე, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა ეთ-

ქვა, ვინაიდან შემკვეთს არ აქვს თანხის სრულად გადახდის ვალდებულება, ვიდრე მენარდე ვალდებულებას სრულად არ შეასრულებს.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 სექტემბრის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის მიერ ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, არ წარმოუდგენია, დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. მოსარჩელის მოთხოვნა ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული საზღაურის დარჩენილი ნაწილის გადახდაა, შესაბამისად, ამ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 629.1 (ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური) მუხლი.

17. ზემოხსენებული ნორმის საფუძველზე მენარდის მოთხოვნა მაშინ დაკმაყოფილდება, თუ ის დაამტკიცებს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო შეასრულა, ანუ შესრულებულ სამუშაოთა მტკიცების ტვირთი მენარდეს ეკისრება. შესაბამისად, მოსარჩელეს სათანადო მტკიცებულებებით უნდა დაემტკიცებინა, თუ რა ხარჯი განია მან 2014 წლის 16 ივნისის ხელშეკრულების შესასრულებლად. მტკიცებულება, რომლითაც მოსარჩელე თავის მოთხოვნას ადასტურებს, საგადასახადო ანგარიშფაქტურები (23.03.2015 წლისა და 29.12.2015 წლის) და სასაქონლო ზედნაღებები (26.12.2014 წლისა და 06.05.2015 წლის), რომელთა მიხედვით, მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულება 49 475.50 ლარია (42 030 და 7 445.50). აქე-

დან 37 000 ლარის ანაზღაურებაზე მხარეები არ დავობენ, სადავოა დარჩენილი 12 475.50 ლარის ანაზღაურება.

18. მოპასუხე შესაგებელში უთითებს დამონტაჟებულ მოწყობილობათა და შესრულებულ სამუშაოთა ნაკლოვანებებზე და მის მიერ მენარდისათვის წარდგენილ უშედეგო მოთხოვნაზე ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით. მოპასუხის განმარტებით, მან 21.04.2016 წლის წერილით მენარდეს დამონტაჟებულ მოწყობილობათა ხარვეზით მუშაობის გამო, მათი შეკეთება ან შეცვლა მოსთხოვა, რაც მენარდეს არ შეუსრულებია. შესაბამისად, შემკვეთი მანამდე არ გადაიხდის საზღაურს სრულად, ვიდრე მოსარჩელე ამ ვალდებულებას არ შეასრულებს.

19. პალატა მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელია მოპასუხის შედავება მენარდის მიერ ნაკლიანი ნივთის გადაცემისა და ამის გამო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი 12 475.50 ლარის ანაზღაურებაზე უარის თაობაზე.

მოპასუხის შესაგებელი მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის საპირისპირო ნორმას, სსკ-ის 642.1 მუხლს ეფუძნება, რომლის თანახმად, როდესაც ნაკეთობა ნაკლის მქონეა, შემკვეთს დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს, ხოლო, სსკ-ის 645-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი შესრულების მიუღებლობის შემთხვევაში, ნაკლის შესაბამისად – საზღაურის შემცირების უფლება, თუმცა შემკვეთი ვალდებული იყო, ამ ნორმების წინაპირობა – ნაკლიანი შესრულება დაემტკიცებინა.

დამონტაჟებულ მოწყობილობათა ნაკლი ან სამუშაოთა უხარისხოდ შესრულება მოპასუხეს სათანადო მტკიცებულებებით არ დაუდასტურებია, რაც ხელშეკრულების მიხედვით, „კვალიფიცირებული ექსპერტიზის საფუძველზე შემკვეთის მიერ შედგენილი აქტით“ უნდა დადასტურებულიყო. ამდენად, სადავო ფაქტის დასადგენად მხარეები სწორედ ამ წესზე შეთანხმდნენ.

20. მოპასუხის პრეტენზია ისაა, რომ ეს წესი გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ნაკლი შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტით მიღების შემდეგ გამოვლინდებოდა. ამ შემთხვევაში კი, მას სამუშაოები არ მიუღია და არც მიღება-ჩაბარების აქტზე არ მოუწერია ხელი.

როგორც უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, ნარდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების (სამოქალაქო კოდექსის 629-ე-656-ე მუხლები) არცერთი დანაწესით კანონმდებელი იმპერატიულად არ აწესებს ვალდებულების შესრულებულად მიჩნევის შესაძლებლობას მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის გზით. მართალია, ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების ფორ-

მაზე, მაგრამ მიღება-ჩაბარების აქტის შეუდგენლობა, იმ შემთხვევაში, თუ სხვა მტკიცებულებით უტყუარად დადასტურდება ვალდებულების შესრულების ფაქტი, არ შეიძლება, გახდეს სარჩელზე უარის თქმის საფუძველი (იხ. სუსგ №ას-323-307-2011, 01.12.2011წელი). პალატა მიუთითებს, რომ შემკვეთის 21.04.2016 წლის წერილითაც დასტურდება, რომ ამ უკანასკნელმა მიიღო შესრულება, თუმცა იგი ნაკლიან შესრულებას ედავება. შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის არარსებობა, მოცემულ შემთხვევაში, სამუშაოს შეუსრულებლობას არ ადასტურებს. პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებები წარადგინა, მათ შორის, რომელთა გასაქარწყლებლად მითითებული გარემოებები მოპასუხემ ვერ დაამტკიცა. შესაბამისად, პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მენარდის მიერ სამუშაოთა ხელშეკრულების შესაბამისად შესრულების თაობაზე.

21. რაც შეეხება მტკიცებას, რომ სამუშაოთა უხარისხოდ შესრულებას, 21.04.2016 წლის წერილი ადასტურებს, პალატა მიუთითებს, რომ ის სამუშაოთა უხარისხოდ შესრულების დასადასტურებლად არასათანადო მტკიცებულებაა. გარდა ამისა, წერილი რომაც აკმაყოფილებდეს მტკიცებულების სტანდარტს, მაინც არ გამოდგება მოპასუხის მიერ მითითებული ფაქტის დასადასტურებლად, რამდენადაც 21.04.2016 წლის წერილის შინაარსიდანაც ნათელია, რომ ეს არის სამუშაოების მიწოდების (ჩაბარების) შემდეგ წამოყენებული პრეტენზია დეფექტების აღმოჩენის თაობაზე, მასზე კი, ვრცელდება ხელშეკრულების მე-7 მუხლით დადგენილი წესი, რომლის მიხედვით, დეფექტის არსებობა უნდა დადასტურდეს ექსპერტიზის დასკვნით და ეს შემკვეთის ვალდებულებაა. მოპასუხეს ასეთი დასკვნა არ წარმოუდგენია.

22. რაც შეეხება მოთხოვნის შემაფერხებელ ნორმაზე სსკ-ის 369-ე მუხლზე კასატორის მითითებას, როგორც აღინიშნა, შემკვეთმა სსკ-ის 642.1 მუხლით გათვალისწინებული დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება ვერ დაამტკიცა, სსკ-ის 369-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა კი, საპირისპირო მოთხოვნის ნამდვილობაა.

23. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების შესრულებული ნაწილის მიმართ კანონი ადგენს შეთანხმებული საზღაურის ანაზღაურების ვალდებულებას. შესრულებულ სამუშაოთა მტკიცების ტვირთი მენარდეს ეკისრება. მოსარჩელემ 49 475.50 ლარის ღირებულების სამუშაოთა შესრულების ფაქტი დაამტკიცა, მოპასუხემ მენარდის ხელშეკრულებით განსაზღვრული საზღაურის სრულად მიღების ხელისშემშლელი ფაქტობრივი გარემოებები ვერ დაამტკიცა, რის გამოც მენარდის მოთხოვნა მის მიერ შესრულებული სამუშაოს დარჩენილი ნაწილის (12 475.50 ლა-

რის) ანაზღაურების თაობაზე, დასაბუთებელია. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება მოპასუხისათვის თანხის დაკისრების თაობაზე კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

24. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

25. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ჯ.დ.გ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. მიზარება

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

ბანჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1077-1034-2016

18 ნოემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ა-სა“ (შემდეგში: მოპასუხე, შეგვებულები სარჩელით მოსარჩელე, შემნახველი ან კასატორი) და შპს „ე-ის“ (შემდეგში: მოსარჩელე, შეგვებულები სარჩელით მოპასუხე, მიმბარებელი ან აპელანტი) შორის, 2009 წლის 1 ივლისს, გაფორმდა სამშენებლო მასალის დასაწყობებისა და შენახვის შესახებ ხელშეკრულება (მიზარების ხელშეკრულება).

1.1. ხელშეკრულების 1.1 მუხლის თანახმად, მოპასუხემ თანხმობა განაცხადა მისი საწარმოს კუთვნილ მიწაზე, ქ. თბილისში, ..., შეთანხმებულ ვადებში დაესაწყობებინა და შეენახა მოსარჩელის კუთვნილი სამშენებლო მასალა (არმატურა). ხელშეკრულების 1.2 მუხლის მიხედვით, დასაწყობებული მასალის რაოდენობის შესახებ, მხარეებს შორის გაფორმდებოდა მიღება-ჩაბარების აქტი.

1.2. ხელშეკრულების 2.1 მუხლის შესაბამისად, მოპასუხე მოსარჩელეს პირველი თვე გადაუხდიდა 600 ლარს, ხოლო, დანარჩენი თვეები – 300 ლარს.

1.3. ხელშეკრულების 3.1.1 მუხლის თანახმად, მოპასუხე ვალდებული იყო, დაესაწყობებინა მოსარჩელისგან მიღებული, საორიენტაციოდ 750 ტონა არმატურა. 3.1.3 მუხლის მიხედვით, მოპასუხემ ასევე ივალდებულა, რომ საქონელი დაებრუნებინა მხოლოდ მოსარჩელის დირექტორის ნდობით აღჭურვილი პირისათვის შესაბამისი აქტის საფუძველზე. ხელშეკრულების 3.2.1 პუნქტის შესაბამისად, მოსარჩელე (შემნახველი) ვალდებული იყო, შესანახი მასალა გადაეცა და დაებრუნებინა შესაბამისი აქტის საფუძველზე.

1.4. ხელშეკრულების 4.1 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2010 წლის 31 დეკემბერი.

2. მოპასუხემ 2010 წლის 15 სექტემბერს წერილობით მიმართა მოსარჩელეს და მოსთხოვა ხელშეკრულების დადება ახალი პირობებით (ყოველთვიური საზღაურის განსაზღვრა 450 ლარით) ან სამშენებლო მასალის გატანა.

3. მოსარჩელემ, 2007 წლის სექტემბერ-დეკემბერში მოპასუხეს მიანოდა, ჯამში, 34 145 ლარის ღირებულების ცემენტი და ბეტონი. 2007 წლის 23 სექტემბრის, იმავე წლის 28 სექტემბრისა და 9 ოქტომბრის სალაროს შემოსავლების ორდერების მიხედვით დგინდება, რომ მოპასუხეს, მიწოდებული პროდუქციის ღირებულების დაფარვის მიზნით, მოსარჩელისთვის გადახდილი აქვს 38 075 ლარი ანუ 3 930 ლარით მეტი.

4. მოსარჩელეს მოპასუხისთვის, №1659572, №1659575, №1786452, №1786457, №1786460, №1786463, №1786466, №1786469, №2033354, №2033357, №2033360, №2033363, №2033366, №2033370 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე, ჯამში, 4 800 ლარის ოდენობით მიბარების საზღაური უნდა გადაეხადა 2009 წლის ივლისიდან 2010 წლის აგვისტოს ჩათვლით პერიოდისთვის, რომელიც არ გადაუხდია.

5. მიმბარებლის სასარჩელო მოთხოვნა

5.1. მიმბარებელმა, 2013 წლის 29 აგვისტოს, სარჩელი აღძრა შემნახველის წინააღმდეგ, მოითხოვა ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით 46 783 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

6. მოპასუხის (შემნახველის) პოზიცია

6.1. მოპასუხემ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო, იმავდროულად, სადავო გახადა საქმეში წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტები მიბარებული საქონლის (არმატურის) როგორც შესანახად მიღებაზე, ისე – მის გატანაზე.

7. შემნახველის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა

7.1. შემნახველმა, თავის მხრივ, შეგებებული სარჩელი აღძრა მიმბარებლის (თავდაპირველი მოსარჩელის) წინააღმდეგ და მოითხოვა ამ უკანასკნელისათვის 8 730 ლარისა და მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაკისრება, ასევე, მიუთითა, რომ თავდაპირველი სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო უსაფუძვლობის გამო.

8. მიმბარებლის შესაგებელი შემნახველის შეგებებულ სარჩელზე

8.1. თავდაპირველ მოსარჩელეს შემნახველის მიერ მის წინააღმდეგ აღძრულ შეგებებულ სარჩელზე შესაგებელი არ წარუდგე-

ნია.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

9.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით მიმბარებლის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

9.1.1. მოპასუხეს (შემნახველს) მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 3 613.98 ლარის გადახდა;

9.1.2. შემნახველის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და, მის სასარგებლოდ, შეგებებული სარჩელის მოპასუხეს (მიმბარებელს) 8 730 ლარის გადახდა დაეკისრა;

9.2. მოთხოვნათა ურთიერთგაქცითვის საფუძველზე, საბოლოოდ, შეგებებული მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს (მიმბარებელს) 5 116.02 ლარის გადახდა დაეკისრა (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება).

10. თავდაპირველი მოსარჩელის (მიმბარებლის) სააპელაციო საჩივარი

10.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა თავდაპირველმა მოსარჩელემ (მიმბარებელმა), გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და შემნახველის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა (იხ. სააპელაციო საჩივარი).

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

11.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მიმბარებლის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

11.1.1. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.1 ქვეპუნქტი, მე-3 და მე-4 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი;

11.1.2. სააპელაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით თავდაპირველი მოსარჩელის (მიმბარებლის) სარჩელი დაკმაყოფილდა, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მოპასუხეს (შემნახველს) 46 783 დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა დაეკისრა, გადახდის დროს არსებული ოფიციალური კურსის მიხედვით.

11.2. სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე განჩინების 1-4 პუნქტებში ასახულ გარემოებებზე მიუთითა და დამატებით სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინე-

ბით განმარტა, რომ თავდაპირველი მოსარჩელე (მიმბარებელი), ზიანის ანაზღაურების მიზნით, მოპასუხისათვის 46 783 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრებას მოითხოვდა. მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძვლად კი მიმბარებელი მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხის (შემნახველის) კუთვნილ მიწის ნაკვეთზე დასაწყობებული 561,22 ტონა სამშენებლო მასალის გატანისას, აღმოაჩინა 59,22 ტონა არმატურის დანაკლისი. მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებით 1 ტ. სტანდარტული არმატურის ფასი განისაზღვრებოდა – 790 აშშ დოლარით.

11.3. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დავას არ იწვევდა ის გარემოება, რომ მოსარჩელემ, მოპასუხეს გარკვეული რაოდენობის არმატურა მიაბარა შესანახად (რაოდენობასთან დაკავშირებით მოპასუხემ 514.961 ტონის შენახვის ფაქტი დაადასტურა), და მოსარჩელის პრეტენზიის მიხედვით, არმატურას 59.22 ტონა დანაკლისი ჰქონდა, შესაბამისად, ამის სანადალმდეგო გარემოება, მოპასუხეს, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით უნდა გაექარწყლებინა.

11.4. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო პროცესში განმტკიცებულ მტკიცების სტანდარტებზე მიუთითა (იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში: სსკ-ის მე-4, 102-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 103-ე და 105-ე მუხლები) და განმარტა, რომ მოპასუხეს, როგორც მოვალეს, მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოება (შესანახად მიბარებული არმატურის მიმბარებლის უფლებამოსილი პირებისთვის სრულად გადაცემა) არ დაუდასტურებია. კერძოდ, მას არ წარუდგენია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 429-ე მუხლის პირველი ნაწილით „კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი“ გათვალისწინებული განკუთვნილი მტკიცებულებები.

11.5. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით (მიმბარებლის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობები შესანახად მიღებული არმატურის კონკრეტული რაოდენობის გატანაზე) დასტურდებოდა, რომ შესანახად მიღებული არმატურის გადაცემა შემნახველის მიერ უნდა მომხდარიყო მოსარჩელე საწარმოს (მიმბარებლის) დირექტორის მიერ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებზე ორმხრივად დადასტურებული აქტების საფუძველზე, სადაც მითითებული იქნებოდა სსკ-ის 430-ე მუხლით გათვალისწინებული რეკვიზიტები. ვალდებულების შესრულების და-

მადასტურებელი ამ სახის მტკიცებულებები მოპასუხეს არ წარუდგენია. ასეთად ვერ ჩაითვლებოდა მოპასუხის მიერ წარდგენილი ცალმხრივი ჩანაწერები, რომლებითაც გაურკვეველია, ვინ, როდის, ვისგან, რის საფუძველზე, რა ოდენობის და რა სახის პროდუქცია გაიტანა.

11.6. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გაიზიარა მოპასუხის (შემნახველის) წარმომადგენლის განმარტება იმის შესახებ, რომ საქმის მასალებში მოსარჩელის მიერ წარდგენილი 2009 წლის 19 ივნისისა და 23 ივნისის აქტები ასახავდა მოსარჩელის მიერ, ჯამში, 32,288 არმატურის გატანის ფაქტს (2009 წლის 19 ივნისის აქტი – 19, 324 ტონა არმატურის, ხოლო, 2009 წლის 23 ივნისის აქტი – 12, 964 ტონა არმატურის გატანას), რაც უნდა გამოჰკლებოდა მოსარჩელის მიერ მითითებული არმატურის დანაკლისის საერთო ოდენობას.

11.7. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის (მიმბარებლის) მითითება იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მტკიცებულების შეფასებისას არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოპასუხეს აღნიშნულ მტკიცებულებაზე არ მიუთითებია არც შესაგებელში და არც საქმის მოსამზადებელ სტადიაზე, არამედ ეს გარემოება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, კერძოდ, შეკითხვების ეტაპზე დააფიქსირა, რაც ეწინააღმდეგებოდა სსსკ-ის მე-4 და 219-ე მუხლის „მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული“ მოთხოვნებს.

11.8. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ 2009 წლის 17 ივნისის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად, მიმბარებელი სანარმოს მიერ შემნახველისათვის გადაცემული 24,31 ტონა არმატურის რაოდენობა უნდა გამოკლდებოდა მიმბარებლის მიერ მითითებული ზიანის ოდენობას (59,22 ტონა). სააპელაციო სასამართლომ განმარტებით, მოსარჩელემ აღნიშნული ოდენობით არმატურა სხვა ურთიერთობის ფარგლებში მიჰყიდა მოპასუხეს, რაც მის მიერ მითითებულ ზიანის ოდენობას – 59,22 ტონას არ უნდა გამოჰკლებოდა, ხოლო სანინალმდეგოს თაობაზე მოპასუხეს სასამართლოსთვის მტკიცებულებები არ წარუდგენია.

11.9. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მი-

იჩნია ის გარემოება, რომ მიმზარებელმა შემნახველისთვის მიზარებული არმატურის საერთო რაოდენობიდან, მოპასუხის ბრალით ვერ დაიბრუნა 59.22 ტონა არმატურა, რითაც 46 783.00 აშშ დოლარის ზიანი (59,22x790) განიცადა, რომელიც სსკ-ის 785-ე მუხლისა „შემნახველი პასუხისმგებელია შესანახად გადაცემული საქონლის დაკარგვით ან/და დაზიანებით მიყენებული ზიანისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის თავიდან აცილება კეთილსინდისიერ შემნახველსაც არ შეეძლო“ და 394-ე მუხლის პირველი ნაწილის „მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება“ მიხედვით უნდა დაჰკისრებოდა მოპასუხეს.

11.10. სააპელაციო სასამართლომ, აპელანტის პრეტენზიის პასუხად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შემნახველის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, სსკ-ის 775-ე მუხლის „თუ მიზარება სასყიდლიანია, მაშინ მიმზარებელი მოვალეა ხელშეკრულების შეწყვეტისას შემნახველს გადაუხადოს დათქმული საზღაური“ საფუძველზე, ვალდებულების არარსებობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოსარჩელეს შემნახველისთვის 4 800 ლარის ოდენობით საქონლის მიზარების საზღაური უნდა გადაეხადა, რის დამადასტურებლადაც სასამართლოსთვის შესაბამისი მტკიცებულება არ წარუდგენია.

11.11. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ 2007 წელს სექტემბერ-დეკემბერში მიმზარებელმა შემნახველს მიანოდა ჯამში 34 145 ლარის ღირებულების ცემენტი და ბეტონი. 2007 წლის 23 სექტემბრის, 2007 წლის 28 სექტემბრის და 2007 წლის 9 ოქტომბრის სალაროს შემოსავლების ორდერებით დგინდებოდა, რომ მოპასუხეს, მიწოდებული პროდუქციის ღირებულების დაფარვის მიზნით, გადახდილი აქვს 38 075 ლარი ანუ ღირებულებაზე 3 930 ლარით მეტი, რაც მიმზარებლის მიერ უსაფუძვლოდ მიღებულ თანხას წარმოადგენს, რომელიც დაბრუნებას ექვემდებარება (იხ. სსკ-ის 976-ე მუხლი).

11.12. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აპელანტის კიდევ ერთი პრეტენზია, ვალდებულების არარსებობასთან (იხ. წინამდებარე განჩინების 10.10 ქვეპუნქტი) ერთად, მოთხოვნის ხანდაზმულობას ეხებოდა. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, დადგენილი იყო, რომ აპელანტს შესაბამის ეტაპზე, რაიმე მტკიცებულება მოთხოვნის გამორიცხვის თაობაზე არ წარუდგენია, არც რაიმე საპატიო მიზეზით სსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ასეთი მტკიცებულების წარუდგენლობაზე მიუთითებია.

11.13. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, თავდაპირველ-

მა მოსარჩელემ, მოპასუხის შეგებებულ სარჩელზე შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო, ფაქტობრივ გარემოებებზე მტკიცებულებების წარდგენით შედავების უფლება დაკარგა. რაც შეეხება სამართლებრივ მოსაზრებებს, ამ თვალსაზრისით აპელანტს არ მიუთითებია ისეთ სამართლებრივ ნორმაზე, რაც შემნახველის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას გამოორიცხავდა.

12. შეგებებული მოსარჩელის საკასაციო საჩივარი

12.1. შემნახველმა სანარმომ საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მისი ნაწილობრივ გაუქმება მოითხოვა თავდაპირველი მოსარჩელის (მიმბარებელი სანარმოს) სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში, შესაბამისად, კასატორი ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებას ითხოვს, რასაც შედეგად თავდაპირველი მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის უარყოფა მოჰყვება, ხოლო დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩება შეგებებული მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული გადაწყვეტილება.

12.2. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ შეცდომად დაუშვა, როდესაც არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა წინააღმდეგობრივია, იგი დასაწყისში 3 288 ტ. არმატურის გატანის ფაქტის გაზიარებაში ედავებოდა სასამართლოს და ამის საწინააღმდეგოდ, შემდგომ ამტკიცებდა თითქოს სასამართლომ 561,22 ტონა არმატურის შემოტანა დაადასტურა, მაშინ როდესაც 561,22 ტ მხოლოდ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ყველა აქტის შემოტანის მტკიცებულებად გაზიარების შემთხვევაში მიიღებოდა, სასამართლომ კი სადავო ორი აქტი საქონლის შემოტანის ნაცვლად სამართლიანად მიიჩნია, საქონლის გატანის მტკიცებულებად და მოპასუხის პოზიცია გაიზიარა. მნიშვნელოვანია, რომ საქალაქო სასამართლომ იქვე მიუთითა, რომ აქტებზე დაყრდნობით, კერძოდ, 2009 წლის 19 და 23 ივნისის აქტებით მოსარჩელე ამტკიცებდა არმატურის შემოტანას, მოპასუხე – კი გატანას.

12.3. კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, თითქოს მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხეს არც შესაგებელში და არც საქმის მოსამზადებელ სტადიაზე არ მიუთითებია, რომ 2009 წლის 19 და 23 ივნისის აქტებით მოსარჩელის მიერ არმატურის გატანა დასტურდებოდა, რაც გამოორიცხავდა დანაკლისის იმ ოდენობას, რაზეც მიმბარებელი აპელირებდა.

13. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

13.1. შემნახველი სანარმოს საკასაციო საჩივარი არსებითად განსახილველად არის დაშვებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

13.2. მოპასუხის საკასაციო საჩივრის არსებითი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწილეობით. 2019 წლის 18 ოქტომბრის სხდომაზე კასატორმა გაიმეორა ის პრეტენზიები, რომლებიც საკასაციო საჩივარში ჰქონდა გამოთქმული და დამატებით აღნიშნა, რომ მხარეთა შორის მიბარების ხელშეკრულება არ გაფორმებულა. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს შეცდომებია დაშვებული და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაბრუნდეს იმავე სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

14. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დე-

ტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

17. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს არ აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას გამოიწვევდა.

18. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხემ მტკიცების ტვირთი ვერ დაძლია და მისი პოზიციის წარუმატებლობა პროცესუალური თვალსაზრისით იყო განპირობებული. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის მიზარების ხელშეკრულება არსებობდა (სსკ-ის 763-ე მუხლი). ამ შემთხვევაში ფაქტები, რომლებიც დაადგინა სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად ითვლება და საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხის შეპასუხება, რომ მას ვალდებულება შესასრულებელი არა აქვს, მხოლოდ მთავარ სხდომაზეა გაცხადებული, რაც პროცესუალურად დაუშვებელია და იმას ნიშნავს, რომ მოპასუხემ მტკიცების ტვირთი ვერ დაძლია.

19. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მიმზარებელმა შემნახველისთვის მიზარებული არმატურის საერთო რაოდენობიდან, მოპასუხის ბრალით ვერ დაიბრუნა 59.22 ტონა არმატურა, რითაც განიცადა 46 783.00 აშშ დოლარის ზიანი (59,22x790), რომელიც სსკ-ის 785-ე მუხლისა „შემნახველი პასუხისმგებელია შესანახად გადაცემული საქონლის დაკარგვით ან/და დაზიანებით მიყენებული ზიანისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის თავიდან აცილება კეთილსინდისიერ შემნახველსაც არ შეეძლო“ და 394-ე მუხლის პირველი ნაწილის „მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება“ მიხედვით უნდა დაჰკისრებოდა მოპასუხეს.

20. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია ნაწილობრივ, კასატორი ითხოვს მის გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა მიმზარებლის სარჩელი და, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, მოპასუხეს 46 783.00 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარში გადახდა დაეკისრა გადახდის დროს არსებული ოფიციალური კურსის მიხედვით.

21. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობასა და დასკვნებს, არ იზიარებს მსჯელობას, რომ სადავო მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებიც გაფორმდა მხარეთა

შორის, არ იქნა მიჩნეული ვალდებულებების შესრულების მტკიცებულებად, კერძოდ, არა არმატურის შემნახველის ტერიტორიაზე შემოტანის თვალსაზრისით, არამედ – მიმბარებლის მიერ არმატურის გატანის ნაწილში. კასატორის მტკიცებით, თავად მიმბარებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტივიდან სწორედ ორი სადავო აქტი უთითებს, მიმბარებლის მიერ არმატურის გატანაზე შემნახველის კუთვნილი ტერიტორიიდან. კასატორი იმაზეც აცხადებს პრეტენზიას, რომ სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მხარეთა მტკიცების ტვირთი.

22. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაკრიტიკებულია იმ ნაწილშიც, რომლითაც არ იქნა გაზიარებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ კასატორის (მოპასუხე) წარმომადგენლის მიერ მთავარ სხდომაზე მიცემული განმარტება იმის შესახებ, რომ საქმის მასალებში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი 2009 წლის 19 ივნისისა და 23 ივნისის აქტები ასახავდა მოსარჩელის მიერ ჯამში 32, 288 ტ. არმატურის გატანას, საიდანაც 2009 წლის 19 ივნისს მიმბარებელმა გაიტანა 19,324 ტონა არმატურა, ხოლო იმავე წლის 23 ივნისს – 12, 964 ტონა არმატურა, რაც უნდა გამოკლებოდა მოსარჩელის მიერ მითითებული არმატურის დანაკლისს (ანუ მოსარჩელე უთითებს, რომ ჯამში მას მოპასუხის (შემნახველის) კუთვნილ მიწის ნაკვეთზე დასაწყობებული ჰქონდა 561,22 ტონა სამშენებლო მასალა, რომლის გატანისას აღმოაჩინა 59,22 ტონა არმატურის დანაკლისი. მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებით 1 ტ. სტანდარტული არმატურის ფასი განისაზღვრებოდა – 790 აშშ დოლარით.

23. შეგებებულ სარჩელში შემნახველმა საწარმომ მიუთითა, რომ მასთან დასაწყობებული იყო 514.961 ტ არმატურა (561.220-514.961) ანუ 46,259 ტონით ნაკლები, რასაც არ შეეძებია მიმბარებელი, რადგან შესაგებელი არ წარადგინა, თავის მხრივ, საქალაქო სასამართლომ დაადგინა ფაქტი, რომ 561,22 ტონა იყო დასაწყობებული შემნახველის კუთვნილ ტერიტორიაზე, რაც სააპელაციო საჩივრით არ გაუსაჩივრებია მოპასუხეს, რადგან მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი არ დააკმაყოფილა საქალაქო სასამართლომ და აპელანტი მხოლოდ მიმბარებელი საწარმო იყო.

24. კასაციის საფუძველები ძირითადად ეფუძნება იმას, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტები არ მიიჩნია იმ მტკიცებულებად, რაც შემნახველის მიერ მიმბარებლის უფლებამოსილი პირისათვის დასაწყობებული მასალის გატანას დაადასტურებდა, ყოველგვარი დანაკლისის გარეშე.

25. კასატორი უთითებს, რომ მისმა წარმომადგენელმა ამ გარე-

მოებაზე მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოს მთავარ სხდომაზე (იხ. საკასაციო საჩივარი, მე-2 პრეტენზია), შესაბამისად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარემ კუთვნილი მტკიცების ტვირთი არასწორად გასწია, კერძოდ, საპროცესო კანონმდებლობის არა იმ ეტაპზე, რომელიც სასამართლოს მისცემდა დამატებითი მსჯელობის შესაძლებლობას და ვალდებული იქნებოდა, გამოეკვლია კონკრეტული გარემოება, არამედ მაშინ, როდესაც მხარეები კარგავენ ასეთ უფლებას საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე (სსსკ-ის 219-ე მუხლი).

26. კასატორმა საკასაციო სასამართლო (იხ. სხდომის ოქმი 17:12:38-დან) სხდომაზე განმარტა, რომ მხარეთა შორის 2009 წლის 1 ივლისის გაფორმებული ხელშეკრულება მხოლოდ ფორმალური დოკუმენტია, რათა მიმბარებელს შესძლებოდა შემნახველის კუთვნილ ტერიტორიაზე შესვლა და დასაწყობებული მასალის გატანა; კასატორმა ისიც განმარტა, რომ მისი დაცვის თანამშრომელი აკონტროლებდა ტერიტორიას.

27. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში შემნახველი ითხოვდა, რომ მოსარჩელეს წარმოედგინა ის დოკუმენტები, თუ რის საფუძველზე შეიძინა მასალები, რაც მხარეს არ წარმოუდგენია. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის ამ არგუმენტს, რადგან მიმბარებლის მიერ სამშენებლო მასალების მიბარება დადასტურებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ და მინიმუმ 514, 961 ტ. არმატურის დასაწყობება არც მოპასუხეს გაუხდია სადავოდ, პირიქით, დაადასტურა თავის შესაგებელში, შესაბამისად, დამატებითი მტკიცების ტვირთის დაკისრება მიმბარებლისათვის (საქონლის შეძენის ნაწილში) არ იქნებოდა მართებული.

28. კასატორმა საკასაციო სასამართლოს სხდომაზე აღნიშნა, რომ მასზე დაინყო შეტევები კ-ის მხრიდან, თუმცა საკასაციო სასამართლომ მხარეს განუმარტა, ასეთი ფაქტობრივი გარემოებები არ არის მითითებული არც შესაგებელში და არც შეგვებულ სარჩელში, შესაბამისად, სასამართლოს ამ მიმართულებით არ ჰქონდა უფლება, ემსჯელა და არც გაუგრძელებია ამ ნაწილში მხარის მოსაზრების მოსმენა.

29. კასატორი ამტკიცებს, რომ ყოველდღე კეთდებოდა თითო აქტი – შეტანის ან გატანის – საუბარია 19 და 23 ივნისის აქტებზე. კასატორი ამტკიცებდა, რომ სადავო აქტების ხელმოწერზე – ვინმე გ. თ-ის ხელმოწერაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული კომპანიის ბედი; კასატორმა დაადასტურა, რომ სადავო აქტებს გ. თ-ი აწერს ხელს და ეს საკითხი არ ყოფილა სადავო, მისი განმარტებით სალამობით კეთდებოდა ერთი აქტი საქონლის შემოტანაზე, ერთი – გატანაზე, ყარაული იჯდა და უბრალოდ უწერდა ხელს, ყველაფერს

მოსარჩელე (მიმბარებელი სანარმო) აკონტროლებდა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოდავე მხარეები მენარმე სუბიექტები არიან და მათ თანაბრად ეკისრებათ მათ მიერ მითითებული გარემოებებისა თუ ამ გარემოებების გამაქარწყლებელი საფუძვლების სასამართლოსათვის დამტკიცების ვალდებულება. კასატორმა მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს ვერ დაუმტკიცა საკუთარი მოსაზრება დამაჯერებელი და სამართლებრივად წონადი მტკიცებულებებით, რომ სწორედ სადავო ორი აქტი ადასტურებდა მიმბარებლის მიერ შემნახველის კუთვნილ ტერიტორიაზე საქონლის არა დასასაწყობებლად მიბარებას, არამედ – შემნახველისაგან საქონლის წაღებას (გატანას), რის გამოც, შემნახველს არავითარი დანაკლისი არ განუცდია.

30. საკასაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის არსებითად განხილვის ეტაპზეც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე, კასატორს არ მიუთითებია ისეთ გარემოებაზე, რაც საკასაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, საკასაციო საჩივარი დასაბუთებულად მიეჩნია, აღნიშნული კი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველია.

31. საკასაციო საჩივრის უარყოფის გამო კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში (სსსკ-ის 55.2 მუხლი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 264-ე მუხლის მესამე ნაწილით, 372-ე, 399-ე, 410-ე, 408-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ა-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. დაზღვევა

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შიშვეობინების ვალდებულება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-740-2019

24 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიჭიაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. გ. მ-ძემ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორის
მონინააღმდეგე მხარე ან დამზღვევი) სარჩელი აღძრა სასამარ-
თლოში სს „ს.კ.ა-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტის მონინა-
აღმდეგე მხარე, კასატორი, კომპანია ან მზღვეველი) მიმართ, მო-
პასუხისათვის 50 000 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

მოსარჩელემ მოპასუხე კომპანიაში დააზღვია ლაგოდების რაი-
ონის სოფელ ... მდებარე 53ა საზამთროს ბაღი. სადაზღვევო რისკი
განსაზღვრულია სეტყვით, ქარიშხლითა და წყალდიდობით. სადაზ-
ღვევო პერიოდი იწყებოდა 2017 წლის 22 ივნისს და მთავრდებოდა
2017 წლის 15 სექტემბერს. ლიმიტი შეადგენდა 50 000 ლარს. 2017
წლის 9 ივლისს დადგა სადაზღვევო შემთხვევა, რის შედეგადაც
საზამთროს ბაღი სრულად განადგურდა. სადაზღვევო კომპანიამ
უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე იმ საფუძველით, რომ მო-
სარჩელეს არ მიუმართავს შემთხვევიდან 24 საათის განმავლობა-
ში. ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ სეტყვის მექანიკუ-
რი ზემოქმედების შედეგად საზამთროს მოსავალი განადგურებუ-
ლია სრულად და ბაღში არსებულ მოსავალს არავითარი საზაზრო
ღირებულება არ გააჩნია.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი

არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. შესაგებლის თანახმად, დაზღვევის პოლისი, დაზღვევის განაცხადი და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №648 განკარგულებით დამტკიცებული აგროდაზღვევის პროგრამა ერთიანად წარმოადგენდა დაზღვევის ხელშეკრულებას. მოსარჩელემ დაარღვია ხელშეკრულებითა და №648 განკარგულებით განსაზღვრული ვადა და სადაზღვევო შემთხვევის თაობაზე განაცხადა 10 დღის დაგვიანებით. დაზღვევის ხელშეკრულება ითვალისწინებდა 10%-იან ფრანშიზას – არაანაზღაურებად მინიმუმს. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით არ დგინდება ზიანის ოდენობა, კითხვა დასმულია, თუ რას შეადგენს სავარაუდოდ მისაღები მოსავალი.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილ იქნა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება, და ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მზღვეველს დაზღვევის სასარგებლოდ დაეკისრა 45 000 ლარის გადახდა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

1.1. საკასაციო პრეტენზიების მოცულობა და საკასაციო გან-

ხილვის ფარგლები:

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო რისკის დადგომისას დამზღვევის ქმედების შესაბამისობა სახელშეკრულებო/საკანონმდებლო მოთხოვნებთან და არსებობს თუ არა სადაზღვევო თანხის ანაზღაურების წინაპირობები. სააპელაციო პალატის დასკვნით, მართალია, დასტურდება დამზღვევის მხრიდან სახელშეკრულებო მოთხოვნათა დარღვევა, თუმცა, იგი მოთხოვნას განუხორციელებადს ვერ გახდის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამომწებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), პალატა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას კასატორის შემდეგი პრეტენზიების ფარგლებში შეამოწმებს:

– სასამართლომ არასწორად მიიჩნია დაზღვევის ხელშეკრულება სტანდარტულ ხელშეკრულებად, ამ მხრივ შეფასება არ მიეცა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №648 განკარგულების პირობებსა და საქმეში წარმოდგენილ შეთანხმებას, რომლითაც დასტურდება, რომ მოსარჩელე გაეცნო ხელშეკრულების №7 დანართს. ინფორმაციის არასათანადოდ მიწოდება მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოში სადავო არ გაუხდია, ხოლო, სააპელაციო განხილვის ეტაპზე ამ საკითხის შეფასებამ მოპასუხეს სამართლიანი დაცვის შესაძლებლობა წაართვა;

– სააპელაციო პალატამ არასწორად გაანალიზა ზიანის გამოვლენის მტკიცების ტვირთი, მაშინ, როდესაც საქმეში წარმოდგენილი აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების მე-9 მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს ზიანის გამოთვლის პრინციპს. გარდა ამისა, ზეპირი განმარტებისას ექსპერტმა დაადასტურა, რომ ამ პრინციპით მას დასკვნის მომზადებისას არ უხელმძღვანელია. ექსპერტი განმარტავს, რომ მას მინის ნაკვეთის ე-ნ ჯიპიეს კოორდინატები არ გადაუმოწმებია, ფართი არ აუზომავს, დაეყრდნო მხოლოდ განმცხადებლის მოსაზრებებს. დაზღვევის განაცხადში დამზღვევი მიუთითებს მხოლოდ ერთი ჯიშის კულტურის – ატამანის დაზღვევაზე, ხოლო, საექსპერტო კვლევა შეეხება სამი ჯიშის კულტურის კვლევას. ნიშანდობლივია, რომ 2017 წლის 7 სექტემბრის სატელეფონო შეტყობინებისას დამზღვევმა მიუთითა სადაზღვევო რისკზე – ქარიშხალზე, ასევე იმაზე, რომ დაზიანებული იყო 53ა ნაკვეთზე არსებული ნარგავი, ხოლო ოპერატორის შეკითხვაზე რა ოდენობით იყო დაზიანებული მო-

სავალი, მოსარჩელემ მიუთითა 50%-ზე.

1.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. სააპელაციო პალატის დასკვნით:

1.2.1. 2016 წლის 22 ივნისს მოსარჩელემ მზღვეველს მიმართა მოსავლის დაზღვევის განაცხადით, რომლითაც მოითხოვა კახეთში, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ... მდებარე №3ა. მიწის ნაკვეთზე საზამთროს მოსავლის დაზღვევა. განაცხადის საფუძველზე, მოპასუხემ გასცა №1046717 სადაზღვევო პოლისი. სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 2017 წლის 22 ივნისიდან 2017 წლის 15 სექტემბრამდე, სადაზღვევო ლიმიტი – 50 000 ლარით. ხელშეკრულება ითვალისწინებდა 10% ფრანშიზას. სადაზღვევო რისკი მოიცავდა სეტყვას, ქარიშხალს, წყალდიდობასა და საშემოდგომო ყინვას. დაზღვევის ხელშეკრულებას წარმოადგენდა დაზღვევის პოლისი, დაზღვევის განაცხადი და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №648 განკარგულებით დამტკიცებული აგროდაზღვევის პროგრამა. მოსარჩელემ გადაიხადა ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო პრემია;

1.2.2. დაზღვევის პირობების 3.1.1 პუნქტის თანახმად, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, დამზღვევი ან მოსარგებლე ვალდებული იყო, აღნიშნულის თაობაზე სატელეფონო ზარით ეცნობებინა მზღვეველისათვის 24 საათის განმავლობაში, ამავდროულად, 5 სამუშაო დღეში ტელეფონით ან ელექტრონულად მზღვეველთან დაეზუსტებინა შემდეგი ინფორმაცია:

- დამზღვევის პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი;
- სადაზღვევო პოლისის ნომერი;
- დამზღვევის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
- დაზღვეული დაზიანებული ნაკვეთის ადგილმდებარეობა,

ფართობი და განხორციელებული რისკი.

დამზღვევის/მოსარგებლის იდენტიფიცირებიდან 30 კალენდარულ დღეში დამზღვევი წერილობითი განცხადებით მიმართავდა მზღვეველს. მზღვეველი დამზღვევის/მოსარგებლის იდენტიფიცირებიდან 30 კალენდარულ დღეში შეადგენდა დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალეურების აქტს;

1.2.3. 2017 წლის 9 ივლისს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფიქსირდა საშიში მეტეოროლოგიური მოვლენა – ძლიერი სეტყვა და ძლიერი ქარი;

1.2.4. 2017 წლის 19 ივლისს მოსარჩელემ სატელეფონო შეტყობინებით აცნობა მოპასუხეს, რომ 2017 წლის 9 ივლისს დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, დაზღვეული საზამთროს მოსავალი დაზიანდა. მოსარჩელეს ხელშეკრულების 3.1.1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია 5 დღის ვადაში წერილობით მოპასუხისათვის არ მიუწოდებია;

1.2.5. 2017 წლის 17 აგვისტოს წერილით მოპასუხემ მოსარჩელეს ზიანის ანაზღაურებაზე უარი იმ საფუძვლით უთხრა, რომ მას სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 24 საათში არ მიუმართავს და 5 სამუშაო დღის ვადაში ხელშეკრულებით განსაზღვრული ინფორმაცია არ მიუწოდებია, რაც მოპასუხეს ნაკვეთის ინსპექტირებისა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებიდან ათავისუფლებდა;

1.2.6. მოპასუხის 2017 წლის 3 ნოემბრის წერილით მოსარჩელეს კვლავ უარი ეთქვა ზიანის ანაზღაურებაზე, ამასთან ეცნობა, რომ მან სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან მოპასუხეს 10 კალენდარული დღის დაგვიანებით მიმართა, გარდა ამისა, მზღვეველი ვერ გაითვალისწინებდა მოსარჩელის მიერ წარდგენილ ექსპერტიზის დასკვნას, ვინაიდან დასკვნაში ექსპერტი მიუთითებდა, რომ სეტყვისა და ქარიშხლის შედეგად მიყენებული ზიანის დადგენისათვის პირველადი სავლე შეფასება შემთხვევიდან 8-10 დღის განმავლობაში უნდა ჩატარებულიყო, შესაბამისად, ხანდაზმულობის გამო, მათ მიერ რეალობის ობიექტურად ასახვა ვერ მოხდა;

1.2.7. 2017 წლის 9 ივლისის სეტყვისა და ქარიშხლის შედეგად დამზღვევის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გაშენებული საზამთრო სრულად განადგურდა;

1.2.8. როგორც პირველი ინსტანციის, ისე – სააპელაციო სასამართლოში კომპანია მიუთითებდა დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის შეტყობინებისა და ხუთ დღეში საიდენტიფიკაციო მონაცემების მიწოდების ვალდებულების დარღვევაზე, რაც მოპასუხეს ანაზღაურების ვალდებულებისგან ათავისუფლებდა. მოსარჩელე არ ხდის სადავოდ, რომ 24 საათში სადაზღვევო შემთხვე-

ვის შეტყობინების ვალდებულება მას არ შეუსრულებია, მან კომპანიაში დაახლოებით 2017 წლის 19 ივლისს დარეკა, რა დროსაც განუცხადეს, რომ დარღვეული ჰქონდა შეტყობინების ვადა, რაც სადაზღვევო კომპანიას ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან ათავისუფლებდა;

1.2.9. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, ინსპექტირების დროს საზამთროს ბაღში არსებული ნაყოფების სეტყვისგან მექანიკური დაზიანების გამო, ბაღს საბაზრო ღირებულება არ აქვს და არსებული მოსავალი განადგურებულია. ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა სავეგეტაციო ნაწილების ფოთლების, ნაყოფების მექანიკური დაზიანება სეტყვისგან, ამავე დროს რადიაციული დამწვრობა მაღალი ტემპერატურის გამო. ასევე აღინიშნულია, რომ ბაღჩეული კულტურისათვის სეტყვისა და ქარიშხლის მიერ მიყენებული ზიანის დადგენისათვის პირველადი საველე შეფასება უნდა ჩატარდეს შემთხვევიდან 8-10 დღის განმავლობაში, შესაბამისად, ხანდაზმულობის გამო ვერ მოხდა რეალობის ობიექტურად ასახვა და შეფასება. ინსპექტირების დროს ბაღში არსებულ ნაყოფებს არ აქვს საბაზრო ღირებულება და მოსავალი განადგურებულია. ექსპერტიზის დასკვნაში მოყვანილი დასკვნების დასაზუსტებლად, თბილისის საქალაქო სასამართლოში ზეპირ სხდომაზე გამოიკითხა ექსპერტი, რომელმაც განმარტა, რომ ადგილზე დახვდათ ზრდა-განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფი ნაყოფები. ეტყობოდა მექანიკური დაზიანების კვალი, იმდენად იყო დაზიანებული, რომ აღდგენა შეუძლებელი იყო... 8-10 დღე არის მეთოდოლოგიის ნაწილი, ესაა პერიოდი, როცა შეიძლება დადგენა, შესაძლებელია თუ არა მოსავლის ნაწილის გადარჩენა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. ამ ვადის გასვლის შემდგომ იკარგება კვალი, რა პროცენტია დაზიანებული. თუ დაზიანდა 60%-ზე მეტად, მოსავლის გადარჩენის ალბათობა მცირეა (20.04.2018 წლის სხდომის ოქმის აუდიოჩანაწერი, 14:27:23), ამასთან, მოსარჩელის წარმომადგენლის კითხვაზე, ექსპერტმა უპასუხა, რომ სადავო მოსავლის შემთხვევაში, არსებული ნიშნებით, პირველ საათშიც რომ ენახა ვინმეს, მოსავალს ვერ გადაარჩენდა, ერთადერთი გამოსავალი იყო, აღებულიყო არსებული ნათესები და ახალი ბარდის დათესვა განხორციელებულიყო. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა ზიანის მოცულობის დაანგარიშებას საქართველოს მთავრობის №648 განკარგულების შესაბამისად არ ახდენს. დასკვნაში მითითებულია, რომ ინსპექტირების დროს საზამთროს ბაღში არსებული ნაყოფების სეტყვისგან მექანიკური დაზიანების გამო, ბაღს

საბაზრო ღირებულება არ აქვს და არსებული მოსავალი განადგურებული იყო. ექსპერტმა სიტყვიერად განმარტა, რომ „სადავო მოსავლის შემთხვევაში, არსებული ნიშნებით, პირველ საათშიც რომ ენახა ვინმეს, მოსავალს ვერ გადაარჩინდა, ერთადერთი გამოსავალი იყო, ალებულიყო არსებული ნათესები და ახალი ბარდის დაეთესვა, რომ ყოფილიყო შესაბამისი პერიოდი, ივნისის პირველი დეკადა“. სააპელაციო სასამართლოში ზეპირი სხდომის მიმდინარეობისას კომპანიის წარმომადგენელი დაეთანხმა მოსაზრებას მასზედ, რომ დაზღვევის ხელშეკრულებაში სადაზღვევო ლიმიტი 50 000 ლარის ოდენობით იმის გათვალისწინებით განისაზღვრა, თუ საშუალოდ რა ოდენობის მოსავალი შეიძლებოდა მოსულიყო 53ა. მიწის ნაკვეთზე;

1.2.10. მოსარჩელეს კომპანიის მხრიდან ზიანის ანაზღაურების მიზნებისთვის საჭირო მოქმედებების შესრულებისა და რელევანტური დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ სათანადო ინფორმაცია არ მიწოდებია.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით პალატა ყურადღებას უპირველესად მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმების საკითხსა და მათ წინაპირობებზე გაამახვილებს, რამდენადაც სარჩელის წარმატება ყოველთვის დამფუძნებელ ნორმებზეა დამოკიდებული, რომლებიც დავის გადანყვევტის ფუნდამენტს წარმოადგენენ და შეიცავენ აბსტრაქტულ მითითებას იმ იურიდიულ ფაქტებზე, რომელთა დამტკიცებაც განხორციელებადს ხდის მოთხოვნას. საკასაციო პალატის დასკვნით, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნას სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს, შესაბამისად, მოთხოვნის საფუძვლიანობა სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის პირველი ნაწილის ფარგლებში უნდა შემოწმდეს. განსხილველი ნორმის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება. ამდენად, სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი ფორმალურ-პროცესუალურად დასაბუთებულია, თუკი მოსარჩელე მიუთითებს:

- დაზღვევის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობაზე;
- ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო რისკის დად-

გომაზე;

– ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების შესაბამისად, ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობაზე.

რაც შეეხება მტკიცების ტვირთს, იმის მიხედვით, ზემოხსენებულითაგან რომელ წინაპირობებს გახდის მზღვეველი სადავოდ, განისაზღვრება მტკიცების საგანი და მათი მტკიცება ნაწილდება მხარეთა შორის.

1.3.2. პალატა მიიჩნევს, რომ სარჩელი ფორმალურად დასაბუთებულია, რაც შეეხება მზღვეველის შესაგებელს, იგი არსებითი ხასიათისაა და ძირითადად ემყარება დამზღვევის მხრიდან ხელშეკრულების პირობათა დარღვევას, რამაც შეუძლებელი გახადა ზიანის ოდენობის განსაზღვრა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მტკიცების საგანი სწორედ ზემოხსენებული ფაქტებისაგან შედგება, ამასთანავე, როგორც მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის, ისე – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, სადავო გარემოებების დადასტურების ვალდებულება მოსარჩელეს ეკისრება.

1.3.3. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მხარეთა შორის დაზღვევის ხელშეკრულება დაიდო სტანდარტული პირობებით, მოსარჩელეს სათანადოდ არ განემარტა დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულება, რის გამოც, ამ ნაწილში ხელშეკრულება წარმოადგენდა ბათილს. ხსენებულ განმარტებას არ ეთანხმება კასატორი და მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის არგუმენტს, თუმცა, მიიჩნევს, რომ ამ დარღვევას შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა არ მოჰყოლია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სტანდარტული პირობით დადებული ხელშეკრულების ცნებას სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს და ასეთად მიიჩნევა წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცვენი წესების დადგენა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების პირობები მხარეების მიერ დეტალურად არის განსაზღვრული, მაშინ ეს არ მიიჩნევა ხელშეკრულებათა სტანდარტულ პირობად. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მხარეებმა ორმხრივი წერილობითი ხელშეკრულებით შეათანხმეს დაზღვევის პირობები, რომელიც სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ ზოგად ნორმებთან ერთად, შეესაბამება კანონქვემდებარე აქტით დადგენილ სპეციფიკურ მოთხოვნებს, ამასთანავე, მზღვეველი, რომელიც შეიძლე-

ბა ითქვას, რომ ფაქტობრივად სთავაზობს ხელშეკრულების არსებით პირობებს, მიიჩნევა ძლიერ მხარედ, თუმცა, ორმხრივი შეთანხმებისას კანონთან თანხვედრაში მყოფი დებულებების მქონე ხელშეკრულება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სტანდარტული პირობებით დადებულ გარიგებად. პრაქტიკაში დამკვიდრებული ქცევიდან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების იურიდიული ნამდვილობა უნდა შეფასდეს არა სტანდარტული პირობების მარეგულირებელი ნორმების, არამედ – სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლის პირველი ნაწილის კონტექსტში, რომლის თანახმადაც, თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე.

1.3.4. საქმის მასალების მიხედვით, სადაზღვევო რისკი დადგა და ამ დროისათვის ხელშეკრულება ძალაში იყო, ამასთანავე, დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოსარჩელემ დაარღვია ხელშეკრულებით შეთანხმებული მზღვეველის ინფორმირების ვადა, რაც გახდა კიდევაც სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი. საკასაციო პალატა დაზღვევის პირობებისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №648 განკარგულების შინაარსის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მართალია, მზღვეველისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ ინფორმაციის შეთანხმებულ ვადაში მიწოდება მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, თუმცა, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ სამოქალაქო კოდექსის 814-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მზღვეველს არ შეუძლია დაეყრდნოს შეთანხმებას, რომლითაც იგი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან, თუ დამზღვევი არ შეასრულებს შეტყობინების მოვალეობას, მაგრამ ამით მზღვეველის ინტერესები არსებითად არ დაირღვევა. იმ ვითარებაში, როდესაც, როგორც ზიანის ანაზღაურებაზე უარი, ისე – მოპასუხის ძირითადი შესაგებელი სწორედ შეტყობინების ვადის დარღვევას უკავშირდება დამზღვევის მხრიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მას ეკისრება ამტკიცოს ამ დარღვევის ნეგატიური შედეგები (მზღვეველის ინტერესების არსებითი დარღვევა) და საკუთარი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ფაქტები. ამ მხრივ დასაბუთებული შედავება კასატორს არ წარმოუდგენია.

1.3.5. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესი და მას არასწორად დააკისრა ზიანის ოდენობის მტკიცება. საკასაციო პალატის შეფასებით, აღნიშნული სა-

კითხი გარკვეულწილად უკავშირდება კიდევ ზემოთ განხილულს (სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 1.3.1.) და სავალდებულოა პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრისათვის დადგინდეს ზიანის მოცულობა. უდავოა, რომ მოსარჩელემ წარადგინა ექსპერტის დასკვნა, რომელიც ღირებულებითი ძალის მატარებელია და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე და 105-ე მუხლების შესაბამისად, კრიტიკულ შეფასებას ექვემდებარება. ამ მხრივ მართალია, ზიანის გამომგარიშების მეთოდი არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის №648 დადგენილების მოთხოვნებს და ექსპერტმაც დაადასტურა, რომ ადგილზე დათვალიერებისას მან იხელმძღვანელა დამზღვევის მითითებებით, თუმცა, თავად დოკუმენტი და მისი შინაარსის შესავსებად სხდომაზე ექსპერტის მიერ მიცემული დამაზუსტებელი განმარტებები შეიცავს საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას: ექსპერტი ადასტურებს, რომ მოსავალი სრულად იყო განადგურებული და მისი შემთხვევის დადგომიდან 8-10 დღის განმავლობაში შეფასება განსხვავებულ სურათს არ მისცემდა, ამასთან, იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მოსარჩელეს, გარდა დაზღვეულისა სხვა ბალი გააჩნდა, პრეზუმირებულია, რომ ექსპერტმა კოორდინატების შეუმონმებლობის მიუხედავად, სწორედ დაზღვეული ტერიტორია გამოიკვლია. ამ ფაქტების გაქარწყლება ეკისრებოდა მზღვეველს, რომელიც სასამართლოს მსჯელობის ფორმალური კრიტიკით შემოიფარგლება.

1.3.6. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, თავად მოპასუხის განმარტებით დგინდება, რომ სადაზღვევო ლიმიტი განისაზღვრა დაზღვეულ მიწის ნაკვეთზე მისაღები მოსავლის სავარაუდო ღირებულებით. ექსპერტის დასკვნის მიხედვით, სადაზღვევო რისკის დადგომის შედეგად მოსავალი სრულადაა განადგურებული. ამ ვითარებაში ლიმიტით განსაზღვრული თანხის მზღვეველისათვის დაკისრება (10%-იანი ფრანშიზას გამოკლებით) გონივრულია. დაზღვეული მოსავლის სრულად განადგურების პირობებში ზიანის მთავრობის განკარგულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად გამომგარიშების შემთხვევაში, რა არსებითი სხვაობა იქნებოდა მიღებული კასატორს სარწმუნოდ არ დაუდასტურებია.

1.4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების პროცესუალური დასაბუთება:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია, საკასაციო საჩივარი კი, არ შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებულ დასაბუთებულ შედეგებს, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხ-

ლის შესაბამისად, პალატა უცვლელად ტოვებს მას.

2. პროცესის ხარჯები:

ვინაიდან წინამდებარე განჩინებით არ დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი, არ არსებობს პროცესის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები. რაც შეეხება საკასაციო საჩივარზე გადახდილ სახელმწიფო ბაჟს, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, ის უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს.კ.ა-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დამფლვევის ბრალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-618-618-2018

16 ნოემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „ს.კ.ა-მა“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სადაზღვევო კომპანია, მზღვეველი, მოპასუხე, აპელანტი, კასატო-

რი) და ი. ი-მა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც დამზღვევი, მოსარჩელე) 2016 წლის 29 თებერვალს დადეს ავტოსატრანსპორტო საშუალების (Ducati Panigale S 1199, სარეგისტრაციო ნომრით ...) დაზღვევის ხელშეკრულება (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც დაზღვევის ხელშეკრულება ან ხელშეკრულება), რომლის მოქმედების ვადა 04.03.2016 წლიდან 04.10.2016 წლამდე განისაზღვრა.

2. 2016 წლის 3 აგვისტოს დადგა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევა – ქურდობა, კერძოდ, დამზღვევის საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოდან დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლენ.

3. 2016 წლის 22 აგვისტოს დამზღვევმა მიმართა სადაზღვევო კომპანიას და მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რაზეც მას 2016 წლის 02 სექტემბრის წერილით განემარტა, რომ კომპანია უარს აცხადებდა ზიანის ანაზღაურებაზე. ხელშეკრულების თანახმად, დაზღვევა არ მოქმედებდა და ზარალი არ ანაზღაურდება, თუ გამოვლინდებოდა ქმედება, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მზღვეველს ანიჭებდა უფლებამოსილებას, უარი ეთქვა სადაზღვევო ანაზღაურებაზე. კომპანიის განმარტებით, სადაზღვევო შემთხვევისას მოტოციკლი დატოვებული იყო სადარბაზოში, ხოლო მოსარჩელე იმყოფებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ, რაც მიჩნეულ უნდა ყოფილიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ) 829-ე მუხლით გათვალისწინებულ უხეშ გაუფრთხილებლობად.

4. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა:

- მოპასუხისათვის 18 700 აშშ დოლარის დაკისრება;
- მიუღებელი შემოსავლის – 18 700 აშშ დოლარის 0,027%-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სარჩელის წარდგენიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე.

4.1. მოსარჩელის მტკიცებით, სადაზღვევო შემთხვევის დროს იგი მართლაც არ იმყოფებოდა საქართველოში, თუმცა ავტოსატრანსპორტო საშუალება დატოვებული იყო სადარბაზოში, რომელიც კერძო საკუთრებაა. ამასთან, ავტოსატრანსპორტო საშუალებას ჩაკეტილი ჰქონდა საჭე და გააქტიურებული იყო ქარხნული სიგნალიზაცია. დაზღვევის ხელშეკრულებით რაიმე განსაკუთრებული პირობა მოტოციკლის პარკირებასთან დაკავშირებით არ განსაზღვრულა. ამასთან, მოპასუხეს არც დამატებითი დამცავი საშუალებების დამონტაჟება არ მოუთხოვია. მოტოციკლს ჰქონდა

მექანიკური ჩამკეტი და აქვს დღესაც.

5. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელემ მოტოციკლი დატოვა სადარბაზოში, რომელსაც არ ჰქონდა დამცავი საშუალებები და არ იყო იზოლირებული, კერძოდ, არ იყო დამონტაჟებული სადარბაზოს ჩამკეტი კარი, არ მიმდინარეობდა ვიდეო კონტროლი და სხვა. შესაბამისად, ნებისმიერ პირს შეეძლო სადარბაზოში ყოველგვარი შეზღუდვისა და კონტროლის გარეშე გადაადგილება. ამასთან, მოტოციკლი დატოვებულ იქნა საბურავის ჩამკეტის გარეშე, არ იყო მიბმული შესაბამისი ჩამკეტით მყარ საგანზე, რაც მოსარჩელის გაუფრთხილებლობასა და წინდაუხედაობაზე მიუთითებს. ეს კი გამორიცხავს მზღვეველის ანაზღაურების ვალდებულებას.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

– მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 18 700 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;

– ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

7. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის უარყოფის მოთხოვნით.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

8.1. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მოსარჩელემ სადაზღვევო შემთხვევისას უხეში გაუფრთხილებლობა გამოიჩინა. უხეში გაუფრთხილებლობა არის მეტისმეტი დაუდევრობა, როდესაც პირი არ იჩენს აუცილებელ ყურადღებას უჩვეულოდ მაღალი ხარისხით. სწორედ ამ დონის დაუდევრობა უნდა დაამტკიცოს სადაზღვევო კომპანიამ, რომ აცილოს დამზღვევისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. განსახილველ დავაში პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად გაიზიარა მოსარჩელის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მოტოციკლს დამცავი მოწყობილობები ქარხნულად ჰქონდა დამონტაჟებული. გარდა ამისა, მოსარჩელეს მოტოციკლზე დამატებით გამოყენებული ჰქონდა სპეციალური ჩამკეტი მოწყობილობა. ამასთან, მოტოციკლის განთავსება სადარბაზოში არ იყო თავისი არსით საფრთხის შემცველი, მით უფრო, რომ ქურდობისგან დაცვას ვერც მისი ავტოსადგომზე განთავსება უზრუნველყოფდა. ამდე-

ნად, მოსარჩელეს უხეში გაუფრთხილებლობა არ გამოუჩინია.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

9.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ მოსარჩელის ქმედება არ იყო უხეში გაუფრთხილებლობა. დამზღვევმა მოტოციკლი დატოვა სადარბაზოში, რომელიც არ იყო იზოლირებული, არ იყო დამონტაჟებული სადარბაზოს ჩამკეტი კარი, არ მიმდინარეობდა ვიდეო კონტროლი, ტერიტორიას არ იცავდა დაცვის სამსახური. შესაბამისად, ნებისმიერ პირს შეეძლო სადარბაზოში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადაადგილება. ამასთან, მოსარჩელეს დატოვებული ჰქონდა საქართველოს ტერიტორია და დიდი ხნის განმავლობაში უმეთვალყურეოდ იყო მოტოციკლი გაჩერებული. შესაბამისად, მან შექმნა სადაზღვევო შემთხვევის წინაპირობა. მოტოციკლის დატოვება დაუცველ სადარბაზოში და საზღვარგარეთ წასვლა, განსაკუთრებით ისეთ ვითარებაში, როდესაც მოტოციკლზე მინიმუმ საბურავის ჩამკეტი არ იქნა გამოყენებული, ანდა არ იყო მიბმული შესაბამისი ჩამკეტი მყარ საგანზე, ვერ მიიჩნევა ყოველდღიურ, ჩვეულებრივ მოვლენად. შესაბამისად, დამზღვევს მეტი წინდახედულება და სიფრთხილე უნდა გამოეჩინა. მან დაარღვია აუცილებელი ყურადღებრიანობისა და კეთილსინდისიერების მოვალეობა.

9.2. სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით დამზღვევს დაზღვეული ავტოტრანსპორტის რაიმე სპეციფიკური ფორმით შენახვა არ ევალებოდა. მზღვეველი ყველა პირობას ხელშეკრულებით ვერ გაითვალისწინებდა. დამზღვევს კანონმდებლობით ევალება, გაუფრთხილდეს დაზღვეულ ქონებას. შესაბამისად, თუ იგი დაზღვეულ მოტოციკლს დაცულ ავტოსადგომზე გააჩერებდა, საგრძნობლად შეამცირებდა მისი გაუჩინარების რისკს, ვინაიდან, ქურდობის შემთხვევაში, ყველაფერი ვიდეოჩანანერით დაფიქსირდებოდა, რაც ხელს შეუწყობდა გამოძიებას და სადაზღვევო კომპანიას არ ნაართმევდა სუბროგაციის უფლებას.

9.3. სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა, რომ დაზღვევის მომენტში ავტოსატრანსპორტო საშუალებას არ ჰქონდა სატელიტური სამძებრო სისტემა, იმობილაიზერი, მექანიკური ჩამკეტი და სიგნალიზაცია. ამაზე თავად დამზღვევმა მიუთითა. სადაზღვევო პოლისის დაზღვევის განაცხადის მიხედვით, კითხვაზე – ავტოტრანსპორტს აქვს თუ არა შემდეგი დამცავი საშუალებები? (სადაც პროგრამა სთავაზობს პასუხის 6 შესაძლებლობას: სატელიტური

სამძებრო სამუშაოები, იმობილიზირი, მექანიკური ჩამკეტი, სიგნალიზაცია, არა, სხვა) მოსარჩელემ მონიშნა – „სხვა“. ამასთან, მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, რომ მას სხვა დამცავი საშუალება ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დაყენებული ჰქონდა, შესაბამისად, სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ მოსარჩელეს ქურდობისაგან დასაცავად შეძენილი ჰქონდა სპეციალური ჩამკეტი საშუალებები.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ივლისის განჩინებით – საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

11. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). შესაბამისად, ეს ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

12. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 799.1 (დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა, აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა, გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება) და 820-ე (ზიანის დაზღვევისას მზღვეველმა ზიანი უნდა აანაზღაუროს ფულით) მუხლები.

13. კასატორი აპელირებს როგორც ხელშეკრულებით გათვა-

ლისწინებულის, დამზღვევისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების გამომრიცხავი გარემოების არსებობაზე, ისე – კანონით გათვალისწინებულ ანაზღაურების ვალდებულებისგან გათავისუფლების საფუძველზე.

14. კასატორის მტკიცებით, დამზღვევმა დაარღვია ხელშეკრულების პირველი ნაწილის 3.2. მუხლით (არ ანაზღაურდება ზარალი, რომელიც გამოწვეულია ავტოტრანსპორტის დაკარგვით – ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის შედეგად, თუ პოლისში მითითებული გატაცების საწინააღმდეგო სისტემა არ იყო დაყენებული ან იმყოფებოდა გამოუსადეგარ მდგომარეობაში) გათვალისწინებული გატაცების საწინააღმდეგო სისტემის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟების ვალდებულება. პალატა ამ პრეტენზიას არ იზიარებს, რამდენადაც ხელშეკრულების მითითებული პუნქტის თანახმად, ქურდობის შედეგად მზღვეველის პასუხისმგებლობა გამოირიცხებოდა იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი პოლისში მითითებულ გატაცების საწინააღმდეგო სისტემას არ დააყენებდა. საქმეში წარმოდგენილი „ავტოტრანსპორტისა და მის მართვასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის პოლისი (MO/R-...)“ გატაცების საწინააღმდეგო სისტემაზე მითითებას არ შეიცავს. შესაბამისად, მითითებული საგამონაკლისო წესი, რომელიც მზღვეველის პასუხისმგებლობას გამორიცხავდა, არ ამოქმედებულა. როგორც საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, ხელშეკრულებაში საგამონაკლისო ნორმების იმპლემენტაციის დანიშნულებაა ამომწურავად განისაზღვროს იმ გარემოებათა/ქმედებათა წრე, რაც მზღვეველის პასუხისმგებლობას გამორიცხავს, ყველა სხვა შემთხვევა კი, დამზღვევის ინტერესების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. საგამონაკლისო შემთხვევების გაფართოების დაშვება, ეწინააღმდეგება ხელშეკრულებაში ამგვარი დათქმების ჩართვის მიზანს. მხარეები თავისუფალი ნების გამოვლენის პირობებში დებენ რა ხელშეკრულებას, თავადვე განსაზღვრავენ სახელშეკრულებო ურთიერთობების იმპერატიულ და დისპოზიციურ წესებს, რომელსაც ორივე მხარე განუხრელად უნდა დაემორჩილოს და იცავდეს. საგამონაკლისო დათქმები სადაზღვევო ხელშეკრულების სწორედ იმპერატიულ დანაწესთა იმ წყებას მიეკუთვნება, რომელიც სადაზღვევო თანხის ანაზღაურებისათვის დაუშვებლად მიჩნეულ ქმედებათა სრულ სპექტრს განსაზღვრავს (იხ. სუსგ №ას-1147-1067-2017, 29.12.2017).

15. კასატორი მიუთითებს, რომ დამზღვევმა შეავსო რისკების დაზღვევის განაცხადი, სადაც ავტოტრანსპორტის შესახებ ინფორმაციის ველში არსებულ კითხვაზე, – „გააჩნია თუ არა ავტოტრანსპორტს შემდეგი დამცავი საშუალებები“, – ჩამოთვლილი პასუხე-

ბიდან: სატელიტური სამძებრო სამუშაოები, იმობილაიზერი, მექანიკური ჩამკეტი, სიგნალიზაცია, არა, სხვა – აირჩია „სხვა“. მოსარჩელემ კი, ვერ დაამტკიცა, რომ მას სხვა დამცავი საშუალება ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დაყენებული ჰქონდა.

16. მითითებული პრეტენზიით კასატორი ფაქტობრივად ხელშეკრულების დადების ეტაპზე დამზღვევის მიერ არასწორი ინფორმაციის მიწოდებაზე (სსკ-ის 809-ე მუხლი) აპელირებს, რასაც საკასაციო პალატა არ იზიარებს. კასატორი არ დავობს სააპელაციო სამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოტოციკლს ქარხნულად ჰქონდა დამონტაჟებული საჭის ჩამკეტი. ამასთან, კასატორს არ წარმოუდგენია პრეტენზია, თუ რატომ არ მოიაზრება ზემოხსენებული საჭის ჩამკეტი ავტოსატრანსპორტის დამცავ სხვა საშუალებად. ასეც რომ არ იყოს, დამზღვევის მიერ კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით შევსებულ კითხვარში – „სხვა დამცავი საშუალების“ მონიშვნა მზღვეველისათვის არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდებად ვერ მიიჩნევა, რადგან იმისათვის, რომ მზღვეველს სსკ-ის 809.1 მუხლით (მზღვეველს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მაშინაც, თუ არსებითი გარემოებების შესახებ შეტყობინება არასწორ მონაცემებს შეიცავს) გათვალისწინებული უფლებამოსილება წარმოემგვას, არასწორი ინფორმაცია არსებით გარემოებას უნდა შეეხებოდეს. სსკ-ის 808.2 მუხლი (არსებითად ჩაითვლება ასევე გარემოება, რომლის შესახებაც მზღვეველი წერილობით შეეკითხება დამზღვევს გარკვევით და არაორაზროვნად) მზღვეველს ავალდებულებს, გარკვევით ჩამოაყალიბოს არსებითი გარემოებების შესახებ კითხვები (მათ შორის, ასარჩევი სავარაუდო პასუხებიც). ბუნდოვნად ჩამოყალიბებული კითხვა თუ ასარჩევი სავარაუდო პასუხი მზღვეველისვე სანინალმდეგოდ განიმარტება. შესაბამისად, თუ მზღვეველისათვის არსებით გარემოებას წარმოადგენდა, რომელი დამცავი საშუალება ჰქონდა დამზღვევს დამონტაჟებული, ამ უკანასკნელის მიერ „სხვა“ პასუხის არჩევისას, რომელიც არ იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას დამცავი საშუალების თაობაზე, ინფორმაციას დააზუსტებდა. თუ მზღვეველი ვერ გამოითხოვს დამზღვევისაგან საჭირო ინფორმაციას, ეს მისი მხრიდან ინფორმაციის მოთხოვნის უფლებაზე უარს ნიშნავს. შესაბამისად, ასეთი შემთხვევა დამზღვევის მხრიდან ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევად ვერ განიხილება (ქ. ირემაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 808, ველი 11, ელ. მისამართი – elcc.ge).

17. კასატორი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გამოსარიცხად მოსარჩელის უხეშ გაუფრთხილებლობაზეც მიუთითებს. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას გაუფ-

რთხილებლობის ხარისხის განსაზღვრის თაობაზე და მიიჩნევს, რომ სადაზღვევო შემთხვევა დამზღვევის უხეშ გაუფრთხილებლობას არ გამოუწვევია.

18. სსკ-ის 829-ე მუხლიდან (მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დამზღვევემა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით) გამომდინარე, დამზღვევის მიერ განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევა მზღვეველის ვალდებულებისაგან გათავისუფლების კანონიერი საფუძველია. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მზღვეველი არ თავისუფლდება ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ დამზღვევემა შემთხვევა გამოიწვია მარტივი გაუფრთხილებლობით. გაუფრთხილებლობა უხეშია თუ მარტივი, დგინდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი და ლოგიკური შეფასების შედეგად. უხეში გაუფრთხილებლობა ვლინდება, როდესაც განსაკუთრებით მძიმე აუცილებელი წინდახედულებისა და გულისხმიერების ნორმის დარღვევაა. წინდახედულება განისაზღვრება ობიექტური მასშტაბით, ეს ის შემთხვევაა, როდესაც დამრღვევი არ ითვალისწინებს ისეთ გარემოებებს, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევაში ყველასთვის ცხადი უნდა იყოს.

19. კასატორის მტკიცებით, დამზღვევემა, მოტოციკლის დაუცველ სადარბაზოში დატოვებითა და საზღვარგარეთ წასვლით, შექმნა სადაზღვევო შემთხვევის წინაპირობა, რადგან მას შეეძლო მოტოციკლის დაცულ ავტოსადგომზე გაჩერება, რაც საგრძნობლად შეამცირებდა სადაზღვევო შემთხვევის რისკს.

20. პალატა მიიჩნევს, რომ დამზღვევეს არ დაურღვევია სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი ყურადღებიანობის მოთხოვნები. მოტოციკლის სახლის სადარბაზოში დატოვებისას, დაზღვევის ობიექტისადმი ზრუნვის მოვალეობიდან გამომდინარე, დამზღვევი მოქმედებდა იმ მიზნით, რომ, საზღვარგარეთ ყოფნისას, ავტოსატრანსპორტო საშუალება დაცულ ტერიტორიაზე დაეტოვებინა. ქვეყნიდან გასვლისას ავტოსატრანსპორტო საშუალების ქუჩაში დატოვება შესაძლოა, შეფასებულიყო მაღალი ხარისხის უყურადღებობად, დაუდევრობად და, შესაბამისად, უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილ ქმედებად, რომელმაც სადაზღვევო შემთხვევის რისკი მნიშვნელოვნად გაზარდა. საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში მოტოციკლის განთავსება კი, რომელსაც ქარხნულად ჰქონდა საჭის ჩამკეტი მექანიზმი, წინდახედულობის ნორმის იგნორირებად და უხეშ დარღვევად ვერ შეფასდება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ უკეთეს დაცვის საშუალებებზე (მათ

შორის დაცულ ავტოსადგომზე მოტოციკლის განთავსებაზე) მხარეები არ შეთანხმებულან, შესაბამისად, დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია დაცულ ავტოსადგომზე მოტოციკლის განუთავსებლობასთან დაკავშირებით.

21. ამდენად, პალატის შეფასებით, დამზღვევის მიერ საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში ჩაკეტილი მოტოციკლის დატოვება (იმის გათვალისწინებითაც, რომ დამზღვევის ოჯახის წევრები შინ იმყოფებოდნენ) აკმაყოფილებს მოსალოდნელი ზიანის წინასწარ განჭვრეტისა და მისი თავიდან აცილებისათვის განხორციელებული ქმედებების აუცილებელ სტანდარტს, შესაბამისად, დამზღვევის ქმედება უხეშ გაუფრთხილებლობად ვერ შეფასდება. საწინააღმდეგოს დაშვება და დამზღვევის პასუხისმგებლობის ფარგლების ზედმეტად გაფართოება შეეწინააღმდეგებოდა დაზღვევის სამართლებრივ არსს, რადგანაც ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა, სადაზღვევო შემთხვევისას დამზღვევის ნებისმიერი მოქმედება უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასებულიყო და მზღვეველის მიერ ზიანის ანაზღაურება გამორიცხულიყო.

22. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადამწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადამწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს.კ.ა-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

8. საბანკო მომსახურება

საბანკო კრედიტი

ბანკინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-303-303-2018

17 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკის საგნის რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ- ვლები:

1.1. სს „ტ. ბ-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი ან ბანკი) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. მ-ისა და ქ. გ-ის (შემდგომში – პირველი და მეორე მოპასუხე ან მოწინააღმდეგე მხარე, პირველი მოპასუხე ასევე წოდებული, როგორც მსესხებელი, ხოლო მეორე – იპოთეკის საგნის მესაკუთრე) მიმართ პირველი მოპასუხისათვის 11 472 აშშ დოლარის (საიდანაც სესხის ძირი თანხა 7 298,35 აშშ დოლარია, ხოლო სარგებელი – 4 173,65 აშშ დოლარი) დაკისრების, ასევე, დავალიანების ამოღების მიზნით მეორე მოპასუხის კუთვნილი, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების (ს/კ №..., შემდგომში – იპოთეკის საგანი) აუქციონზე რეალიზაციის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა არ აღმოჩნდება საკმარისი ვალდებულების შესასრულებლად, მოსარჩელემ მოითხოვა მსესხებლის სხვა ქონების რეალიზაციოდ მიქცევა.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2013 წლის 10 დეკემბერს მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის დაიდო №-244520 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფილი იქნა მეორე მოპასუხის უძრავი ქონებით. ამ მიზნით, 2012 წლის 21 აგვისტოს გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება №6-244520/01. 2013 წლის 10 დეკემბერს ბანკსა და მსესხებელს შორის დაიდო №38.0244520.001-001 საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც პირველი მოპასუ-

ხის სახელზე გაიცა სესხი 25 000 აშშ დოლარი წლიურ 18% სარგებლის დარიცხვის პირობით, ხოლო პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე განისაზღვრა გადაუხდელი თანხის 0.5%-ით. საბანკო კრედიტის ვადა შეადგენდა 12 თვეს (2014 წლის 10 დეკემბრამდე). მსესხებელმა დაარღვია სახელშეკრულებო ვალდებულებები, სესხის დაფარვის მიზნით თანხა ბანკში არ შეუტანია. 2016 წლის 20 მაისს მსესხებელს გაეგზავნა გაფრთხილების წერილი, თუმცა ადრესატს იგი ვერ ჩაბარდა. 2016 წლის 20 მაისის მდგომარეობით მოპასუხის დავალიანება მოსარჩელის მიმართ შეადგენს 11 472 (ძირი – 7 298.35 აშშ დოლარი, პროცენტი – 4 173.65 აშშ დოლარი) აშშ დოლარს.

სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ წარადგინა 2013 წლის 10 დეკემბრით დათარიღებული სალაროს გასაცემის №1 ორდერის ქსეროასლი (24 620 აშშ დოლარის გაცემის შესახებ) და განმარტა, რომ დოკუმენტის მიხედვით, 24 620 აშშ დოლარი ბანკიდან გატანილი აქვს მსესხებელს. ამ სესხის თაობაზე ბანკის მომსახურების ოფიცერი იყო ფ. ხ-ი, რომლის მიმართაც თაღლითობის ბრალდებით მიმდინარეობს გამოძიება ბანკის კლიენტების კუთვნილი თანხების მითვისების ფაქტზე. ბანკის შიდა აუდიტმა შეისწავლა ფ. ხ-ის მიერ კლიენტების კუთვნილი თანხების მითვისების ფაქტები, გამოიკითხა ყველა ის პირი, ვისაც ურთიერთობა ჰქონდა ფ. ხ-თან და ამ წესით დადგინდა, რომ 2013 წლის 10 დეკემბერს მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული (25 000 აშშ დოლარიდან) სესხიდან 15 000 აშშ დოლარი მიითვისა ბანკის თანამშრომელმა ფ. ხ-მა, ამ თანხაზე მოთხოვნა მოხსნილია მოპასუხის მიმართ. გარდა ამისა, მათი განმარტებებიდან ირკვევა, რომ 10 000 აშშ დოლარი მიიღო მეორე მოპასუხემ. მომხდარი ფაქტის გამო, სადაზღვევო კომპანიამ ბანკს აუნაზღაურა ზიანი 15 000 აშშ დოლარის ოდენობით, რის გამოც, მსესხებლისაგან მოსარჩელე მოითხოვს მხოლოდ დარჩენილი ძირი თანხისა და მასზე დარიცხული სარგებლის ანაზღაურებას.

2. მოპასუხეების პოზიცია:

მოპასუხეებმა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი წარადგინეს და მოითხოვეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. პირველი მოპასუხის განმარტებით, 2012 წელს მისმა ნაცნობმა ე. ი-ძემ ბანკიდან აიღო სესხი (კრედიტოფიცერი იყო ფ. ხ-ი) 24 500 ლარის ოდენობით, რომლის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკით დაიტვირთა პირველი მოპასუხის საკუთრებაში არსებული, სიღნაღის რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავი ქონება და მან შესაბამის დოკუმენტებზე მოაწერა ხელი. აღებული აგროსესხით ისარგებლა მო-

პასუხემაც. ამ დროისათვის იგი 19 წლის იყო, ენდობოდა ფ. ხ-ს და ვერ ერკვეოდა საბანკო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ საკითხებში. ეს კრედიტი დროულად და სრულად იქნა დაფარული. სესხის დაფარვის შემდეგ, 2013 წელს მოპასუხეს დაუკავშირდა ბანკის კრედიტოფიცერი ფ. ხ-ი (რომელიც იყო მისი თანასოფლელი და კარგად იცნობდა) და უთხრა, რომ ამონებდა აუდიტის სამსახური, ე. ი-ძის სესხთან დაკავშირებით გამორჩენილი ქონდა ხელმოწერები და სთხოვა შეხვედრა, ასევე ხელის მოწერა დოკუმენტებზე. სწორედ ფ. ხ-ის მანქანაში მოაწერა მან ხელი დოკუმენტებს, რომლებიც, მოპასუხის ინფორმაციით, ე. ი-ძის სახელზე გაცემულ სესხის ხელშეკრულების შემადგენელი დოკუმენტები იყო. თანხა მას ბანკიდან არასოდეს გაუტანია. სარჩელში მითითებული თანხა სავარაუდოდ მთლიანად ფ. ხ-მა გაიტანა ბანკიდან და მიითვისა. მსესხებლის ინფორმაციით ფ. ხ-მა დაახლოებით 500-მდე ადამიანი მოატყუა, მიითვისა მათი თანხები, რის გამოც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. თანხის მითვისების შემდეგ, ფ. ხ-ი მოპასუხესა და მის მამას შეხვდა სოფელში, უთხრა, რომ 10 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულებიდან 15 000 აშშ დოლარი თვითონ აიღო, ხოლო 10 000 აშშ დოლარი მეორე მოასუხეს გადასცა, რომელიც ამ უკანასკნელს აქვს გადასახდელი. მოპასუხის მოსაზრებით, შესაძლებელია სალაროს გასავლის ორდერებზე ფ. ხ-მა მოტყუებით მოაწერინა ხელი ისევე, როგორც სხვა დოკუმენტებზე, თუმცა, ბანკიდან მას თანხა არასოდეს გაუტანია.

მეორე მოპასუხის განმარტებით, მან ადრე გააკეთა განაცხადი სესხის აღების თაობაზე, მაგრამ ფ. ხ-მა უთხრა, რომ მისი განაცხადი ჯერ დაკმაყოფილებული არ იყო. მეორე მოპასუხემ იპოთეკით დატვირთა თავისი უძრავი ქონება, ხელი მოაწერა იპოთეკის ხელშეკრულებას იმ მიზნით, რომ სესხის ნაწილს მიიღებდა, მაგრამ თანხის გატანის თაობაზე არაფერი იცის და მას არანაირი თანხა არ მიუღია არც ფ. ხ-ისაგან, არც გ. მ-ისაგან და არც სხვა პირისაგან. რადგან სესხი ბანკის თანამშრომელმა მიითვისა, იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნა უკანონოა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილ იქნა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი, ასევე, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

1.1. საკასაციო პრეტენზიების მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გამსესხებლის მოთხოვნის ნამდვილობა, ასევე, ამ მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო სამართლებრივი საშუალების განკარგვის წინაპირობების არსებობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), წინამდებარე განჩინებით საკასაციო სასამართლო შეამონმებს კასატორის შემდეგი პრეტენზიების საფუძვლიანობას:

– სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანანილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის წინაპირობების მტკიცება დააკისრა კრედიტორს, რომელსაც წარდგენილი ჰქონდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, იპოთეკის ხელშეკრულება, გასავლის ორდერი, ანგარიშიდან ამონაწერი, რომლებიც მოწმობენ მსესხებლის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის ფაქტს და იმ შემთხვევაშიც, თუკი გასავლის ორდერი არ იქნებოდა წარდგენილი, თავად ანგარიშზე თანხის განთავსება მოვალისათვის ამ თანხის საკუთრებაში გადაცემასთან უნდა იქნას გათანაბრებული.

ამ მხრივ, სააპელაციო პალატა იშველიებს საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას, თუმცა, მის საპირისპირო დასკვნებს ავითარებს. მოპასუხე მხოლოდ განმარტავდა, რომ მას თანხა ფიზიკურად არ გადასცემია და წარდგენილი ჰქონდა დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ, რაც არ არის საკმარისი. დადგენილებაში აღწერილია დანაშაულის სავარაუდო სქემა (ბანკის თანამშრომელი კლიენტს უმტკიცებდა მოთხოვნილზე მეტი ოდენობის სესხს, რომელსაც თავად იღებდა იმ პირობით, რომ მეტობას დაფარავდა თანამშრომელი, რასაც არ ასრულებდა და მოტყუებით ეუფლებოდა სხვის ქონებას). ამ დადგენილებიდან ირიბად შეიძლება იკვეთებოდეს მსესხებლის მიერ თანხის მიღება, რომელიც შემდგომ გადაეცა კრედიტოფიციერს, სხვაგვარად მოპასუხის დაზარალებულად ცნობა ვერ მოხერხდებოდა, რადგანაც არ იარსებებდა ზიანის ფაქტი. საგულისხმოა, რომ გასავლის ორდერზე ხელმოწერა მოპასუხის მხრიდან შედავებული არ არის, მსესხებელს ამ კუთხით არც საექსპერტო კვლევა მოუთხოვია, თუმცა, სასამართლომ საკუთარი ინიციატივით შეაფასა ხსენებული და თავადვე იტვირთა ექსპერტის როლი, როდესაც დოკუმენტსა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებზე შესრულებული მსესხებლის ხელმოწერების ურთიერთშედარებით დაადგინა მტკიცებულების არასანდოობა;

– განჩინებაში სასამართლო იშველიებს სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლს, თუმცა, ბანკის წარმომადგენლის მხრიდან სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას ადგილი არ ჰქონია და გაურკვეველია ხსენებული ნორმის გამოყენების წინაპირობები;

– სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოპასუხეები სოლიდარული მოვალეები არიან. სარჩელი მოთხოვნის პირადი მოვალისა და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის წინააღმდეგაა წარდგენილი, ეს ურთიერთობა დასტურდება გასაჩივრებული გადაწყვეტილებითაც, ასეთ ვითარებაში სააპელაციო სასამართლოს უნდა გაესწორებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა.

1.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასა-

ბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. სააპელაციო პალატის დასკვნით:

1.2.1. საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებების თანახმად, 2013 წლის 10 დეკემბერს ბანკსა და მსესხებელს შორის გაფორმდა №244520 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება 25 000 აშშ დოლარზე, 10 წლის ვადით, წლიური 36%-ის დარიცხვის პირობით. ამავე დღეს, 2013 წლის 10 დეკემბერს, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში, ამავე მხარეებს შორის გაფორმდა №38.0244520.001-001 საბანკო კრედიტის ხელშეკრულება 25 000 აშშ დოლარზე, 12 თვის ვადით, წლიური 18%-ის დარიცხვის პირობით;

1.2.2. 2013 წლის 10 დეკემბერს მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის გაფორმდა №244520/01 იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც პირველი მოპასუხის სასარგებლოდ გაცემული კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა მეორე მოპასუხის კუთვნილი, სიღნაღის რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავი ქონება;

1.2.3. აღნიშნული ხელშეკრულებების მომზადება და გაფორმება ტექნიკურად უზრუნველყო ბანკის წ-ის წარმომადგენლობის საკრედიტო ოფიცერმა ფ. ხ-მა;

1.2.4. პირველი მოპასუხის საბანკო ანგარიშის ამონაწერი დასტურდება, რომ 2013 წლის 10 დეკემბერს მოსარჩელემ ჩარიცხა კრედიტის თანხა 24 620 აშშ დოლარი;

1.2.5. დავალიანების შესახებ ცნობის თანახმად, პირველი მოპასუხის საკრედიტო დავალიანება ბანკის წინაშე შეადგენს 11 472 აშშ დოლარს, საიდანაც სესხის ძირი 7 298,35 აშშ დოლარი, სარგებელი კი – 4 173,65 აშშ დოლარია;

1.2.6. მსესხებელს ბანკის წინაშე რაიმე გადახდა ზემოხსენებული საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში არ უწარმოებია;

1.2.7. 2013 წლის 10 დეკემბრის №1 გასავლის ორდერის თანახმად, პირველი მოპასუხის საბანკო ანგარიშიდან გატანილია 24 620 აშშ დოლარი. სალაროს გასავლის ორდერზე ხელს აწერს ბანკის პასუხისმგებელი მუშაკი ფ. ხ-ი და მოლარე. თანხის მიმღების ხელმოწერა დაფიქსირებულია ასო „გ-ს“ ფორმით. მხარეთა შორის სა-

დავოა ის გარემოება, თუ ვინ გაიტანა თანხა ანგარიშიდან: მსესხებლმა თუ ბანკის წარმომადგენელმა ფ. ხ-მა;

1.2.8. პირველ მოპასუხეს კრედიტის თანხა – 25 000 აშშ დოლარი არ გადასცემია (მსესხებელს სესხის თანხა საერთოდ არ გადაუხდია, მისი სესხის ძირი თანხის დავალიანება 24 620 აშშ დოლარიდან შემცირებულია 7 298.35 აშშ დოლარამდე; მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, ბანკის თანამშრომელი ფ. ხ-ი ითვისებდა ბანკის კლიენტების კუთვნილ საკრედიტო თანხებს, რის გამოც, სადაზღვეო კომპანიამ ბანკის მოტყუებულ კლიენტებს ზოგს ნაწილობრივ, ზოგს კი – მთლიანად აუნაზღაურა ბანკის თანამშრომლის მიერ მიყენებული ზარალი; საქმეში წარმოდგენილი გამოძიების მასალებით დასტურდება, რომ სისხლის სამართლის საქმე სს „კ.ს.ბ-ის“ საკრედიტო ოფიცრის ფ. ხ-ის მიერ ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე არსებითად განსახილველად გადაგზავნილია სასამართლოში; მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებებით, პირველი მოპასუხის მიმართ ბანკის საკრედიტო ოფიცერ ფ. ხ-ის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო, სადაზღვეო კომპანიამ ნაწილობრივ, 17 321.65 აშშ დოლარის ოდენობით, აანაზღაურა ზიანი, რის გამოც მოპასუხის მიმართ მოთხოვნა შემცირდა ანაზღაურებული თანხის ოდენობით. მისივე განმარტებით, სადაზღვეო თანხების გადახდა განხორციელდა ბანკის რისკის დაზღვევის ფარგლებში (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 02 ნოემბრის სხდომის ოქმი). მსესხებლისათვის განკუთვნილი სესხის ნაწილი მიღებული აქვს იპოთეკის საგნის მესაკუთრეს, მეორე მოპასუხეს (იხ. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის სხდომის ოქმი 13.46.44წთ); ვინაიდან აპელანტის განმარტებები იყო წინააღმდეგობრივი, გაუგებარი იყო თუ რატომ, როგორ ან რა ოდენობით გაიცა იპოთეკის საგნის მესაკუთრე ქ. გ-ძე გ. მ-ისთვის განკუთვნილი სესხის ნაწილი, როდესაც სესხის ჩარიცხვა განხორციელდა პირველი მოპასუხის საბანკო ანგარიშზე; ამასთან, საინტერესო იყო სადაზღვეო კომპანიამ რა სადაზღვეო შემთხვევის საფუძველზე და რა ოდენობით აუნაზღაურა სადაზღვეო თანხა ბანკს, იმ გარემოების გასარკვევად კონკრეტულ შემთხვევაში რა რისკი იყო დაზღვეული, რა სადაზღვეო შემთხვევას ჰქონდა ადგილი და რა ზიანი აუნაზღაურა სადაზღვეო კომპანიამ გამსესხებელს პირველი მოპასუხის საკრედიტო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ საოქმო განჩინებით დაავალა ბანკს დამატებითი მტკიცებულებების – სადაზღვეო მასალების წარმოდგენა სასამართლოსთვის (იხ. სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 02 ნოემბრის სხდომის ოქმი), თუმცა, აპელანტმა სასამართლოს დამატებითი მტკიცებულებები არ წა-

რუდგინა და სასამართლო მითითების შეუსრულებლობის არც რაიმე საპატიო მიზეზი მოუთითა (იხ. სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 14 დეკემბრის სხდომის ოქმი).

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო სასამართლო უარყოფს კასატორის პრეტენზიებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქმის მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევით განხილვის თაობაზე და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით განთვალისწინებული რომელიმე წინაპირობის არსებობა არ დგინდება. საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს განსახილველი სარჩელის სამართლებრივ საფუძვლებზე, ასევე, მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებსა და სააპელაციო პალატის მხრიდან ამ ფაქტების დადგენის სანდოობაზე.

1.3.2. განსახილველი მოთხოვნა სახელშეკრულებო სამართლიდან გამომდინარეობს, კერძოდ, საბანკო კრედიტის გამცემი მსესხებლისაგან მოითხოვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, რომელიც სანივთო საშუალებით – სხვა პირის უძრავი ქონებითაა უზრუნველყოფილი, შესაბამისად, მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს სამოქალაქო კოდექსის 867-ე, 623-ე, 286-ე (1) და 301-ე მუხლები წარმოადგენს, რომელთა ფარგლებშიც მოსარჩელეს ეკისრება სასყიდლიანი კრედიტის ხელშეკრულების არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხმების, კრედიტის თანხის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემის, ამ ვალდებულების იპოთეკით უზრუნველყოფისა და მოვალის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების ფაქტების მითითება, ხოლო, იმის მიხედვით, თუ რომელ ფაქტებს შეედავება მოპასუხე, განისაზღვრება მტკიცების საგანი და ნაწილდება სადავო ფაქტების მტკიცების ტვირთი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაბრუნების მოთხოვნისას უმთავრესად ხელშეკრულების დადებას და არა ხელშეკრულების გაფორმებას ექცევა ყურადღება. მათ შორის სხვაობა კი, ძირითადად ხელშეკრულების ბუნებითაა განპირობებული, რამდენადაც საბანკო კრედიტის ხელშეკრულება წარმოადგენს სესხის ხელშეკრულების ნაირსახეობას და გარდა სპეციალური მონესრიგებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა (სკ-ის 867-ე-873-ე მუხლები), სესხის მარეგულირებელი წესები გამოიყენება, რომელთაგან უმთავრესი მისი რეალური ხასიათია. რეალური ხელშეკრულება კი, კონსესუალური ხელშეკრულებისაგან განსხვავ-

ვებით, არა მხოლოდ არსებით პირობებზე შეთანხმებით, არამედ – საგნის გადაცემით – მაგ: თანხის საკუთრებაში გადაცემით ითვლება დადებულია. სხვა შემთხვევაში, შესაძლოა სახეზე გვექონდეს სესხის დაპირება, რომელიც მსესხებელს წარმოუშობს თანხის გადაცემის მოთხოვნის უფლებას და არა გამსესხებელს მისი დაბრუნების მოთხოვნას. საკასაციო პალატა, თავად მოთხოვნის მარეგულირებელი ნორმების, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე აღნიშნავს, რომ დაბრუნების პირობით თანხის მსესხებლისათვის საკუთრებაში გადაცემის მტკიცების ტვირთი ყოველთვის გამსესხებელს ეკისრება, რომელიც, თავად სესხის ნორმათა სისტემური ანალიზიდან გამომდინარე, მხოლოდ მოწმის ჩვენებაზე არ შეიძლება იყოს დაფუძნებული (სკ-ის 624-ე მუხლი).

1.3.3. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას იმის თაობაზე, რომ პირველი მოპასუხისათვის თანხის გადაცემის ფაქტი მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა. ამ მხრივ კასატორს მართალია გარკვეული პრეტენზია გააჩნია და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მტკიცების ტვირთის განაწილების წესი, თუმცა, საკასაციო პალატა არ იზიარებს სსენებულს და განმარტავს, რომ ზოგადად საბანკო დაწესებულების მიერ რეალური ხელშეკრულების დადების ფაქტის მტკიცებისათვის საკმარისია მსესხებლის/კრედიტის ამლების ანგარიშზე თანხის განთავსების ფაქტის დადასტურება, საიდანაც ამ თანხის განკარგვა მხოლოდ მსესხებელს შეეძლება. ბანკის ამგვარი ქმედება სწორედ ფულის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემას უთანაბრდება და შესაბამისი სამოქალაქო ვალდებულებებიც წარმოიშვება, თუმცა, განსახილველი შემთხვევა გარკვეული თავისებურებით ხასიათდება:

– მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ სადავო ხელშეკრულება გაფორმებულია ბანკის იმ თანამშრომლის მხრიდან, რომლის მიმართაც დაწყებულია გამოძიება თაღლითობის ფაქტზე და მსესხებელი დაზარალებულადაა ცნობილი;

– თავად ბანკმა დადასტურა გარკვეული თანხის მისი თანამშრომლის მიერ მითვისება, რაც შემდგომ, მისივე განმარტებით, სადაზღვევო შემთხვევად შეფასდა და აანაზღაურა სადაზღვევო კომპანიამ, შესაბამისად, ბანკი სადავო სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაწილობრივ აცხადებს მოთხოვნაზე უარს.

ამ გარემოებათა ერთობლივი შეფასება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს უყალიბებს შინაგან რწმენას, ქმნის პრეზუმფციას, რომ თანხა პირველ მოპასუხეს არ გადასცემია. განსახილველი შემთხვევის ინდივიდუალური თავისებურებიდან გამომდინარე, კრედიტის გამცემი ვალ-

დებულები იყო მეტად სარწმუნო მტკიცებულებები წარედგინა სასამართლოსათვის (პირადი ანგარიშიდან საიდენტიფიკაციო ნომრით, ე.წ. პინკოდის გამოყენებით თანხის ავტორიზებული მომხმარებლის მიერ გატანა ან ბანკის სალაროდან თანხის გატანის ვიდეორჩანანერი და სხვა). დაშვებულ ვარაუდს ვერ შეარყევს კასატორის პრეტენზია, რომლის თანახმადაც, სალაროს შემოსავლის ორდერის კანონიერება სასამართლომ თავისი ინიციატივით შეამოწმა, რამდენადაც მსესხებლის ხელმოწერის ნამდვილობის პირობებშიც კი, დელიქტური ქმედების მასშტაბიდან გამომდინარე, მხოლოდ ქვითარზე ხელმოწერა თანხის მსესხებლის მიერ მიღებას არ ამტკიცებს, ხოლო დაზარალებულად ცნობის დადგენილებაში რაიმე მითითება იმის თაობაზე, რომ თანხა პირველმა მოპასუხემ მიიღო და შემდეგ გადასცა კრედიტოფიცერს, არ მოიპოვება. აღნიშნულის საპირისპიროდ, სასამართლოს შინაგანი რწმენისათვის მნიშვნელოვანია ბანკის წარმომადგენლის ქმედებები, რომელთაც სასამართლიანად გაუსვა ხაზი სააპელაციო სასამართლომ: მისი ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებები, რეალური ვითარების გადმოცემის შეუძლებლობა, თანხის ნაწილის ხან პირველი და ხან მეორე მოპასუხისათვის გადაცემა და ბანკის მხრიდან დაზღვევის მასალის წარდგენის შეუძლებლობა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მართლაც უზრუნველს მტკიცების ტვირთს მოსარჩელეს და გაზიარებადს ხდის მოპასუხის შედავებას თანხის მიუღებლობისა და დოკუმენტებზე ხელის მოტყუებით მოწერის თაობაზე. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო სალაროს შემოსავლის ორდერთან დაკავშირებით დამატებით აღნიშნავს, რომ მართალია, დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობა მოპასუხის თავდაცვის საშუალებებში არ არის მოშველიებული, თუმცა, ის ფაქტი, რომ მხარე მიუთითებს ხელის შესაძლო მოტყუებით მოწერასა და ფულის მიუღებლობაზე, სასამართლოს წარმოუშობს დოკუმენტის იურიდიული სანდოობის, მისი განკუთვნიადობის შემოწმების ვალდებულებას.

1.3.4. იმ ვითარებაში, როდესაც საბანკო კრედიტის გამცემი თანხის კრედიტის ამღებისათვის გადაცემის ფაქტს ვერ ამტკიცებს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის ვალდებულებითი ურთიერთობა არ წარმოშობილა, შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნას არ გააჩნია ფაქტობრივი საფუძველი. რაც შეეხება იპოთეკის საგნისა თუ მოვალის სხვა ქონების რეალიზაციის მოთხოვნას, პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის აღწერილობითი ნაწილიდან გამომდინარე, იპოთეკა აქცესორული უფლებაა და მისი არსებობა, ამავე კოდექსის 153.1 მუხლის თანახმადაც, მთავარი

უფლების – საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული. ისეთ ვითარებაში კი, როდესაც არ დგინდება სახელშეკრულებო მოთხოვნის ნამდვილობა, არც მისი უზრუნველყოფის საშუალებას გააჩნია იურიდიული საფუძველი.

1.4. გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვების პროცესუალური დასაბუთება:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საბანკო კრედიტის გამცემმა ვერ დაადასტურა კრედიტის ამლებისათვის თანხის გადაცემის ფაქტი, რაც გამორიცხავს მხარეთა შორის ვალდებულების წარმოშობას, ამ ვითარებაში კი, შესრულების მოთხოვნის/მისი უზრუნველყოფის საშუალებების განკარგვის თაობაზე სარჩელი წარუმატებელია. ამდენად, სასამართლო უარყოფს კასატორის პრეტენზიებს და ამავე კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად, უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

2. პროცესის ხარჯები:

ვინაიდან წინამდებარე განჩინებით არ დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი, არ არსებობს პროცესის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები. რაც შეეხება საკასაციო საჩივარზე გადახდილ სახელმწიფო ბაჟს, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, ის უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სს „ტ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

9. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)
ამხანაგობის ვალდებულებებზე პასუხისმგებელი
სუბიექტები

განჩინება
საქართველოს სახელმწიფო

№ას-160-156-2016

29 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2005 წლის 8 სექტემბერს შპს „ს-სა“ (შემდეგში: მესაკუთრე, პირველი მოპასუხე, მეორე კასატორი) და შპს „ა-ს“ (შემდეგში: კომპანია, მეორე მოპასუხე, პირველი კასატორი) შორის დაიდო ხელშეკრულება ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ა-ის“ (შემდეგში: მესამე მოპასუხის, ამხანაგობის) დაფუძნების შესახებ. ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტით ხელშეკრულების საგანია, მესაკუთრისა და კომპანიის გადანყვებილება – მესაკუთრის კუთვნილი უძრავი ქონების ბაზაზე (მდებარე ქ. თბილისში, ს-ოს ქ. №...-ში) ააშენონ მრავალსართულიანი საცხოვრებელი და საოფისე ფართი. მესაკუთრემ საკუთარი შენატანის სახით ამხანაგობას უნდა გადასცეს მიწის ნაკვეთი მასზე არსებული დაუსრულებელი მშენებლობით. ამასთან, ხელშეკრულების 4.1.4. პუნქტით კომპანიის შენატანი განსაზღვრულია მომსახურების სახით, რაც გულისხმობს მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი ფართის დაპროექტებასა და მშენებლობას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით (საკუთარი ან მისი ფინანსური პასუხისმგებლობით მოზიდული სახსრებით). შენობა-ნაგებობის ასაშენებლად კომპანიის მიერ გაღებული დანახარჯი უნდა იყოს მინიმუმ 2 000 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

2. ზემოხსენებული ხელშეკრულების მე-5 პუნქტით ერთობლივი საქმიანობის შედეგად მიღებული ქონება პირველ და მეორე მოპასუხეს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: მესაკუთრე საერთო ფართიდან მიიღებს 1 500 კვ.მ.-ს, შიდა პერიმეტრით (დანართი №1-

ის შესაბამისად). ხელშეკრულების 6.1.1. პუნქტის მიხედვით, მესაკუთრე ვალდებულია იღებს და დაპირებას იძლევა: არსებული პროექტის მიხედვით აიღოს მშენებლობის ნებართვა; კომპანიასთან ერთად მაქსიმალური ძალისხმევა გაიღოს შესაბამის უწყებებში მიწის ნაკვეთზე უკვე არსებული პროექტის შესასწორებლად ისე, რომ მეორე მოპასუხეს ამ ადგილისთვის ნორმატივებით ნებადართული მოცულობის ფართის აშენების უფლება ჰქონდეს; მეორე მოპასუხეს დაეხმაროს შესწორებული პროექტის მიხედვით მშენებლობის ნებართვის აღებაში; პროექტის წარმატებით განსახორციელებლად ყველა ზომა მიიღოს და ყველა კანონიერი საშუალება გამოიყენოს.

3. 2006 წლის 25 დეკემბერს, ერთი მხრივ, ამხანაგობასა და, მეორე მხრივ, მ. გ-სა (შემდეგში: მოსარჩელესა) და ზ. გ-ს (შემდეგში მოთხოვნის დამთმობი) შორის დაიდო ხელშეკრულება საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის (ამხანაგობაში წევრად მიღების) შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელისა და ზ. გ-ის წილს შეადგენს ქ. თბილისში, ს-ოს ქ. №...-ში ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის მე-3 სადარბაზოს მე-2 სართულზე, 152.61 კვ.მ საცხოვრებელი ფართისა და 13.44 კვ.მ აივნის მქონე №... ბინა (შემდეგში: ბინა, უძრავი ქონება). შენატანის ოდენობაა ბინის ღირებულება – 97 115 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. ხელშეკრულების 2.3. პუნქტის თანახმად, ამხანაგობის წევრებს ბინა ჩაჰბარდებათ №1 დანართით განსაზღვრულ მდგომარეობაში. ამასთან, ბინის შიდა ტიხრები და კოლონები შედის ბინის დაანგარიშებაში. თავად ამ დანართის მიხედვით, მოსარჩელისათვის გადასაცემ ბინაში უნდა იყოს: სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები დასრულებული; ტიხრები ბლოკით ამოყვანილი; ექსტერიერზე ალუმინის კარ-ფანჯარა ორმაგი შემინვით; ბუნებრივი აირის მილგაყვანილობა (მრიცხველის გარეშე); კანალიზაციის დგარები სასურველ ნერტილამდე მიყვანილი; ელექტრობა შესაბამის ნერტილამდე (38 ნერტილი მრიცხველი გარეშე) მიყვანილი; იატაკი მოჭიმული; კედლები გაჯით გალესილი; შესასვლელი რკინის კარით. ხელშეკრულების 1.8. პუნქტის შესაბამისად, ბინის მშენებლობა 2008 წლის 12 აპრილს უნდა დასრულდეს. ამასთან, თუკი მშენებლობის ვადა დათქმულ პერიოდს 3 თვეზე მეტი ხნით გადააჭარბებს და ამხანაგობის წევრს ხელშეკრულების რომელიმე პუნქტი დარღვეული არ ექნება, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მას შეუძლია, პირგასამტეხლოს სახით შენატანის 0.3% მიიღოს 3 თვის შემდეგ, ბინის მშენებლობის დასრულებამდე არსებულ ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე (ხელშეკრულების 5.3. პუნქტი).

4. 2010 წლის 29 დეკემბერს ამხანაგობას, მოსარჩელესა და ზ.

გ-ს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც 2006 წლის 25 დეკემბრის ხელშეკრულებაში ცვლილება შევიდა – ზ. გ-მა ამ ხელშეკრულების მის მიერ მისაღები წილი მოსარჩელეს დაუთმო.

5. მოსარჩელემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად შეასრულა. მიუხედავად ამისა, მას ბინა არ გადასცემია ისე, როგორც ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.

6. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნისა და 2014 წლის 9 ივნისის ცნობის თანახმად, ბინაში ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება 14 838.15 ლარია.

7. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების წინააღმდეგ და მოითხოვა მათთვის სოლიდარულად 14 838.15 ლარისა და პირგასამტეხლოს – 28 091.63 ლარის დაკისრება იმ საფუძვლით, რომ მოპასუხეებმა 2006 წლის 25 დეკემბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები დაარღვიეს.

8. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

8.1. პირველმა მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველ შესაგებელში განმარტა, რომ იგივე უფლება-მოვალეობები გააჩნდა, რაც მოსარჩელეს, კერძოდ, თუკი ამ უკანასკნელს შეთანხმებული თანხის გადახდა ევალებოდა, პირველი მოპასუხის ერთადერთი ვალდებულება ამხანაგობაში მიწის ნაკვეთის შეტანა იყო. მას მშენებლობისათვის საჭირო სახსრების მოზიდვა და მშენებლობა არ ევალებოდა. ამდენად, მესაკუთრეს ვერ დაეკისრებოდა იმისი პასუხისმგებლობა, რაშიც არ იყო ვალდებული.

8.2. მეორე მოპასუხის მითითებით, მოსარჩელე ამხანაგობის წევრი იყო. აქედან გამომდინარე, მას მოპასუხეების მიმართ მოთხოვნის უფლება ჰქონდა, არა როგორც სოლიდარული მოვალეების მიმართ, არამედ მათი წილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. რაც შეეხებოდა პირგასამტეხლოს, მოსარჩელეს მისი მოთხოვნის უფლება არ გააჩნდა, რადგან ხელშეკრულების 5.3. პუნქტით პირგასამტეხლო გათვალისწინებული იყო მხოლოდ ბინის მშენებლობის ვადის გადაცილების შემთხვევაში. ხელშეკრულების 1.8. პუნქტის თანახმად, ბინის მშენებლობის დასრულების ვადად მისი II-III სადარბაზოს აშენების დრო განისაზღვრა. შესაბამისად, მოსარჩელისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში ბინის გადაუცემლობა, პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლებას არ წარმოშობდა.

8.3. მესამე მოპასუხემ აღნიშნა, რომ სარჩელში მითითებული არ იყო, თუ რაში ვლინდებოდა მოპასუხეთა ბრალეულობა. ამხანაგობა მოსარჩელის მიმართ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე მზადყოფნას გამოთქვამდა. ვადა მისგან დამოუკიდებელი მიზე-

ზების გამო გადასცილდა.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით: სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; პირველ და მეორე მოპასუხეს დაეკისრათ 16 838.15 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ; მესამე მოპასუხის მიმართ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

10. დასახელებული გადაწყვეტილება პირველმა და მეორე მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

12. სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო წინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და განმარტა, რომ მოსარჩელესა და ამხანაგობას შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა 2006 წლის 25 დეკემბრის ხელშეკრულებით – საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის (ამხანაგობაში წევრად მიღების) შესახებ. შინაარსობრივად, ამ ხელშეკრულების დადების მიზანი იყო შესრულებული სამუშაოს შედეგი – კონკრეტული საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემა, რა მიზნითაც მოსარჩელე იხდიდა კონკრეტული ბინის ღირებულებას. მოპასუხის ვალდებულებაში შედიოდა, მოსარჩელის ბინის მშენებლობა და მისთვის საკუთრებაში გადაცემა. ამხანაგობაში წევრად მიღების შესახებ ხელშეკრულებით ცალსახად დგინდებოდა, რომ მოსარჩელის ინტერესი ბინის მიმართ შემოიფარგლებოდა. მან ხელშეკრულება დადო უკვე შექმნილ ამხანაგობასთან, შესაბამისად, ამხანაგობის დაფუძნებისას კონტრაქტის სტატუსი არ წარმოშობია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ერთობლივი საქმიანობის მონაწილე კი არ გამხდარა, ფულადი შენატანის სანაცვლოდ, ამხანაგობის დამფუძნებელი წევრის მიერ აშენებული მრავალბინიანი კორპუსიდან განსაზღვრული ფართის მიღების სურვილი გამოთქვა. ამდენად, მოსარჩელის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება, შესრულების არსის გათვალისწინებით, ყველაზე ახლოს წარდობის ხელშეკრულების შინაარსთან იდგა.

13. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 930-ე და 629-ე მუხლებზე, რომელთა თანახმად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს, ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად;

ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ამ ორი ხელშეკრულების ერთმანეთისგან გასამიჯნად სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რიგ კომპონენტებზე, კერძოდ:

ა. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურება იმაში ვლინდება, რომ დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მონაწილე პირთა ერთობლივი საქმიანობით. მოცემულ შემთხვევაში, 2005 წლის 8 სექტემბრის ხელშეკრულების 3.2. პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთობლივად იმოქმედებდნენ მრავალსართულიანი საცხოვრებელი და საოფისე ფართის ასაშენებლად. ამავე ხელშეკრულების მიხედვით, პირველი მოპასუხე თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ამხანაგობისთვის გადაცემის სანაცვლოდ, საკუთრებას იძენდა აბსტრაქტულ 1 500კვ.მ ფართზე. ამასთან, მეორე მოპასუხე ვალდებული იყო, მშენებლობაში მინიმუმ 2 000 000 აშშ დოლარი დაებანდებინა, რაც ამხანაგობაში მისი შენატანი უნდა ყოფილიყო. ამდენად, დასახელებული ხელშეკრულება თავისი არსით წარმოადგენდა ამხანაგობის და არა – ნარდობის ხელშეკრულებას, ვინაიდან ხელშეკრულებით განისაზღვრა მხარეთა შენატანები ამხანაგობაში და საერთო მიზანი – მრავალსართულიანი საცხოვრებელი და საოფისე კომპლექსის მშენებლობა.

ბ. საერთო საქმიანობის მიზნის მისაღწევად, საერთო საქმიანობასთან დაკავშირებით, კეთილსინდისიერად შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს თითოეულ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობის ყოველი მონაწილისგან (სსკ-ის 935-ე მუხლის მე-2 ნაწილი) არა უშუალოდ თავისი, არამედ მხოლოდ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეთა სასარგებლოდ, მაგალითად, 2005 წლის 8 სექტემბრის ხელშეკრულების 6.2. და 6.4. პუნქტების თანახმად, მესაკუთრე უფლებამოსილია, მოსთხოვოს კომპანიას ამხანაგობაში შეიტანოს ის, რაც ამ ხელშეკრულებით არის განსაზღვრული, ხოლო კომპანია უფლებამოსილია, მოსთხოვოს მესაკუთრეს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

გ. ზემომხსენებული ხელშეკრულების 8.6. პუნქტის მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულების ყველა მონაწილე ვალდებულია, ხელი შეუწყოს ამხანაგობას მიზნის მიღწევაში. ეს შეთანხმება, თავისი შინაარსით, სსკ-ის 934-ე მუხლის დანაწესის იდენტურია.

დ. ამავე ხელშეკრულების პრეამბულაში მხარეებმა მიუთითეს მათ შორის მისაღებ სარგებელზე, რომელიც ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ინსტიტუტისათვის დამახასიათებელია (იხ.: სუსგ 2015 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-630-

597-2014).

14. სასამართლოს განმარტებით, მართალია, საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) წევრების ინტერესები საერთო მიზნის მიღწევისკენაა მიმართული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთმანეთის მიმართ ისინი არ შეიძლება, გამოდიოდნენ, როგორც კრედიტორი და მოვალე. სსკ-ის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. ამხანაგობაში უნდა გაიმიჯნონ ის წევრები, რომელთაც ამხანაგობა დააფუძნეს და ამხანაგობის ფინანსური ვალდებულებებისთვის პასუხისმგებლობა იკისრეს, ისეთი წევრებისგან, რომლებიც ამხანაგობაში მხოლოდ იმ მიზნით გაერთიანდნენ, რომ ბინა შეეძინათ ან ამხანაგობას მათთვის ბინა აეშენებინა. ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრის მოთხოვნაზე, დაუბრუნოს მას ამხანაგობამ გადახდილი თანხა ან/და აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, პასუხისმგებელი სუბიექტები არიან არა ამხანაგობის ის წევრები, რომელთა მიზანი მხოლოდ ბინის შეძენა იყო, არამედ ამხანაგობის ის წევრები, რომელთაც ამხანაგობის სახელით ეკონომიკური საქმიანობის ვალდებულება იკისრეს. ამხანაგობის დასახელებული წევრები პასუხისმგებელი არიან ამხანაგობის ფინანსური ვალდებულებებისათვის და მათი მიზანი არა მხოლოდ შენატანის პროპორციული უძრავი ქონების მიღებაა, არამედ ამხანაგობის შემოსავლებში მონაწილეობაც.

15. სასამართლომ დაადგინა, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, პირველი და მეორე მოპასუხე ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები იყვნენ, შესაბამისად, მათ მოსარჩელის წინაშე პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ თავიანთი წილების პროპორციულად. ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, დასახელებული პირებისათვის შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების – 14 838.15 ლარის დაკისრება კანონიერი იყო, გამომდინარე სსკ-ის 937.1, 316.2, 629-ე, 639-ე, 641.1, 643-ე მუხლების დანაწესებიდან.

16. სასამართლომ კანონშესაბამისად მიიჩნია გასაჩივრებული განჩინება პირველი და მეორე მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილშიც. ამ ნაწილში სასამართლომ თავისი დასკვნა დააფუძნა სსკ-ის 417-ე, 418.1, 420-ე მუხლებსა და ნარდობის ხელშეკრულების 5.1. პუნქტზე.

17. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

17.1. პირველი კასატორის (მეორე მოპასუხის) საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

17.1.1. მეორე მოპასუხე არასათანადო მოპასუხეა, ხოლო სათანადო – მესამე მოპასუხეა. ეს უკანასკნელი საქმის განხილვაში არ მიუწვევიათ სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით;

17.1.2. მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, სააპელაციო საჩივარი პირველმა და მეორე მოპასუხემ შეიტანეს. ამდენად, სასამართლო სააპელაციო საჩივრის ფარგლებს გასცდა, დასახელებულ მოპასუხეებს დამატებით 673.50 ლარის გადახდა დააკისრა, რაც მათთვის პირველი ინსტანციის სასამართლოს არ დაუკისრებია;

17.1.3. სასამართლომ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ წარდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები გამოიყენა, რაც ეწინააღმდეგება მსგავსი კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას. სარჩელის მოთხოვნა წარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნივთის ნაკლის გამო ზიანის ანაზღაურება კი არ იყო, არამედ მოსარჩელე სამი მოპასუხისგან მოითხოვდა ე.წ. „თეთრი კარკასის“ სამუშაოების ღირებულებას და პირგასამტეხლოს ანაზღაურებას. აქედან გამომდინარე, განსახილველი დავა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, რის გამოც სასამართლოს ამ ტიპის ურთიერთობების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმებით (სსკ-ის 930-ე-940-ე მუხლებით) უნდა ეხელმძღვანელა და არა – წარდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი მუხლებით;

17.1.4. გაურკვეველია, თუ საქმეში არსებული რომელი მტკიცებულების, ფაქტობრივი გარემოების ან კანონის რომელი ნორმის საფუძველზე მიანიჭა სასამართლომ ამხანაგობის ე.წ. „დამფუძნებელ წევრებს“ ამხანაგობის სხვა წევრებისგან განსხვავებული სტატუსი და რატომ მიიჩნია ისინი მათ წინაშე პასუხისმგებელ წევრებად. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაზე პირველი ხელმომწერი პირები არაფრით განსხვავდებიან იმ წევრებისგან, რომლებიც ამხანაგობაში შემდეგ გაერთიანდნენ. ამდენად, თუკი მოსარჩელეს ამხანაგობის სხვა რომელიმე წევრის მიმართ პრეტენზია გააჩნდა, ამ წევრის პასუხისმგებლობის ოდენობა ამხანაგობაში მისი წილის პროპორციულად განისაზღვრება და არა – მთლიანი მოცულობით;

17.1.5. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის ბინაში ე.წ. „თეთრი კარკასის“ სამუშაოები არ შესრულებულა, მაგრამ არ გამოურკვევია, თუ კონკრეტულად ვის ევალებოდა ამ სამუშაოების შესრულება და ვისი ბრალით ვერ შესრულდა. საქმის მასალების თანახმად, მშენებლობის ორგანიზება ამხანაგობის თავმჯდომარეს ევალება, რომელიც ამხანაგობას ყოველდღიურად მართავს,

მათ შორის, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის ქირობს სამშენებლო ორგანიზაციას;

17.1.6. თუკი 2006 წლის 25 დეკემბრის ხელშეკრულება ნარდობის ხელშეკრულებაა, მაშინ ბინა მოსარჩელეს უნდა გადასცემოდა და ასეც მოხდა. ამასთან, თუ მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ გადაცემული ნივთი ნაკლიანი იყო, სსკ-ის 652-ე მუხლის თანახმად, მას ამის შესახებ პრეტენზია ნივთის მიღებისას უნდა განეცხადებინა. ამ მუხლის საფუძველზე მოსარჩელემ ნივთის ნაკლის გამო ზიანის ანაზღაურებისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დაკარგა, რადგან იგი 2011 წლის 18 იანვარს მიიღო და არც მაშინ და არც შემდეგ ნივთის ნაკლის თაობაზე რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამს.

17.2. მეორე კასატორის (პირველი მოპასუხის) საკასაციო საჩივრის საფუძველები:

17.2.1. არასწორია სასამართლოს მიერ თანხის მეორე მოპასუხესთან ერთად სოლიდარულად პირველი მოპასუხისათვის დაკისრება. პირველი მოპასუხის უფლებრივი მდგომარეობა რეალურად არაფრით განსხვავდება მოსარჩელის უფლებრივი მდგომარეობისგან. ორივე მათგანის ინტერესი შენატანის სანაცვლო უძრავი ქონების მიღებაა, განსხვავება მხოლოდ შენატანის ფორმაში და მისაღები ფართების ოდენობაშია, რაც ვითარების არსს არ ცვლის. მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულების შეფასებისას სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი მიზანი კონკრეტული საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემა იყო. ანალოგიური მიზანი ჰქონდა პირველ მოპასუხესაც, რომელსაც აბსტრაქტული 1 500კვ.მ კი არ უნდა მიეღო (როგორც ამაზე სასამართლომ მიუთითა), არამედ მხარეთა შორის შედგენილი ოქმების შესაბამისი კონკრეტული ფართები. გაუგებარია, თუ რას ემსახურება სასამართლოს მხრიდან მოსარჩელის ფულად შენატანზე ყურადღების გამახვილება, მაშინ როდესაც ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მარეგულირებელი ნორმები (სსკ-ის 932-ე მუხლის მე-2 ნაწილი) ითვალისწინებს მონაწილეთა მიერ შენატანის სხვადასხვა ფორმით შეტანის შესაძლებლობას და შენატანის ფულად და არაფულად სახეობად გამიჯვნა გავლენას ვერ ახდენს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის ერთობლივ საქმიანობად (ამხანაგობად) კვალიფიკაციაზე. პირველ მოპასუხეს მოსარჩელესთან მიმართებით არ უკისრია რაიმე ვალდებულება;

17.2.2. დაუშვებელია ამხანაგობის წევრების დიფერენციაცია ამხანაგობაში შესვლის დროის მიხედვით. მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების ცნებას, ასეთი წევრები არც რაიმე განსაკუთრებული და დამატებითი უფლება-

მოვალეობების მატარებლები არ არიან. ამდენად, სასამართლო ადგენს ამხანაგობის წევრების პასუხისმგებლობის განსხვავებულ წესს, რომელიც სსკ-ის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებას ეწინააღმდეგება;

17.2.3. სასამართლო პირველ მოპასუხეს არასწორად მიიჩნევს ამხანაგობის ისეთ წევრად, რომელმაც ამხანაგობის სახელით ეკონომიკური საქმიანობის ვალდებულება იკისრა და ამხანაგობის ფინანსურ ვალდებულებებზე იყო პასუხისმგებელი. არც ხელშეკრულების რომელიმე პუნქტით და არც საქმეში არსებული სხვა რომელიმე მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ პირველ მოპასუხეს ამხანაგობიდან რაიმე დამატებითი შემოსავალი უნდა მიეღო.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განჩინებით, საკასაციო საჩივრები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგენი სსსკ-ის) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

19. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

20. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

21. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ კასატორს არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), შესაბამისად, ეს ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

22. მოცემულ საქმეში შემკვეთი მოითხოვს მენარდის მიერ დაზარალებული ნივთის ნაკლის აღმოსაფხვრელად საჭირო ხარჯების

ანაზღაურებასა და პირგასამტეხლოს ვალდებულების დარღვევისათვის. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შემკვეთის პირველი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 643.3 (თუ ნაკეთობის ნაკლის გამო დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გავიდა, შემკვეთს შეუძლია, მენარდეს მოთხოვოს ავანსი ნაკლის აღმოსაფხვრელად საჭირო ხარჯებისათვის) მუხლი, ხოლო მეორე მოთხოვნისა – 417-ე (პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაფეროვანად შესრულებისათვის) მუხლი. ამასთან, ვინაიდან შემკვეთი თანხის დაკისრებას მოითხოვს ამხანაგობის (მენარდის) წევრებზე სოლიდარულად, ეს მოთხოვნა დამატებით უნდა დაეფუძნოს სსკ-ის 937.1 (ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად) მუხლს.

23. მითითებული ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ შესრულებულია შემდეგი წინაპირობები: ამხანაგობასა და მოსარჩელეს შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება (სსკ-ის 629-ე მუხლი), მხარეები წერილობით შეთანხმდნენ პირგასამტეხლოს გადახდის თაობაზე (სსკ-ის 418-ე მუხლი), შემკვეთმა შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება (629.1 მუხლი), მენარდემ დაამზადა ნივთობრივი ნაკლის მქონე ნაკეთობა (639-ე და 641.1 მუხლები), შემკვეთმა მოითხოვა დამატებითი შესრულება (სსკ-ის 642.1. მუხლი), დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გავიდა (სსკ-ის 643.1 მუხლი), ნაკლის აღმოსაფხვრელად საჭიროა ხარჯის გაწევა (სსკ-ის 643.3 მუხლი).

24. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ამხანაგობასა და მოთხოვნის დამთმობს შორის 2006 წლის 25 დეკემბერს დაიდო ნარდობის ხელშეკრულება; ამხანაგობას, მოთხოვნის დამთმობსა და მოსარჩელეს შორის 2010 წლის 29 დეკემბერს გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც მოთხოვნის დამთმობმა 2006 წლის 25 დეკემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება დაუთმო მოსარჩელეს (სსკ-ის 199-ე მუხლი). შემკვეთმა ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად შეასრულა – გადაიხადა შეთანხმებული საზღაური; მენარდემ შემკვეთს გადასცა ნაკლიანი ნივთი, კერძოდ, დამზადებული ნივთი არ შეესაბამება ხელშეკრულების №1 დანართით გათვალისწინებულ პირობებს; შემკვეთმა ნაკლის აღმოსაფხვრელად მენარდეს დაუწესა დამატებითი ვადა, თუმცა ამ უკანასკნელმა ნაკლი არ აღმოფხვრა; ნაკლის აღმოსაფხვრე-

ლად საჭიროა ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული ხარჯის განევა; მხარეები წერილობით შეთანხმდენენ პირგასამტეხლოს გადახდაზე მენარდის მიერ ვალდებულების დარღვევისათვის; მოპასუხეები ერთობლივი საქმიანობის მონაწილეები არიან. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო კანონის ზემოაღნიშნული ნორმებით გათვალისწინებული ყველა წინაპირობის არსებობა, რაც შემკვეთის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

25. საკასაციო პალატა თავდაპირველად შეამოწმებს კასატორების პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი არასათანადო მოპასუხეები არიან. პირველი კასატორი მიიჩნევს, რომ სათანადო მოპასუხე ამხანაგობაა და არა მისი წევრები, ხოლო, მეორე მოპასუხის მოსაზრებით, ის არის არა ამხანაგობის წევრი, არამედ, მოსარჩელის მსგავსად, ნარდობის ხელშეკრულების მხარე (შემკვეთი).

26. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს პირველი კასატორის ზემოხსენებულ პრეტენზიას და განმარტავს, რომ ამხანაგობის ვალებისათვის მესამე პირების წინაშე ამხანაგობის წევრების სოლიდარული პასუხისმგებლობა სსკ-ის 937-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარეობს (ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ პირველი კასატორი ამხანაგობის ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრია, შესაბამისად, ამხანაგობის სხვა დამფუძნებელ წევრებთან ერთად იგი სოლიდარულად აგებს პასუხს ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის. აქედან გამომდინარე, პირველი კასატორი სათანადო მხარეა.

27. ქვემოთ მოცემულ მოსაზრებათა გამო, დაუსაბუთებელია, ასევე, მეორე კასატორის პრეტენზია იმის შესახებ, რომ იგი ამხანაგობის წევრი არაა:

27.1. ერთობლივი საქმიანობის სამართლებრივი ბუნების შეფასებისას, საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: ერთობლივი საქმიანობა, რომლის მიზანია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენება, შეიცავს ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, რომლის მიზანია კონკრეტული ნაკეთობის დამზადება. როგორც ნარდობის შემთხვევაში, იგი ორიენტირებულია კონკრეტული შედეგის მიღწევაზე. უფრო მეტიც, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ერთ-ერთი წევრი შეიძლება, იყოს მენარდე, რომელიც თავისი საქმიანობით მონაწილეობს ერთობლივ საქმიანობაში, მაგრამ, როდესაც რამდენიმე პირი (ორი ან მეტი) თანხმდება ერთობლივი ძალებით,

თუნდაც სახლის აშენებაზე ან სხვა ნაკეთობის დამზადებაზე, ერთმანეთს შორის და, ასევე, მესამე პირებთან ურთიერთობები მოითხოვს ნარდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებულ მოწესრიგებას. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ისეთ უფლება-ვალდებულებებს, რაც დამახასიათებელია კოლექტიური გაერთიანებისათვის, რომელსაც ახასიათებს კორპორაციული სტრუქტურის როგორც ორგანიზაციული, ასევე – ქონებრივი ელემენტები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურება ვლინდება იმაში, რომ დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია, მხოლოდ მონაწილე პირთა ერთობლივი საქმიანობით (შდრ. სუსგ №ას-482-458-2013, 16.01.2014წ.)

27.2. მოცემულ შემთხვევაში, ერთობლივი საქმიანობის შესახებ 2005 წლის 8 სექტემბრის ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1. და 3.2. პუნქტების მიხედვით, ხელშეკრულების საგანია პირველი მოპასუხისა (მესაკუთრისა) და მეორე მოპასუხის (კომპანიის) გადაწყვეტილება – მესაკუთრის უძრავი ქონების ბაზაზე ააშენონ მრავალსართულიანი საცხოვრებელი და საოფისე ფართი; ხელშეკრულების მონაწილეების მიზანია, განსაზღვრული წესითა და ვალებში ერთობლივად იმოქმედონ მრავალსართულიანი საცხოვრებელი და საოფისე ფართის ასაშენებლად. ამავე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1. და 4.1.4. პუნქტების მიხედვით, მესაკუთრის შენატანს ნარმოადგენს მიწის ნაკვეთი, ხოლო კომპანიის შენატანი განსაზღვრულია მომსახურების სახით, რაც გულისხმობს მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი ფართის (შენობა-ნაგებობის) დაპროექტებას და მშენებლობას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით (საკუთარი ან მისი ფინანსური პასუხისმგებლობით მოზიდული სახსრებით). ამდენად, ცალსახაა, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ და კომპანიამ გადაწყვიტეს, მრავალსართულიანი საცხოვრებელი და საოფისე ფართის ერთობლივად აშენება, რისთვისაც დააფუძნეს ამხანაგობა და შესაბამისი შესატანები შეიტანეს ამხანაგობაში (სსკ-ის 930-ე და 932-ე მუხლები).

27.3. ასეც რომ არ იყოს, ხსენებული ხელშეკრულების მე-6 მუხლის რიგი პუნქტები მიუთითებს სწორედ მესაკუთრის ვალდებულებაზე, თავადაც მიიღოს მონაწილეობა მშენებლობაში, კერძოდ, მესაკუთრე ვალდებულებას იღებს და დაპირებას იძლევა, რომ: არსებულ პროექტზე აიღებს მშენებლობის ნებართვას; კომპანიასთან ერთად მაქსიმალურ ძალისხმევას გამოიყენებს შესაბამის უწყებებში მიწის ნაკვეთზე არსებული პროექტის დასაკორექტირებლად ისე, რომ კომპანიას უფლება ექნება, ააშენოს ამ ადგილის-

თვის ნებადართული მოცულობის ფართი; ყველა ზომას მიიღებს და ყველა კანონიერ საშუალებას გამოიყენებს პროექტის მშენებლობის წარმატებით განსახორციელებლად. ამდენად, მესაკუთრის ვალდებულება ერთობლივ საქმიანობაში მხოლოდ მიწის ნაკვეთის შეტანით არ შემოიფარგლებოდა, რის გამოც პალატა არ იზიარებს მეორე კასატორის პრეტენზიას, რომ მას არც ეკონომიკური საქმიანობის ვალდებულება არ უკისრია და არც ამხანაგობის ფინანსურ ვალდებულებებზე არ იყო პასუხისმგებელი. ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ხელშეკრულება, თავისი სამართლებრივი არსით, ამხანაგობისა და არა – ნარდობის ხელშეკრულებაა, შესაბამისად, პირველი მოპასუხე ამხანაგობის წევრია, რის გამოც, ამხანაგობის მეორე წევრ – მეორე მოპასუხესთან ერთად, იგი სოლიდარულადაა პასუხისმგებელი ამხანაგობის ვალდებულებებისათვის (სსკ-ის 937.1).

28. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელესა და ამხანაგობას შორის ნარდობის ხელშეკრულება არ დადებულა. 2006 წლის 25 დეკემბრის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებასთან მიმართებით საკასაციო პალატა მოიხმობს მსგავს საქმეზე საკასაციო სასამართლოს განმარტებას: მიუხედავად იმისა, რომ მითითებული ხელშეკრულება მხარეებმა დაასათაურეს, როგორც „საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში ნილობრივი მონაწილეობის (ამხანაგობაში წევრად მიღების) შესახებ“ ხელშეკრულება, ის ამხანაგობაში მოსარჩელის მიღების საფუძვლად ვერ მიიჩნევა, რადგან საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებას თავისი სპეციფიკა გააჩნია. სსკ-ის 930-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურებას წარმოადგენს მხარეთა სურვილი, საკუთარი ქონების, გამოცდილებისა თუ პროფესიული უნარ-ჩვევების გაერთიანებით, ერთობლივად იმოქმედონ გარკვეული მიზნების მისაღწევად. ამასთან, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების აუცილებელი წინაპირობაა, რომ ამხანაგობა ყალიბდება იურიდიული პირის შეუქმნელად. ნიშანდობლივია, რომ სამოქალაქო კოდექსი არ აზუსტებს ხელშეკრულების ამ ტიპისათვის განსაზღვრული მიზნის შინაარსს, ამდენად, გარიგების მხარეთა ინტერესს, შესაძლებელია, წარმოადგენდეს კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი მიზანი, მათ შორის, გარკვეული მოგების მიღების სურვილი. საერთო მიზნის არსებობა გარიგების მთავარი წინაპირობაა, ამიტომ ამხანაგობის თითოეული წევრი მონაწილეობს, როგორც გარიგების დამოუკიდებელი მხარე. საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, ამხანაგობაში უნდა გაიმიჯნონ ის წევრები, რომელთაც ამხანაგობა

დააფუძნეს და ამხანაგობის ფინანსური ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა იკისრეს, ისეთი წევრებისაგან, რომლებიც ამხანაგობაში მხოლოდ იმ მიზნით შევიდნენ, რომ ამხანაგობისაგან ბინა შეეძინათ ან ამხანაგობას მათთვის ბინა აეშენებინა. პალატის მოსაზრებით, ამხანაგობის მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი სუბიექტები არიან არა ამხანაგობის ის წევრები, რომელთა მიზანი მხოლოდ ბინის შეძენა იყო, არამედ ამხანაგობის ის წევრები, რომელთაც ამხანაგობის სახელით, ეკონომიკური საქმიანობის ვალდებულება იკისრეს (შდრ. სუსგ №ას-630-597-2014, 28.07.2015წ; №ას-374-351-2014 6.02.2015წ; №ას-866-808-2017, 17.10.2017წ). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელესთან გაფორმებული ხელშეკრულებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ მან სახელშეკრულებო თვითბოჭვის ფარგლებში იკისრა ვალდებულება, ერთობლივად ემოქმედა ამხანაგობის სხვა წევრებთან ერთად ამხანაგობის მიზნების მისაღწევად და ამ მიზნების მიღწევისას წარმოშობილ ვალდებულებებზე აიღო პასუხისმგებლობა. ამდენად, პალატის მოსაზრებით, ამხანაგობაში წევრად მიღების შესახებ ხელშეკრულებაში, მოსარჩელის მოხსენიება ამხანაგობის წევრად ან ამის საფუძველზე მოსარჩელის მიერ საკუთარი თავის ამხანაგობის წევრად მოხსენიება, დადებულ ხელშეკრულებას შინაარსს არ უცვლის და არ ქმნის საკმარის საფუძველს იმისთვის, რომ მოსარჩელე ამხანაგობის მონაწილე წევრად და მის ვალდებულებებზე პასუხისმგებელ პირად მივიჩნიოთ.

29. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს პირველი კასატორის მსჯელობას იმ ნაწილში, რომ სასამართლოს არ გამოურკვევია, თუ კონკრეტულად ვის ევალებოდა მოსარჩელის ბინაში ე.წ. „თეთრი კარკასის“ სამუშაოების შესრულება. ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში მოსარჩელის მიერ მისაღებ ბინაში ხელშეკრულების №1 დანართით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება ამხანაგობის თავმჯდომარეს უნდა უზრუნველყო (იხ. ხსენებული ხელშეკრულების 4.4.1 პუნქტი), სრულიად არ ასაბუთებს მოსარჩელის მიმართ მის პასუხისმგებლობას. ნარდობის ხელშეკრულების მხარეებია, ერთი მხრივ, ამხანაგობა (მენარდე), რომელსაც ხელშეკრულების გაფორმების დროს ამხანაგობის თავმჯდომარე წარმოადგენდა, ხოლო, მეორე მხრივ, მოსარჩელე (შემკვეთი). თავად ამხანაგობის დებულების მე-17 მუხლის თანახმად, თავმჯდომარე წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგებები ნამდვილია, რის უფლებამოსილებასაც ამხანაგობის წევრები ანიჭებენ თავმჯდომარეს. აქედან გამომდინარე, შემკვეთის მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით გამონ-

ვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ პრეტენზია, სწორედ მენარდეს, ანუ ამხანაგობას წარედგინება. შესაბამისად, კვლევა იმისა, თუ კონკრეტულად ვის ევალუბოდა მოსარჩელის ბინაში სამუშაოების შესრულება, არაარსებითია.

30. პირველი კასატორი მიუთითებს სსკ-ის 652-ე მუხლზე (თუ შემკვეთისათვის ნაკეთობის ნაკლი ცნობილია და იგი მაინც მიიღებს მას პრეტენზიის განუცხადებლად, მაშინ შემკვეთს არ წარმოეშობა მოთხოვნის უფლებები ამ ნაკლის გამო) და მასზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ, ნივთის ნაკლის გამო, ზიანის ანაზღაურებისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დაკარგა, რადგან მან ბინა 2011 წლის 18 იანვარს მიიღო და არც მაშინ და არც შემდეგ ნივთის ნაკლის შესახებ არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალეობით ნივთის შემკვეთისათვის 2011 წლის 18 იანვარს გადაცემის ფაქტი არ დგინდება, უფრო მეტიც, საქმეზე წარმოდგენილია 2013 წლის იანვრით დათარიღებული განცხადება, რომლითაც მოსარჩელე განმეორებით მიმართავს ამხანაგობას და მოითხოვს მისთვის არაუგვიანეს 2008 წლის 12 აპრილისათვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის გადაცემას. საქმეში მოიპოვება ამხანაგობის სახელზე 2013 წლის აგვისტოს თვით დათარიღებული განცხადებაც, სადაც შემკვეთი მენარდისგან უკვე მოითხოვს ვალდებულების შესასრულებლად მის მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში ხელშეკრულების №1 დანართით გათვალისწინებული ვალდებულების (ბინაზე თეთრი კარკასის სამუშაოების) შესრულებას. ამდენად, ნივთის მიღებისას შემკვეთის მიერ პრეტენზიის განუცხადებლობის ფაქტი არ დასტურდება, რის გამოც ამ კუთხით პირველი კასატორის პრეტენზია ვერ იქნება გაზიარებული.

31. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება პირველი კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ მესამე მოპასუხე სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვაზე არ მიუწვევიათ სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის განხილვაში მესამე მოპასუხის მოწვევლობაზე თავად ამ მოპასუხემ შეიძლება იდავოს. გარდა ამისა, კასატორი ვერ მიუთითებს, თუ მისი რომელი უფლება დაირღვა საქმის განხილვაში მესამე მოპასუხის მოწვევლობით.

32. პირველი კასატორის კიდევ ერთი პრეტენზია ისაა, რომ, ვინაიდან მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია და იგი პირველმა და მეორე მოპასუხეებმა გაასაჩივრეს, სასამართლო სააპელაციო საჩივრის ფარგლებს გასცდა, როცა მათ დამატებით 673.50 ლარის გადახდა დაა-

კისრა მოსარჩელის მიერ სააპელაციო წარმოებისას ადვოკატის მომსახურებისათვის გაღებული ხარჯის ასანაზღაურებლად. საკასაციო პალატა მიუთითებს სსსკ-ის 53-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელის ინტერესებს სააპელაციო სასამართლოში ადვოკატი იცავდა, რომელმაც სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა მოსარჩელის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის აპელანტებისათვის დაკისრების თაობაზე, მათი სააპელაციო საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში. დადგენილია, რომ მოსარჩელემ ადვოკატს გადაუხადა 1000.00 ლარი. დადგენილია ისიც, რომ სააპელაციო სასამართლოში დავა დასრულდა აპელანტების მონინალმდევე მხარის (მოსარჩელის) სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად დააკისრა აპელანტებს (წაგებულ მხარეს) მოსარჩელის (მოგებული მხარის) სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება დავის საგნის ღირებულების 4% ($16\ 838.15 \times 4\% = 673.53$).

33. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

34. კასატორის მონინალმდევე მხარე (მოსარჩელე) შუამდგომლობს, მის სასარგებლოდ, კასატორებისათვის (მოპასუხეებისათ-

ვის) 1000.00 ლარის დაკისრებას მის მიერ საკასაციო წარმოების ეტაპზე წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ასანაზღაურებლად. საკასაციო პალატა მიუთითებს სსსკ-ის 53.1 მუხლზე, რომლის თანახმად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, საქმეში წარმოდგენილი გადახდის ქვითრით დასტურდება, რომ მოსარჩელემ ადვოკატს საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოებისას გადაუხადა 1000.00 ლარი (იხ. საკასაციო შესაგებლის დანართი), მაგრამ, ვინაიდან სსსკ-ის 53.1 მუხლის მიხედვით, წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯი არ შეიძლება აღემატებოდეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტს, მოსარჩელის შუამდგომლობა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, კასატორებს უნდა დაეკისროთ 673.53 ლარის გადახდა ($16\ 838.15 \times 4\% = 673.53$).

35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 თებერვლის განჩინებებით კასატორებს გადაუვადდათ სახელმწიფო ბაჟის გადახდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ამიტომ მათ, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროთ აღნიშნული განჩინებებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის გადახდა, თითოეულს 841.90 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

36. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 410-ე, 53-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ა-ისა“ და შპს „ს-ის“ საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 დეკემბრის განჩინება;

3. შპს „ა-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 თებერვლის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 841.90 ლარის ლარის გადახდა;

4. სახელმწიფო ბაჟი განთავსებულ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების

ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

5. შპს „ს-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 თებერვლის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 841.90 ლარის გადახდა;

6. სახელმწიფო ბაჟი განთავსებულ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

7. შპს „ა-სა“ და შპს „ს-ს“, მ. გ-ის სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისროთ 673.52 ლარის გადახდა კასატორის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ასანაზღაურებლად;

8. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმეების ერთად გაქოლოის ვალდებულება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1227-1147-2017

29 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობა, მე-საკუთრედ ცნობა (ძირითად სარჩელში), ამხანაგობის კრების ოქმისა და ხელშეკრულების ბათილად ცნობა (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის/შეგებებული მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის/შეგებებული სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. ლ. ნ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, მოპასუხე შეგებებულ სარჩელზე, აპელანტი ან კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ამხანაგობა „ი-ო 26-ის“, მ. ჯ-ის, ე. ლ-ის, ლ. ქ-ის, ნ. წ-ის, კ. თ-ის, გ. თ-ის, მ. თ-ის, გ. გ-ის, ზ. კ-ის, ი. თ-ის, ნ. ჩ-ის, გ. ო-ის, ა. მ-ის, თ. ს-ის, ე. კ-ის, ნ. წ-ის, ც. ბ-ის, გ. გ-ის, გ. კ-ის, გ. ც-ისა და დ. ტ-ის (შემდგომში – მოპასუხეები, მოწინააღმდეგე მხარეები, მ. ჯ-ე და ც. ბ-

ი ასევე წოდებული, როგორც შეგებებული მოსარჩელები) მიმართ ამხანაგობის სახელზე №79 და №80 ბინების განაწილების ნაწილში კრების ოქმის ბათილად ცნობისა და უძრავი ქონების მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნით.

1.1.1. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2008 წლის 16 აპრილის №12 კრების გადაწყვეტილებით, მოსარჩელე მიღებულ იქნა ამხანაგობის წევრად და მას უნდა მიეღო შემდეგი უძრავ ქონება: 212 კვ.მ საცხოვრებელ ბინა, 10 კვ.მ სარდაფი და ინდივიდუალური ავტოსადგომი. იმავე დღეს გაფორმდა ხელშეკრულება. ამხანაგობის კრების ოქმისა და ხელშეკრულების მიხედვით, ლ. ნ-ე ჩაენაცვლა ამხანაგობის ძველ წევრს – გ. ც-ეს 50 000 აშშ დოლარის გადახდის საფუძველზე. თანხის გადახდის თაობაზე შედგენილი ხელწერილის მიხედვით, მოსარჩელე აცხადებს, რომ გ. ც-ისათვის გადაცემული თანხის 5 თვის ვადაში დაბრუნების შემთხვევაში უარს განაცხადებს ამხანაგობის წევრობაზე. საცხოვრებელი ბინის მშენებლობას ამხანაგობა „ი-ო 26“ ახორციელებდა ეტაპობრივად. მოგვიანებით ლ. ნ-ისათვის ცნობილი გახდა, რომ 2009 წლის 30 დეკემბერს ამხანაგობას ჩაუტარებია წევრთა საერთო კრება, რომლის საფუძველზეც მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში განაწილდა ფართები ამხანაგობის წევრებზე (დაახლოებით 77 წევრზე), თუმცა, კრებაზე მიწვეული არ ყოფილა მოსარჩელე, რის გამოც მისი, როგორც ამხანაგობის წევრის, უფლებები დაირღვა. 2009 წლის 30 დეკემბრის კრების ოქმში მითითებულია, რომ გ. ც-ე კრებაში მონაწილეობდა, როგორც კრების მდივანი და, კრების გადაწყვეტილებით, მას მიეკუთვნა №19 ბინა და №1 სარდაფი. რეგისტრაციიდან ერთ თვეში აღნიშნული უძრავი ქონება გ. ც-ემ დატვირთა იპოთეკით, ხოლო, შემდეგ ჩუქებით გადასცა შვილს – ი. ც-ეს. 2008 წლის 16 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულებასა და №12 კრების ოქმში №57 ბინა მითითებული ფართით (212 კვ.მ), საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ვერ იდენტიფიცირდება, თუმცა, ამხანაგობის სახელზე ირიცხება ორი უძრავი ქონება: ბინა №79 და ბინა №80

1.2. მ. ჯ-ემ და ც. ბ-მა შეგებებული სარჩელით მიმართეს სასამართლოს ლ. ნ-ის, გ. კ-ისა და დ. ტ-ის მიმართ და მოითხოვეს ამხანაგობა „ი-ო 26-ის“ წევრთა 2008 წლის 16 აპრილის №12 საერთო კრების ოქმისა და ლ. ნ-ესა და ამხანაგობას შორის 2008 წლის 16 აპრილს დადებული №1 ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

1.2.1. შეგებებული სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2008 წლის 16 აპრილს ამხანაგობის წევრთა კრება არ ჩატარებულა საჭირო რაოდენობის წევრთა მონაწილეობით. ამხანაგობის თავმჯდომარე საერთოდ არ ყოფილა ინფორმირებული

კრებასთან დაკავშირებით, იგი ამ დროისათვის იმყოფებოდა რაიონში. ამხანაგობის კრების ოქმს კრების თავმჯდომარის სახელით ხელს აწერს გ. კ-ე, მდივნის სახელით – დ. ტ-ე. ამხანაგობის დებულების თანახმად, წევრთა საერთო კრებას უძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე, ხოლო სხვა წევრი – მხოლოდ თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში. კრების ოქმში მითითებულია, რომ დამსწრე წევრებს ინფორმაცია მოახსენა ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ჯ-ემ, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სადავო ოქმს კრების თავმჯდომარის სახელით ხელს აწერს გ. კ-ე, შესაბამისად, გაურკვეველია, თუ კრებას ესწრებოდა ამხანაგობის თავმჯდომარე, რატომ უძღვებოდა მას სხვა პირი, ამასთან, ამხანაგობა „ი-ო 26-ის“ დებულების თანახმად, ამხანაგობის ახალი წევრის მიღების საკითხის გადაწყვეტა შედის ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრების კომპეტენციაში, ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება კი, გადაწყვეტილებას იღებს არა კრებაზე დამსწრე, არამედ ყველა წევრის 2/3-ის თანხმობით, ანუ კრება გადაწყვეტილებას უნარიანია, თუ მას ესწრება დამფუძნებელ წევრთა მინიმუმ 2/3 და ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ფაქტობრივად ყველა დამსწრე წევრის თანხმობა. მოცემულ შემთხვევაში კრება არ მოუწვევია არც თავმჯდომარეს და არც რომელიმე წევრს. იგი ჩატარდა ამხანაგობის მრავალბინიანი კორპუსის ეზოში და მას ესწრებოდა მხოლოდ 5 ადამიანი, რომლებიც იმ მომენტისათვის ეზოში იმყოფებოდნენ. კრება არ იყო გადაწყვეტილებას უნარიანი, ვინაიდან მას ესწრებოდა მხოლოდ 5 პირი. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა რაოდენობა შეადგენს 21-ს, ე. ი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო 14 წევრის თანხმობა (21-ის 2/3). იმავე დღეს ლ. ნ-ესა და ამხანაგობას შორის გაფორმდა №1 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ამხანაგობას მისთვის უნდა გადაეცა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში 212 კვ.მ საერთო ფართის მქონე №57 ბინა. ხელშეკრულებაში ამხანაგობის წარმომადგენლად მითითებულია თავმჯდომარე მ. ჯ-ე, მისი პირადი მონაცემები და რეკვიზიტები, თუმცა ხელშეკრულებას ხელს აწერს დ. ტ-ე. ამხანაგობის დებულების თანახმად, მის საქმიანობას წარმართავს ამხანაგობის თავმჯდომარე, შესაბამისად, ამხანაგობის სახელით ხელშეკრულების დადებაც მხოლოდ მისი უფლებამოსილებათა. ხელშეკრულება ამხანაგობის სახელით დადებულია არაუფლებამოსილი პირის მიერ და საფუძვლად უდევს სრულიად უკანონო დოკუმენტი. ამდენად, გაურკვეველია, რატომ მოაწერა ხელშეკრულებას ხელი სხვა პირმა, თუ იმავე დღეს ამხანაგობის თავმჯდომარე ესწრებოდა წევრთა საერთო კრებას. სინამდვილეს არ შეესაბამება, ხელშეკრულების პრეამბულაში მითითებული ჩანა-

წერი – „წევრმა საკუთარი შენატანის სანაცვლოდ ამხანაგობისაგან მიიღო საცხოვრებელი ფართი ახლადაშენებულ სახლში“. ლ. ნ-ეს ამხანაგობაში არანაირი შენატანი არ განუხორციელებია. სინამდვილეში, როგორც სარჩელიდან და მასზე დართული ხელწერილიდან ირკვევა, ლ. ნ-ემ ამხანაგობიდან წილის მიღების სანაცვლოდ ამხანაგობის ერთ-ერთ წევრს – გ. ც-ეს 2008 წლის 16 აპრილს ასესხა 50 000 აშშ დოლარი, ხუთი თვის ვადით, ყოველთვიურად 5%-ის გადახდის პირობით. ამდენად ცალსახაა, რომ ლ. ნ-ემ ამხანაგობის წევრთან – გ. ც-ესთან დადო ტიპიური სესხის ხელშეკრულება, რომელიც უნდა უზრუნველყოფილიყო ამხანაგობაში გ. ც-ის კუთვნილი ბინით. სადავოდ გამხდარი კრების ოქმისა და ხელშეკრულების უკან დგას სხვა სამოქალაქო გარიგება. სესხის უზრუნველსაყოფად მსესხებლის მიერ ამხანაგობაში მის კუთვნილ ბინაზე უფლებების გადაცემა და ვალის დაბრუნების შემდეგ, ამ უფლების კვლავ მსესხებლისათვის დაბრუნების გარიგება უნდა გაფორმებულიყო გ. ც-ესა და ლ. ნ-ეს შორის გამოსყიდვის უფლებით, ნასყიდობის ხელშეკრულებით. ამხანაგობის წევრად მიღების ხელშეკრულების დადებისას, ლ. ნ-ე უნდა გასცნობოდა იმ ამხანაგობის დებულებას, რომლის წევრობასაც აპირებდა.

2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. ამხანაგობამ არ ცნო თავდაპირველი სარჩელი და მის წინააღმდეგ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი წარადგინა. მოპასუხის განმარტებით, ამხანაგობასა და მოსარჩელეს შორის არავითარი გარიგება არ დადებულა, სამოქალაქო კოდექსის 933-ე მუხლის შესაბამისად, ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ჯ-ეს საქმეების ერთპიროვნულად გაძლოლის უფლება არ დაკისრებია და ის არც ხელს არ აწერს მოსარჩელის მიერ საკუთარი უფლების დადასტურების მიზნით წარდგენილ კრების ოქმსა და ხელშეკრულებას. ლ. ნ-ის წევრად მიღებაზე და ფართის გადაცემაზე თანხმობა არც ამხანაგობის წევრებს გამოუხატავთ. სწორედ იმის გამო, რომ მოსარჩელე ამხანაგობის წერი არ გამხდარა, ფართების განაწილების მიზნით მოწვეულ კრებაზე ის არ ყოფილა მიწვეული. მოპასუხის განმარტებით, მართალია, ამჟამად ამხანაგობას ორი თავისუფალი ბინა ერიცხება, თუმცა, ეს ქონება ამავე ამხანაგობის წევრთა თანასაკუთრებაა;

2.2. გ. კ-ემ და დ. ტ-ემ შეგებებული სარჩელი ცნეს;

2.3. თავდაპირველმა მოსარჩელემ შეგებებული სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2008 წლის 16 აპრილის კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ შეიძლება ამხანაგობის 2009 წლის 4 ნოემბრის დებულებას ემყარებოდეს, 2008 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება კანონიერია და არ არსებობს მისი ბათილობის საფუძვე-

ლი, ასევე კანონიერია 2008 წლის 16 აპრილს მოპასუხესთან გაფორმებული ხელშეკრულება. ამხანაგობის არა ერთი კრება ყოფილა მოწვეული ამხანაგობის მიერ და მსგავსად სადავო კრების ოქმისა, მიღებულ გადაწყვეტილებას ხელს აწერს თავმჯდომარე კ-ე და ტ-ე, ხელმოწერები დადასტურებულია სანოტარო წესით.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით თავდაპირველი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, შეგვებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ამხანაგობა „ი-ო-26-ის“ წევრთა 2008 წლის 16 აპრილის საერთო კრების №12 ოქმი და ლ. ნ-ესა და ამხანაგობა „ი-ო-26-ს“ შორის 2008 წლის 16 აპრილს დადებული №1 ხელშეკრულება.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თავდაპირველმა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო შეგვებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

მოცემული საქმე განხილულ იქნა ზემდგომი სასამართლოების მიერ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 მარტის განჩინებით ლ. ნ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს), საბოლოოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1 აგვისტოს განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო შეგვებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს ამხანაგობის წევრად მოსარჩელის გახდომის მართლობიერება და დადებით შემთხვევაში, ამხანაგობამ კანონიერად განკარგა თუ არა ქონება, რომელზეც პრეტენზიას აცხადებს კასატორი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამოწმებს. ამ მხრივ კი, კასატორის ძირითადი შედავებები შემდეგია:

– სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მტკიცების ტვირთის განაწილებისა და შეჯიბრებითობის პრინციპები. სასარჩელო მოთხოვნას ამხანაგობის კრების ოქმისა და ხელშეკრულების საფუძველზე უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობა წარმოადგენდა. მოცემულ გარიგებებს წინ უსწრებდა ამხანაგობის წევრის, გ. ც-ის წერილობით დადასტურებული წევრობიდან გასვლა და მის ნაცვლად ლ. ნ-ის მიღება. სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილება დაამყარა იმ გარემოებაზე, რომ 2008 წლის 16 აპრილის ამხანაგობის კრება არ იყო უფლებამოსილი, გ. ც-ის წილი გადაეცა ლ. ნ-ისათვის, ვინაიდან 5-წევრიანი ამხანაგობის პირობებშიც კი, კრებას ხელი მოაწერა მხოლოდ ორმა წევრმა, ხოლო იმავე კრების ოქმში მოხსენიებულმა თ. კ-ემ და ბ. ლ-მა, მსგავსად სხვა წევრებისა, სასამართლოში დაკითხვისას უარყვეს კრებაში მონაწილეობა. უზენაესი სასამართლოს მითითების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია კანონიერად განხორციელდა თუ არა მესამე პირის სასარგებლოდ წილის დათმობა 2008 წელს, ამასთანავე მოპასუხეებს სათანადო მტკიცებულებები უნდა წარედგინათ, რაც დადასტურებდა კრების ოქმისა და ხელშეკრულების შეუსაბამობას კანონის პრინციპებთან და ამხანაგობის წესდებასთან, საიდანაც გაირკვეოდა 2008 წლის მდგომარეობით ვინ იყო ამხანაგობის წევრი ან გადაწყვეტილების მიღების რა წესი მოქმედებდა. 2008 წლის კრების ოქმში მითითებული არ არის კრებაში მონაწილე ამხანაგობის წევრები. მოპასუხეთა განმარტებით, ამხანაგობაში 21 წევრი იყო განწევრიანებული, კრებას კი მხოლოდ 5 ესწრებოდა. საკასა-

ციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეებს შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა დაედასტურებინათ, ხელშეკრულების დადების დროისათვის ამხანაგობას რამდენი წევრი ჰყავდა და ყველა დაესწრო თუ არა სადავო კრებას. თუნდაც დადასტურებულად იქნეს მიჩნეული, რომ კრებას მხოლოდ 5 წევრი ესწრებოდა, ის ფაქტი, რომ ამხანაგობას იმ დროისათვის ხუთზე მეტი წევრი ჰყავდა, მოპასუხეთა მტკიცების საგანია;

– სააპელაციო პალატამ არასწორი დასკვნები გამოიტანა სადავო კრების ოქმის კანონიერებასთან და ხელშეკრულების ნამდვილობასთან დაკავშირებით: უზენაესი სასამართლოს მითითების მიუხედავად, მოწინააღმდეგე მხარემ ვერ წარადგინა 2008 წლის 12 აპრილამდე ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს 2009 წლის 2 ოქტომბრის კრების ოქმით დამტკიცებული დებულება და ამ დრომდე არსებული ამხანაგობის სამართლებრივი ურთიერთობები. 2009 წლის 2 ოქტომბერს ამხანაგობის მიერ აშენებულ მრავალბინიან სახლში შექმნილი საცხოვრებელი ბინების ძირითადი რაოდენობა გასხვისებული იყო და დარჩენილი იყო მხოლოდ 3-5 ბინა ამხანაგობის სახელზე. სააპელაციო პალატის სადოკუმენტო გამოცხადებულმა ამხანაგობის წევრებმა თავიანთ განმარტებაში დაადასტურეს, რომ მათ მიერ ბინების შექენა და დოკუმენტების გაფორმება მოხდა კორპუსის ეზოში მდგარ ცალკე ნაგებობაში, ამხანაგობის წევრთა 2-3 კაციანი შემადგენლობით. უდავოა ის გარემოება, რომ ამხანაგობას 2009 წლის 2 ოქტომბრამდე არ გააჩნდა სადამფუძნებლო დოკუმენტაცია (დებულება ან სხვა), რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა გარკვევა, თუ რომელი სუბიექტები არიან მისი დამფუძნებლები ან წევრები, მათ შორის, ვინ წარმოადგენდა ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. სამოქალაქო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ამხანაგობა მოვიდა მხოლოდ 2009 წლის 2 ოქტომბერს, როდესაც ჩატარდა კრება და მიღებული იქნა დებულება. სააპელაციო პალატა არასწორად მოიხსენიებს 2009 წლის 2 ოქტომბრის კრების ოქმით დამტკიცებულ დებულებას, სადავო საკითხთან მიმართებაში, ვინაიდან ამ დებულებაში მოცემული პირობები ვერ გავრცელდება 2008 წლის 16 აპრილის მდგომარეობით არსებულ ურთიერთობებზე. ამ დებულებით აღიარებულ იქნა 2009 წლამდე ამხანაგობიდან შექმნილი უძრავი ქონების მესაკუთრეთა უფლებები და დადგინდა წევრთა სამართლებრივი მდგომარეობა. ლ. ნ-ის პრეტენზია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მისი უფლებების აღიარება არ მოხდა (არ მიწვეულა კრებაზე, საკუთრების უფლება არ დაუდასტურდა) ამხანაგობაში. ასევე, მნიშვნელოვანია გარკვეულიყო 2009 წლის 2 ოქტომბრის მდგომარეობით, როდესაც უკვე

წევრთა უფლებები აღიარებულ იქნა შეძენილ ქონებაზე, სხვა წევრთა მიერ რა იურიდიული დოკუმენტების საფუძველზე მოიპოვებოდა უძრავ ქონებაზე უფლება.

– 2008 წლის 16 აპრილის სადავო კრების ოქმში ამხანაგობის სახელით მოხსენიებული არიან კონკრეტული პირები, მათ შორის, ოქმზე ხელმომწერ სუბიექტებს წარმოადგენენ კრების თავმჯდომარე გ. კ-ე და მდივანი დ. ტ-ე, რომლებიც მომდევნო, 2009 წლის 2 ოქტომბრის, 21-28 და 30 დეკემბრის კრების ოქმებში იმავე სტატუსით ხელმომწერ პირებად გვევლინებიან. მათ განიხილეს ძველი წევრის განცხადება ამხანაგობიდან გასვლაზე და ახალი წევრის მიღებაზე. ამის შესაბამისად გაფორმდა კიდევ ინდივიდუალური ხელშეკრულება 2008 წლის 16 აპრილს. მოპასუხეები მხოლოდ ზეპირად განმარტავდნენ და სასამართლომ არასწორად გაიზიარა, რომ ამხანაგობაში 21 პირი იყო განწევრიანებული და მას მხოლოდ 5 ესწრებოდა. ამგვარი მიდგომით დარღვეულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნები. ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც 2009 წლის 2 ოქტომბრამდე მოიპოვება ამხანაგობაში და წევრთა უფლებამოსილ პირებზე მიუთითებს, არის 2008 წლის 16 აპრილის №12 საერთო კრების ოქმი, რომლის საფუძველზე ლ. ნ-ე ჩაენაცვლა ძველ წევრს უფლების დათმობის საფუძველზე, ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ 2008 წელს ამხანაგობას ჰყავდა იმდენი წევრი, რამდენიც მითითებულია 2008 წლის 16 აპრილის კრების ოქმში, სანოტარო დამოწმებით;

– რაც შეეხება 2008 წლის 16 აპრილს ამხანაგობის წევრთა 5-კაციანი შემადგენლობით გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების საკითხს, პალატა აღნიშნავს, რომ კრების ოქმში მოხსენიებულია 5 წევრი, ხოლო ხელს აწერს 2 წევრი (კ-ე და ტ-ე). ოქმში დასახელებულმა ბ. ლ-მა, თ. კ-ემ და მ. ჯ-ემ უარყვეს კრებაში მონაწილეობა. კასატორის მოსაზრებით, ეს გარემოება არ წარმოადგენს კრების გადაწყვეტილებაუუნარობას. ეს პირები მოცემულ დავაში წარმოადგენენ მოპასუხეებს და, ბუნებრივია, უარყოფდნენ სარჩელსა და კრებაში მონაწილეობასაც. სასამართლოს არ გაურკვევია, მათი განმარტება, რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს და საკმარისი იყო თუ არა მტკიცების ტვირთის დაძლევის თვალსაზრისით. ამ პირთა კრების ოქმში მოხსენიება ქმნის კრებაში მათი მონაწილეობის ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას და ამ გარემოების მტკიცება მოსარჩელეს აღარ ეკისრება. დაშვებული ვარაუდის გაქარწყლება მონინალმდგევე მხარეს ეკისრება;

– სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი არაა 2009 წლამდე არსებული კრების ოქმი, თუმცა შემდგომ მსჯელობს, რომ ოქმში (2008 წლის 16 აპრილი) მითითებული არ

არის კრებაში მონაწილე ამხანაგობის წევრები. იმ პირობებში, როდესაც 2009 წლამდე ამხანაგობის დოკუმენტაცია წარმოდგენილი არაა სასამართლოში, დაუშვებელია გაზიარებულ იქნას მარტოოდენ მოპასუხეთა განმარტება ამხანაგობაში 21 წევრის არსებობისა და მათი 2008 წლის ოქმში მიუთითებლობის შესახებ;

– ხუთი წევრის პირობებში კრების გადაწყვეტილებაუნარიანობაზე მსჯელობისას სააპელაციო პალატას არასწორი დასკვნა გამოაქვს, კერძოდ, უდავოა, რომ კრების გადაწყვეტილებას ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და კრების მდივანი. ამხანაგობის წევრია ასევე გ. ც-ე და, როგორც წევრი მონაწილეობს ხმის მიცემაში, ვინაიდან იგი წერილობით აცხადებს თანხმობას წევრობიდან გასვლაზე. ოქმში ლ-ისა და კ-ის გარდა მოხსენიებულია გ. მ-ე, რომელსაც თავისი პოზიცია არ წარმოუდგენია სასამართლოში. ამდენად, რაოდენობრივი თვალსაზრისით, კრებაში კ-ის, ტ-ის, ც-ის მონაწილეობა ქმნის 3 – წევრიან შემადგენლობას. დამატებით მ-ის კრებაში მოხსენიებით, რომლის პოზიცია უცნობია, 4-წევრიანი დადებით უმრავლესობა იკრიბება.

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულოა წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ სა მოქალაქე საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. 2008 წლის 16 აპრილს ჩატარებული ამხანაგობა „ი-ო 26-ის“ წევრთა №12 კრების თანახმად, ლ. ნ-ის მიერ 50 000 ლარის გადახდის სანაცვლოდ, გ. ც-ე გაყვანილ იქნა ამხანაგობის წევრობიდან და მის ნაცვლად მიღებულ იქნა ლ. ნ-ე. ოქმის მიხედვით, კრებას ესწრებოდა ხუთი წევრი, კრების თავმჯდომარე იყო გ. კ-ე, მდივანი – დ. ტ-ე, მოხსენება გააკეთა ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ჯ-ემ. კრების ოქმს ხელს აწერენ მხოლოდ კრების თავმჯდომარე გ. კ-ე და მდივანი დ. ტ-ე;

1.2.2. ამხანაგობა „ი-ო 26-ის“ თავმჯდომარე მ. ჯ-ემ უარყო კრებაზე მონაწილეობა. მ. ჯ-ის განმარტებით, მას მოხსენება არ გაუკეთებია, კრების ჩატარების დროს იმყოფებოდა რაიონში და ინფორმირებული არ ყოფილა კრების შესახებ;

1.2.3. სასამართლოს სხდომაზე მოწმეების: თ. კ-ისა და ვ. ლ-ის განმარტების, მოპასუხეების: ნ. ნ-ის, ე. კ-ის, ნ. ჩ-ის, თ. ს-ის, გ. თ-ის, ე. ლ-ის, ც. ბ-ისა და ი. თ-ის მიერ წარმოდგენილი შესაგებლების თანახმად, 2008 წლის 16 აპრილს კრება დამფუძნებელ წევრთა მონაწილეობით არ ჩატარებულა;

1.2.4. 2008 წლის 16 აპრილს ლ. ნ-ესა და მ. ჯ-ეს შორის გაფორმდა №1 ხელშეკრულება, რომლითაც ამხანაგობა „ი-ო 26-მა“ ახალაშენებულ სახლში ლ. ნ-ეს გადასცა ხუთოთახიანი იზოლირებული ბინა. აღნიშნულ ხელშეკრულებას, ამხანაგობის თავმჯდომარის ნაცვლად, ხელს აწერს დ. ტ-ე. ხელშეკრულების ნამდვილობა ასევე უარყო ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ჯ-ემაც;

1.2.5. 2009 წლის 2 ოქტომბერს ამხანაგობა „ი-ო 26-ის“ კრების ოქმის საფუძველზე დადგინდა, რომ 1990 წლის 19 სექტემბერს საბურთალოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებულ ამხანაგობას სახელი დარჩა იგივე და არჩეულ იქნა გამგეობა, თავმჯდომარე, თანათავმჯდომარე, დამფუძნებელ წევრებად მიღებულ იქნენ მ. ჯ-ე, ე. ლ-ი, ლ. ქ-ი, ნ. ნ-ე, კ. თ-ი, გ. თ-ი, მ. თ-ი, გ. გ-ე, ზ. კ-ი, ი. თ-ე, ნ. ჩ-ე, გ. ო-ი, ა. მ-ე, თ. ს-ე, ე. კ-ე, ნ. ნ-ე, ც. ბ-ი, გ. გ-ე, გ. კ-ე, გ. ც-ე, დ. ტ-ე;

1.2.6. ამხანაგობა „ი-ო 26-ის“ დებულების თანახმად, ამხანაგობის წევრები იყოფიან „დამფუძნებელ“ და „ჩვეულებრივ“ წევრებად. დამფუძნებელი წევრები განახორციელებენ შენატანებს ამხანაგობაში და დამფუძნებელ წევრთა საერთო კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ყველა დამფუძნებელი წევრის 2/3-ის თანხმობა;

1.2.7. 2009 წლის 21 დეკემბრისა და 28 დეკემბრის ამხანაგობა „ი-ო 26-ის“ საერთო კრების ოქმის საფუძველზე ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ჯ-ეს მიენიჭა უფლებამოსილება, ამხანაგობის სახელით აწარმოოს საქმიანობა;

1.2.8. 2009 წლის 30 დეკემბერს შედგა ამხანაგობა „ი-ო 26-ის“ დამფუძნებელ წევრთა კრება, რომელიც გახდა საფუძველი ამხანაგობის წევრებზე ქონების განაწილებისა და საჯარო რეესტრში მესაკუთრედ აღრიცხვისა;

1.2.9. ქ. თბილისში, ი-ოს ქ№26-ში მდებარე საცხოვრებელი ბინები რეგისტრირებულია მესაკუთრეებზე, ხოლო ბინა №79 და ბინა №80 აღრიცხულია ამხანაგობის სახელზე;

1.2.10. 2009 წლის 2 ოქტომბრის №2 კრების ოქმისა და კრების

მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით, 2008 წლის მდგომარეობით ამხანაგობა „ი-ო 26“ წარმოდგენდა 1990 წლის 19 სექტემბერს საბურთალოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებულ ამხანაგობას, რომელიც შეიქმნა თბილისში, ი-ოს ქუჩა №26-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ასაშენებლად;

1.2.11. საქმეში არ არის წარმოდგენილი 2009 წლამდე ამხანაგობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (წესდება, ხელშეკრულებები და ა.შ), სადაც ასახული იქნებოდა ინფორმაცია ამხანაგობის წევრებისა და გადაწყვეტილების მიღების წესის შესახებ. 2008 წლის 16 აპრილის ამხანაგობის საერთო კრების ოქმის შესაბამისად, გ. ც-ემ თავისი წილი დაუთმო ლ. ნ-ეს, ანუ ამხანაგობის წევრმა თავისი წილი მესამე პირზე გადასხვისა.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის ძირითად შედავებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნები და მოპასუხეებს არ დაავალა მტკიცებულებათა წარდგენა, მოსარჩელესთან ხელშეკრულების გაფორმებისას ამხანაგობის ხელმძღვანელობითი პრინციპებისა და წევრთა ოდენობის თაობაზე, ასევე იმას, რომ სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა მოწმეთა ჩვენებები, რადგანაც ისინი მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენდნენ და უარყოფდნენ სარჩელს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთის განაწილებისას მნიშვნელოვანია, უპირველესად, მტკიცების საგნის განსაზღვრა, რაც სადავო ფაქტობრივი გარემოებებისაგან შედგება და ამ ფაქტობრივი გარემოებების ბუნებიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს მათი დადასტურების ვალდებულების დავის ერთ-ერთი სუბიექტისათვის დაკისრება. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს მიაჩნია, რომ 2008 წლის 16 აპრილის ამხანაგობის კრებისა და ამავე თარიღით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ის გახდა ამხანაგობის წევრი და შესატანის სანაცვლოდ, უნდა მიეღო ინდივიდუალურად განსაზღვრული საგანი. მოპასუხე შეედავა მოსარჩელის ამხანაგობაში განევრიანების ფაქტს იმ საფუძველით, რომ კრება არ ასახავს რეალურ მდგომარეობას, ამხანაგობის თავმჯდომარე და წევრები არ ესწრებოდნენ მას, ხოლო ხელმომწერი პირები არ იყვნენ უფლებამოსილნი, მიეღოთ გადაწყვეტილება. ამ განმარტებათა გათვალისწინებით, მტკიცების ტვირთი იმისა, რომ კრება მართლაც იყო მოწვეული და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ეკისრება არა მოპასუხეს, არამედ – მოსარჩელეს, რომელმაც მართალია წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები – კრების ოქმი და ხელშეკ-

რულება, თუმცა, მანვე უნდა დაამტკიცოს ის გარემოება, რომ კრების ოქმში მითითებული პირები, რომლებსაც კრებაში მონაწილეობა ხელმოწერით არ დაუდასტურებიათ, მართლაც მონაწილეობდნენ მასში, რამდენადაც ოქმში მითითებული პირები უარყოფენ ამ ფაქტს, რომელიც მტკიცების უარყოფითი კონტექსტია, ხოლო უარყოფის მტკიცების იმ მხარისათვის დაკისრება, რომელიც ამგვარ შედავებას ახორციელებს, ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნას. უდავოა, რომ კასატორი არ მიუთითებს საქმეში არსებულ რომელიმე სხვა მტკიცებულებაზე, რომელიც დაადასტურებდა კრების ჩატარებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას.

1.3.2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ 2008 წელს განვითარებული მოვლენების შეფასებისას არ შეიძლება 2009 წელს მიღებული სადამფუძნებლო ხელშეკრულება დაედოს საფუძვლად, თუმცა, ასევე უდავოა, რომ 2008 წლისათვის ამხანაგობის მმართველობითი დოკუმენტები არ მოიპოვება, რაც თავისთავად გამართლებულს ხდის გასაჩივრებული განჩინების დასკვნას იმის თაობაზე, რომ სამართლებრივი ურთიერთობა კანონისმიერ რეგულაციაში ექცევა. სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლი განსაზღვრავს ერთობლივი საქმიანობის ლეგალურ დეფინიციას და ადგენს, რომ ამხანაგობის ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. ამავე კოდექსის 931-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეიძლება, დაიდოს წერილობით ან ზეპირად. უნდა განიმარტოს, რომ წარმომადგენლობითი და სხვა მმართველობითი ხასიათის საკითხების სადავოობისას, ხელშეკრულების ფორმას უალრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია, რამეთუ წერილობითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები მტკიცებას არ საჭიროებს, განსხვავებით ზეპირი შეთანხმებისა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი არ დგინდება ზეპირი შეთანხმების პირობები, სასამართლო უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს საკანონმდებლო რეგლამენტაციით: სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივად უძღვებიან საქმეებს და წარმოადგენენ ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ყოველი გარიგების დადებისას საჭიროა ხელშეკრულების ყველა მონაწილის თანხმობა. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია ხმათა უმრავლესობა, იგი განისაზღვრება ხელ-

შეკრულების მონაწილეთა საერთო რაოდენობის მიხედვით, და არა შესატანის ოდენობით. მოხმობილი ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ წევრის მიღება, მისთვის გადასაცემი ქონების განსაზღვრა, შესატანის ოდენობა და სხვა ხელშეკრულების არსებითი პირობები, სწორედ მმართველობით უფლებამოსილებათა რიგს მიეკუთვნება და ისეთ ვითარებაში, როდესაც საქმის მასალებით არ დგინდება 2008 წლის მდგომარეობით ამხანაგობის წევრთა შეთანხმების შინაარსი, ხოლო კასატორის წევრად მიღების ნებას სხვა საკითხებთან ერთად უარყოფს ამხანაგობა, ასეთ შემთხვევაში, 2008 წლის 16 აპრილის კრების გადაწყვეტილება, ზემოხსენებული ნორმის შესაბამისად, უნდა მიღებულიყო ერთხმად. ამ სტანდარტს, უდავოა, რომ №12 კრების ოქმი ვერ აკმაყოფილებს, ისევე, როგორც მოსარჩელესთან 2008 წლის 16 აპრილს გაფორმებული №1 ხელშეკრულება, რომელიც ამხანაგობის თავმჯდომარის – მ. ჯ-ის სახელითაა შედგენილი და ხელს აწერს დ. ტ. ზემოთ განხილული სამართლებრივი პრობლემიდან გამომდინარე, ანალოგიურად უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ გავიზიარებთ, რომ სადავო დოკუმენტიდან გამომდინარე, ამხანაგობის მართვის უფლება მინიჭებული ჰქონდა თავმჯდომარეს (სკ-ის 934.3 მუხლი: თუ ხელშეკრულებით ამხანაგობის საქმეების გაძღოლა დაკისრებული აქვს ერთ-ერთ მონაწილეს, საეჭვოობისას, ის წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგებები ნამდვილია), უდავოა, რომ მას ხელმოწერით არ დაუდასტურებია სადავო გარიგებები, ამასთანავე, კასატორი ვერ მიუთითებს ამხანაგობის წევრთა მხრიდან არაუფლებამოსილი პირის მიერ დადებული გარიგების დადასტურებას (იხ. სკ-ის 61-ე მუხლი).

1.3.3. საკასაციო პალატა მიუბრუნდება ძირითად საკითხს – 2008 წლის 16 აპრილის კრების გადაწყვეტილების ნამდვილობას და აღნიშნავს, რომ დადასტურებულად რომც მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ მოწმეთა ჩვენებების გაზიარების საფუძველი არ არსებობს და კრებას ესწრებოდა ამხანაგობის ხუთი წევრი, სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მაინც არ იარსებებს მოსარჩელის შედაგების გაზიარების საფუძველი. კრების ოქმის შინაარსიდან გამომდინარე, კასატორი პრეზუმირებულად მიიჩნევს ამხანაგობაში 5 წევრის არსებობას, თუმცა, ამ შემთხვევაში, მისი განმარტებები წინააღმდეგობრივია, კერძოდ, ხმათა რაოდენობის კალკულაციის ნაწილში თავად კასატორის მიერ მოყვანილი არგუმენტიდან გამომდინარეობს, რომ ამხანაგობას არა 5, არამედ 6 წევრი ჰყოლია, შესაბამისად, იმის უპირობოდ გაზიარება, რომ ამხანაგობა 5 წევრისაგან შედგებოდა, არ გამომ-

დინარეობს ამ პრეტენზიის ყოველმხრივი შეფასებიდან (იხ. სსსკ-ის 105-ე მუხლი).

1.3.4. გარდა ზემოხსენებულისა, სარჩელის უარყოფის საფუძველს წარმოადგენს კიდევ რამდენიმე საკითხი: ამხანაგობის წევრად მიჩნევის შემთხვევაში მოსარჩელეს, როგორც კრედიტორს, გააჩნია თუ არა სხვა შესრულების მიღების მოთხოვნის უფლება; გ. ც-ესთან დადებულ ხელშეკრულებაში გამოთქმული ნება წარმოადგენს თუ არა წილის დათმობის ხელშეკრულებას. პირველ საკითხთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგობის სადავო კრების ოქმითა და ხელშეკრულებით ლ. ნ-ეს უნდა გადასცემოდა ინდივიდუალურად განსაზღვრული საგანი – მე-2 სადარბაზოს მე-7 სართულზე მდებარე №57 ბინა (ძველი ნუმერაციით №43), საცხოვრებელი ფართი – 190 კვ.მ, მინაშენი 22 კვ.მ, საერთო ფართი 212 კვ.მ, სარდაფი 10 კვ.მ, ინდივიდუალური ავტოსადგომი, მოსარჩელე თავადვე ადასტურებს, რომ ამგვარი ბინის არსებობა, საჯარო რეესტრის მონაცემებით არ დგინდება, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 381-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე (თუ ხელშეკრულების საგანია ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა ნივთი, თუნდაც უფრო მაღალი ღირებულების მქონე), სხვა შესრულების მიღების მიმართ მოსარჩელის ინტერესი დამაჯერებლად არაა ახსნილი, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე არა თუ სხვა შესრულების მიღებას სთავაზობს მას, არამედ, საერთოდ უარყოფს კასატორის წინაშე ვალდებულების არსებობას. რაც შეეხება მეორე საკითხს, მოპასუხეთა მიერ შესაგებელში გამოთქმული შედავებიდან გამომდინარე, პალატა მას არსებითად მიიჩნევს და ამონწმებს თავად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ე.წ ხელწერილს, რომელიც გახდა შემდგომში როგორც გ. ც-ის, ისე – ლ. ნ-ის მიერ ამხანაგობისათვის მიმართვის საფუძველი. დოკუმენტის თანახმად, 2008 წლის 16 აპრილს მოსარჩელემ გ. ც-ეს ასესხა 50 000 აშშ დოლარი ხუთი თვის ვადით ყოველთვიურად 5%-ის გადახდის პირობით. თანხის დაბრუნებისთანავე ლ. ნ-ემ იკისრა ვალდებულება, უარი ეთქვა ამხანაგობის წევრობაზე და მის ადგილს ჩაანაცვლებდა კვლავ გ. ც-ე, ხოლო თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში გ. ც-ე უპირობოდ დაუცლიდა ბინას. დასახელებული გარიგების შინაარსისა და ამხანაგობის მიერ ლ. ნ-ესთან დადებული ხელშეკრულების სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის შესაბამისად განმარტების შედეგად (ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან), პალატა მიიჩნევს, რომ სახეზეა მხართა თვალთმაქცური შეთანხმება (სკ-ის 56-ე მუხლის მე-2 ნაწი-

ლის თანახმად, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება), კერძოდ, ხსენებული „ხელწერილით“ უზრუნველყოფილ იქნა გ. ც-ის ფულადი ვალდებულება ლ. ნ-ის მიმართ, ამასთანავე, თვალთმაქცური გარიგების თაობაზე ცნობილი არ იყო ამხანაგობისათვის, რადგანაც მხარეებთან ერთად ხელწერილს ხელს ამხანაგობის არაუფლებამოსილი პირები: დ. ტ-ე და გ. კ-ე აწერენ. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შეფასება უნდა მიეცეს ასევე დაფარული გარიგების შინაარსს, რომელიც უფლების გირავნობაზე მიუთითებს, და შეთანხმების თანახმად, მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გამსესხებელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად უნდა გადასცემოდა უფლების ნაყოფი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2008 წლის აპრილში მოქმედი რედაქციის სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის სხვა პირთათვის გადაცემა დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით – მისი საკუთრებაში მიღებით მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში), მართალია, ამგვარი შინაარსის შეთანხმების დადება კანონს არ ეწინააღმდეგებოდა, თუმცა, ამავე კოდექსის 259.1 მუხლის შესაბამისად, ამ გარიგებისათვის იურიდიული ძალის მინიჭება არა მხოლოდ წერილობით ფორმის დაცვით, არამედ, რეესტრში რეგისტრაციის გზით დაიშვებოდა (მოთხოვნის დაგირავება ხორციელდება წერილობითი ფორმით გარიგების დადებისა და ამ გარიგებით განსაზღვრული უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით), ამგვარი იურიდიული მოქმედების განხორციელება საქმის მასალებით დადგენილი არ არის, უფრო მეტიც, რომც გავიზიაროთ ის ფაქტი, რომ სანივთო შეთანხმება აკმაყოფილებს კანონით დადგენილ წესს, მოსარჩელე არ სთავაზობს სასამართლოს იმის დასაბუთებას, არსებობს თუ არა უფლების გადაცემის გზით (გირავნობის საგნით) მოთხოვნის რეალიზაციის შესაძლებლობა. საკასაციო პალატა დამატებით შენიშნავს, რომ შეგებებული სარჩელი, რომელიც ამხანაგობის კრების ოქმისა და მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობას შეეხება, აღიარებითი ხასიათისაა, თუმცა, შეგებებულ სარჩელში გამოთქმული შედავებების გათვალისწინებით, იგი არა სარ-

ჩელს, არამედ, შესაგებელს წარმოადგენს, სწორედ ამ კონტექსტში იქნა შეფასებული საკასაციო პალატის მიერ წინამდებარე განჩინების მიღებისას მ. ჯ-ისა და ც. ბ-ის შედავებები (ალიარებითი სარჩელის დასაშვებობის თაობაზე, სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით იხ. სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი, ასევე, სუსგ-ებები: № ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-869-819-2015, 11.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; №ას-323-308, 2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.6.2016წ.; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.).

1.4. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას), საკასაციო სასამართლო უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას, რადგანაც მიიჩნევს, რომ კასატორმა ვერ დაამტკიცა ამხანაგობის მიმართ მოთხოვნის ნამდვილი უფლების არსებობა, რაც მისი სარჩელის დაკმაყოფილებას გამოორიცხავს.

2. სასამართლო ხარჯები:

2.1. კასატორმა საკუთარი ინიციატივით სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 1 000 ლარი. 2017 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო პალატამ არ გაიზიარა მხარის შუამდგომლობა ბაჟის დარჩენილი ნაწილის გადავადების თაობაზე და დაავალა კასატორს 4 100 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა უკვე გადახდილი 1 000 ლარის გათვალისწინებით, ხარვეზის გამოსწორების მიზნით კასატორმა წარმოადგინა 4 100 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ მის მიერ ზედმეტად გადახდილი ბაჟი – 1 000 ლარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 42-ე მუხლის ანალოგიით (სსსკ-ის მე-7 მუხლი) ექვემდებარება დაბრუნებას. რაც შეეხება დარჩენილ თანხას, ვინაიდან წინამდებარე განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს ამ ხარჯის მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები,

ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად კი, ხსენებული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 42-ე, 53-ე, 55-ე, 410-ე მუხ-
ლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. ლ. ნ-ეს (პ/№0-) სახელმწიფო ბიუჯეტიდან („სახელმწიფო ხა-
ზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო
კოდი ...) დაუბრუნდეს მის მიერ 31.08.2017წ. №1 საგადახდო დავა-
ლებით ზედმეტად გადახდილი 1 000 ლარი.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-
ჩივრდება.

**შეამოსავლების განაწილების წესი და მონაწილეთა
სოლიდარული პასუხისმგებლობა**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-190-179-2017

30 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. ო-მა (შემდგომში – „მოსარჩელე“, „ადვოკატი“) სარჩელი
აღძრა სასამართლოში მ. ზ-ის, დ. ზ-ის (შემდგომში – „ამხანაგობის
თავმჯდომარე“), მ. თ-ის, ვ. ს-ისა და გ. ს-ის (შემდგომში – „მოპასუ-

ხეები“, „კასატორები“, „საკასაციო საჩივრის ავტორები“) მიმართ და მოითხოვა მოსარჩელისთვის მიყენებული ქონებრივი დანაკლისის სანაცვლოდ მოპასუხეებისათვის ზიანის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრება, შენატანის ფულადი კომპენსაციის – 48272 აშშ დოლარის ოდენობით.

2. სარჩელი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. 2005 წლის 21 მარტის ხელშეკრულებით დაფუძნდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „მ.“ (შემდგომში – „ამხანაგობა“), რომლის დამფუძნებლები იყვნენ მოპასუხეები;

2.2. ამხანაგობის მიზანი იყო მრავალბინიანი სახლის აშენება მისამართზე: თბილისი, გ.;

2.3. ამხანაგობის 2007 წლის 21 აპრილის №1 კრების ოქმის საფუძველზე, მოსარჩელე განვევრიანდა ამხანაგობაში და დაევალა ამხანაგობის იურიდიულ-სამართლებრივი საქმიანობის წარმოება, სხვადასხვა ორგანოებში ამხანაგობის ინტერესების დაცვა, აგრეთვე, პირველი სართულის აშენებისათვის საჭირო ხარჯებითა და მასალებით უზრუნველყოფა;

2.4. ზემოაღნიშნული კრების ოქმით დადგინდა ამხანაგობის წევრთა შორის საერთო წილობრივ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განაწილების სქემა, რომლითაც მოსარჩელეზე განაწილდა გ-ის მხრიდან პირველ სართულზე მდებარე ბინა №1, საერთო ფართობით 56 კვ.მ.;

2.5. 2007 წლის 21 მაისიდან 2009 წლის 12 მაისის ჩათვლით მოსარჩელე ახორციელებდა ამხანაგობაში შესატანის შეტანას მომსახურების განვით, რაც გამოიხატებოდა სასამართლოსა და სხვადასხვა ორგანიზაციებში ამხანაგობისა და მისი ინტერესების წარმომადგენლობაში. დავები თავისი მნიშვნელობითა და დავის საგნის გათვალისწინებით იყო რთული, დაკავშირებული პასუხისმგებლობასა და შრომატევად საქმიანობასთან, რაც მოპასუხეებმა 2009 წლის 12 მაისის ამხანაგობის დამფუძნებელთა №8 კრების ოქმით თავადავე დაადასტურეს;

2.6. 2007 წლის 27 ივნისს სანოტარო წესით დამონმებული მინდობლობის საფუძველზე ამხანაგობის თავმჯდომარემ მოსარჩელეს მიანიჭა ამხანაგობის წარმომადგენლობის უფლებამოსილება;

2.7. 2009 წლის 12 მაისს ამხანაგობის თავმჯდომარემ სანოტარო წესით გააუქმა ზემოაღნიშნული რწმუნებულება. აღნიშნული ქმედება ამხანაგობის თავმჯდომარემ განახორციელა იმ დროს, როდესაც პროექტით გათვალისწინებული 5-სართულიანი სახლის მშენებლობა თითქმის დასრულებული იყო. რწმუნებულების გაუქმება ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ მოსარჩელეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება სრულად, კუმულატიურად

არ შეესრულებინა და, შესაბამისად, საკუთრებაში არ მიეღო ხელშეკრულებით მასზე განაწილებული ფართი;

2.8. ამხანაგობამ მოსარჩელისაგან ფარულად შეადგინა 2007 წლის 20 მაისის №2 და 2009 წლის 19 მაისის №9 (10) ოქმები თითქოსდა მისი ამხანაგობის წევრობიდან ნებაყოფლობით წასვლის შესახებ;

2.9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნული ოქმები ბათილად იქნა აღიარებული ამხანაგობის წევრობიდან მოსარჩელის გასვლის (გასვლის აღიარების) ნაწილში. მოსარჩელე აღდგენილ იქნა ამხანაგობის წევრად;

2.10. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით დადგინდა მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ შესრულების ფაქტი (პირველი სახის შენატანის შეტანა), ასევე დადგინდა, რომ ამხანაგობას აღნიშნული შენატანი არ აუნაზღაურებია;

2.11. ამხანაგობის წევრად მოსარჩელის აღდგენის შემდეგ, 2012 წლის 30 მარტს ამხანაგობის წევრებმა, ამხანაგობის წევრთა კრების ოქმის საფუძველზე, მოსარჩელეზე განაწილებული ზინა საკუთრებაში გადასცეს მოპასუხე მ. ზ-ს და აღნიშნული ქმედებით კომპენსაციის გარეშე მიითვისეს მოსარჩელის მიერ ამხანაგობაში განხორციელებული შენატანი;

2.12. 2012 წლის 30 იანვარს ამხანაგობის მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლი მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში და ამხანაგობამ არსებობა შეწყვიტა, თუმცა, მოსარჩელეს მის მიერ განხორციელებული შენატანის სანაცვლოდ ამხანაგობისგან არაფერი მიუღია;

2.13. მოსარჩელეზე განაწილებული ფართის (56 კვ.მ.) აშენების ღირებულებამ შეადგინა 7728 აშშ დოლარი. ამჟამად მოცემული ბინის საბაზრო ღირებულება შეადგენს 56 000 აშშ დოლარს. ვინაიდან მოპასუხეებმა მოსარჩელეს არ მისცეს 7728 აშშ დოლარის შეტანის შესაძლებლობა მასზე განაწილებული საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, მოსარჩელე ითხოვს ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის შენატანის ფულად კომპენსაციას 48272 აშშ დოლარის ოდენობით (56000 აშშ დოლარს – 7728 აშშ დოლარი).

3. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ:

3.1. 2007 წლის 21 მაისიდან 2009 წლის 12 მაისის ჩათვლით მოსარჩელე ახორციელებდა ამხანაგობაში შენატანის შეტანას იურიდიული მომსახურებით, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, იგი ამხანაგობისაგან მინიჭებულ უფლებამოსილებას იყენებდა პირა-

დი კეთილდღეობისათვის, პირად ინტერესებს აყენებდა ამხანაგობის ინტერესებზე მაღლა, ე.ი. თავის ვალდებულებას ასრულებდა არაკეთილსინდისიერად და ამხანაგობის საზიანოდ. ამგვარი შესრულება კი არ შეიძლება დაექვემდებაროს ანაზღაურებას;

3.2. მოსარჩელემ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ ნორმები. მოსარჩელემ 2009 წლის 9 მაისს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა ამხანაგობის მომიჯნავე მიწის ნაკვეთი და არ გაითვალისწინა ის რისკი, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას ახლდა თან. კერძოდ, გამყიდველთა მიწის ნაკვეთის ზედდება მოხდა ამხანაგობის უძრავ ქონებასთან და ამხანაგობის მიწის ნაკვეთი აღმოჩნდა გამყიდველების საკუთრებაში. აღსანიშნავია, რომ გამყიდველთა საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის წარმომადგენლობას თავად მოსარჩელე ახორციელებდა და მან იცოდა აზომვითი ნახაზის მიხედვით მიწის ნაკვეთის გადაფარვის თაობაზე. ნათელია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მხარეთა შორის წარმოშობილი ინტერესთა კონფლიქტისას მოსარჩელემ რისკის ქვეშ დააყენა კლიენტის ინტერესების დაცვა და არჩევანი პირად ინტერესებსა და კლიენტის ინტერესებს შორის საკუთარი ინტერესების პრიორიტეტულობაზე გააკეთა. შესაბამისად, ამხანაგობას სრული უფლება ჰქონდა გაეუქმებინა მინდობილობა და შეეწყვიტა მასთან ყოველგვარი ურთიერთობა.

3.3. სადავო ბინაზე მოსარჩელეს შეეძლო მოეპოვებინა საკუთრების უფლება, თუ იგი კეთილსინდისიერად და სრულად შეასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. მის მიერ ამხანაგობაში განხორციელებული შენატანი, ნაწილობრივ და ისიც უხარისხოდ შესრულებული, არ შეიძლება გახდეს მისთვის რაიმე კომპენსაციის მიცემის საფუძველი. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მას უარი ეთქვა უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაციაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ უძრავი ქონების სანაცვლოდ მისი ღირებულების კომპენსირება, თანაც სრული ოდენობით, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული;

3.4. არასწორია მოსარჩელის მოსაზრება, რომ მისი შენატანის მეორე სახე უნდა განსაზღვრულიყო 7728 აშშ დოლარით. მოსარჩელის მიერ აღნიშნული თანხის გადახდის შემთხვევაშიც კი, იგი თავის ვალდებულებას სრულად მაინც ვერ შეასრულებდა, რადგან მის ვალდებულებას წარმოადგენდა პირველი სართულის აშენებისთვის საჭირო ხარჯებითა და მასალებით უზრუნველყოფა და არა მხოლოდ – 56 კვ.მ. ფართის ასაშენებლად;

3.5. ამხანაგობაში, მოპასუხეების გარდა, გაერთიანებული იყო კიდევ 8 წევრი. მოსარჩელემ მოპასუხეები შეარჩია მხოლოდ იმ პრინციპით, რომ ისინი ამხანაგობის დამფუძნებლები იყვნენ, თუმცა, გაურკვეველია, მოცემულ დავასთან რა კავშირშია მოპასუხე მ. ზ-ი, რომელმაც ამხანაგობაში საკუთარი მიწის ნაკვეთი შეიტანა და, მის ნაცვლად, მიიღო 56 კვ.მ. ბინა.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

5. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ზიანის სახით 28 000 აშშ დოლარის გადახდა.

7. სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

7.1. 2005 წლის 21 მარტის ხელშეკრულებით დაფუძნდა ამხანაგობა, რომლის დამფუძნებლები იყვნენ მოპასუხეები;

7.2. ამხანაგობის მიზანი იყო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მისამართზე – თბილისი, გ.;

7.3. 2007 წლის 21 აპრილის №1 კრების ოქმით, მოსარჩელე განეწესა ამხანაგობაში;

7.4. მოსარჩელეს შენატანის სახით დაევალა: ამხანაგობის იურიდიულ-სამართლებრივი საქმიანობის წარმოება და ამხანაგობის ინტერესების დაცვა, ასევე, სახლის პირველი სართულის აშენებისათვის საჭირო ხარჯებითა და მასალებით უზრუნველყოფა;

7.5. 2007 წლის 21 აპრილის №1 კრების ოქმით დადგინდა ამხანაგობის წევრთა შორის საერთო წილობრივ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განაწილების სქემა. სქემის თანახმად, მოსარჩელეზე განაწილდა თბილისში, გ-ის მხრიდან პირველ სართულზე მდებარე ბინა №..., საერთო ფართობი 56 კვ.მ;

7.6. 2007 წლის 27 ივნისის სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობის საფუძველზე მოსარჩელეს მიენიჭა ამხანაგობის წარმომადგენლობის უფლებამოსილება;

7.7. ამხანაგობის 2009 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელისთვის მინიჭებული უფლებამოსილება შეწყდა. იმავე დღეს

ამხანაგობის თავმჯდომარემ მოსარჩელის სახელზე 2007 წლის 27 ივნისს გაცემული რწმუნებულება გააუქმა;

7.8. საქმის მასალებში წარმოდგენილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 27 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დგინდება, რომ მოსარჩელეს ამხანაგობაში შენატანი სრულად არ განუხორციელებია. კერძოდ, მან ვერ შეძლო მშენებლობის პროცესში სახლის პირველი სართულის აშენებისთვის საჭირო ხარჯებითა და მასალებით ამხანაგობის უზრუნველყოფა, მაგრამ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმოადგენდა ამხანაგობას სასამართლოში, სხვადასხვა ორგანიზაცია-დანესებულებებში და ამ გზით ნაწილობრივ ახორციელებდა ამხანაგობაში შესატანის შეტანას;

7.9. საქმის მასალებით არ დასტურდება ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ ამხანაგობა ახორციელებდა მოსარჩელის იურიდიული მომსახურების ანაზღაურებას;

7.10. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2011 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ამხანაგობის თავმჯდომარის და წევრის საჩივრის საფუძველზე, ამავე ამხანაგობის წარმომადგენლობის პროცესში მარწმუნებლის არსებითი ინტერესების დარღვევის შედეგად მოსარჩელეს დაეკისრა დისციპლინური ზემოქმედების სახე;

7.11. ამხანაგობის წევრთა შორის საერთო წილობრივ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განაწილების სქემით მოსარჩელეზე განაწილებული ფართის (თბილისი, გ., პირველი სართული, ბინა №1, საერთო ფართით 56 კვ.მ.) ღირებულება, რომელიც ამჟამად ირიცხება მოპასუხე მ. ზ-ის სახელზე, უძრავი ქონების შეფასების შესახებ 2014 წლის 5 დეკემბრის აუდიტორული დასკვნით შეფასებულია 56 000 აშშ დოლარად;

7.12. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეს ამხანაგობისთვის შენატანი ინტელექტუალური შენატანის სახით არ განუხორციელებია, რადგან სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2011 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის მიმართ დაკისრებული დისციპლინური ზემოქმედების სახე, არ გამოორიცხავდა, რომ ის გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმოადგენდა ამხანაგობას სხვადასხვა ორგანიზაცია-დანესებულებაში და ამ გზით ნაწილობრივ ახორციელებდა ამხანაგობაში შენატანის შეტანას.

8. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე, 932-ე და 935-ე მუხლებით და განმარტა,

რომ ერთობლივ საქმიანობაში (ამხანაგობა) მონაწილეთა მიერ შესატანის შეტანა ქმნის ამხანაგობის წინაშე დასახული საერთო მიზნის მიღწევის მატერიალურ წინაპირობას და აქვს მთავარი მნიშვნელობა. მონაწილის შენატანი შეიძლება მდგომარეობდეს, აგრეთვე, მომსახურების განევაში. შენატანის სახით მომსახურების განევა შეიძლება მდგომარეობდეს როგორც ამხანაგობის განკარგულებაში პირადი შრომის გადაცემაში, ასევე რომელიმე სახის ცალკეულ მომსახურებაში. ხელშეკრულების მონაწილეებს შეუძლიათ განსაზღვრონ მათი წილები მიღებული შემოსავლიდან. წილები შესაძლებელია იყოს მათ მიერ განხორციელებული შენატანების პროპორციული ან სხვაგვარი შეთანხმებით მოხდეს მათი განსაზღვრა.

9. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს, როგორც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეს, ამხანაგობაში შენატანი განხორციელებული ჰქონდა ნაწილობრივ, ინტელექტუალური შენატანის სახით და, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 409-ე მუხლებზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ მოსარჩელეს, როგორც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეს, მის მიერ განხორციელებული ინტელექტუალური შენატანის პროპორციული წილი ამხანაგობისაგან არ გადასცემია.

10. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელი იყო, ხოლო მოსარჩელეს, როგორც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეს, ამხანაგობაში შენატანი განხორციელებული ჰქონდა ნაწილობრივ, მხოლოდ ინტელექტუალური შენატანის სახით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ მოწინააღმდეგე მხარეებს უნდა დაკისრებოდათ მოსარჩელეზე განაწილებული უძრავი ქონების ღირებულების 56 000 აშშ დოლარის ნახევარი – 28 000 აშშ დოლარი.

11. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე მოპასუხებმა შეიტანეს საკასაციო საჩივარი და მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის გადანყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი და ამ ნაწილში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისათვის.

12. კასატორებმა საკასაციო საჩივარში მიუთითეს სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

12.1. მოსარჩელეზე განაწილებული ფართი, წესდებისა და მხა-

რეთა შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ მას შემდეგ გადავიდოდა მოსარჩელის საკუთრებაში, როცა იგი შეასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ამხანაგობაში შეიტანდა შენატანს, რაც მას არ განუხორციელებია. შესაბამისად, ფართი მოსარჩელის არ იყო და, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 933-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, თავისუფალი ქონება, სანამ მესამე პირებისთვის იქნებოდა გადაცემული, უპირატესი შესყიდვის უფლებით შეიძინა ამხანაგობის წევრმა, მოპასუხე მ. ზ-მა. გამომდინარე აქედან, ქონება მის სახელზე რეგისტრირებულია კანონიერად;

12.2. მოსარჩელემ შესატანის განხორციელების ვალდებულება არ შეასრულა ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას;

12.3. დათქმა, რომ მოსარჩელეს შესატანის სახით უნდა განეხორციელებინა პირველი სართულის მშენებლობისთვის საჭირო მასალებითა და ხარჯებით უზრუნველყოფა, იმთავითვე ცხადყოფს, რომ მხარეების ინტერესს წარმოადგენდა საჭირო დროს განხორციელებულიყო შენატანი, კერძოდ მაშინ, როდესაც მშენებლობა პირველი სართულის აშენების მდგომარეობამდე მივიდოდა. მოსარჩელემ აღნიშნული ვალდებულება არ შეასრულა და მხარეები იძულებული გახდნენ, რომ ხარჯები მოეძიებინათ სხვადასხვა გზებით და მშენებლობა გაეგრძელებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვეოდა მშენებლობისთვის გათვალისწინებული ვადები, რაც პირდაპირპროპორციულად გამოიწვევდა სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობას და ვადების გადაცილებას. შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარის მტკიცება, რომ ამხანაგობის მიერ შესატანის განხორციელების რაიმე ვადა არ ყოფილა განსაზღვრული, არამართებულია და არც სააპელაციო სასამართლო უნდა იზიარებდეს ამ მოსაზრებას;

12.4. არასწორია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მოსარჩელის მიერ ინტელექტუალური შენატანის განხორციელებასთან დაკავშირებით, რადგან მოსარჩელის ქმედებები სრულიად ეწინააღმდეგებოდა ამხანაგობის ინტერესებს. უდავოა, რომ თავდაპირველად მოსარჩელე ამხანაგობის ნდობით აღჭურვილი პირი იყო და მშენებლობის ირგვლივ მეზობლებთან წარმოქმნილ დავებზე ახორციელებდა წარმომადგენლობას. თუმცა, როგორც წლების შემდგომ გაირკვა, არსებული დავები მოსარჩელის მხრიდან ხელოვნულად იყო წარმოშობილი, რათა დაფიქსირებულიყო ამხანაგობაში მისი საქმიანობა, ხოლო შემდგომ ეს საქმიანობა შეფასებულიყო შენატანად. სწორედ მსგავსი ტიპის მოქმედებების აღმოჩენის შემდეგ ადვოკატთა ასოციაციის გადანყვეტილებით მოსარჩელეს დაეკის-

რა დისციპლინური პასუხისმგებლობა. კერძოდ, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ მან დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის არაერთი მუხლი, მათ შორის, ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ, კონფიდენციალობის დაცვის შესახებ, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დაცვის შესახებ და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. შესაბამისად, მოსარჩელემ ინტელექტუალური შენატანიც კი არ განახორციელა ჯეროვნად და კეთილსინდისიერად და, გამომდინარე აქედან, სააპელაციო სასამართლოს მიერ იმის მტკიცება, რომ მოსარჩელის მიმართ დაკისრებული დისციპლინური ზემოქმედების სახე არ გამოირიცხავს, რომ ის გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმოადგენდა ამხანაგობას, არ არის იმის საფუძველი, რომ პირად ინტერესებზე აგებული წარმომადგენლობა, რომელიც ეწინააღმდეგება კლიენტთა პრიორიტეტულობის დაცვის ნორმებს, მიჩნეულ იქნეს შენატანად;

12.5. თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ არ შეიტანა შესატანის ერთი ნახევარი (პირველი სართლის მშენებლობისათვის საჭირო ხარჯები და მასალები), თუმცა შენატანად ჩაუთვალა მეორე ნახევარი – ინტელექტუალური შენატანი და მხარეებზე განაწილდა უძრავი ქონების ღირებულების ნახევარი. არასწორია შენატანების ამგვარი პროპორციით – 50/50-ზე გადანაწილება. ობიექტური შეფასებით აშენებისათვის საჭირო ხარჯები და მასალები თანხობრივად საკმაოდ აღემატებოდა ინტელექტუალური შრომისთვის გასანეე ხარჯებს, შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, რომ მოსარჩელეს ინტელექტუალური შენატანი რეალურად განეხორციელებინა, ქონების ღირებულების ნახევარზე გაყოფა სამართლიანი არ არის. ამასთან, გაურკვეველია, თუ რა კრიტერიუმებით შეაფასა სასამართლომ მოსარჩელის ინტელექტუალური შენატანი 28000 აშშ დოლარად, მით უფრო იმ პირობებში, როცა მოსარჩელეს წარმომადგენლობა ამხანაგობის ინტერესებისთვის არ განუხორციელებია.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 თებერვლის განჩინებით მოპასუხეების საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესაძლებლობად.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ივლისის განჩინებით მოპასუხეების საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

15. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხეების საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

16. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

17. კასატორები სადავოდ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხეებისთვის თანხის გადახდის დაკისრების კანონიერებას, რომლის შემოწმებისას საკასაციო პალატა უპირველესად ყურადღებას მიაქცევს მოცემული დავის სამართლებრივ თავისებურებებს, რათა საკასაციო განაცხადის იურიდიული დასაბუთებულობის კვლევა, სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები დაემყაროს იმ ურთიერთობას, საიდანაც წარმოიშვა დავა მხარეებს შორის.

18. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების (იხ. მოცემული განჩინების 7.1.-7.5. პუნქტები) საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის წარმოშობილია ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) სახელშეკრულებო ურთიერთობა.

19. სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად.

20. ზემოაღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურებას წარმოადგენს მხარე-

თა სურვილი, საკუთარი ქონების, გამოცდილებისა თუ პროფესიული უნარ-ჩვევების გაერთიანებით ერთობლივად იმოქმედონ გარკვეული მიზნების მისაღწევად. ამასთან, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების აუცილებელი წინაპირობაა, რომ ამხანაგობა ყალიბდება იურიდიული პირის შეუქმნელად. ნიშანდობლივია, რომ სამოქალაქო კოდექსი არ აკონკრეტებს ხელშეკრულების ამ ტიპისათვის განსაზღვრული მიზნის შინაარსს, ამდენად, გარიგების მხარეთა ინტერესს, შესაძლებელია, წარმოადგენდეს კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი მიზანი, მათ შორის, გარკვეული მოგების მიღების სურვილი. საერთო მიზნის არსებობა გარიგების მთავარ წინაპირობას წარმოადგენს, ამიტომ ამხანაგობის თითოეული წევრი მონაწილეობს, როგორც გარიგების დამოუკიდებელი მხარე (სუსგ №ას-866-808-2017, 2017 წლის 17 ოქტომბერი).

21. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) წევრების ინტერესები მიმართულია საერთო მიზნის მიღწევისაკენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთმანეთის მიმართ ისინი არ შეიძლება გამოდიოდნენ, როგორც კრედიტორი და მოვალე. ზუსტად ეს წარმოადგენს იმ შემთხვევას, როდესაც სასამართლომ უნდა გამიჯნოს საერთო საქმიანობის მიზნის მისაღწევად ამხანაგობის წევრების უფლებები და ნაკისრი ვალდებულებები იმ უფლება-ვალდებულებებისაგან, რომელიც შემდეგ მათ წარმოეშობათ ერთმანეთის მიმართ. კერძოდ, ერთ შემთხვევაში, საერთო საქმიანობასთან დაკავშირებით კეთილსინდისიერად შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს თითოეულ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობის ყოველი მონაწილისაგან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 935-ე მუხლის მე-2 ნაწილი) არა უშუალოდ თავისი, არამედ მხოლოდ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეთა სასარგებლოდ. მეორე შემთხვევაში, ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება). ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებულია დანაწესი, რომლის თანახმად, პასუხისმგებლობის საკითხი დგება ერთმანეთის მიმართ. საერთო საქმიანობის შედეგად მიღებული ქონების განაწილება (მაგალითად, საერთო საქმიანობის შედეგად აშენებული მრავალბინიანი სახლის ბინები) წარმოადგენს საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეთა იმ უფლებების დაკმაყოფილებას, რომლისთვისაც იქმნება ამხანაგობა, ასევე, ერთმანეთის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ამხანაგობის მონაწილეებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა განისაზ-

ღვრება ერთმანეთთან მიმართებით. ამდენად, საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება წარმოადგენს საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ხდება ყველა მონაწილის უფლებების დაკმაყოფილება. ამ შემთხვევებში ამხანაგობის მონაწილეები ერთმანეთის მიმართ გამოდიან როგორც კრედიტორი და მოვალე და მონაწილეობენ სასამართლოში არა ამხანაგობის, არამედ საკუთარი სახელით (სუსგ. №ას-482-458-2013, 2014 წლის 16 იანვარი).

22. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამხანაგობაში უნდა გაიმიჯნონ ის წევრები, რომელთაც ამხანაგობა დააფუძნეს და ამხანაგობის ფინანსური ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა იკისრეს, ისეთი წევრებისაგან, რომლებიც ამხანაგობაში მხოლოდ იმ მიზნით განეწვიანდნენ, რომ ამხანაგობისაგან ბინა შეეძინათ ან ამხანაგობას მათთვის ბინა აუშენებინა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამხანაგობის მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი სუბიექტები არიან არა ამხანაგობის ის წევრები, რომელთა მიზანი მხოლოდ ბინის შეძენა იყო, არამედ ამხანაგობის ის წევრები, რომელთაც ამხანაგობის სახელით, ეკონომიკური საქმიანობის ვალდებულება იკისრეს. აღსანიშნავია, რომ ამხანაგობის დასახელებული წევრები პასუხისმგებელი არიან ამხანაგობის ფინანსურ ვალდებულებებზე და მათი მიზანი აღნიშნულ ამხანაგობაში არა მხოლოდ შენატანის პროპორციული უძრავი ქონების მიღება, არამედ ამხანაგობის შემოსავლებში მონაწილეობა და მოგება-ზარალის განაწილებაცაა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი, 935-ე მუხლი) (სუსგ №ას-866-808-2017, 2017 წლის 17 ოქტომბერი).

23. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლოს მხრიდან სარჩელის წარმატებულობის საკითხის კვლევისას, უპირველესად პასუხი უნდა გაეცეს მთავარ კითხვებს: ვინ, ვისგან, რას, რის საფუძველზე მოითხოვს. პირველი ორი კითხვა იძლევა პასუხს სათანადო მხარეზე, რომლის შემონიშნაც (ისევე, როგორც შემდგომი საკითხები: მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძველი) სასამართლოს პრეროგატივაა და ორიენტირებულია მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელებაზე (სუსგ №ას-1085-1042-2016, 2017 წლის 10 მაისი). სასამართლო ვალდებულია გამოარკვიოს სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად აირჩია თუ არა მოსარჩელემ ის პირი (მოპასუხე), რომელსაც თავისი დარღვეული უფლების აღდგენა უნდა მოსთხოვოს, რათა დავაში ჩაბმული არ აღმოჩნდეს და მოპასუხის საპროცესო მოვალეობანი არ დაეკისროს ისეთ პირს, რომელსაც მოსარჩელის კანონიერ უფლებებთან კავშირი არ გააჩნია.

24. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ყურადღე-

ბას ამახვილებს ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტზე, რომელშიც ამხანაგობის წევრთა უფლება-მოვალეობები შემდეგი სახით არის განსაზღვრული: მოპასუხეებმა მ. ზ-მა და დ. ზ-მა, რომლებიც დოკუმენტში მოხსენიებულნი არიან „მესაკუთრეებად“, ამხანაგობაში შეიტანეს საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, ფართით 280 კვ.მ., მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით. ასევე, მოპასუხეებმა მ. თ-მა და ვ. ს-ემ, რომლებიც დოკუმენტში მოხსენიებულნი არიან „მესაკუთრეებად“, ამხანაგობაში შეიტანეს საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, ფართით 287 კვ.მ., მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით, ხოლო მოპასუხე ვ. ს-ის შენატანს, რომელიც დოკუმენტში მითითებულია „წევრად“, წარმოადგენდა შემდეგი ვალდებულებების შესრულება: სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება; მშენებლობის დაფინანსება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით იმ მიმართებით, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში – 24 თვის განმავლობაში განხორციელებულიყო სახლის მშენებლობის სრულად დამთავრება, გალესვა, დახურვა, შემინვა, ლიფტი, გარე კომუნიკაციები; ინვესტიციების მოზიდვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად; ამხანაგობის საფინანსო საქმის წარმოება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით და პასუხისმგებლობა.

25. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტის საფუძველზე არ დაუდგენია მოპასუხეთაგან უმუშაოდ რომელი მათგანი იყო პასუხისმგებელი ამხანაგობის ფინანსურ ვალდებულებებზე ანუ რომელი მათგანი მონაწილეობდა ამხანაგობის შემოსავლებში და ინაწილებდა მოგება-ზარალს და რომელი მათგანი წარმოადგენდა ამხანაგობის ე.წ. „ჩვეულებრივ წევრს“, რომელიც მხოლოდ აშენებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლებით იყო აღჭურვილი, რასაც, მოცემული დავის სამართლებრივი თავისებურებიდან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

26. საკასაციო პალატა მიუბრუნდება საკასაციო საჩივრის ავტორების პრეტენზიას და მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ მოსარჩელეს შენატანის სახით დაევალა: ამხანაგობის იურიდიულ-სამართლებრივი საქმიანობის წარმოება და ამხანაგობის ინტერესების დაცვა, ასევე, სახლის პირველი სართულის აშენებისათვის საჭირო ხარჯებითა და მასალებით უზრუნველყოფა.

27. საქმის მასალებში წარმოდგენილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 27 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მო-

სარჩელეს ამხანაგობაში შენატანი სრულად არ განუხორციელებია. კერძოდ, მან ვერ შეძლო მშენებლობის პროცესში სახლის პირველი სართულის აშენებისთვის საჭირო ხარჯებითა და მასალებით ამხანაგობის უზრუნველყოფა, მაგრამ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმოადგენდა ამხანაგობას სასამართლოში, სხვადასხვა ორგანიზაცია-დანესებულებებში და ამ გზით ნაწილობრივ ახორციელებდა ამხანაგობაში შესატანის შეტანას.

28. სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე მივიდა სააპელაციო სასამართლო იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელეს, როგორც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეს, ამხანაგობაში შენატანი განხორციელებული ჰქონდა ნაწილობრივ, ინტელექტუალური შენატანის სახით.

29. კასატორები სადავოდ ხდიან სწორედ სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ დასკვნას და მიუთითებენ მოსარჩელის მიერ ნაკისრი პირველი ვალდებულების არაჯეროვან და არაკეთილსინდისიერ შესრულებაზე, კერძოდ, კასატორები აპელირებენ იმ გარემოებაზე, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2011 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ამხანაგობის თავმჯდომარის და წევრის საჩივრის საფუძველზე, ამავე ამხანაგობის წარმომადგენლობის პროცესში მარწმუნებლის არსებითი ინტერესების დარღვევის შედეგად მოსარჩელეს დაეკისრა დისციპლინური ზემოქმედების სახე.

30. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების მითითებას, რომ სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომლის თანახმად, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2011 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეზე დაკისრებული დისციპლინური ზემოქმედების სახე არ გამოირიცხავდა მოსარჩელის მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა ორგანიზაცია-დანესებულებაში ამხანაგობის წარმომადგენლობის განხორციელებას და ამ გზით ამხანაგობაში შენატანის შეტანას, დაუსაბუთებელია.

31. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

32. საქმის მასალებში არსებული დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის 2011 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილების თანახმად, ადვოკატმა (მოსარჩელემ) ამხანაგობის მომიჯნავე მინის ნაკვეთი შეიძინა და ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა 2009 წლის 9 მაისს. ადვოკატი ამ პერიოდისთვის ჯერ კიდევ წარმოადგენდა ამხანაგობას და რწმუნებულება მხარეებს შორის ძალაში იყო. შესაბამისად, ადვოკატს შეეძლო გა-

ეთვალისწინებინა ის რისკი, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას ახლდა თან, რადგან მიხეილ და ნ. გ-ების უძრავი ქონების ზედდება მოხდა ამხანაგობის უძრავ ქონებასთან და ამხანაგობის მიწის ნაკვეთი გ-ების საკუთრებაში აღმოჩნდა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ნ. გ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე წარმომადგენლობას თავად ადვოკატი ახორციელებდა და მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო აზომვითი ნახაზის მიხედვით, მიწის ნაკვეთის გადაფარვის შესახებ. ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ ნ. გ-ის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ წარმოიშვა მხარეებს შორის ინტერესთა კონფლიქტი. კერძოდ, ადვოკატის პირადი ინტერესები დაუპირისპირდა ამხანაგობის ინტერესებს, რადგან ადვოკატი გახდა სადავო მიწის ნაკვეთის ნაწილის მესაკუთრე. ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ადვოკატს წარმოეშვა საკუთრების უფლება, რომელიც დაუპირისპირდა ამხანაგობის საკუთრების უფლების დაცვას. ადვოკატმა თავად დააყენა რისკის ქვეშ კლიენტის ინტერესების დაცვა და არჩევანი პირად ინტერესებსა და ამხანაგობის ინტერესებს შორის, საკუთარი ინტერესების პრიორიტეტულობაზე გააკეთა, როდესაც შეიძინა სადავო მიწის ნაკვეთი. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ჯერ კიდევ წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში ადვოკატმა საფრთხე შეუქმნა კლიენტის ინტერესების დაცვას, კანონის ყველა საშუალებების გამოყენებით დაეცვა კლიენტი. ეთიკის კომისიამ, დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენებისას გაითვალისწინა, რომ ამხანაგობამ შეძლო ხელშეკრულებით დასახული მიზნის მიღწევა, ბინა აშენდა და საკუთრების უფლება ამხანაგობას დარეგისტრირებული აქვს საჯარო რეესტრში, რამაც კომისიას შეუქმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამხანაგობას ზიანი არ მიადგა. თუმცა, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ზიანის საფრთხის აცილება მოხდა არა ადვოკატის მოქმედებით, არამედ თავად ამხანაგობის მიერ. ამხანაგობამ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, არ მისცა შესაძლებლობა ადვოკატს საჯარო რეესტრში დაერეგისტრირებინა უძრავი ქონება; ხოლო, ადვოკატმა გააუქმა ნ. გ-თან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამხანაგობამ ზემოთ აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენა მის მიმართ.

33. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დარღვეულია შემდეგი მუხლები: ა) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლი-

ენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას; ბ) „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მეხუთე მუხლი, რომლის მიხედვით, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ გადაწყვიტა ადვოკატის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის განსაზღვრა.

34. აღსანიშნავია, რომ ეთიკის კომისიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ადვოკატმა გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, თუმცა პალატის 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა. ყურადღებას იქცევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში პალატის მითითება, რომ ადვოკატსა და ნ. გ-ს შორის გაფორმებულმა ნასყიდობის ხელშეკრულებამ გამოიწვია ამხანაგობის მიერ 2009 წლის 12 მაისს (ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღეში) ადვოკატისთვის მინდობილობის შეწყვეტა.

35. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია და არ შეუფასებია, გარკვეული პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა ორგანიზაცია-დანესებულებაში მოსარჩელის მიერ ამხანაგობის წარმომადგენლობა რამდენად კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ხორციელდებოდა. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია ვალდებული პირის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულება, ხოლო, მეორე მხრივ, არსებითი მნიშვნელობის არის საკითხი, რამდენად ჯეროვნად და კეთილსინდისიერად სრულდება აღნიშნული ვალდებულება. შესაბამისად, ასევე შესაფასებელია, რამდენად შეიძლება იქნას მიჩნეული არაჯეროვანი და არაკეთილსინდისიერი შესრულება შენატანის განხორციელებად.

36. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ ამხანაგობის 2007 წლის 21 აპრილის №1 კრების ოქმით, რომლის საფუძველზეც ამხანაგობაში განწვერდა მოსარჩელე, მას დაეკისრა ორივე შენატანის კუმულატიურად და არა – ალტერნატიულად განხორციელების ვალდებულება, სააპელაციო სასამართლოს კი არ უმსჯელია ისეთ პირობებში, როცა მოსარჩელემ მეორე შენატანის შეტანა ვერ შეძლო, ამხანაგობის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულება, რომელიც ერთობლივად ორივე ზემოაღნიშნული შენატანის შეტანას გულისხმობდა, უნდა იქნეს თუ არა მიჩნეული სრულ და ჯეროვან შესრულებად. შესაბამისად, წარმო-

იშობა თუ არა ასეთ გარემოებებში ამხანაგობის მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

37. რაც შეეხება კასატორების პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხეებისთვის მოსარჩელეზე განაწილებული უძრავი ქონების ღირებულების 56000 აშშ დოლარის ნახევრის 28000 აშშ დოლარის დაკისრების არამართებულობასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს არგუმენტაციას, თუ რის საფუძველზე მივიდა სასამართლო იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელის მიერ ნაწილობრივ განხორციელებული შენატანი, ინტელექტუალური შენატანის სახით, წარმოადგენდა მოსარჩელეზე განაწილებული უძრავი ქონების ღირებულების ნახევარს. სააპელაციო სასამართლოს მიერ შენატანების ამგვარი პროპორციით განაწილება, ასევე თავად შენატანის შეფასება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

38. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

39. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს ქვემდგომ სასამართლოში, რომელმაც მატერიალური და საპროცესო სამართლის ნუსების დაცვით უნდა განსაზღვროს პასუხისმგებელ პირთა წრე, შეაფასოს რამდენად კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულა მოსარჩელემ ინტელექტუალური შენატანი, იმსჯელოს ორივე სახის შენატანის კუმულატიურად განუხორციელებლობის პირობებში უნდა იქნეს თუ არა ცნობილი მის მიერ ვალდებულება შესრულებულად, ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა შეფასდეს მხარის მიერ განხორციელებული შენატანის ღირებულება და ამის შემდგომ გადაწყვიტოს სარჩელის ბედი.

40. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი

სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღქვიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

41. ამავე დროს, მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან კასატორებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 თებერვლის განჩინებით გადავადებული ჰქონდათ საკასაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის 1400 (ერთი ათას ოთხასი) დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უკვე გადახდილი 200 ლარის გათვალისწინებით, ხოლო მათი საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, კასატორებს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ გადავადებული სახელმწიფო ბაჟის 1326 (ერთი ათას სამას ოცდაექვსი) დოლარის (1400 აშშ დოლარი – 200 ლარის ეკვივალენტი 74 აშშ დოლარი (გადახდის დღისთვის – 2017 წლის 30 იანვრისთვის ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსის მიხედვით 1 აშშ დოლარი = 2.70 ლარს)) ეკვივალენტი ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ზ-ის, დ. ზ-ის, მ. თ-ის, ვ. ს-ისა და გ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. კასატორებს მ. ზ-ს (პ/ნ: ...), დ. ზ-ის (პ/ნ: ...), მ. თ-ს (პ/ნ: ...), ვ. ს-ესა (პ/ნ: ...) და გ. ს-ეს (პ/ნ: ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაეკისროთ საკასაციო სასამართლოს მიერ გადავადებული სახელმწიფო ბაჟის 1326 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 2 98 20 75
www.supremecourt.ge